დანართი №3

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

- ნანა ხითარიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
- თეკლე ცუცქირიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
- თამარ ჯანგულაშვილი - დარგის ექსპერტი - „ადმინისტრაციული სერვისები“(ქ.თბილისი);
- შოთა კოჩაძე - დარგის ექსპერტი - „ელექტროობა" (ქ.თბილისი);
- ტიტე ბოლქვაძე - დარგის ექსპერტი – „ტვირთების ექსპედირება“, „საბაჟო საქმე"(ქ.თბილისი);
- ზურაბ მესხიძე - დარგის ექსპერტი – „Front-end დეველოპმენტი", „ინფორმაციის ტექნოლოგია"(ქ.თბილისი); ,,ინფორმაციის ტექნოლოგია" (ქ.საჩხერე);
- ქეთევან ღვანიძე - დარგის ექსპერტი - „აღმზრდელი" (ქ.თბილისი, ქ.საჩხერე);
- ხათუნა ჩომახიძე - დარგის ექსპერტი - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" (ქ.თბილისი, ქ.საჩხერე);
- თამილა გრძელიშვილი - დარგის ექსპერტი - „საექთნო განათლება" (ქ.თბილისი,ქ.საჩხერე);
- მზია ბაკურიძე - დარგის ექსპერტი - „ფარმაცია (სააფთიაქო)" (ქ.თბილისი, ქ. საჩხერე)
- მაია ხურცილავა - დარგის ექსპერტი - ,,ბუღალტრული აღრიცხვა" (საჩხერე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საიდენტიფიკაციო კოდი: **406056173**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

■ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 18/11/2025 წლის N1635920 ბრძანების (ცვლილება შესულია 12 დეკემბრის MES 9 25 0001714626 ბრძანებით) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (თბილისი, საჩხერე), დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, ქალაქ თბილისში მისამართებზე: წეროწისის ქ. N208; ც. დადიანის ქ. N 28; გურამ ქუთათელაძის I, გასასვლელი N10) და ქ. საჩხერეში მისამართი: საჩხერე, ივანე გომართელის ქ. №50ა,52

ვიზიტის ქ. თბილისში განხორციელდა 9-12 დეკემბერს, ხოლო ქ. საჩხერეში 15-17 დეკემბერს.

ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე განხორციელდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლა და შეფასება.

შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში - დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. დასკვნით ეტაპზე, ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას, ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც, დაწესებულების წარმომადგენლებს, მიეწოდათ ინფორმაცია ვიზიტის დასრულებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

ქალაქი თბილისი

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
1. Front-end დეველოპმენტი	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ გარემოში		თბილისი, ც. დადიანის ქ. N 28
2. ადმინისტრაციული სერვისები	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით		კოოპერაციული	თბილისი, წერონისის ქ.N208. ც .დადიანის ქ. N 28
3. ტვირთების ექსპედირება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით		კოოპერაციული	თბილისი, წერონისის ქ.N208. ც. დადიანის ქ. N 28
4. საბაჟო საქმე	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით		კოოპერაციული	თბილისი, ც. დადიანის ქ. N 28

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. აღმზრდელი	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით		კოოპერაციული	თბილისი, წერონისის ქ.N208. გურამ ქუთათელაძის I, გასასვლელი N10
6. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით		კოოპერაციული	თბილისი, წერონისის ქ.N208. გურამ ქუთათელაძის I, გასასვლელი N10
7. საქთნო განათლება	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით		კოოპერაციული	თბილისი, წერონისის ქ.N208
8. ინფორმაციის ტექნოლოგია	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ გარემოში		თბილისი, წერონისის ქ.N208
9. ელექტროობა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით		კოოპერაციული	თბილისი, წერონისის ქ.N208
10. ფარმაცია(სააფთიაქო)	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით		კოოპერაციული	თბილისი, გურამ ქუთათელაძის I, გასასვლელი N10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქალაქი საჩხერე

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
1. აღმზრდელი	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით		კოოპერაციული	ქ.საჩხერე, ივანე გომართელის ქ.N50ა, 52
2. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით		კოოპერაციული	ქ.საჩხერე, ივანე გომართელის ქ.N50ა, 52
3. საექთნო განათლება	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით		კოოპერაციული	ქ.საჩხერე, ივანე გომართელის ქ.N50ა, 52
4. ინფორმაციის ტექნოლოგია	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ გარემოში		ქ.საჩხერე, ივანე გომართელის ქ.N50ა, 52
5. ფარმაცია(სააფთიაქო)	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით		კოოპერაციული	ქ.საჩხერე, ივანე გომართელის ქ.N50ა, 52

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. ბუღალტრული აღრიცხვა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ გარემოში		ქ.საჩხერე, ივანე გომართელის ქ.N50ა, 52

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ ქალაქ თბილისში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ადმინისტრაციული სერვისები	90	21 ინტეგრირებული 62 არაინტეგრირებული	0	0
ტვირთების ექსპედირება	112	11 ინტეგრირებული 39 არაინტეგრირებული	0	0
საბაჟო საქმე	40	41	5	1 შიდა მობილობა
Front-end დეველოპმენტი	90	24 ინტეგრირებული 64 არაინტეგრირებული	5	2
აღმზრდელი	140	117	5	2
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	330	317	33	4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციის ტექნოლოგია	50	48	0	2
საქთნო განათლება	168	166	25	9 შიდა მობილობა
ელექტროობა	30	33	0	0
ფარმაცია(სააფთიაქო)	150	36	0	1 შიდა მობილობა

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ ქალაქ საჩხერეში

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
აღმზრდელი	44	48	1	1-შიდა მობილობა
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	120	122	1	1
საქთნო განათლება	126	121	0	3 შიდა მობილობა
ინფორმაციის ტექნოლოგია	60	61	0	0
ფარმაცია(სააფთიაქო)	120	123	1	0
ბუღალტრული აღრიცხვა	0	0	0	0

შენიშვნა: საბჭოს მიერ განსაზღვრულ პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასა და აქტიურ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას შორის სხვაობა განპირობებულია ერთნაირი ქულის მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულების მიერ დანერგილი ეფექტიანი მართვის მექანიზმები, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისა და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები წარმოადგენს ხარისხიანი პროფესიული განათლების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს. თანამედროვე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ციფრული მართვის სისტემების გამოყენებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სერვისებსა და რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ სასწავლო პრაქტიკას.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ განხორციელებული ინიციატივები სასწავლო პროცესის მართვის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პრაქტიკული სწავლების მიმართულებით ნათლად ასახავს დაწესებულების პასუხისმგებლიან მიდგომას ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისადმი. ქვემოთ წარმოდგენილია ის ძირითადი პრაქტიკები, რომლებიც ექსპერტთა შეფასებით გამოირჩევა ეფექტიანობით, მდგრადობით და სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე პროფესიული განათლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის თანამედროვე ელექტრონული სისტემა, რომელიც წარმოადგენს ინტეგრირებულ ციფრულ პლატფორმას და სრულად უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვას, მართვას, განხორციელებასა და მონიტორინგს. სისტემა აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს პროცესების გამჭვირვალობას, თანმიმდევრულობასა და ეფექტიანობას.

ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ოპერატიულ და სტრუქტურირებულ უკუკავშირს პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ადმინისტრაციასა და პროფესიულ სტუდენტებს შორის, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სასწავლო პროცესის ხარისხს და მართვის ეფექტიანობას. სისტემა მოიცავს პროფესიული სტუდენტების მართვის სრულ ციკლს, მათ შორის სტუდენტების დამატებას, მონაცემების რედაქტირებას, სტატუსების (შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა, კვალიფიკაციის მინიჭება) მართვასა და შესაბამისი ადმინისტრაციული ბრძანებების ასახვას.

პროფესიული სტუდენტის პირად გვერდზე თავმოყრილია პირადი ინფორმაცია, სწავლის შედეგების დადასტურების ყველა მტკიცებულება, ატვირთული მოდულური სასწავლო მასალები, ჯგუფური და ინდივიდუალური დავალებები. ამასთანავე, სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელთა მონაცემების მართვას, მათ შორის პირადი ინფორმაციის აღრიცხვას, სასწავლო მოდულების განაწილებას, ტესტური დავალებების შექმნა-რედაქტირებას, ტესტირების პროცესის მართვას (აქტივაცია/დეაქტივაცია, პაროლით დაცვა) და თითოეული სტუდენტის შეფასების შედეგების დაფიქსირებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამატებით, ინტეგრირებული შეტყობინების მექანიზმი უზრუნველყოფს ეფექტიან კომუნიკაციას როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე. აღნიშნული ელექტრონული სისტემა წარმოადგენს აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას და სრულად შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფისა და თანამედროვე პროფესიული განათლების მოთხოვნებს.

პრაქტიკული სწავლება ელექტროობის პროფესიულ პროგრამაში

ელექტროობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით და სტუდენტური აქტივობის კომპონენტის გამოყენებით, შექმნილია სამი აქტიური სასწავლო სტენდი და ერთი ელექტროენერგიის გენერაციის მაკეტი. აღნიშნული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად ზრდის სწავლების პრაქტიკულ ღირებულებას და უზრუნველყოფს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია რეალურ სამუშაო გარემოში უსაფრთხო და ეფექტიანი საქმიანობისთვის.

- **შიდა სამონტაჟო ელექტრომოწყობილობების სტენდი** – საყოფაცხოვრებო ელექტრომონტაჟისა და უსაფრთხოების პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის;
- **სამფაზიანი ელექტრომოწყობილობების სტენდი** – საწარმოო ელექტროსისტემების შესასწავლად და უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად;
- **„ჭკვიანი სახლის“ სტენდი** – ელექტრომოწყობილობების მართვა ციფრული აპლიკაციების საშუალებით, რაც ამლიერებს ტექნიკურ და ანალიტიკურ კომპეტენციებს;
- **განახლებადი ენერგიის ელექტროგენერაციის მაკეტი** – ენერგიის გენერაციის, გადაცემისა და განაწილების პროცესების პრაქტიკული შესწავლისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორი (AED) და ელექტროობის სასწავლო სტენდები/მაკეტი წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც ზრდის საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობას, აძლიერებს სტუდენტების პრაქტიკულ კომპეტენციებს, უზრუნველყოფს რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურ მიახლოებას და ამაღლებს სტუდენტების უსაფრთხოების, პასუხისმგებლობისა და პროფესიული მზაობის დონეს.

სასწავლო რესურსების განვითარება შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამაში

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში აკადემიამ მკაფიოდ გამოავლინა დარგში სპეციალიზებული სასწავლო ლიტერატურის სიმწირე, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ გავრცელებულ გამოწვევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულ მიმართულებაში. აღნიშნული გარემოების სრულად გააზრების საფუძველზე, აკადემიამ მიიღო პროაქტიური გადაწყვეტილება და დააფინანსა პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და დარგის სპეციალისტების მიერ სასწავლო სახელმძღვანელოების შემუშავება.
აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული და გამოცემულია სამი სახელმძღვანელო:

- **„შრომისა და საექსპლუატაციო გარემოს უსაფრთხოება: საფრთხეები, გამომწვევი ფაქტორები, რისკების აღმოფხვრა და შემცირების გზები“** (2018);
- **ორენოვანი სასწავლო ლიტერატურა „შრომის უსაფრთხოებაში არსებული ტერმინთა განმარტება და სამართლებრივი მიმოხილვა“** (2019);
- **„სიმაღლეზე მუშაობის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები“** (2025).

დაფინანსებული სახელმძღვანელოები სრულად შეესაბამება შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული პროგრამის მიზნებსა და მოდულების შინაარსს, უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის სისტემურ მიწოდებას და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული რესურსები ამ ეტაპზე წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ და სავალდებულო კომპონენტს.
აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოების პრეზენტაციებზე მოწვეული იყვნენ როგორც აკადემიის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტები, ხოლო აღნიშნული ლიტერატურა აკადემიამ მათ უსასყიდლოდ გადასცა. ეს პრაქტიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს დაწესებულების პასუხისმგებლიან მიდგომას როგორც პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, ისე დარგობრივი ცოდნის გავრცელებისა და განვითარების მიმართულებით.
ექსპერტთა შეფასებით, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის ფარგლებში აკადემიის მიერ ინიცირებული და დაფინანსებული სასწავლო სახელმძღვანელოების შემუშავება წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას, რესურსების შესაბამისობას თანამედროვე დარგობრივ მოთხოვნებთან და პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) აკადემიის მისია და სტრატეგიული განვითარება	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2) საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

თბილისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1. ადმინისტრაციული სერვისები	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2. ტვირთების ექსპედირება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3. Front-end დეველოპმენტი	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4. საბაჟო საქმე	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5. აღმზრდელი	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
6. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
7. საქმთნო განათლება	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
8. ინფორმაციის ტექნოლოგია	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
9. ელექტროობა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
10. ფარმაცია(სააფთიაქო	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საჩხერის ფილიალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1. ბუღალტრული აღრიცხვა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2. აღმზრდელი	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4. საექთნო განათლება	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. ინფორმაციის ტექნოლოგია	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
6. ფარმაცია(სააფთიაქო	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

არგუმენტირებული პოზიციით დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. აკადემიის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს**

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისიაა მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მომხმარებლებისათვის ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება. აკადემიის მისწრაფებაა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება, რაც განსაზღვრავს მის როლს ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეში.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისია არსებითად ემთხვევა საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ძირითად პრიორიტეტებსა და სტრატეგიულ მიმართულებებს. მისია მოიცავს **მრავალპროფილურ საგანმანათლებლო საქმიანობას,** რაც სრულად ასახავს სახელმწიფო პოლიტიკის იმ მოთხოვნას, რომელიც ორიენტირებულია პროფესიული პროგრამების დივერსიფიკაციასა და შრომის ბაზრის მრავალფეროვან საჭიროებებზე. მრავალპროფილურობა განიხილება როგორც საშუალება, უზრუნველყოს სხვადასხვა ეკონომიკური სექტორისთვის კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რაც შეესაბამება განათლების სისტემის დინამიური განვითარების მიზნებს.

ინოვაციურ მიდგომებზე და მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო გარემოს შექმნაზე გაკეთებული აქცენტი თანხვედრაშია საქართველოს პროფესიული განათლების სტრატეგიასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების განვითარებას და სტუდენტებისთვის რეალური სამუშაო გარემოს მაქსიმალურად დაახლოებულ პირობებში ცოდნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებას. ამ მიმართულებით მისია ასახავს იმ პრინციპს, რომ პროფესიული განათლება უნდა ემყარებოდეს პრაქტიკული სწავლების ხარისხიან ინფრასტრუქტურასა და თანამედროვე სასწავლო რესურსებზე.

მისიაში ობიექტურად წარმოჩენილი **ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპი** სრულად შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნას, რომელიც პროფესიული განათლების შეთავაზებას შედეგებზე დაფუძნებულ, გამჭვირვალე და უწყვეტად განახლებად პროცესად განიხილავს. ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობა არა მხოლოდ ოფიციალურ ნორმატიულ ჩარჩოებშია ხაზგასმული, არამედ პროფესიული განათლების თანამედროვე სტანდარტებშიც, რაც გამოცხადებულ მისიას სახელმწიფო სისტემასთან ორგანულად აკავშირებს.

ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება, როგორც მისიის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, ეხმიანება ეროვნული პოლიტიკის ცენტრალურ პრინციპს - ცხოვრების განმავლობაში განათლების ხელშეწყობას. პროფესიული განათლება საქართველოში განიხილება როგორც მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ძალის მუდმივ განვითარებას, ახალი კომპეტენციების მიღებას და ეკონომიკური მიმდინარეობების შესაბამისად სწრაფ ადაპტაციას. ამგვარად, მისია გამოხატავს არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სოციალურ-ეკონომიკურ დანიშნულებასაც.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მისია ხაზს უსვამს აკადემიის როლის განსაზღვრას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სივრცეში. ეს ასახავს საქართველოში პროფესიული განათლების ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესს, ჩარჩოების (NQF/EQF) შესაბამისობის უზრუნველყოფას, საერთაშორისო პარტნიორობებისა და მობილობის პროგრამების განვითარების ხელშეწყობას. ეროვნული სტრატეგიული ხედვაც სწორედ ამ მიმართულებითაა მიმართული - გააძლიეროს პროფესიული განათლება ისე, რომ იგი კონკურენტუნარიანი იყოს საერთაშორისო დონეზეც.

საერთო ჯამში, აკადემიის მისია შინაარსობრივად სრულად თავსებადია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიზნებთან: იგი აერთიანებს ხარისხის უზრუნველყოფას, ინოვაციურობას, მრავალპროფილურობას, ადამიანური კაპიტალის განვითარებას და საერთაშორისო ინტეგრაციას. მისიის ფორმულირება ასახავს სახელმწიფოს მიერ დადგენილ პრიორიტეტებს და წარმოშობს ინსტიტუციური განვითარების ისეთ ხედვას, რომელიც თანამედროვე საგანმანათლებლო და შრომითი პოლიტიკის მოთხოვნებთან სრულ თანხვედრაშია.

ინდიკატორის (1.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;**

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისია ნათლად ასახავს იმ ძირითად მიმართულებებსა და მახასიათებლებს, რომლებიც განსაზღვრავს დაწესებულების პროფილს. მისია მიმართულია მრავალპროფილურ საგანმანათლებლო საქმიანობაზე, რაც მიუთითებს პროგრამების მრავალფეროვნებასა და შრომის ბაზრის განსხვავებული საჭიროებების დაკმაყოფილების უნარზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინოვაციურ მიდგომებზე და თანამედროვე სასწავლო-სამუშაო გარემოზე გაკეთებული აქცენტი წარმოადგენს აკადემიის ერთ-ერთ განმასხვავებელ მახასიათებელს, რომელიც გამოხატავს ხარისხიანი, ტექნოლოგიურად განახლებული და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაზე ორიენტირება ხაზს უსვამს ინსტიტუციის პასუხისმგებლობას მუდმივ განვითარებაზე და შედეგებზე დაფუძნებულ საქმიანობაზე.

ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარების იდეა განსაზღვრავს მის როლს პროფესიული განათლების სისტემაში როგორც თანამედროვე, კონკურენტუნარიან და ინოვაციურ დაწესებულებას. მისიის ამ ელემენტები ერთობლიობაში ქმნის ინსტიტუციურ იდენტობას.

ინდიკატორის (1.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

აკადემის ხედვაა:

2025 წელს აღიარებულ იქნას ხარისხთან ასოცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო აკადემიად, რასაც აკადემიის წარმატებაზე და პროფესიონალიზმზე ორიენტირებული მტკიცე გუნდი და მრავალფეროვანი პარტნიორობა განაპირობებს‖.

აკადემის ღირებულებები:

- განათლების ხელმისაწვდომობა;
- განვითარებისკენ სწრაფვა;
- სამართლიანობა;
- პიროვნებაზე ორიენტირებულობა;
- პროფესიონალიზმი და რეპუტაციაზე ზრუნვა

აკადემიის წარმოდგენილი ხედვა 2025 წლისთვის გახდეს ხარისხთან ასოცირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება - სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების შესახებ კანონით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს, რომლებიც მოითხოვს პროფესიული განათლების ხარისხის განმტკიცებას, პასუხიმგებლობას, შრომის ბაზართან შესაბამისობას და სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს შექმნას. ლიდერობისა და პროფესიონალიზმზე ორიენტირებული გუნდის გამოყოფა ემყარება კანონის მოთხოვნას, რომ დაწესებულება უზრუნველყოფდეს **კვალიფიციური პერსონალის მონაწილეობას**, უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და შედეგებზე დაფუძნებულ მართვას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიის ხედვით განსაზღვრული ვადა იწურება და კოლეჯი გეგმავს თებერვლის თვისთვის ახალი ფილოსოფიის შემუშავებას. ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯმა შეასრულა მისი ხედვით განსაზღვრული მიზნები. კერძოდ, BTA აღიარებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საერთაშორისო ხარისხის სტანდარტით ISO 9001:2015 და წარმოადგენს პროფესიული განათლების ერთ-ერთ ლიდერ დაწესებულებას, რომელიც ემყარება ინოვაციურ და ინკლუზიურ სწავლების მოდელს. აკადემიაში ხარისხის მართვის სისტემა მოქმედებს ISO 9001:2015-ის მოთხოვნებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, ხოლო მისი ეფექტიანობა უზრუნველყოფილია შიდა აუდიტებით, ხელმძღვანელობის მიერ მდგომარეობის პერიოდული შეფასებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული პროცესების ანალიზით.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმი ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირსა და საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას. პროგრამების განახლების პროცესი მოიცავს მონაცემების შეგროვებას, მისი ანალიზს, გამოკითხვებისა და შეფასებების შედეგების დამუშავებას, საჭირო გაუმჯობესების მიმართულებების განსაზღვრას, რეკომენდაციების მომზადებას და შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას. აღნიშნული მიდგომა სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების შესახებ კანონით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფისა და შედეგებზე დაფუძნებული მართვის პრინციპებს.

სწავლების პროცესი მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურაში - თბილისში მოქმედ სამ და საჩხერის ფილიალებში, რომელთაც აქვთ აღჭურვილი აუდიტორიები და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ლაბორატორიები. 2023 წელს საჩხერეში BTA-მ შექმნა 2900 მ² საგანმანათლებლო დაწესებულება, უზრუნველყოფილი თანამედროვე ტექნიკითა და პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი ყველა რესურსით. ამასთან ერთად აშენდა პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის განათლების ხელმისაწვდომობასა და დასაქმების შესაძლებლობებს განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის.

აკადემია აქტიურად მონაწილეობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საგრანტო და საგანმანათლებლო პროექტებში, მათ შორის - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ინიციატივებში, პროფესიული უნარების სააგენტოს არასამთავრობო და სტუდენტურ აქტივობებში, USAID-ისა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილ პროგრამებში. ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს კერძო სექტორსა და სახელმწიფო სტრუქტურებთან, მათ შორის საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტთან. ასევე სისტემატურად ერთვება განათლების სამინისტროს შესაბამის უწყებებთან, პროფესიული უნარების სააგენტოსა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს პროგრამებსა და პროექტებში.

პირდაპირი კავშირი იკვეთება **ღირებულებებსა** და კანონის მიერ დადგენილ პროფესიული განათლების პრინციპებს შორის. განათლების ხელმისაწვდომობის პრინციპი შეესაბამება კანონის სოციალურ სამართლიანობასა და ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებას, რაც მხარს უჭერს სხვადასხვა ასაკის, სტატუსისა და ჯგუფის პირების თანაბარ მონაწილეობას პროფესიულ განათლებაში. განვითარებისკენ სწრაფვა ასახავს სახელმწიფო პოლიტიკით აღიარებულ უწყვეტი პროფესიული ზრდის აუცილებლობას - როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამართლიანობისა და რეპუტაციაზე ზრუნვის ხაზგასმა შესაბამისობაშია კანონისეულ მოთხოვნასთან, რომ დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ გამჭვირვალე პროცედურები, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტური გამოყენება და ეთიკური სტანდარტების დაცვა. პიროვნებაზე ორიენტირებულობა პირდაპირ უკავშირდება სტუდენტზე მორგებული სწავლების პრინციპს, რაც პროფესიული განათლების კანონში ერთ-ერთ საბაზისო ღირებულებად არის ჩამოყალიბებული.

საერთო ჯამში, წარმოდგენილი ხედვა და ღირებულებები იძლევა სამართლებრივად თანხვედრილ და სტრატეგიულად გამართულ საყრდენს, რომელიც ეყრდნობა კანონის ძირითად მოთხოვნებს: ხელმისაწვდომობა, ხარისხი, სამართლიანობა, პროფესიონალიზმი და სწავლების პიროვნებაზე მორგებულობა. ამ საფუძვლით აკადემია ქმნის იმას, რასაც კანონიც მოითხოვს - თანამედროვე, განვითარებაზე ორიენტირებულ და შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო გარემოს.

ინდიკატორისს (1.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

როგორც დადგინდა, აკადემია მიზანმიმართულად უზრუნველყოფს თავისი მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროობას, გავრცელებასა და დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის გამჭვირვალობასა და ხარისხს.

აკადემიის მთავარი ამოცანაა, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს - სტუდენტებს/მსმენელებს, მასწავლებლებს, თანამშრომლებს, პარტნიორებს, შრომის ბაზრის წარმომადგენლებსა და ფართო საზოგადოებას ჰქონდეს სრული, ნათელი და დროული ინფორმაცია აკადემიის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ.

ამ მიზნით, აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია ოფიციალურ ვებგვერდზე ისეთ ფორმატში, რომ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის უზრუნველყოს მარტივი და პირდაპირი წვდომა. ონლაინ პლატფორმა წარმოადგენს აკადემიის საჯარო კომუნიკაციის მთავარ და ყველაზე ხელმისაწვდომ არხს.

წარმოდგენილი ოქმების შესწავლით და პროფესიულ მასწავლებლებთან დადასტურებით დგინდება, რომ აკადემია რეგულარულად ატარებს შეხვედრებს, პრეზენტაციებსა და საინფორმაციო სესიებს, რომლის მიზანია სტუდენტებისა და თანამშრომლების ინფორმირება, ჩართულობა და უკუკავშირის მიღება. ასეთ ღონისძიებებზე განხილული საკითხებია:

- მისიისა და ხედვის შესაბამისობა მიზნობრივ ჯგუფთა საჭიროებებთან;
- ღირებულებების რეალიზება სასწავლო და ადმინისტრაციულ პრაქტიკაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესის ან პროგრამების შესაძლო გაუმჯობესების მიმართულებები.

აღნიშნული შეხვედრები ხელს უწყობს ადმინისტრაციისა და დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობას, მენეჯმენტის გამჭვირვალობას და ხარისხის მართვის სისტემის განმტკიცებას.

აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები ასახულია:

- სტრატეგიულ განვითარების გეგმაში,
- სტუდენტთა გზამკვლევში,
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში,
- შიდა რეგულაციებსა და პოლიტიკურ დოკუმენტებში.

ამგვარად, ისინი ინტეგრირებულია როგორც კომუნიკაციის, ისე მართვის პროცესებში და წარმოადგენს ყოველდღიური საქმიანობის ფუნქციურ კომპონენტს.

აკადემია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობას. მისი მისიისა და ხედვის რეალიზება ხდება არა მხოლოდ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებებით, არამედ პედაგოგების, სტუდენტებისა და პარტნიორების აქტიური ჩართულობით. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ცვლილებები და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება თანამონაწილეობითი მართვის პრინციპით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ხარისხიან კომუნიკაციას.

სტუდენტებისა და თანამშრომლების მოსაზრებები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს აკადემიის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრისთვის. უკუკავშირი გროვდება:

- გამოკითხვებით,
- სამუშაო შეხვედრებით,
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგით,
- შრომის ბაზრის პარტნიორებთან კონსულტაციებით.

მიღებული ინფორმაცია გამოიყენება როგორც სტრატეგიული გადაწყვეტილებების, ისე პროგრამების განახლებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულად არის გაზიარებული ყველა დაინტერესებული მხარის მიერ. უზრუნველყოფილია მათი საჯარო ხელმისაწვდომობა, ინკლუზიური კომუნიკაცია და მუდმივი თანამონაწილეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეს ქმნის ერთიან, გამჭვირვალე და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ეფუძნება ღირებულებებზე ორიენტირებულ მართვას და მხარდაჭერას სწავლის პროცესში.

ინდიკატორის (1.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებები https://www.bta.edu.ge/ge/posts/details/2/misia-khedva-da-ghirebulebebi
- სტრატეგიული-განვითარების-გეგმა-2022-2029
- https://www.bta.edu.ge/storage/documents/
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა-(2022-2029წწ) https://www.bta.edu.ge/storage/documents/1750696057.pdf
- ერთწლიანი (2025-26 წწ) სამოქმედო გეგმა
- https://www.bta.edu.ge/storage/documents/1750696741.pdf
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტი;
- https://www.bta.edu.ge/storage/documents/1750696057.pdf;
- შეხვედრებზე დასწრების ოქმები;
- დაწესებულების პერსონალისათვის მისია, ხედვა, ღირებულებების, სამოქმედო სტრატეგიული გეგმების და ნორმატიული გეგმების გაცნობასთან დაკავშირებული ანგარიში 2025 წლის 25-26 ივნისი (თბილისი, საჩხერე).

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;**

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს ახორციელებს შიდა ნორმატიული მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ინსტიტუციურ მარეგულირებელ ინსტრუმენტს და შეესაბამება როგორც საერთაშორისო სტანდარტებს, ისე ეროვნულ მოთხოვნებს. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული დოკუმენტების მომზადების, შესრულების ზედამხედველობისა და შეფასების ერთიან ჩარჩოს, რაც უზრუნველყოფს გეგმების თანმიმდევრულ და სისტემურ განხორციელებას.

დადგინდა, რომ აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება შვიდწლიან ციკლს და მოქმედებს განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. დოკუმენტის გადახედვა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მათ შორის სამართლებრივი გარემოს ცვლილების, ახალი ეროვნული სტრატეგიების მიღების ან აკადემიის მენეჯმენტში არსებითი ცვლილებების შემთხვევაში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული მიმართულებების სტაბილურობას, ხოლო ახალი ციკლის დაწყება მოქმედი გეგმის მე-7 წელს ქმნის სტრატეგიული დაგეგმვის უწყვეტობისა და ინსტიტუციური განვითარების თანმიმდევრულობის მყარ საფუძველს.

სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება ხორციელდება ერთიანი, წინასწარ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. პროცესი იწყება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის ფორმირებით, რის შემდეგაც მზადდება გეგმის პროექტი, რომელიც ეფუძნება მოქმედ რეგულაციებს, იდენტიფიცირებულ საჭიროებებსა და განვითარების მიმართულებების ანალიზს. პროექტი გადის განხილვას შიდა სტრუქტურულ ერთეულებთან, მენეჯმენტთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ხოლო შემოსული რეკომენდაციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით საბოლოოდ ფორმირდება და მტკიცდება აკადემიის უფლებამოსილი პირის მიერ. დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოფილია დოკუმენტის გავრცელება და მისი გაცნობა პასუხისმგებელი პირებისთვის.

მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურები განსაზღვრულია მკაფიო პერიოდულობით. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულება მოწმდება წელიწადში ორჯერ - შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმატში, ხოლო სტრატეგიული გეგმის შესრულება ფასდება როგორც შუალედური, ისე დასკვნითი ანგარიშით. ამასთან, წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში ფუნქციურად წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის პროგრესის ერთ-ერთ ძირითად ინდიკატორს. მონიტორინგი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდებითა და პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს შედეგების სიზუსტესა და პროცესების მართვის ეფექტიანობას.

დადგინდა, რომ სტრატეგიულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მოქმედი მეთოდოლოგიის სრული დაცვით. აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს ცვლილებების დასაბუთებულობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, ხოლო კორექტირებები ხორციელდება ანალიტიკურ დასკვნებსა და ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. პარალელურად უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების დროული ინფორმირება, რაც ხელს უწყობს პროცესების თანმიმდევრულობასა და გადაწყვეტილებების სწორ ინტერპრეტაციას.

დოკუმენტაციის ანალიზმა ცხადყო, რომ აკადემია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საჯაროობას. დოკუმენტები განთავსებულია ოფიციალურ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, რაც ზრდის პროცესების გამჭვირვალობასა და ინსტიტუციური ნდობის ხარისხს. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები სისტემურად მუშავდება და გამოიყენება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მართვითი გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციის მიზნით.

დადგენილია, რომ პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული სამუშაო აღწერილობებითა და შიდა რეგულაციებით, რაც გამორიცხავს ფუნქციათა გადაკვეთისა და პროცესების არაეფექტიანი მართვის რისკებს. სტრატეგიული და სამოქმედო დოკუმენტების საბოლოო დამტკიცება ხორციელდება აკადემიის უფლებამოსილი პირის მიერ, რაც ადასტურებს მათი შემუშავებისა და მიღების სამართლებრივ და ადმინისტრაციულ წესებთან სრულ შესაბამისობას.

საერთო შეფასებით, აღნიშნული პროცედურები ქმნის ეტაპობრივ, გამჭვირვალე და სამართლებრივად გამართულ სტრატეგიული დაგეგმვის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიის განვითარების მიზნობრივ, კონტროლირებად და ეფექტიან განხორციელებას.

ინდიკატორის (1.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის ანალიზისა და გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის შვიდწლიანი (2022–2029) სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი (2025–2026) სამოქმედო გეგმა შემუშავებულია დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება აკადემიის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის გამოყენებით და მოიცავს გრძელვადიანი მიზნების მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აკადემია სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელებისას სრულად იცავს ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის დაინტერესებული მხარეების სისტემური ჩართულობისა და განვითარების ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ პრიორიტეტებთან თანხვედრის კრიტერიუმებს. პროცესში დაცულია თანასწორობის, გამჭვირვალობისა და მონაწილეობითი მართვის პრინციპები.

დადგინდა, რომ სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლებში უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის, ადმინისტრაციისა და სოციალური პარტნიორების ორგანიზებული და კოორდინირებული ჩართულობა. აღნიშნული ჩართულობა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურების საფუძველზე და მოიცავს სამუშაო ჯგუფების საქმიანობას, დოკუმენტების პროექტებზე რეკომენდაციების მიღებასა და ანალიტიკური შეფასებების მომზადებას.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ რექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სტრატეგიის მონიტორინგისა და განვითარების სამუშაო ჯგუფი, რომლის მონაწილეობით 2025 წლის მარტში ჩატარდა სტრატეგიული დაგეგმვის ონლაინ ვორქშოპი. ვორქშოპის ფარგლებში განხილულ იქნა როგორც შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის განახლებული ვერსია, ისე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, განხორციელდა არსებული დოკუმენტების ანალიზი და იდენტიფიცირდა გაუმჯობესების შესაძლებლობები.

ექსპერტთა შეფასებით, სტრატეგიული გადაწყვეტილებები ეფუძნება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზს, მონიტორინგის შედეგებსა და დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციებს, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან და მის ეფექტიან განხორციელებას.

ინდიკატორის (1.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.**

წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო დოკუმენტაციის დეტალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აკადემიის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შეესაბამება მოქმედ მარეგულირებელ მოთხოვნებსა და ინსტიტუციური განვითარების აღიარებულ პრაქტიკას. დოკუმენტებში განსაზღვრული მიზნები ფორმულირებულია მკაფიოდ, ლოგიკურად და შინაარსობრივად უკავშირდება დაწესებულების მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, რაც ადასტურებს სტრატეგიული დაგეგმვის შიდა თანმიმდევრულობას.

დოკუმენტაციის ანალიზმა ცხადყო, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილია ძირითადი დაინტერესებული მხარეების სისტემური და დოკუმენტურად დადასტურებული ჩართულობა, მათ შორის ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტებისა/მსმენელებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობით. დადგენილია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებას წინ უძღოდა აკადემიის მისიისა და ხედვის გადახედვა, რის საფუძველზეც განხორციელდა მიღწეული შედეგების შეფასება და განვითარების გამოწვევების იდენტიფიცირება.

შესწავლილი დოკუმენტებისა და თანდართული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება შეფასდეს, რომ აკადემია ფუნქციონირებს როგორც განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სტრუქტურირებულად და სისტემურად რეაგირებს შიდა და გარე გარემოს ცვლილებებზე. დოკუმენტაციაში მკაფიოდ იკვეთება მართვის, ხარისხის უზრუნველყოფისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების ლოგიკური კავშირი ინსტიტუციური განვითარების მიზნებთან.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შინაარსობრივმა ანალიზმა დაადასტურა, რომ მათი შემუშავება ეფუძნება SWOT და PEST ანალიზებს. დოკუმენტაციაში ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სტუდენტების საჭიროებების კვლევის შედეგები, რაც უზრუნველყოფს რესურსების, შესაძლებლობებისა და განვითარების პრიორიტეტების ობიექტურ შეფასებას 2022–2029 წლების სტრატეგიული დაგეგმვის ჭრილში.

დოკუმენტების ანალიზით დადგინდა, რომ სტრატეგიული მიზნები ორიენტირებულია სუსტი მხარეების გაუმჯობესებაზე და ძლიერი მხარეებით განპირობებული შესაძლებლობების ეფექტიან გამოყენებაზე. მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება სრულ თანხვედრაშია აკადემიის მისიასთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხედვასა და ღირებულებებთან და ასახავს ეროვნულ და რეგიონულ პოლიტიკურ პრიორიტეტებს, აგრეთვე დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს.

სტრატეგიული გეგმის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიის განვითარების ოთხი ძირითადი მიმართულება - ინსტიტუციური განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება, პროფესიული სტუდენტების/მსმენელთა უფლებების დაცვა და მხარდაჭერა, საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება - განსაზღვრულია სტრუქტურირებულად, ურთიერთდაკავშირებულად და გამყარებულია შესაბამისი ამოცანებითა და ღონისძიებებით.

სამოქმედო გეგმის დეტალურმა შეფასებამ აჩვენა, რომ სტრატეგიული ამოცანები ტრანსფორმირებულია კონკრეტულ, გაზომვად და ვადებში განსაზღვრულ აქტივობებად. დოკუმენტაციაში იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირები, საჭირო რესურსები და შესრულების ინდიკატორები, რაც უზრუნველყოფს შედეგების მონიტორინგის, შეფასებისა და კორექტირების შესაძლებლობას.

საერთო შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ აკადემია აკმაყოფილებს სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავებისა და განხორციელების მოთხოვნებს. წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო დოკუმენტაცია ქმნის შიდა ლოგიკით გამართულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მართვის სისტემას, რომელიც მიმართულია ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებასა და ავტორიზაციის სტანდარტების ეფექტიან შესრულებაზე.
ინდიკატორის (1.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი 2022-2029წწ) გეგმა;
- ერთწლიანი (2025-26 წწ)სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებები, მუშაობის ამსახველი დოკუმენტები;
- გეგმების პროექტების გაზიარების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**

წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ აკადემიაში დანერგილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურირებული და ფუნქციონალური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების შესრულების პროცესის სისტემატურ კონტროლს, შედეგების ანალიზსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვითი გადაწყვეტილებების მიღებას.

აკადემია მკაფიოდ განასხვავებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს, რაც შეესაბამება თანამედროვე მენეჯმენტისა და ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს. მონიტორინგი ხორციელდება როგორც გეგმების განხორციელების პროცესზე რეგულარული და სტრუქტურირებული დაკვირვება და გამოიყენება შესრულების პროგრესის, ვადების დაცვისა და შესაძლო რისკების დროული იდენტიფიცირების მიზნით. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს გადახვევებისა და შეფერხებების შემთხვევაში ოპერატიულ რეაგირებას და პასუხისმგებელი პირებისთვის უკუკავშირის მიწოდებას.

შეფასების პროცესი ეფუძნება მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიტიკურ დამუშავებას და არ შემოიფარგლება მხოლოდ შესრულების დონის დადგენით. შეფასების ფარგლებში ხორციელდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედეგების კრიტიკული ანალიზი, საჭირო ცვლილებების იდენტიფიცირება და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღება. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს გეგმების პერიოდულ გადახედვასა და, საჭიროების შემთხვევაში, მათ კორექტირებას, მათ შორის ვადების გადახედვისა და დამატებითი ამოცანების განსაზღვრის გზით.

მონიტორინგის პერიოდულობა განსაზღვრულია წინასწარ და ხორციელდება დადგენილი გრაფიკის შესაბამისად: ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშგება მზადდება ექვსთვიანი ინტერვალით, ხოლო საბოლოო ანგარიშგება - საანგარიშო წლის დასრულების შემდეგ. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის კონტექსტში, სამოქმედო გეგმის საბოლოო ანგარიშგება გამოიყენება როგორც სტრატეგიული გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შუალედური შეფასების ინსტრუმენტი, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიულ და ოპერატიულ გეგმებს შორის ფუნქციურ კავშირსა და თანმიმდევრულობას.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სისტემურად განიხილება როგორც შესრულებული, ისე შეუსრულებელი აქტივობები, მათი შესრულების დონე, შეფერხებების მიზეზები, ამოცანების აქტუალობა და გეგმის ოპტიმიზაციის შესაძლებლობები. შეფასების შედეგებზე აკადემია რეაგირებს დროულად და ადეკვატურად, რაც გამოიხატება გეგმების კორექტირებაში, დამატებითი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელების ვადების გადახედვაში. საჭიროების შემთხვევაში განიხილება პასუხისმგებელი პირების წახალისების ან მართვითი ღონისძიებების გატარება.

შუალედური და წლიური ანგარიშების მომზადება, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება და ანგარიშების აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას, პროცესების გამჭვირვალობასა და ინსტიტუციურ ანგარიშვალდებულებას.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო 2025 წელს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ განხორციელებული მონიტორინგის დოკუმენტაციას. დოკუმენტაციის ანალიზმა აჩვენა, რომ მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაგეგმილი აქტივობების ვადებისა და ხარისხის კონტროლს, სტუდენტებისა და თანამშრომლების უკუკავშირის გამოყენებასა და შესაბამისობის უზრუნველყოფას დადგენილ სტანდარტებთან.

2025 წლის მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით განსაკუთრებული აქტივობები მოიცავდა:

- სასწავლო, სამუშაო და სტუდენტური გარემოს განახლებას, ტექნიკური და ესთეტიკური სამუშაოების შესრულებას, ინვენტარის ჩანაცვლებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას;
- ბიბლიოთეკური რესურსების განახლებასა და ციფრულ ფორმატში გადატანას;
- ახალი საგანმანათლებლო კამპუსის აღჭურვას საჩხერის ლოკაციაზე, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ხელმისაწვდომობის სტანდარტებს;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გაძლიერებას, მათ შორის პროფესიული განვითარების ღონისძიებებს, ტრენინგებსა და საერთაშორისო პროექტებში ჩართვას;
- სტუდენტური გარემოს გაუმჯობესებას - რეკრეაციული სივრცეები, სოციალური და არაფორმალური სწავლების ზონები;
- IT ინფრასტრუქტურის განვითარებას, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვას და მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის შედეგები ასახულია ანალიტიკურ დოკუმენტებში და გამოყენებულია დროული რეაგირების, საჭირო კორექტირებებისა და სამოქმედო გეგმების განახლების მიზნით. აღნიშნულმა პრაქტიკამ ხელი შეუწყო რესურსების ეფექტიან გამოყენებას, სტუდენტთა ჩართულობის ზრდასა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესებას.

მონიტორინგის პროცესის ფარგლებში უზრუნველყოფილია საქმიანობის საჯაროობა -მომზადებულია და გამოქვეყნებულია შუალედური ანგარიში, რაც პასუხობს გამჭვირვალობისა და ინსტიტუციური ანგარიშვალდებულების პრინციპებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ დაწესებულებაში მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ფუნქციონირებს ეფექტიანად და შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

საერთო შეფასებით, აკადემია ეფექტიანად ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას. პროცესი ხორციელდება პერიოდულად და სტრუქტურირებულად, ეფუძნება ინდიკატორების ანალიტიკურ შეფასებას და მიღებული შედეგები გამოიყენება როგორც გაუმჯობესების ინსტრუმენტი, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის გამჭვირვალობას, მოქნილობასა და ინსტიტუციურ პასუხისმგებლობას.

ინდიკატორის (1.2.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;**

აკადემია მონიტორინგის პროცესებს ამყარებს შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებებით და უზრუნველყოფს მიღებული შედეგების სისტემურ ანალიზს. იმ შემთხვევებში, როდესაც მონიტორინგის შედეგად იკვეთება, რომ რომელიმე აქტივობა ვერ განხორციელდა ან შესრულდა ნაწილობრივ, აკადემია ახორციელებს დროულ, მიზნობრივ და სისტემურ რეაგირებას შესაბამისი კორექტირების მექანიზმების საშუალებით.
კერძოდ, თუ რომელიმე აქტივობის შესრულება ვერ ხორციელდება დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, აკადემია მიმართავს ერთ ან რამდენიმე ღონისძიებას:

- სამოქმედო გეგმებში შეიტანება ცვლილებები იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული აქტივობა დაკარგავს აქტუალობას;
- სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ხორციელდება მონაცემებისა და ჩანაწერების დაზუსტება და განახლება, მათ შორის, ორგანიზაციული სტრუქტურის ან სამუშაო აღწერილობების ცვლილების შემთხვევაშიც, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტეს;
- საჭიროებისამებრ გადაიხედება ვადები და, საჭიროების შემთხვევაში, ხდება მათი გახანგრძლივება, რათა აქტივობები სრულფასოვნად და ხარისხიანად განხორციელდეს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- იმ შემთხვევებში, როდესაც აქტივობა აღარ პასუხობს რეალურ საჭიროებებს ან აღარ წარმოადგენს პრიორიტეტს, ხდება მისი ამოღება ან შესაბამისი ახალი აქტივობით ჩანაცვლება.

აკადემიაში მოქმედებს მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული კორექტირებების დროულ და ეფექტიან განხორციელებას. თითოეული ცვლილება და მასზე განხორციელებული რეაგირება დოკუმენტურად ფიქსირდება, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებსა და ზედამხედველ სტრუქტურებს დაადასტურონ სამოქმედო გეგმის უწყვეტი შესრულება და მართვის ეფექტიანობა.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ აკადემია ეფექტიანად მართავს მონიტორინგის შედეგებზე დაფუძნებულ რეაგირებას ყველა აქტივობის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებას, მათი რეალურ გარემოებებთან შესაბამისობასა და ინსტიტუციური განვითარების უწყვეტობას.

ინდიკატორის (1.2.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური შედეგები აკადემიის მიერ სისტემურად ფორმირდება ანგარიშების სახით და განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობასა და მის ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს აკადემიის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალ დონეს.

ვებგვერდზე ხელმისაწვდომია 2017–2018, 2018–2019, 2019–2020, 2020–2021, 2021–2022, 2022–2023, 2023–2024 და 2024–2025 წლების სამოქმედო გეგმების როგორც შუალედური, ასევე საბოლოო ანგარიშები, აგრეთვე 2025–2026 წლის სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიში. აღნიშნული დოკუმენტაცია უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში სამოქმედო გეგმების შესრულების დინამიკის შეფასების შესაძლებლობას.

ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად მართავს შეხვედრებს დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის პსდ-ის დამფუძნებლებთან, პერსონალთან, სტუდენტებთანა და პარტნიორ ორგანიზაციებთან, ანგარიშებისა და მიღწეული შედეგების გაზიარების მიზნით. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს უკუკავშირის მიღებას, მონაწილეობითი მართვის პრინციპის გაძლიერებას და სამოქმედო გეგმების შემდგომი გაუმჯობესების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.

ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ აკადემია ეფექტიანად უზრუნველყოფს როგორც ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას, ისე შიდა კომუნიკაციასა და ანგარიშგების შედეგებზე დაფუძნებულ დიალოგს, რაც შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული მართვის საუკეთესო პრაქტიკას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის (1.2.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პსდ ვებ-გვერდიზე განთავსებული სამოქმედო გეგმის ანგარიშები (შუალედური, საბოლოო) 2017 - 2025 წწ. https://www.bta.edu.ge/ge/documents/development-plans
- შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია , მათ შორის სამუშაო ჯგუფის ოქმები აკადემიის სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებით
- ცვლილებებით დამტკიცებული სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმები;
- პსდ-ს პერსონალის გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორისს მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

აკადემიას პროფესიული სტუდენტების უფლებების და გარანტიების უზრუნველსაყოფად შემუშავებულია აქვს შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები:

- „ სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანებით N2/130 25.08.2025)
- „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდამჭერი მექანიზმები“ (დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით)
- „ ეთიკის კოდექსი“ (დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით).

სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილია:

1.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მექანიზმები, რომლებიც შესაბამისობაშია ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებასთან. კერძოდ, აკადემია საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასებას ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე. ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, საშუალო პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს, შერჩევის ფორმა თითოეული მიღებისთვის, ან/და პროგრამისთვის განისაზღვრება აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა თბილისის და საჩხერის ფილიალებში თითოეული საგანმანათლებლო საფეხურის პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დოკუმენტაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა:

ა) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/146 (30.09.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებისთვის აპლიკანტთა შერჩევის ფორმის, შეფასების თარიღის, დროის განსაზღვრისა და მოტივაციური კომისიის შექმნის შესახებ“. აღნიშნული ბრძანებით დგინდება, რომ აკადემიამ აპლიკანტთა შერჩევა განახორციელა 2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე'' საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 06 აგვისტოს N958417 ბრძანების შესაბამისად;

ბ) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/166 04.11.2025 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის 2025 წლის საშემოდგომო მიღებასთან დაკავშირებით საბუთების მიღების ვადების განსაზღვრის, ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების მიმღები და განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ.

გ) შპს ბიზნესისა და აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/176 04.11.2025 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა რეიტინგული სიების დამტკიცების შესახებ“ და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/171 04.11. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგოების აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა რეიტინგული სიების დამტკიცების შესახებ“ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2025 წლის 4 ნოემბრის ბრძანება 2/167 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

დ) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/177 20.11.2025 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ქ.თბილისის განყოფილებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ.

ე) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/132 25.08.2025 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ საგანმანთლებლო პორგრამებზე 2025 წლის საშემოდგომო მიღების გამოცხადების შესახებ;

ვ) შპს ბიზენსისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება 2/147 30.09.2025 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. საჩხერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისთვის აპლიკანტთა შერჩევის ფორმის, შეფასების თარიღისა და დროის განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით დგინდება, რომ აკადემიამ აპლიკანტთა შერჩევა განახორციელა 2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე'' საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 06 აგვისტოს N958417 ბრძანების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზ) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/179 20.11.2025 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ქ. საჩხერის განყოფილებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;

იმ პროგრამებზე რომელსაც დაწესებულება ახორციელებს რეალურ სამუშაო გარემოში მოტივაციური გასაუბრების კომისიაში ჩართული იყო პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი როგორც თბილისის, ასევე საჩხერის ფილიალში.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/159 (01.10.2025) შპს ბიზნესისა და ტექნილოგიების აკადემიის ქ. თბილისის განყოფილებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით პრაქტიკული მოსინჯვის დოკუმენტირების ფორმების დამტკიცების, პრაქტიკული მოსინჯვის ჩატარების მიზნით კომისიის შექმნისა და პრაქტიკული მოსინჯვის ჩატარების თარიღისა და დროის განსაზღვრის შესახებ. ასევე ბრძანება N 2/148 (30.09.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ქ. საჩხერის განყოფილებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით პრაქტიკული მოსინჯვის დოკუმენტირების ფორმების დამტკიცების, პრაქტიკული მოსინჯვის ჩატარების მიზნით კომისიის შექმნისა და პრაქტიკული მოსინჯვის ჩატარების თარიღისა და დროის განსაზღვრის შესახებ. აკადემიამ წარმოადგინა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის მიერ პრაქტიკული მოსინჯვის შედეგების დამადასტურებელი შევსებული ფორმები როგორც თბილისის ასევე საჩხერის ფილიალებში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის მიერ პრაქტიკული მოსინჯვის შედეგების დამადასტურებელი შევსებულ ფორმა N 56 (22.10.2025) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის მიერ პრაქტიკული მოსინჯვის შედეგების დამადასტურებელი ფორმა N 53 (15.1.2024.) აღნიშნული დოკუმენტებით დასტურდება, რომ აკადემიაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ჩარიცხვა ხორციელდება აკადემიის შიდა მარეგულირებელი ნორმების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აკადემიაში ასევე შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები (დამტ. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით). ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს როგორც თბილისის, ასევე საჩხერის ფილიალში. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ სტუდენტთა მიერ აკადემიაში ჩარიცხვის პროცედურები შეფასდა დადებითად. აკადემიამ ასევე წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგები (2023, 2024, 2025 წლები). აღნიშნულ კვლევებში მონაწილეობას იღებდა როგორც თბილისის, ასევე საჩხერის ფილიალებში რეგისტრირებული აპლიკანტები. კვლევებიდან დგინდება, რომ აპლიკანტები აკადემიაში მიმდინარე ჩარიცხვის პროცედურას და ამ პროცესში აკადემიის მხარდაჭერას (ტესტირებისთვის მოსამზადებელი მეცადინეობები, რეგისტრაციის პროცესში გაწეული დახმარება) აფასებენ დადებითად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული დოკუმენტაციის და პროფესიულ სტუდენტთან გასაუბრების შედეგად (როგორც თბილისის, ასევე საჩხერის ფილიალებში) დასტურდება, რომ აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დროს დაცულია შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილი მექანიზმები და პროფესიულ სტუდენტთა უფლებები.

2. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის მექანიზმი რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2022 წლის 13 დეკემბრის ბრძანება N 135/ნ თან. დაწესებულებაში ფიქსირდება როგორც გარე, ისე შიდა მობილობის შემთხვევა. გარე მობილობასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა აპლიკანტის განცხადება მობილობასთან დაკავშირებით, ცნობა № 00000931 (06.02.2023) სადაც გაწერილია აპლიკანტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები და ბრძანება 2/23 (17.02.2023) პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

შიდა მობილობასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული სტუდენტის განცხადება პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამიდან ფარმაცია (სააფთიაქო) საქთნო განათლების პროგრამაზე გადაყვანასთან დაკავშირებით. 21.11. 2025 და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/180 24.11.2025 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (საფთიაქო), საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის შიდა მობილობის შესახებ. რადგან ორივე პროგრამა ერთდროულად იწყებოდა, აღნიშნულ პროფესიულ სტუდენტს არ დასჭირდა ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავება. როგორც შიდა, ასევე გარე მობილობა განხორციელებულია აკადემიაში მოქმედი მარეგულირებელი წესების დაცვით.

4.ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის აღიარების მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N 121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესთან. აღსანიშნავია რომ დაწესებულებაში არ ფიქსირდება ფორმლური განათლების აღიარების შემთხვევა.

5. ოკუპირებულ ტერიტორიაზე და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება;

6.ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტით და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ პროფესიული სტუდენტი ჩართულია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში. (იხ. ინდიკატორის 3.1.1.5 აღწერა)

7. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი**“ რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 18 აგვისტოს ბრძანება №69/ნ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის №48/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული წესის შესაბამისად შემუშავებული პროფესიული სტუდენტის შეფასების დოკუმენტაცია. შესწავლილი დოკუმენტაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ დადგენილი პროცედურები და შეფასების მექანიზმები შესაბამისობაშია აკადემიაში მოქმედ მარეგულირებელ დოკუმენტთან.

8.სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილია ასევე პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმი. დაწესებულებამ წარმოადგინა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/169 11.11.2025 ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტებისათვის პროფესიული სტატუსის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით და ასევე სასწავლო დარგში რექტორის მოადგილის მოხსენებითი ბარათით დგინდება, რომ აღნიშნულ სტუდენტებს სტატუსი შეუწყდათ სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნულის შესახებ შესაბამის პირებს ეცნობა ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/157 20.10.2025 წ. ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ქ. საჩხერის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტებისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ. პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება განხორციელდა პირადი განცხადების საფუძველზე. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტატუსის შეჩერების მიზეზების კვლევის ანალიზი (2025წელი). აღნიშნული კვლევით დგინდება, რომ სტატუსის შეჩერების ძირითადი მიზეზი ეკონომიკური და სოციალური პრობლემებია. **დაწესებულებაში ასევე ფიქსირდება თანამემამულის სტატუსის მქონე პირის მომართვა ჩარიცხვასთან დაკავშირებით.** აკადემიამ წარმოადგინა შპს ბიზნესია და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/151 01.10.2025 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე პირების მიღებისთვის შერჩევის ფორმის, შეფასების თარიღისა, დროის განსაზღვრისთვის და კომისიის შექმნის შესახებ და ამავე კომისიის ჩატარებული მოტივაციური გასაუბრების კომისიის სხდომის ოქმი. (შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2025 წლის 1 ოქტომბრის N 2/151 ბრძანებით შექმნილი კომისიის სხდომის ოქმი N 53 22.10.2025 აღნიშნული პირი ჩაირიცხა მეოთხე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

„პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდამჭერი მექანიზმებში“ დარეგულირებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: პროფესიული სტუდენტის უფლებები, სტუდენტთა/მსმენელთა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით/სერვისებით უზრუნველყოფის მექანიზმები. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ მათთვის ხელმისაწვდომია აკადემია მატერიალურ ტექნიკური რესურსები.

„ეთიკის კოდექსში“ გაწერილია: პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები და მოვალეობები, დისციპლინური პასუხისმგებლობა, პროფესიული სტუდენტის წახალისების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში მოქმედების შეფასების მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შპს ბიზნესისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორი ბრძანება N 2/229 27.112.2023 რითიც დგინდება რომ სასწავლო საწარმოს წევრ პროფესიულ სტუდენტებზე გაიცა ფულადი პრემია.

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ აკადემიის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

ინდიკატორის (3.1.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

ექსპერტები გაეცნენ დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს, მათ შორის არასრულწლოვნ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებასაც. აღნიშნულ ხელშეკრულებებში მკაფიოდა გაწერილი პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები. ხელშეკრულების გაფორმებამდე სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა დეტალურად გაეცნოს ყველა იმ მარეგულირებელ დოკუმენტს რომელიც სწავლის პროცესში გამოადგება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, აკადემია სტუდენტს აწვდის გზამკვლევს, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას როგორც სასწავლო პროცესის, ისე შიდა მარეგულირებელი აქტების შესახებ. გზამკვლევი მოიცავს შესაბამის ბმულებს, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს მარტივად მიიღოს წვდომა ყველა საჭირო დოკუმენტსა და ინფორმაციაზე. სასწავლო წელი აკადემიაში იწყება გაცნობითი შეხვედრებით, რომლებიც ტარდება თითოეულ ჯგუფთან ცალ-ცალკე. აღნიშნული შეხვედრების დროს ადმინისტრაციის წარმომადგენლები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კიდევ ერთხელ აცნობენ სტუდენტებს მათ უფლებებს, საგანმანათლებლო პროგრამას, სწავლების მიდგომებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში, ზემოთაღნიშნული ინფორმაცია ასევე მიეწოდება მისი კანონიერი წარმომადგენელს, რომელიც ხელს აწერს ხელშეკრულებას. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული სტუდენტებთან მარეგულირებელი წესების შესახებ ინფორმირების რეგისტრაციის ჟურნალი, საიდანაც დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდათ: მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა. პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს, ელექტრონული სწავლების წესს, ეთიკის კოდექსს, პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სტრატეგიას, საქმის წარმოების წესს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას , მატერიალურ რესურსების გამოყენების წესს, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს, სახანძრო და შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელ წესებს. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირებით დადასტურდა აღნიშნული ფაქტის მოქმედება პრაქტიკაში. **სტუდენტებმა აღნიშნეს რომ იცნობენ საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს და საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ მათი გამოყენება.**

ინდიკატორის (3.1.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით:**

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები. აღნიშნული რეგულაციის თანახმად პროფესიულ სტუდენტს ეძლევა საშუალება გაასაჩივროს როგორც მიღებული შედეგი, ასევე შეფასების პროცესის მიმდინარეობა. პროფესიული მასწავლებლები, მოდულის დაწყებისას, სტუდენტებს აცნობენ შეფასების ფორმებსა და მეთოდებს, განმარტავენ მინიმალურ მოთხოვნებს შედეგების მისაღწევად, ასევე გადაბარებისა და აპელაციის პირობებს. ელექტრონული მართვის სისტემაში პროფესიულ სტუდენტებს ატვირთული აქვთ სწავლება-შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის მოდული. მიღებული შეფასების გასაჩივრების წესი ასევე გაწერილია შეფასების ინსტრუმენტში. დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ დაწესებულებაში არ ყოფილა მიღებული შეფასების გასაჩივრების ფაქტი. **პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და რომ საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.**

ინდიკატორის (3.1.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებს. ხელშეკრულებებში გაწერილია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება - მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი. სტუდენტისგან თანხმობის მიღება უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, სადაც გაწერილია, რომ სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი თანხმობას აძლევს სასწავლო პროცესში/პროცესებში მისი სრულფასოვანი მონაწილეობისთვის აუცილებელი აუდიო და ვიდეო ჩანაწერების განხორციელებაზე. აღნიშნული მოიცავს როგორც სასწავლო აუდიტორიაში, ისე სახლიდან ჩატარებული აქტივობების ფარგლებში ჩანაწერების გაკეთებას. ხელშეკრულების შესაბამისად, სტუდენტი ასევე თანხმობას აცხადებს, რომ აღნიშნული ჩანაწერები საგანმანათლებლო მიზნებისთვის გადაეგზავნოს/გადაეცეს აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელს ან ადმინისტრაციის წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტით, სოციალური ქსელებით ან ნებისმიერი სხვა ელექტრონული საშუალებით. დამატებით, აკადემია იღებს სტუდენტის თანხმობას, რომ სასწავლო მიზნებისთვის განხორციელებული აუდიო-ვიდეო ჩანაწერები შენახული იყოს სამი წლის ვადით. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ აკადემიის **მიერ პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა და არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში, მათი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ინდიკატორის (3.1.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;**

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მართვის წესში“ გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმები. ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისთვის შექმნილი ჯგუფის შემადგენლობა, რომელიც მოიაზრებს ასევე პროფესიული სტუდენტის/მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობას. აღნიშნული მექანიმზის პრაქტიკაში მოქმედების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა;

1.შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის რექტორის 2025 წლის 13 ოქტომბრის №2/156 ბრძანებით, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის სტატუსშეჩერებულ სტუდენტს აღუდგა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ბრძანებას თან ერთვის სასწავლო დარგში რექტორის მოადგილის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათი, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების შესახებ. აღნიშნული სტუდენტისთვის შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ პროგრამის ხელმძღვანელი და თავად პროფესიული სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაშიც.

2.შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის რექტორის ბრძანება N 1/16 (14.04.2023) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგია“ N14 ჯგუფის პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, აღნიშნული ჯგუფის სხდომის ოქმი N 18 (20.04.2023) ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის სამსახურეობრივი ბარათი (№ 00003814 13/04.2023) რომელიც ასახავს პირის აკადემიურ მოსწრებას, დაკვირვების შედეგების ანკეტა და მოდიფიცირებული მოდული. **აღნიშნული მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ აკადემიაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მუშავდება და ხორციელდება შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.**

ინდიკატორის (3.1.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესის მართვის წესი“ (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით)
- „ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდამჭერი მექანიზმები: (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით)
- პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე
- პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება
- პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი
- ეთიკის კოდექსი“ (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით).
- მარეგულირებელი წესების შესახებ ინფორმირების რეგისტრაციის ჟურნალი 2024 წელი
- მარეგულირებელი წესების შესახებ ინფორმირების რეგისტრაციის ჟურნალი 2025 წელი
- ელექტრონული სისტემა
- ინტერვიუს შედეგი
- ბრძანება 2/23 (17.02.2023) პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება 2/23 17.02.2023 სსიპ კოლეჯ მოდუსში სწავლის გაგრძელების (გარე მობილობის) მიზნით შპს ბიზნესისა ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობის“ სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/146 (30.09.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებისთვის აპლიკანტთა შერჩევის ფორმის, შეფასების თარიღის, დროის განსაზღვრისა და მოტივაციური კომისიის შექმნის შესახებ“.
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/166 04.11.2025 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის 2025 წლის საშემოდგომო მიღებასთან დაკავშირებით საბუთების მიღების ვადების განსაზღვრის, ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების მიმღები და განმხილველი კომისიის შესახებ.
- პროფესიულს საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგები;
- შპს ბიზნესისა და აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/176 04.11.2025 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა რეიტინგული სიების დამტკიცების შესახებ“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/171 04.11. ბ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგოების აკადემიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა რეიტინგული სიების დამტკიცების შესახებ“ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2025 წლის 4 ნოემბრის ბრძანება 2/167 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/177 20.11.2025 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ქ. თბილისის განყოფილებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ.
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/169 11.11.2025 ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტებისათვის პროფესიული სტატუსის შეწყვეტის შესახებ.
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/138 01.09.2025 ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული სტუდენტებისათვის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების, დიპლომების გაცემის და სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.
- .შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის რექტორის ბრძანება N 1/16 (14.04.2023) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგია“ N14 ჯგუფის პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ,
- .შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის რექტორის ბრძანება N 1/16 (14.04.2023) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგია“ N14 ჯგუფის პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმი (№ 00003814 13/04.2023)
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის სამსახურეობრივი ბარათი (№ 00003814 13/04.2023
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტატუსის შეჩერების მიზეზების კვლევის ანალიზი (2025წელი).

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად:

აკადემიას პროფესიული სტუდენტებისათვის კონსულტაციების და აკადემიური მიღწევების მხარდაჭერის მექანიზმები განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესის მართვის წესში (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით). აკადემია პროფესიული სტუდენტების აკადემიური წარმატების ხელშეწყობის მიზნით სისტემატურად ახორციელებს მრავალფეროვან მხარდამჭერ ღონისძიებებს. მათ შორის ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს. ინდივიდუალური კონსულტაციების ფარგლებში პროფესიული სტუდენტები პირადად ეცნობიან თავიანთ შეფასებებს და იღებენ რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის თანამშრომლებისგან. ჯგუფური კონსულტაციების ფარგლებში სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ტარდება ჯგუფური შეხვედრები, სადაც განიხილება სასწავლო პროცესში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ასევე აკადემია საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტებს სთავაზობს დამატებითი კონსულტაციებს, პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ მოითხოვონ დამატებითი კონსულტაციები იმ თემებზე, რომლებიც მათთვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს. ასევე, პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური პროგრესის მართვის მიზნით, აკადემია უზრუნველყოფს შეფასების შედეგების დროულ კომუნიკაციასა და უკუკავშირს. შეფასების შედეგები ელექტრონული ფლატფორმის საშუალებით ინდივიდუალურად მიეწოდება პროფესიულ სტუდენტებს. პროფესიულ სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა დეტალურად განიხილონ მიღებული შეფასებები, მიიღონ განმარტებები და საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ დამატებითი კონსულტაციით. აკადემია მუდმივად აკვირდება პროფესიულ სტუდენტთა მიღწევების პროგრესს და ახორციელებს შეფასების შედეგების სისტემურ მონიტორინგს. აღსანიშნავია რომ საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების გაწევის ვალდებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაწერილია პროგრამის განმახორციელებელი პირის სამუშაო აღწერილობაში. დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხებოდა პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზს (2025 წელი) ორივე ფილიალისთვის. აღნიშნული გამოკითხვის ერთ-ერთი მიზანი იყო დაედგინა, იყენებდა თუ არა მოდულის განმახორციელებელი პირი განმავითარებელ შეფასებას სასწავლო პროცესში. გამოკითხვის შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ საგაკვეთილო პროცესზე მასწავლებელთა მხრიდან განმავითარებელი შეფასების გამოყენება რეგულარულად ხორციელდებოდა. პროფესიულ სტუდენტებთან, აკადემიის პერსონალთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუირებით დადასტურდა აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში მოქმედება. **აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ .პროფესიული სტუდენტი აკადემიისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, ინდიკატორის (3.2.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები“ (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით). აღნიშნული მეთოდოლოგიით დგინდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან როგორც სწავლების საწყის ეტაპზე, ასევე ყველა იმ ეტაპზე, როცა სასწავლო გარემოში ცვლილებები ხდება. პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, აკადემიაში ხორციელდება:

- გაცნობითი შეხვედრები. სწავლის დაწყებისას ახალი პროფესიული სტუდენტებისათვის ტარდება შეხვედრები, სადაც მათ აცნობენ სასწავლო პროცესის თავისებურებებს, უფლებებსა და ვალდებულებებს, აკადემიის სტრუქტურას, ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და შეთავაზებულ სერვისებს;
- ინფორმაციული მხარდაჭერა პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია აკადემიის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ, ასევე სტრატეგიული მიზნებისა და კარიერული შესაძლებლობების თაობაზე;
- კომუნიკაციის პლატფორმები პროფესიულ სტუდენტებისათვის შექმნილია დახურული ჯგუფები, ასევე ხელმისაწვდომია აკადემიის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელები, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო მასალა და მიმდინარე ინფორმაცია;
- პროგრამის სპეციფიკის გაცნობა პროფესიული პროფესიული სტუდენტები იღებენ დეტალურ ინფორმაციას სასწავლო პროგრამის სტრუქტურის, შეფასების სისტემისა და სწავლების მეთოდების შესახებ
- რესურსებისა და სერვისების გაცნობა პროფესიულ სტუდენტებს აცნობენ სასწავლო და ადმინისტრაციულ სერვისებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ადაპტაციის პროცესში ჩართული არიან:

- სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლები, ეხმარება სტუდენტებს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციაში, აწვდის საჭირო კონსულტაციებს და უზრუნველყოფს შესაბამისი სერვისების შეთავაზებას;
- პროგრამის ხელმძღვანელი, აკონტროლებს სასწავლო პროგრამის ეფექტიანად წარმართვას, ეხმარება სტუდენტებს მათთვის საინტერესო საკითხების გადაწყვეტაში და ხელს უწყობს ადაპტაციის პროცესის წარმატებას;
- ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ინფორმირებულობასა და მხარდაჭერას.

აღსანიშნავია, რომ პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციაში ჩართულობა გაწერილია პერსონალის და პროგრამის განმახორციელებელი პირების, მათ შორის პროგრმის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში.

აკადემია მუდმივად ახორციელებს ადაპტაციის პროცესის მონიტორინგს, რათა დროულად გამოვლინდეს პროფესიულ სტუდენტთა დახმარება. ამ მიზნით:

- რეგულარულად ტარდება უკუკავშირის შეხვედრები სტუდენტებთან სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შესაფასებლად;
- საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს ეძლევათ დამატებითი კონსულტაციები და მხარდაჭერა;
- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიური განათლების საჭიროებებს, რათა ყველა სტუდენტსა და მსმენელს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში.

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირებით დადასტურდა აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენება. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ აკადემია სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**

ინდიკატორის (3.2.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გულისხმობს: პროფესიული სტუდენტებისათვის, აპლიკანტებისთვის, რეგისტრანტებისთვის ინფორმაციისა და კონსულტაციების მიწოდებას, ოფიციალური ცნობების, სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების, მათ შორის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ და სხვა საჭირო ცნობების მომზადებასა და გაცემას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია აკადემიის საქმისწარმოების წესში და გაწერილია გაწერილია პერსონალის სამუშაო აღწერილობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტების ადმინისტრაციული მხარდაჭერის პროცესს კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესის სამსახური და საქმისწარმოების მენეჯერი, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სერვისის დროულ და ეფექტურ შესრულებას. აღნიშნულის დასადასტურებლად აკადემიამ წარმოადგინა პროფესიული სტუდენტის განცხადება 01.11.2025 და ამ განცხადების საპასუხოდ გაცემული ცნობა N 00021518 (05.11.2025). დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (2021-2025 წწ). აღნიშნული გამოკითხვის შედეგების მიხედვით დგინდება, რომ პროფესიული სტუდენტები დადებითად აფასებენ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. აღნიშნული მტკიცებულებებით, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან და აკადემიის პერსონალთან ინტერვიუირებით. დგინდება, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ინდიკატორის (3.2.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;**

აღნიშნული დარეგულირებულია „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებში“ (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) აკადემია ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება აკადემიის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს. ინიციატივების განხორციელებისათვის საინიციატივო ჯგუფი/ინიციატორი/ სტუდენტური გაერთიანება/თვითმმართველობა(ასეთის არსებობის შემთხვევაში), ჯგუფხელი ან პროფესიული სტუდენტ(ებ)ი/მსმენელ(ებ)ი მიმართავს აკადემიის რექტორს. ინიციატორს ჩამოყალიბებული უნდა ქონდეს იდეა, გააზრებული ქონდეს შესრულების ვადები, ქონდეს ინფორმაცია შემსრულებლების/ჩართული პირების, საჭირო რესურსების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია განმცხადებელმა არგუმენტირებულად დაასაბუთოს იდეის განხორციელების საჭიროება. აკადემიის რექტორი ან თვითონ იღებს გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად, ან ქმნის განხილვის ჯგუფს, სადაც შესაძლოა შედიოდნენ როგორც აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ისე მოწვეული პირები. რექტორის თანხმობის შემთხვევაში მოხდება იდეის ფინანსური და/ან მატერიალურ -ტექნიკური მხარდაჭერა. დაფინანსებული ღონისძიების განხორციელების შესახებ ინფორმაცია განთავსდება საჯაროობის უზრუნველსაყოფად ოფიციალურ ვებ-გვერდზე/ოფიციალურ გვერდზე სოციალურ ქსელში. აკადემია განახორციელებს წლიურად არაუმეტეს სამი ინიციატივის მხარდაჭერას, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში. აღნიშნული დასტურდება აკადემიის 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმით სადაც საინიციატივო ჯგუფების მიერ დაფიქსირებული ინიციატივის/პროექტის დაფინანსების მიზნით გამოყოფილია შესაბამისი ბიუჯეტი. აკადემიას აღნიშნულ რეგულაციაში განსაზღვრულია აქვს ინიციატივების პრიორიტეტული მიმართულებები, ესენია: საგანმანათლებლო აქტივობები; კულტურულ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემოქმედებითი ღონისძიებები; სპორტული ღონისძიებები; შემეცნებითი ღონისძიებები; საქველმოქმედო ღონისძიებები; არაფორმალური განათლება. ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტების მხრიდან არ ყოფილა მიმართვიანობა ინიციატივის დაფინანსებასთან დაკავშირებით. თუმცა, აკადემიის მხრიდან გაწერილი ბიუჯეტი (ინიციატივების მუხლი) იხარჯება პროფესიულ სტუდენტთა მიერ სხვადასხვა გამოკითხვებში დაფიქსირებული სურვილების მხარდასაჭერად.

აკადემიაში ჩატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: შეხვედრებს წარმატებულ პროფესიონალებთან, საგანმანათლებლო სემინარები/ ტრენინგები, კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებები, კონკურსები , სპორტული შეჯიბრებები , სტაჟირებები. აღნიშნული ტრენინგების/სემინარების ჩატარება დასტურდება აკადემიის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე და ვებ გვერდზე განთავსებული მასალით, პროფესიულ სტუდენტებთან და აკადემიის პერსონალთან ინტერვიუირებით.

ინდიკატორის (3.2.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას,

კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რეგულარულად ატარებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევას. უკუკავშირი მიიღება სხვადასხვა ფორმით, ესენია: ანონიმური კითხვარები; ფოკუს ჯგუფური შეხვედრები, ინდივიდუალური ინტერვიუები. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი აანალიზებს მიღებულ მონაცემებს და შესაბამისად ამზადებს ანგარიშს. ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი იყო პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტი (2021-2025 წლები). პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე მიღებული შედეგები რეგულარულად განიხილება აკადემიის მმართველ გუნდთან. განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობა მოწმდება შემდგომი კვლევებით, რაც უზრუნველყოფს მუდმივ პროგრესს და ხარისხის ამაღლებას. აკადემია განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობასა და უკუკავშირს, როგორც სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული მომსახურების გაუმჯობესების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს

ინდიკატორის (3.2.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მართვის წესში (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები“ (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით)
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის 2025-2026 წწ სამოქმედო გეგმა (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2025 წლის 03 აპრილის N2/24 ბრძანებით)
- https://bta.edu.ge/ge
- პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (2021-2025 წლები)
- დაწესებულების facebook გვერდი;
- WWW.BTA.EDU.GE
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი 13.04.2022

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

აკადემიას „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმებში“ (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) გაწერილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მომსახურების მექანიზმები. სასწავლო პროცესის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, აკადემია ეხმარება კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს რეზიუმეს შექმნაში, სამოტივაციო წერილის დაწერაში, და უზრუნველყოფს შესაბამის საკონსულტაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომსახურებას. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტებისათვის ჩატარებული ტრეინინგის "როგორ გავაკეთოთ რეზიუმე და როგორ წარვსდგეთ გასაუბრებაზე ეფექტურად" ჩატარებული ტრენინგის ამსახველი დოკუმენტაცია. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული განვითარების მიზნით შექმნილია გვერდი, რომელიც ემსახურება აკადემიის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას.
აკადემია საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებას კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული განვითარებისთვის. კარიერული მხარდაჭერის გასაძლიერებლად აკადემია ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- საინფორმაციო შეხვედრები სკოლებში აკადემიის წარმომადგენლები აბიტურიენტებს აცნობენ საგანმანათლებლო პროგრამებს, დამატებით სერვისებსა და დასაქმების შესაძლებლობებს;
- ღია კარის დღეები დაინტერესებულ პირებს ეძლევათ საშუალება დაესწრონ პრეზენტაციებს, გაეცნონ სასწავლო გარემოს და მიიღონ დეტალური ინფორმაცია პროფესიის არჩევის შესახებ;
- დასაქმების ფორუმების ორგანიზება/მონაწილეობა;
- დამსაქმებლებთან თანამშრომლობა.

აკადემია სისტემატურად ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგს, რაც მოიცავს კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებულებთან უკუკავშირის დამყარებას; დასაქმების სტატუსისა და კარიერული წინსვლის შესახებ გამოკითხვების ჩატარებას; მიღებული მონაცემების საფუძველზე კარიერული მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესებას. დაწესებულებამ წარმოადგინა 2021-2025 წლების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშები და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი (15.04.2022) საიდანაც დგინდება, რომ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი დასაქმებულია პროფესიით. პროფესიული სტუდენტებისათვის და კურსდამთავრებულებისათვის დასაქმებაში ხელშეწყობის მიზნით დაწესებულება მართავს დასაქმების ფორუმებს. როგორც თბილისში ასევე საჩხერეში. დასაქმების ფორუმები იმართება პერმანენტულად. აღნიშნულით დასტურდება აკადემიის ფეისბიქ გვერდზე განთავსებული სიახლეებით. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ აკადემია მუდმივად უწყობს ხელს პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს წარმატებით ინტეგრირდნენ შრომის ბაზარზე და განუწყვეტლივ განავითაროს კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები.

ინდიკატორის (3.2.2.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიას „ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმებში“ (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) დარეგულირებული აქვს პროფესიულ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მექანიზმები. ინფორმაციის მიწოდების აკადემია ახორციელებს სოციალური ქსელების საშუალებით. დაწესებულებას ასევე შექმნილი აქვს BTA სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერის დაგეგმვის და განვითარების გვერდი, სადაც პერმანენტულად თავსდება ვაკანსიები. აღსანიშნავია, რომ აკადემია აქტიურად ეძებს ახალ პარტნიორებს და აფართოებს პოტენციურ დამსაქმებელთა წრეს. აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის ისეთი ტრენინგების ჩატარებას, რომელიც მოიცავს რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შექმნის ტექნიკებს; გასაუბრების ეფექტურად წარმართვის უნარებს და სხვა პრაქტიკულ საკითხებს. აკადემიაში შექმნილია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზები. აღნიშნულის დასადასტურებლად აკადემიამ წარმოადგინა სსიპ დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს შეხვედრა აკადემიის პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში დასაქმების სააგენტოს წარმომდგენლები სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მიეწოდათ ინფორმაცია არსებული ვაკანსიების შესახებ.

ინდიკატორის (3.2.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით; დაწესებულებას შემუშავებული აქვს“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით), სადაც გაწერილია კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, კვლევების ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებლები არიან: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. შედეგების ანალიზის საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები, რომლებიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაციის ან სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საჭიროებას. დაწესებულებამ წარმოადგინა კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები (2021-2025 წლები თბილისის და საჩხერის ფილიალებისთვის). აკადემია ასევე ჩართულია ა(ა)იპ პროფესიული უნარების მიერ ორგანიზებულ კურსდამთავრებულთა კვლევაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ აკადემია პერმანენტულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით**

ინდიკატორის (3.2.2.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემია პერიოდულად ახორციელებს კარიერული მომსახურების კვლევას, რომლის მიზანია კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირის საფუძველზე სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და საგანმანათლებლო პროცესის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. კვლევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამსაქმებლების მიერ მოთხოვნილ დამატებით უნარებსა და კომპეტენციებს. მიღებული მონაცემების ანალიზის შემდეგ, აკადემია ახორციელებს საჭირო ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამებში, რათა უკეთ დააკმაყოფილოს ბაზრის მოთხოვნები და გააძლიეროს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა. კვლევები ტარდება წინასწარ შემუშავებული, მეთოდოლოგიურად გამართული კითხვარების საშუალებით;. 2023, 2024 და 2025 ჩატარებულმა კვლევებმა, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აკადემია ეფექტურად ახორციელებს კარიერული მხარდაჭერის სერვისებს და ზრუნავს სტუდენტების წარმატებულ ინტეგრაციაზე შრომის ბაზარზე. დაწესებულებამ წარმოადგინა პარტნიორი ორგანიზაციის (დამსაქმებელთა) კვლევის ანგარიში 2025 წელი. აღნიშნული ანგარიშიდან დგინდება, რომ გამოკითხულ დამსაქმებელთა შეფასებით, აკადემიის კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანები არიან შრომის ბაზარზე და კარგად ერგებიან ორგანიზაციის სამუშაო კულტურას. დასაქმების მაჩვენებელი დამსაქმებელთა მონაცემებით არის სტაბილურად მაღალი, განსაკუთრებით ფარმაციის მიმართულებით. დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ კურსდამთავრებულთა უმთავრესი უპირატესობაა პრაქტიკული გამოცდილებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ აკადემია .კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

ინდიკატორის (3.2.2.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმებში“ (დამტ.შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით)
- დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ბაზები;
- Facebook გვერდი;
- “ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით),სსიპ დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს შეხვედრა აკადემიის პროფესიულ სტუდენტებთან. 06.06.2023
- სსიპ დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს შეხვედრა აკადემიის პროფესიულ სტუდენტებთან. 06.06.2023
- პარტნიორი ორგანიზაციის (დამსაქმებელთა) კვლევის ანგარიში 2025 წელი.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორისს მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

პსდ-ს მიერ, საგანმანათლებლო მიზნებისა და ფუნქციების შესრულებისა და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია მმართველობითი რგოლით, სტრუქტურული ერთეულებით/სამსახურებით და მათი შესაბამისი პოზიციებით. განსაზღვრულია მათი იერარქია და ფუნქციური კავშირი, მ.შ. რეგიონული სტრუქტურებისთვის და პოზიციებისთვის. სტრუქტურაზე განსაზღვრული ერთეულები/პოზიციები უზრუნველყოფს დაწესებულების დებულებით და სტრატეგიული დოკუმენტებით დასახული მიზნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღწევას. პსდ-ს სტრუქტურა, ერთეულების, სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის ფუნქციები/მოვალეობები აღწერილია დებულებასა და პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტებში. დოკუმენტით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდება სხვადასხვა პოზიციის/იერარქიის პირებზე და უზრუნველყოფს პსდ-ს მიერ დასახულ მისიის, ხედვისა და სტრატეგიული ამოცანების/მიზნების შესრულებას. პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ იცნობენ დოკუმენტით განსაზღვრულ და დაკისრებულ მოვალეობებს. **წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.**
ინდიკატორის (4.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2025 წლის 19 მაისის №1/28 ბრძანებით ცვლილებებით დამტკიცდა დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა, საშტატო განრიგი, პოზიციები , საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე თანამდებობრივი ინსტრუქციები (დებულებები) და პერსონალის სამუშაო აღწერილობები. ცვლილებები ძირითადად შეეხო პოზიციების დასახელებებსა და რაოდენობებს. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მანამდე არსებული პოზიცია ხარისხის სამსახურის მენეჯერი შეიცვალა და ჩამოყალიბდა - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. ასევე, პოზიცია **ბუღალტერი** შეიცვალა და ჩამოყალიბდა როგორც **ფინანსური მენეჯერი** ასევე, რეესტრის წარმოების სპეციალისტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა როგორც რეესტრის წარმოების მენეჯერი. აღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციას, ფუნქციური გამჭვირვალობის უზრუნველყოფას და მენეჯმენტის ეფექტიანობის გაუმჯობესებას. დასაქმებულ პირებთან გაფორმდა შეთანხმებები პოზიციის დასახელების ცვლილებასთან დაკავშირებით.
სტრუქტურა და საშტატო განრიგი ქალაქ თბილისის განყოფილებებში მოიცავს შემდეგ პოზიციებს: რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, სოციალური მედიის სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის სპეციალისტი, მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი, კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი, საქმისწარმოების მენეჯერი, რეესტრის წარმოების მენეჯერი, სამართლებრივი უზრუნველყოფის მენეჯერი, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, სასერთიფიკატო პროგრამების კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, ფინანსური მენეჯერი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაცვის სპეციალისტი და დასუფთავების სპეციალისტი. დაწესებულებას გაწერილი აქვს თითოეული საშტატო პოზიციის სამუშაო აღწერილობა და ფუნქცია- მოვალეობები ფილიალების მიხედვით.

ძირითად ადმინისტრაციულ პერსონალთან როგორიცაა: რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სოციალური მედიის სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, საქმისწარმოების მენეჯერი, სამართლებრივი უზრუნველყოფის მენეჯერი, რეესტრის წარმოების მენეჯერი, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი, კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი მათი ფუნქცია-მოვალეობების და უფლებამოსილების ვრცელდება აკადემიის სხვა განყოფილებებში.

გარდა ამისა მნიშვნელოვანია ის ფაქტი რომ აკადემიას თბილისის თითოეულ ფილიალში დასაქმებული ყავს კომპეტენტური პერსონალი პოზიციებზე, როგორიცაა სასწავლო პროცესის მენეჯერი(1 საშტატო ერთეული) , სასწავლო პროცესის სპეციალისტი(1 საშტატო ერთეული), მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი(1 საშტატო ერთეული), პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი, ბიბლიოთეკარი/წიგნების გაცემა/მიღებაზე პასუხისმგებელი პირი, დაცვის სპეციალისტი(1 საშტატო ერთეული) და დასუფთავების სპეციალისტი(1 საშტატო ერთეული) .

სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებს გარდა პოზიციით გათვალისწინებული ფუნქციებისა დამატებითი ბრძანებით დავალებული აქვთ აღნიშნულ მისამართზე შემოსული კორესპონდენციის მიღება და დანიშნულებისამებრ დაუყოვნებლივ გადაცემა–გაგზავნა(ელექტრონულად) აკადემიის ოფიციალურ მეილზე/მისამართზე ასევე საქმისწარმოების მენეჯერის მიერ მიწოდებული საქმისწარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტების შესაბამისი პირისათვის/ორგანიზაციისათვის გადაცემა.

რაც შეეხება საჩხერის განყოფილებას, გარდა იმისა რომ იმართება ცენტრალიზებულად, დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად გამოყოფილია შემდეგი პოზიციები: რექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის სპეციალისტი, კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი, დასუფთავების სპეციალისტი, დაცვის სპეციალისტი, ასევე მომსახურების ხელშეკრულებით აყვანილია ელექტრიკოსი.

ინდიკატორისს (4.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს როგორც ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს და მათი მართვა ეფუძნება სისტემურ, უწყვეტ შეფასებას. თითოეული პროცესი გადის დეტალურ ანალიზს, იდენტიფიცირდება გამოწვევები და ხდება შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. იწყება მონაცემების შეგროვებით, გრძელდება შეფასებით და სრულდება იმგვარი ნაბიჯების დაგეგმვით, რომლებიც პროცესების კიდევ უფრო სრულყოფას უწყობს ხელს. ამ მიდგომაში მნიშვნელოვან ღირებულებებს წარმოადგენს გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა - პრინციპები, რომლებსაც აკადემია ხარისხის უზრუნველყოფის საფუძვლად იყენებს. სისტემა ფუნქციონირებს PDCA ციკლის შესაბამისად, რაც რეალურად უზრუნველყოფს პროცესების ციკლურ განვითარებას და ეფექტიანობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა მკაფიოდ ასახავს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპს. სამსახურის უფროსი პირდაპირ ექვემდებარება რექტორს, რაც მის საქმიანობას გამიჯნავს ნებისმიერი შესაძლო ზეგავლენისგან.

სამსახურის წარმომადგენლები ჩართული არიან თვითშეფასების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მომზადებაში, თუმცა მონიტორინგისა და რეკომენდაციების გაჟღერებისას ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობას. მონიტორინგი ხორციელდება როგორც ავტორიზაციის სტანდარტების, ისე აკადემიის შიდა რეგულაციების შესაბამისად, რაც ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას უზრუნველყოფს. მიღებული მონაცემები შეისწავლება ობიექტური კრიტერიუმებით, რის შედეგადაც მიღებული გადაწყვეტილებები სანდო და მიუკერძოებელია. ხარისხის სამსახური მუშაობს წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით და უზრუნველყოფს ყველა დაგეგმილი აქტივობის შესრულებასა და ანგარიშგებას.

ვიზიტისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა წარმოადგინა 2020 წლიდან დღემდე ჩატარებული კვლევების ანგარიშები. ეს კვლევები მოიცავს როგორც სტუდენტთა, პერსონალისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგებს, ისე სასწავლო პროცესზე დასწრებისა და პარტნიორი ორგანიზაციების შეფასების ანალიზს. ინფორმაციის ეს რაოდენობა ქმნის მყარ საფუძველს სისტემური გაუმჯობესებისთვის.

გასაუბრებისას დასტურდებოდა, რომ აკადემიის პროცესების მართვაში ხარისხის მართვის მენეჯერისა და სხვა პასუხისმგებელი პირების ფუნქციები მკაფიოდ არის გამიჯნული. ეს გამიჯვნა უზრუნველყოფს, რომ არც ერთი პროცესი არ ხვდება იმ სტრუქტურული თემების ზედამხედველობის ქვეშ, რომლებთანაც მათ შეიძლება ჰქონდეთ პირდაპირი პროფესიული კავშირი. შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის რისკი გამორიცხულია, ხოლო შეფასების პროცესები -ობიექტური და სანდო.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორისს შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ინდიკატორის (4.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და სპეციალისტის სამუშაო აღწერილობები/ თანამდებობრივი ინსტრუქცია(დებულება);
- ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმა 2025-2026 წ.;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონირების დამადასტურებელი ანგარიშები;
- ჩატარებული კვლევების ანგარიშები;
- პსდ-ს პერსონალის პირადი საქმეები;
- პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ** შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორისს მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

აკადემიაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე, მათ შორის „პერსონალის მართვის პოლიტიკისა“ და „შინაგანაწესის“ შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტები ქმნის პერსონალის მართვის ერთიან, გამჭვირვალე და რეგულირებულ სისტემას, რომელიც ორიენტირებულია როგორც ინსტიტუციური ეფექტიანობის, ისე თანამშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის რექტორის მიერ დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“ დეტალურად განსაზღვრავს პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურებს, ახალი თანამშრომლების ადაპტაციისა და ინტეგრაციის მექანიზმებს, შესრულებული სამუშაოს მონიტორინგისა და შეფასების წესებს, პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და წახალისების პოლიტიკას, თანამშრომლების კმაყოფილების კვლევის პროცესს, დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, აგრეთვე დასაქმების შეწყვეტისა და განთავისუფლების პროცედურებს.

„შინაგანაწესი“, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის რექტორის ბრძანებით, არეგულირებს სამუშაოსა და შესვენების დროს, შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესებს, გაცდენილი სამუშაო დროის აღრიცხვისა და შეფასების წესებს, დამსაქმებლისა და დასაქმებულთა უფლებებსა და მოვალეობებს, შრომის ანაზღაურებისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობებს, შვებულების ოდენობასა და გამოყენების წესებს, ასევე მივლინებების დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმებს. შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა უფლებებისა და მოვალეობების მკაფიო განსაზღვრას და შრომითი ურთიერთობების სამართლებრივ სიზუსტეს.

დანერგილი პრაქტიკის გადამოწმების მიზნით, ექსპერტებმა შეისწავლეს და გადაამოწმეს თანამშრომელთა მიღების, შრომითი ურთიერთობის დაწყების, ადაპტაციისა და ინტეგრაციის, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისა და განთავისუფლების, შვებულებების მინიჭებისა და გამოყენების, მივლინებების დაგეგმვისა და განხორციელების, აგრეთვე პერსონალის მართვასთან დაკავშირებული სხვა პროცესების ადმინისტრირება. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პროცესები სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიაში დამტკიცებული შიდა რეგულაციების მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესების თანმიმდევრულობას, გამჭვირვალობასა და სამართლებრივ სიზუსტეს.

პერსონალის მართვის პროცესების მონიტორინგი და შეფასება აკადემიაში ხორციელდება რეგულარულად, რაც ხელს უწყობს სამუშაო პროცესების უწყვეტ გაუმჯობესებას, თანამშრომელთა ეფექტიანობის ზრდას და აკადემიის სტრატეგიული მიზნების წარმატებულ მიღწევას. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ აკადემიაში დანერგილია თანამედროვე, სისტემური და ეფექტიანი პერსონალის მართვის მიდგომები, რომლებიც სრულად შეესაბამება ხარისხის უზრუნველყოფისა და კარგი მმართველობის საერთაშორისო პრინციპებს.

ინდიკატორის (4.1.2.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიაში პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პოლიტიკა ეფუძნება სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. აღნიშნული პოლიტიკა დეტალურად რეგლამენტირებულია აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში – „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, რომელიც განსაზღვრავს კადრების მოზიდვისა და შერჩევის ერთიან მიდგომებს, ვაკანტური პოზიციების შევსების წესებს (ღია და დახურული კონკურსის გზით), შრომითი ურთიერთობის დაწყებას, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებასა და შრომითი პირობების დარეგულირებას, ასევე პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების მექანიზმებს.

პერსონალის შერჩევის პროცესი ხორციელდება გამჭვირვალედ და ეფუძნება სამუშაოზე აყვანის მკაფიოდ განსაზღვრულ სტანდარტებს. ვაკანტური პოზიციების შევსება ხდება როგორც კონკურსის გზით, ისე კონკურსის გარეშე, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე კადრების შერჩევას. შერჩევის პროცესში მკაცრად განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა, კანდიდატების ობიექტური შეფასება, ხოლო დანიშვნა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა რეგულაციების სრული დაცვით.

აკადემია პერსონალთან აფორმებს შრომით ან/და მომსახურების ხელშეკრულებებს, რომლებიც ასახავს საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ პირობას. ხელშეკრულებები მოიცავს სამუშაოს დაწყების თარიღს, შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობას, სამუშაოსა და დასვენების რეჟიმს, სამუშაო ადგილსა და თანამდებობას, შრომის ანაზღაურებასა და მისი გადახდის წესს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პირობებს, აგრეთვე ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შვებულების წესებს. დამატებით, ხელშეკრულებებში რეგლამენტირებულია პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანამშრომელთა თანხმობა, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ აკადემიაში დანერგილია სამართლებრივად გამართული, სისტემური და გამჭვირვალე პერსონალის შერჩევისა და დასაქმების მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზიდვას, პერსონალის ეფექტიან მართვას და ინსტიტუციური განვითარების მიზნების მიღწევას.

ინდიკატორის (4.1.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ექსპერტები გაეცნენ აკადემიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და დაადგინეს, რომ თითოეული თანამშრომლის კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობასთან. ეს ეფუძნება პერსონალის შერჩევის პროცესში განსაზღვრულ მკაფიო კრიტერიუმებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს როგორც შერჩევის პროცესის ობიექტურობას, ისე აკადემიური და ადმინისტრაციული საქმიანობის მაღალი ხარისხის განხორციელებას.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული პოზიციისთვის დეტალურად არის განსაზღვრული რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში - „საშტატო განრიგი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“. დოკუმენტში გაწერილია განათლების დონე, პროფესიული გამოცდილება და აუცილებელი უნარ-ჩვევების მინიმალური სტანდარტები. თანამდებობის შერჩევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კანდიდატთა პროფესიულ კომპეტენციას, რელევანტურ სამუშაო გამოცდილებას და ფუნქციურ უნარებს, რომლებიც საჭიროა კონკრეტული მოვალეობების ეფექტიანად შესრულებისთვის.

ახალი თანამშრომლების შერჩევისას აკადემია უზრუნველყოფს დოკუმენტური სიზუსტის გადამოწმებას, მათ შორის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სამუშაო გამოცდილების შესაბამისობის შემოწმებას. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ყველა თანამშრომლის პირადი საქმე და თანდართული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ აკადემიაში დანერგილია სამართლიანი, სისტემური და ხარისხზე ორიენტირებული პერსონალის შერჩევისა და კვალიფიკაციის მართვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების დასაქმებას და ინსტიტუციური საქმიანობის სტაბილურ განვითარებას.

ინდიკატორის (4.1.2.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ექსპერტების შეფასებით, აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფექტიანად ორიენტირებულია თანამშრომელთა შორის ურთიერთობებისა და გუნდური მუშაობის მხარდაჭერაზე, რაც ქმნის ორგანიზაციული კულტურის გაძლიერებისა და ინსტიტუციური განვითარების საფუძველს. დაინტერესებულ მხარეებს ჩართულობის მაღალი დონე აქვთ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესებში.

დადგინდა, რომ აკადემიაში ჩამოყალიბებულია მონაწილეობითი მართვის პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა აქტიურ ჩართულობას შეხვედრებში, მოსაზრებათა გაცვლასა და კოლეგიურ მსჯელობაში, ასევე გუნდურ თანამშრომლობაში ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, პროგრამების შემუშავებისა და ცვლილებების განხორციელების, სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების პროცესებში.

გუნდური თანამშრომლობის პრაქტიკა ეფექტურად გამოიყენება არა მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობაში, არამედ სხვადასხვა განვითარების ღონისძიების ორგანიზებაშიც, რაც აძლიერებს პროფესიულ კომუნიკაციას, საერთო პასუხისმგებლობის განცდას და უწყობს ხელს აკადემიის სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების შეფასებით, აკადემიაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობაზე, ჩართულობასა და უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციული კულტურა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე პერსონალის მართვის მიდგომებსა და ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებთან.

ინდიკატორის (4.1.2.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საშტატო განრიგი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები,
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები/ მომსახურეობის ხელშეკრულებები;
- პერსონალის მართვის წესი;
- ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები/ cv/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატები/ცნობები;
- შინაგანაწესი;
- პერსონალთან და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან/პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;**

ექსპერტების შეფასებით, აკადემიაში პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სტრუქტურირებული და მკაფიო, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობას, პროგნოზირებადობასა და ობიექტურობას. შეფასება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და კითხვარებს, რომლებიც თანამშრომელთათვის ხელმისაწვდომია.

შეფასების პროცესში მონაწილეობენ უშუალო ხელმძღვანელები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტები ან პროგრამების განმახორციელებელი პირები, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სიზუსტეს, მრავალგანზომილებიან ანალიზსა და მიუკერძოებლობას. პროცედურა მოიცავს როგორც მიმდინარე მონიტორინგს, ისე პერიოდულ ფორმალურ შეფასებებს, რაც ქმნის მყარ საფუძველს თანამშრომელთა საქმიანობის ეფექტიან კონტროლსა და ობიექტურ ანალიზს.

შეფასების პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები: პერსონალის თვითშეფასება, მენეჯმენტის დაკვირვება, პროფესიული საჭიროებების გამოკითხვა და შესრულებული სამუშაოს დეტალური ანალიზი. შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც ძლიერი მხარეების გაძლიერებისთვის, ასევე განვითარების საჭირო მიმართულებების იდენტიფიცირებისა და პერსონალის პროფესიული ზრდის დაგეგმვისთვის.

ექსპერტების დასკვნით, აკადემიაში დანერგილია ეფექტიანი, ხარისხზე ორიენტირებული და თანამედროვე მართვის პრინციპებთან შესაბამისი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის შესაბამის კვალიფიკაციას, პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნებას, საკადრო რისკების შემცირებას და ორგანიზაციის საგანმანათლებლო ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორის (4.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს პერსონალის განვითარების გეგმასთან შესაბამის ფინანსურ რესურსებს, რაც მიუთითებს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ინსტიტუციურ პრიორიტეტად აღიარებაზე. ბიუჯეტში განსაზღვრული ასიგნებები უზრუნველყოფს განვითარების ღონისძიებების სისტემურ და მდგრად განხორციელებას.

პერსონალის განვითარების ფარგლებში აკადემია რეგულარულად ორგანიზებას უწევს ტრენინგებს, სემინარებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და ახალი პროფესიული უნარების განვითარებაზე. აღნიშნული აქტივობები შეესაბამება როგორც ინდივიდუალური პროფესიული საჭიროებების შეფასების შედეგებს, ისე აკადემიის სტრატეგიულ მიზნებს.

გარდა შიდა ღონისძიებებისა, აკადემია უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჩართულობას სხვადასხვა საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების აქტივობებში, რომლებიც ორგანიზებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლების სამინისტროსა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მიერ. აღნიშნული შესაძლებლობები ხელს უწყობს პერსონალის პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებას, თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებისა და სტანდარტების დანერგვას და აკადემიის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ აკადემიამ ბოლო 6 წლის განმავლობაში პერსონალისთვის ჩაატარა 75-ზე მეტი ტრენინგი, რაც ადასტურებს ორგანიზაციის სისტემურ მიდგომას პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნული აქტივობები მოიცავს როგორც შიდა ტრენინგებსა და სემინარებს, ისე თანამშრომელთა ჩართულობას საგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებში, რომლებიც ორგანიზებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, განათლების სამინისტროსა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ.

- საჩხერის განყოფილება: პირველადი დახმარებისა და დეფიბრილატორის სწორად გამოყენება - 04.12.2025წ
- პროფესიული მასწავლებლების "ვორქშოპი" თემაზე - "ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებისათვის" – 13.11.2025 წ
- Erasmus+ ვებინარები პროფესიული სასწავლებლების პარტნიორობის შესახებ - 29.01.2025წ - 30.01.2025წ
- ტრენინგი თემაზე: ზრდასრულთა სწავლების ინოვაციური მიდგომები ლიდერი მასწავლებლებისთვის - 08.10.2025 -10.10.2025წ
- ტრენინგები ,,მასწავლებლის როლი საგანმანათლებლო პროცესში“ და ,,პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდები“ – 27.06.2025 – 04.07.2025წ
- მონაწილეობა ევროპის პროფესიული ტრენინგების ასოციაციის ტრენინგში ,,კრეატიულობა პროფესიულ განათლებაში“ – 03.06.2025წ
- ტრენინგი თემაზე: ,,პერსონალის მართვა - პსდ-ის ავტორიზაციისა და ისო 9001:2015 სტანდარტების მოთხოვნები“ – 01.03.2025წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ტრენინგი თემაზე: სწავლების და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია - 07.11.2025წ
- ტრენინგი თემაზე: პროფესიულ სტუდენტთა შეფასება - 04.07.2025წ
- ზრდასრულთა სწავლების ინოვაციული მეთოდები ლიდერი მასწავლებლებისათვის - 08.10.2025წ
- სწავლისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში– 08.11.2025წ
- მონაწილეობა პრაღის საერთაშორისო - სამეცნიერო კვლევითი კონგრესში - 04.05.2025 – 06.05.2025წ
- ვოქრშოპი თემაზე: სტრატეგიული დაგეგმარება და ანგარიშგება -22.03.2025წ
- მონაწილეობა კულტურის, ტურიზმის და ცივილიზაციის მე-15 საერთაშორისო კონგრესი - 18.10.2024 -20.10.2024წ
- AHT ვორკშოპი - ადამიანური კაპიტალის განვითარება, დამსაქმებლის როლი და რეგულაციები საქთნო პროფესიაში - 25.09.2024
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი -„სწავლების თანამედროვე მეთოდები“ 12.09.2024წ
- კონფერენცია ,,ქალის როლი ეკონომიკის განვითარებასა და პოლიტიკის შემუშავებაში“ – 03.04.2024წ
- ,,ახალგაზრდები სამოქალაქო განათლებისათვის“ ვორქშოპი თემა: ბულინგი და არასრულწლოვანთა უფლებები - 19.04.2024
- სწავლებისა და შეფასების პრაქტიკული უნარები - 13.04.2024
- ტრენინგი თემაზე: სწავლა-სწავლება პროფესიულ განათლებაში - 07.06.2024
- ტრენინგი თემაზე: კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში - 08.06.2024
- ტრენინგი თემაზე: სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება - 28.04.2023
- HR ფორუმი - ადამიანური რესურსების მნიშვნელობა და შრომითი უფლებების დაცვის სტანდარტი - 09.12.2023
- ტრენინგი თემაზე: სწავლებისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში - 23.06.2023
- კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში - 2023
- ტრენინგი თემაზე: სწავლებისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში - 20.06.2023
- სწავლებისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში - 23.06.2023
- ტრენინგი თემაზე: სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტანდარტების შეფასება - 28,29,30 აპრილი 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ტრენინგი თემაზე: სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასება – 28.04.2023
- ტრენინგი: სწავლების აქტიური მეთოდები პროფესიულ განათლებაში - 24.02.2023
- ტრენინგი: კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში - 25.02.2023
- ტრენინგი: სწავლების აქტიური მეთოდები პროფესიულ განათლებაში - 24.02.2023
- ფსიქოლოგ-კონსულტანტის ვებინარი პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან - 26 თებერვალი 2023
- ტრენინგი: სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება - 29.04.2023
- საჩხერის განყოფილებაში სამუშაო ვორქშოპი თემაზე: სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები, შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულებებისადმი მოთხოვნები, აღრიცხვა, მასალა-ნედლეულის შესყიდვა-გახარჯვა აღრიცხვის მონიტორინგი. ტრენინგი თემაზე: შეფასების მეთოდები. – 11.05.2022
- შეხვედრა თემაზე: სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა - 15.09.2022
- ტრენინგი: სწავლების აქტიური მეთოდები - 30.11.2022
- ტრენინგი თემაზე: სწავლებისა და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში - 18.01.2022
- ტრენინგი: ზრდასრულთა განათლების/სწავლების ძირითადი პრინციპები და მახასიათებლები - 5-6 სექტემბერი 2022
- ტრენინგი თემაზე: სასწავლო პროცესის განხორციელების თავისებურებები, სწავლება და შეფასების მონიტორინგი, მასალა-ნედლეულის გახარჯვის მონიტორინგი - 15.07.2022
- ტრენინგი: საგანგებო სიტუაციების მართვა (ფასილიტატორი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) - 10.06.2022
- ტრენინგი თემაზე: პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები - მაისი 2022
- ვორქშოპი/ტრენინგი თემაზე: სწავლების მეთოდები პროფესიულ განათლებაში. ეფექტური კომუნიკაცია და სწავლების თანამედროვე მეთოდები - 07.02.2020
- ვორქშოპი: შიდა ვერიფიკაციის ჩატარების საკითხები - 25.07.2020წ
- ვორქშოპი/ტრენინგი თემაზე - სწავლების და შეფასების მეთოდები პროფესიულ განათლებაში, აკადემიის SWOT - ანალიზზე მუშაობა და სასწავლო პროცესის დროს გამოვლენილი პრობლემები - მათი გადაჭრის გზები - 21.01.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე შექმნილი შუალედური ანგარიში - 03.07.2020
- ვორქშოპი/ტრენინგი თემაზე თანამედროვე სწავლების და შეფასების მეთოდების გამოყენება 12.04.2019
- ვორქშოპი/ტრენინგი თემაზე თანამედროვე სწავლების და შეფასების მეთოდების გამოყენება - 28.10.2019

მონაცემები ადასტურებს, რომ აკადემია რეგულარულად მიმართავს პერსონალის კომპეტენციების გაძლიერების პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური, მოტივირებული და თანამედროვე განათლების სტანდარტებს მორგებული თანამშრომლების ფორმირებას. აღნიშნული პრაქტიკა მნიშვნელოვნად განაპირობებს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შენარჩუნებას და პროფესიული სტუდენტების შედეგების გაუმჯობესებას.

ინდიკატორის (4.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;**

ექსპერტების შეფასებით, აკადემია ეფექტურად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას, სრულად შესაბამისობაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. დამკვიდრებულია სისტემური მიდგომა, რომელიც ეყრდნობა უწყვეტი პროფესიული განვითარების პრინციპს და მიმართულია მასწავლებლების კომპეტენციების სრულყოფასა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე.

პროფესიული განვითარების სისტემური მიდგომა მოიცავს:

- ყოველწლიურად ორგანიზებულ ტრენინგებს, სემინარებსა და პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც უწყობენ ხელს თანამედროვე სწავლების მეთოდების, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და საგანმანათლებლო მიდგომების ათვისებას;
- მასწავლებლების ჩართულობას სამინისტროს, პროფესიული უნარების სააგენტოსა და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ პროგრამებში, რაც ხელს უწყობს მათი კარიერული წინსვლის განვითარებას;
- პროფესიული წინსვლის განსაზღვრას კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ხოლო აკადემია უზრუნველყოფს საჭირო რესურსებსა და პირობას, რომლებიც აუცილებელია ეფექტიანი კარიერული განვითარებისათვის.

ექსპერტების დასკვნით, აკადემია პრაქტიკულად უზრუნველყოფს მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, რაც ხელს უწყობს ინოვაციური, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვას და ხარისხის უწყვეტ შენარჩუნებას.

ინდიკატორის (4.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ექსპერტების შეფასებით, აკადემიაში ახალი თანამშრომლების მიღებისა და ინტეგრაციის პროცესი განხორციელებულია მკაფიოდ განსაზღვრული, დოკუმენტურად რეგულირებული სტანდარტების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწრაფ და ეფექტიან ადაპტაციას სამუშაო გარემოში. ახალ თანამშრომლებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია აკადემიის საქმიანობის, პოლიტიკის, სტრუქტურის, შიდა რეგულაციების და სამუშაო პროცესების შესახებ, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციულ პრინციპთა გაცნობას და მიმდინარე სამუშაოების შესრულების პრაქტიკის ათვისებას.

ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობს გამოცდილი ადმინისტრაციული გუნდი, რომელიც ახორციელებს მენტორინგს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ოპერატიულ დახმარებას და კონსულტაციებს. გზამკვლევი და მენტორინგი თანამშრომლებს ეხმარება სწრაფად მოერგონ სამუშაო გარემოს, მიიღონ პროფესიული მხარდაჭერა და განვითარების შესაძლებლობები.

აკადემია სისტემატურად ახორციელებს ახალი თანამშრომლების საჭიროებების კვლევას, რაც საშუალებას აძლევს ოპერატიულად დაიგეგმოს პროფესიული განვითარების ღონისძიებები და უზრუნველყოს პერსონალის ეფექტიანი ჩართულობა. პროცესი ხორციელდება ორიენტირებულად თანამშრომლის უსაფრთხოებასა და კომფორტზე, რაც ზრდის სამუშაოს ხარისხს, პროფესიულ კომპეტენციას და ინსტიტუციური განვითარების პოტენციალს.

ექსპერტების დასკვნით, ახალი თანამშრომლების მიღებისა და ინტეგრაციის პრაქტიკა აკადემიაში წარმოადგენს ეფექტიან, სისტემურ და განვითარებაზე ორიენტირებულ მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციულ კულტურას, პროფესიული ზრდის ხელშეწყობას და ინსტიტუციური მიზნების მიღწევას.

ინდიკატორის (4.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ექსპერტების შეფასებით, აკადემია მიზანმიმართულად უჭერს მხარს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდას და უნარების განვითარებას. პერსონალის საჭიროებები და შესაძლებლობები რეგულარულად იკვლევა სხვადასხვა მეთოდებით - ონლაინ გამოკითხვებით, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებით და ინდივიდუალური ინტერვიუებით. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს აკადემიას სწორად განსაზღვროს ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და სხვა განვითარების ღონისძიებები, რომლებიც ყველაზე მეტად ამაღლებენ თითოეული თანამშრომლის კომპეტენციას. თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა, ჩაერთონ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროფესიულ აქტივობებში, რაც ხელს უწყობს გამოცდილების გამდიდრებას, პრაქტიკული უნარების გაღრმავებას და პროფესიული კავშირების დამყარებას. პროფესიული განვითარების ინიციატივები აკადემიაში წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემურ, დოკუმენტურად დაფიქსირებულ პროცესს, რომელიც არა მხოლოდ ინდივიდუალური წინსვლისთვისაა, არამედ უწყობს საგანმანათლებლო ხარისხის, ეფექტიანობის და ინსტიტუციის კონკურენტუნარიანობის ზრდას.
აკადემიის პრაქტიკა პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდაჭერაში ეფექტურია, ქმნის უწყვეტი პროფესიული განვითარების გარემოს და განაპირობებს ორგანიზაციული მიზნების მიღწევას.
ინდიკატორის (4.2.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება

- პერსონალის მართვის წესი;
- შინაგანაწესი;
- პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგები;
- პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგები;
- პერსონალის, მათ შორის მასწავლებლების განვითარების გეგმა/გეგმები;
- პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები/მასალა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია პერსონალის განვითარების გეგმის შესაბამისი ბიუჯეტი;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

1.დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

აკადემიის ინფრასტრუქტურა თითოეულ ლოკაციაზე მოიცავს ყველა აუცილებელ სივრცეს: ფოიე, თეორიული სწავლებისათვის A გარემოები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი B გარემოები, პროფესიული პროგრამების განხორციელების C გარემოები, ადმინისტრაციული და სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სივრცეები პროგრამის განმახორციელებელ პირებისთვის, ბიბლიოთეკა, პირველადი გადაუდებელი დახმარების სივრცე, სამუშაო და დასასვენებელი სივრცეები სტუდენტებისთვის, სველი წერტილები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, ასევე სპეციალიზებული მოწყობილობები და აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან სწავლასა და პროფესიული უნარების განვითარებას.

ქალაქ თბილისის ლოკაციებზე არსებული ფართები მოიცავს:

- წერონისის ქ. №208: 750 კვ.მ მიწის ნაკვეთზე შენობა, საერთო ფართით 1059.82 კვ.მ;
- ცოტნე დადიანის ქ. №28: 270 კვ.მ მიწის ნაკვეთზე შენობა, საერთო ფართით 591.57 კვ.მ;
- გ. ქუთათელაძის 1 გასასვლელი #10: თანამფლობელობაში არსებული ფართი 657 კვ.მ (I სართული – 228.49 კვ.მ, II სართული – 242.32 კვ.მ, III სართული – 242.32 კვ.მ), რომელზეც გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება 27.06.2025–27.06.2032.

საჩხერეში აკადემია ფლობს ფართს ივ. გომართელის ქ. №50ა, 52, საერთო ფართი 2605.70 კვ.მ, სადაც I სართული – 938.8 კვ.მ, II სართული – 831.4 კვ.მ, III სართული – 835.5 კვ.მ.

დაწესებულება ყურადღებას აქცევს **მატერიალური რესურსების უწყვეტ უზრუნველყოფას**, რაც ხელს უწყობს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლების მაღალ ხარისხს. სამუშაო და სასწავლო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობას. აკადემიის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები სრულად შეესაბამება ინტეგრირებულ საგანმანათლებლო სტანდარტებსა და თანამედროვე ტექნოლოგიურ მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული კომპეტენციების მაღალ დონეზე განვითარებას.

ინდიკატორის (5.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

აკადემია სრულად აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო აკადემიის (პსდ) მოთხოვნას, რომ ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, პროფესიული სტუდენტებისთვის იყოს ხელმისაწვდომი აკადემიის მიერ დადგენილი წესით. აკადემია უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტს ჰქონდეს თანაბარი წვდომა სასწავლო და საერთო სარგებლობის სივრცეებზე, როგორიცაა სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, კომპიუტერული ოთახები, ბიბლიოთეკა და სხვა შესაბამისი სერვისები. აკადემიის მატერიალური და ფინანსური რესურსების განკარგვის წესი განსაზღვრავს ინფრასტრუქტურასა და რესურსებზე წვდომის პრინციპებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი გონივრული, მიზნობრივი და შედეგიანი გამოყენება. (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის დირექტორის25.08.2025 წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

N2/130 ბრძანებით) აკადემია იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ ადეკვატური წვდომა სასწავლო რესურსებზე, მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სპეციალიზებული აღჭურვილობის გამოყენების შესაძლებლობა. პროფესიული სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები სრულად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, როგორც თბილისის ასევე საჩხერის ლოკაციებზე და გამოიყენება მათი სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობის პროცესში.

ინდიკატორის (5.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ უზრუნველყოფს სისტემურ სანიტარულ-ჰიგიენურ წესებს, რომლებიც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლების უსაფრთხო და ჯანმრთელ გარემოს შექმნას. წესები მოიცავს ოთახებისა და საერთო სარგებლობის სივრცეების რეგულარულ წმენდასა და დეზინფექციას, ჰიგიენური ინვენტარისა და საპირფარეშოების ხარისხიან მოვლას, ასევე სხვა სერვისული სივრცეების სისუფთავის მუდმივ კონტროლს.

ამ პროცესების ზედამხედველობას ახორციელებს სპეციალურად დანიშნული პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ჰიგიენური მოთხოვნების ყოველდღიურ, ყოველთვიურ და ყოველწლიურ შესრულებას. პროფესიულ სტუდენტებსა და თანამშრომლებს სისტემურად მიეწოდებათ ინფორმაცია ჰიგიენისა და უსაფრთხოების შესახებ, რაც უზრუნველყოფს პრევენციული ზომების სწავლებასა და რისკების თავიდან აცილების შესაძლებლობას.

აკადემიის ყველა მისამართზე დასუფთავების სპეციალისტები უზრუნველყოფენ ამ აქტივობების მუდმივ შესრულებას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა მყარდება დოკუმენტურად - „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებში“ (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის დირექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს დეტალურ პროცედურებსა და პასუხისმგებელ პირებს. დარწმუნებულობა ჰიგიენური წესების აღსრულებაში უზრუნველყოფილია როგორც ფინანსური დოკუმენტაციით, ისე ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

ინდიკატორის (5.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების თითოეული ლოკაციის შენობა-ნაგებობები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. საჩხერეში დამონტაჟებულია გათბობა-გაგრილების ერთიანი სისტემა. შესაბამისი სივრცეები აღჭურვილია კასეტური ტიპის ფენკოილებით. ხოლო თბილისის ყველა სასწავლო, ადმინისტრაციული და საერთო სარგებლობის სივრცე აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემაზე დაერთებული რადიატორებით, რაც უზრუნველყოფს კომფორტულ ტემპერატურულ რეჟიმს, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და მაღალი ხარისხის გარემოს შექმნას. ცენტრალური გათბობის სისტემა რეგულარულად გადის ინსპექტირებას, რათა დროულად გამოირიცხოს ნებისმიერი ტექნიკური ხარვეზი, რომელიც შეიძლება ნეგატიურად აისახოს როგორც სტუდენტების/მსმენელების, ისე თანამშრომლების კომფორტსა და ჯანმრთელობაზე. გათბობის სისტემა ეკონომიურად ეფექტური და ეკოლოგიურად უსაფრთხოა, რაც აკადემიის გარემოზე პასუხისმგებლობის პოლიტიკის ნაწილია. გათბობის სისტემის პრაქტიკული გამოყენება დასტურდება კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით;

ინდიკატორის (5.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;

შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ სრულად უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილ შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს. დაწესებულებას გააჩნია შემუშავებული შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება პრევენციულ და სისტემურ ღონისძიებებს ყველა ლოკაციაზე, რათა უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემო.
აკადემიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელთა მოვალეობები ითვალისწინებს:

- შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციის შემუშავებასა და დანერგვას;
- ყველა ლოკაციაზე შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების დანერგვას;
- დასაქმებულებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას;
- ტექნიკის ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების შემუშავებასა და განხორციელებას;
- ინსტრუქტაჟებისა და ტრენინგების ორგანიზებას, რაც უზრუნველყოფს შრომის დაცვის სტანდარტების დაცვას სამუშაო ადგილებზე.

დაწესებულებაში რეგულარულად ტარდება რისკების შეფასება ყველა ლოკაციაზე, პროფესიულ სტუდენტებისა და პერსონალისთვის სისტემატურად ხორციელდება ინსტრუქტაჟები და ტრენინგები, რაც დადასტურებულია დასწრების ფურცლებითა და ხელმოწერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი აკადემიაში არის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი. იგი საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებით აკრედიტირებულ ორგანიზაციაში სრულად გადის სპეციალურ პროგრამებს შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში. პირად საქმეში დაცულია შესაბამისი სერტიფიკატები, ხოლო სპეციალისტს მინიჭებული აქვს უმაღლესი კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოების სფეროში.

ექსპერტული შეფასების მიხედვით, აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს შექმნას, აკადემიის ყველა ლოკაციაზე პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის დაცვის თვალსაზრისით.

ინდიკატორის (5.1.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობას და კონტროლს. აკადემიაში მოქმედებს დაწესებულების დირექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“, რომელიც განსაზღვრავს ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გადაცემისა და გამოყენების პრინციპებს.

პროცესის მიხედვით, აკადემიის ადმინისტრაციული და სასწავლო საქმიანობისთვის საჭირო რესურსების შეძენას ახორციელებს მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი, ფინანსურ მენეჯერთან შეთანხმებით და რექტორის თანხმობით. საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მასალებისა და ინვენტარის ჩამონათვალი მზადდება სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ და გადაეცემა შესყიდვისთვის არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე მოდულის ან სწავლის შედეგის დაწყებამდე.

აქვე დადგინდა, რომ შესყიდვები შეიძლება განხორციელდეს როგორც სასწავლო წლის დასაწყისში ერთიანად, ასევე ნაწილობრივ, მარაგების შევსების მიზნით. ნებისმიერი შეძენილი მასალა ინახება სპეციალურად გამოყოფილ საწყობში, სადაც დაცულია შენახვის ვადები და პირობები, ხოლო სასწავლო პროცესის დაწყებისას გადაეცემა პროფესიული განათლების მასწავლებელს. მასალის გამოყენების შემდეგ დარჩენილი ნედლეული ბრუნდება პასუხისმგებელ პირთან. მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკული მეცადინეობების დროს, თუ ის ტარდება პარტნიორ ორგანიზაციაში, აკადემია არ ახორციელებს მასალების შეძენას.

ექსპერტული შეფასებით, აკადემიის მიერ შემუშავებული მექანიზმი ეფექტურად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას საჭირო რესურსებით. ამას ადასტურებს როგორც პროფესიული მასწავლებლებისთვის მასალა-ნედლეულის გადაცემის ჟურნალი, ასევე სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუები, რომლის შედეგად დადასტურდა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია საჭირო მასალებითა და ნედლეულით, რაც საშუალებას აძლევს პროფესიულ სტუდენტებს სრულფასოვნად დაიმსახურონ განსაზღვრული სასწავლო შედეგები.

ინდიკატორის (5.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

დაწესებულების რესურსების შეფასებასა და განვითარების შესახებ გაწერილია დაწესებულებია შიდა მარეგულირებელ აქტში „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“. (დამტკიცებული 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მისი გეგმის შესაბამისად ახდენს რესურსების შეფასებას, რაც გამოიყენება მატერიალური რესურსის შემდგომი განვითარებისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, ასევე დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე რეგულარულად ამზადებს ანგარიშებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული რეკომენდაციები მიზნად ისახავს თითოეული პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას. აკადემია ახერხებს რესურსების მართვის პროცესში დადებითი დინამიკის შენარჩუნებას, რაც ასახულია მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა და რესურსებით კმაყოფილების მზარდ მაჩვენებლებში. პროფესიულ სტუდენტებთან და სასწავლო პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სრულყოფილად მიეწოდებათ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

ინდიკატორის (5.1.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

აკადემიის შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებითა და ვენტილაციით, სათანადოდ მოწესრიგებულია და ქმნის პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას. ისინი ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. აკადემიის სანიტარული ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს როგორც ჰიგიენური პირობების, ისე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შშმ სტუდენტების საჭიროებებს. სანიტარული კვანძები სრულად არის ადაპტირებული მათთვის: მოწყობილია პანდუსები, უზრუნველყოფილია საკმარისი სივრცე და სპეციალური მოწყობილობები, რაც ხელს უწყობს მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაადგილების უსაფრთხოებასა და კომფორტს. აკადემია სრულად იცავს ჰიგიენურ და სანიტარულ სტანდარტებს, უზრუნველყოფს წყლის უწყვეტ მიწოდებას, სათანადო განათებასა და ვენტილაციას. აღნიშნული პირობები ქმნის ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ყველა პროფესიული სტუდენტის ჯანმრთელობისა და ჰიგიენური სტანდარტების დაცვას. ექსპერტების მიერ დაწესებულების ყველა ფილიალის სათანადო დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ სანიტარული კვანძები მოწესრიგებულია და დაცულია ჰიგიენური ნორმები.

ინდიკატორის (5.1.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

დაწესებულებაში არსებულ ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათლების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს შრომის და სწავლის შესაბამის, უსაფრთხო პირობებს.

ინდიკატორის (5.1.1.9.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

აკადემიის თითოეულ ფილიალის შენობებში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება სრულად შეესაბამება სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს სწავლისა და სხვა აქტივობების ეფექტურ მიმდინარეობას. შენობა მოწყობილია ისე, რომ თითოეულ სივრცეს აქვს დამოუკიდებელი ფართე შესასვლელი, რაც ხელს უწყობს სივრცეების ოპტიმალურ გამოყენებას და რესურსების სწორ განაწილებას. აკადემიის შენობა სარგებლობს დერეფნული სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული კაბინეტის და სივრცის შორის გამიჯნულობას. მეორე და მესამე სართულებზე განთავსებული კაბინეტები გამიჯნულია დერეფნებით, რაც უზრუნველყოფს პირადი სივრცის დაცვას და აუდიტორიებში დისციპლინის შენარჩუნება. ყველა კაბინეტსა და სივრცეს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს და პერსონალს სარგებლობდნენ თითოეული სივრცით ინდივიდუალურად. შენობაში არ არსებობს ერთმანეთში გამავალი შენობების შიდა აუდიტორიები ან კაბინეტები, რაც უზრუნველყოფს პირადი სივრცის დაცვას და კონფიდენციალურობის შენარჩუნებას. სივრცეების სწორი განაწილება და გამიჯვნა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურ წარმართვას.

ინდიკატორის (5.1.1.10.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი - „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, ფუნქციონირების სტანდარტებსა და მომსახურების პროცესს. ამ წესის საფუძველზე აკადემიის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსს.

ბიბლიოთეკის ბეჭდური ფონდი მოიცავს პედაგოგიურ, მეთოდოლოგიურ და სხვა საგანმანათლებლო მასალებს, ხოლო ელექტრონული რესურსები, მათ შორის ელექტრონული წიგნები, დამატებით აძლიერებს სასწავლო პროცესს. სამკითხველო დარბაზები, ყველა ლოკაციაზე, აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტთან წვდომით, რაც პროფესიულ სტუდენტებსა და თანამშრომლებს საშუალებას აძლევს სწრაფად და კომფორტულად გამოიყენონ საჭირო ციფრული რესურსები.

ბიბლიოთეკის მომსახურება ხელმისაწვდომია არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტებისთვის, არამედ პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვისაც, რაც უზრუნველყოფს რესურსების ერთიან და მიზნობრივ გამოყენებას. თითოეული ფილიალი უზრუნველყოფს როგორც ბეჭდური, ისე ციფრული საგანმანათლებლო რესურსებით ხელმისაწვდომობას, რაც ზრდის სასწავლო პროცესის მოქნილობასა და ეფექტურობას.

ასევე, აკადემიას აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნე, რომელიც უზრუნველყოფს სწავლებისა და სამუშაო პროცესში გამოყენებული სამართლებრივი დოკუმენტების აქტუალობას, რაც მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს სამართლებრივი ცოდნის ეფექტურ გამოყენებას პროფესიულ პროგრამებში.

ვიზუალური დათვალიერების, მარეგულირებელი დოკუმენტაციის ანალიზისა და სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკის რესურსები პროფესიულ სტუდენტებსა და თანამშრომლებს სრულად, მიეწოდება როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმატით, რაც უზრუნველყოფს სწავლის მაღალ ხარისხსა და კომფორტულ გარემოს.

ინდიკატორის (5.1.1.11.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან და აზომვითი ნახაზები;
- აკადემიის მიერ შევსებული ფორმები სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების ფლობასთან დაკავშირებით;
- მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მატერიალური და ფინანსური რესურსების განკარგვის წესი
- პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები (ინფრასტრუქტურაზე/მატერიალურ რესურსზე ხელმისაწვდომობის ნაწილში).
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები
- დასუფთავების სპეციალისტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; პერსონალის და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობით კმაყოფილების ნაწილში)
- დათვალიერების შედეგები;
- კომუნალურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;
- ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ;
- შრომის უსაფრთხოების თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან;
- *შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან და სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება; ჩატარებული ინსტრუქტაჟების მტკიცებულებები(დასწრების ფურცლები/ჟურნალები)*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის ანალიზი, რესურსების შეფასების შედეგები;*
- *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები;*
- *პერსონალის და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები (სანიტარული კვანძების ხელმისაწვდომობის შეფასების ნაწილში)*
- *სასწავლო ფართებისა და ბიბლიოთეკის ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;*
- *შენობების შიდა აზომვითი ნახაზები დათვალიერების შედეგები;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *პერსონალის და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ბიბლიოთეკის მომხმარებლის გამოკითხვის შედეგები, საბიბლიოთეკო რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაწილში.*

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში მოქმედებს სრულფასოვანი შრომის უსაფრთხოების სისტემა. შრომის უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობს კომპეტენტური სამსახურის უფროსი და სპეციალისტი, რომლებიც უზრუნველყოფენ რისკების შეფასებას, უსაფრთხოების დოკუმენტაციის შემუშავებას, ინსტრუქტაჟების ორგანიზებასა და ყველა ლოკაციაზე კანონმდებლობით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას.

აკადემიის შენობებში (თბილისის წეროწისის №208, ცოტნე დადიანის №28, ქუთათელაძის 1 გასასვლელი #10 და საჩხერის ფილიალი: ივ. გომართელის №50ა) დაცულია უსაფრთხოების ყველა საჭირო ზომა. შპს „რეალექსპერტის“ ინსპექტირების ანგარიშის მიხედვით, შენობები აკმაყოფილებენ სამშენებლო წესებსა და ნორმატივებს.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ თვითშეფასების დოკუმენტში ინდიკატორი შეფასებული იყო ნაწილობრივ შესაბამისი, რამდენადაც აკადემიას ამ მისამართზე (გ. ქუთათელაძის 1 გასასვლელი #10) არსებული შენობისთვის არ ჰქონდა მოპოვებული ხანძარსუსაფრთხოების დადებითი დასკვნა. შესაბამისად აკადემიას წარმოდგენილი ჰქონდა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომელიც დამტკიცებული იყო აკადემიის რექტორის 2025 წლის 11 ივლისის N2/106 ბრძანებით - „სახანძრო უსაფრთხოების სისტემის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების შესახებ“. შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 10/11 2025; (4 თვე). თუმცა, ვიზიტის პერიოდში ორგანიზაციამ წარმოადგინა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული დადებითი დასკვნა მტკიცებულების სახით და შესაბამისად, ინდიკატორმა ნაწილობრივ შესაბამისობიდან გადაინაცვლა სრულ შესაბამისობაში.

აკადემია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პირველადი დახმარების უზრუნველყოფას. შეიძინა ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორი (AED), აღჭურვილი გულ-ფილტვის რეანიმაციის სენსორით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სერტიფიკატით. დეფიბრილატორი განთავსებულია ყველა მთავარ ლოკაციაზე, პირველ სართულზე სპეციალურ კარადაში, რათა საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ იქნას გამოყენებული. ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორი (AED) - თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობაა, რომელიც აღჭურვილია გულ-ფილტვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეანიმაციის სენსორით და აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. მისი ხელმისაწვდომობა და ეფექტიანი გამოყენება კრიტიკულ შემთხვევებში ხშირად გადამწყვეტია სიცოცხლის გადასარჩენად. თბილისში წერონისისა და საჩხერის ფილიალებში ჩატარდა სპეციალური ტრენინგები პერსონალისთვის AED-ის ეფექტიანი გამოყენების შესახებ. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება შესაბამის სამსახურთან, რომელიც უზრუნველყოფს ავტომატურ ზარს გადაუდებელი დახმარების ცენტრში (112), კარადის გახსნისთანავე. ამ ღონისძიებებით აკადემია ზრუნავს არა მხოლოდ განათლების ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე, არამედ ქმნის უსაფრთხო, მზრუნველ და მაღალსტანდარტულ გარემოს როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე თანამშრომლებისთვის.

ინდიკატორის (5.1.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები**;

აკადემიას შემუშავებული აქვს „პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავს გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ყველა საჭირო პროცედურას. პირველადი დახმარების გაწევას აკადემიის თითოეულ ფილიალში უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება და პასუხისმგებელია, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ნებისმიერ პირს გაუწიოს საჭირო პირველადი დახმარება. თბილისის ფილიალში (წერონისის №208) პირველადი გადაუდებელი დახმარების საკითხზე პასუხისმგებელი პირია საქმისწარმოების მენეჯერი, რომელსაც აქვს ექთნის კვალიფიკაცია, რაც დადასტურდა პირადი საქმის შემოწმების საფუძველზე. თბილისის დანარჩენ ლოკაციებზე (დადიანის № 28 და ქუთათელაძის 1 გასასვლელი #10) განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების 3 სპეციალისტი, რომლებსაც შეთავსებული აქვთ პირველად-გადაუდებელ საკითხებზე პასუხისმგებლობა და აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. ხოლო ქალაქ საჩხერე, ივ. გომართელის ქ. N50 ა ფილიალში პირველადი გადაუდებელი დახმარების საკითხზე პასუხისმგებელი პირია სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს პირველად და გადაუდებელ საკითხებზე ტრენინგი. პირადი საქმის შემოწმების საფუძველზე დაუდასტურდა შესაბამისი სერტიფიკატი.

თუ ვითარება სცდება პასუხისმგებელი პირის კომპეტენციის ფარგლებს, იგი დაუყოვნებლივ ახორციელებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების (112) გამოძახებას. აკადემიის შენობებში საამისოდ გამოყოფილ ადგილას განთავსებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების ყუთები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და მასალებით. ყუთების შემადგენლობა სისტემატურად მოწმდება და საჭიროების შემთხვევაში ივსება. დროული რეაგირებისთვის თვალსაჩინო ადგილებში გამოკრულია პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია და 112-ის ნომერი, რაც უზრუნველყოფს სწრაფი დახმარების მიღებას გადაუდებელ შემთხვევებში როგორც სტუდენტების/მსმენელების, ასევე თანამშრომლებისთვის. ადმინისტრაციულ პერსონალს პერიოდულად უტარდება ტრენინგი პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რათა მაქსიმალურად გაზარდოს ოპერატიული რეაგირების უნარი. პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის ყოველი შემთხვევა რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და მონიტორინგს.

მნიშვნელოვანია, რომ აკადემიამ შეიძინა ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორი (AED) – თანამედროვე მოწყობილობა, რომელიც აღჭურვილია გულ-ფილტვის რეანიმაციის სენსორით და საერთაშორისო სტანდარტების მქონე სერტიფიკატით. AED-ის სწორად გამოყენება ხშირად გადამწყვეტია სიცოცხლის გადასარჩენად, ამიტომაც ძალზედ მნიშვნელოვანია მისი ხელმისაწვდომობა. დეფიბრილატორი განთავსებულია როგორც BTA–ს თბილისის, ისე საჩხერის ფილიალებში. თბილის წერონისისა და საჩხერის ფილიალში ჩატარდა სპეციალური ტრენინგები პირველადი დახმარებისა და დეფიბრილატორის ეფექტიანად გამოყენების შესახებ, რომელსაც დაესწრო კოლეჯის პერსონალი. აღნიშნულ ტრენინგზე დასწრების მტკიცებულება დაწესებულებამ წარმოადგინა ხელმოწერების ჟურნალის სახით. დეფიბრილატორი განთავსებულია შენობების პირველ სართულზე, სპეციალურად მოწყობილ კარადაში. კოლეჯის პერსონალმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება შესაბამის სამსახურთან, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის დამატებით ფუნქციას - კარადის გახსნისთანავე ავტომატურად განხორციელდეს ზარი გადაუდებელი დახმარების ცენტრში (112). აკადემია სრულად იცავს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ყველა წესსა და სტანდარტს, რაც განაპირობებს უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას.

ინდიკატორის (5.1.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ყველა ლოკაციისთვის, რომლებიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. აკადემიაში ყველა მისამართზე ჩამოყალიბებულია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი/ჯგუფი, რომლის ყველა წევრს გავლილი აქვს სპეციალური ტრენინგი. გეგმის გაცნობა ხდება საინფორმაციო შეხვედრების საშუალებით, რათა თითოეული თანამშრომელი და პროფესიული სტუდენტი კარგად იცნობდეს საჭირო ქმედებებს საგანგებო ვითარებაში. თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საევაკუაციო გეგმა და გამაფრთხილებელი ნიშნები. აკადემია აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემითა და ცეცხლმაქრებით, რომლებიც რეგულარულად მოწმდება და ტექნიკური შემოწმების აქტებით დადასტურდება მათი გამართულობა; ყველა სივრცე აღჭურვილია პირველადი დახმარების ნაკრებით, საევაკუაციო ნიშნებით და საავარიო დამატებითი გამოსასვლელით, რაც საგანგებო შემთხვევებში სწრაფი და უსაფრთხო ევაკუაციის საშუალებას იძლევა. აკადემიამ შეიძინა ავტომატური გარეგანი დეფიბრილატორი (AED) – თანამედროვე მოწყობილობა, რომელიც აღჭურვილია გულ-ფილტვის რეანიმაციის სენსორით და საერთაშორისო სტანდარტების მქონე სერტიფიკატით. AED-ის სწორად გამოყენება ხშირად გადამწყვეტია სიცოცხლის გადასარჩენად, ამიტომაც ძალზედ მნიშვნელოვანია მისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმისაწვდომობა. დეფიბრილატორი განთავსებულია როგორც BTA–ს თბილისის, ისე საჩხერის ფილიალებში. თბილის წერონისისა და საჩხერის ფილიალში ჩატარდა სპეციალური ტრენინგები პირველადი დახმარებისა და დეფიბრილატორის ეფექტიანად გამოყენების შესახებ. დეფიბრილატორი განთავსებულია შენობების პირველ სართულზე, სპეციალურად მოწყობილ კარადაში. კოლეჯის პერსონალმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება შესაბამის სამსახურთან , რომელიც უზრუნველყოფს სისტემის დამატებით ფუნქციას - კარადის გახსნისთანავე ავტომატურად განხორციელდეს ზარი გადაუდებელი დახმარების ცენტრში (112). აკადემია ერთდროულად ზრუნავს როგორც განათლების ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებაზე, ასევე უსაფრთხო და მზრუნველი გარემოს შექმნაზე.

ინდიკატორის (5.1.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

აკადემიას ველა ლოკაციაზე დასაქმებული ჰყავს დაცვის სპეციალისტი რომლის მთავარი მოვალეობაა წესრიგისა დაცვა მთელი ტერიტორიის მასშტაბით. მისი ძირითადი პასუხისმგებლობები მოიცავს:

- აკადემიის ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლის აკრძალვას შესაბამისი ნებართვის გარეშე;
- შესასვლელებისა და გამოსასვლელების მონიტორინგს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- მუდმივად აკონტროლებს წესრიგს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და უფლებამოსილია გამოიყენოს განსაზღვრული ყველა ზომა წესრიგის დარღვევის შემთხვევაში.
- უზრუნველყოფს შშმ პირების კომფორტულ გადაადგილებას აკადემიის ტერიტორიაზე და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მათ უსაფრთხო შესვლასა და გასვლაში. უსაფრთხოების დამატებითი მექანიზმები აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება
- სპეციალურ კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს პერიმეტრული დაცვისა და საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის გამართულ მუშაობას აკადემიის ყველა მისამართზე;

აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სპეციალურ კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს პერიმეტრული დაცვისა და საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის გამართულ მუშაობას აკადემიის ყველა მისამართზე;

დაწესებილების ყველა კამერა მოქმედებს ჩაწერის რეჟიმში, ინფორმაცია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებითაა აღნიშნული; ვიდეოჩანაწერებზე წვდომა გააჩნიათ მხოლოდ დირექტორის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ პირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში უსაფრთხოების მექანიზმები და წესრიგის დაცვის პროცედურები გამართული და ეფექტურია. დაცვის სისტემა უზრუნველყოფს როგორც აკადემიის, ისე სტუდენტებისა და თანამშრომლების უსაფრთხოებას, პრევენციას უწევს ნებისმიერი კანონდარღვევის მცდელობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას. ვიზიტის დროს პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად და ადგილობრივი დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს მექანიზმები წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომელიც ეფექტურად ფუნქციონირებს.

ინდიკატორის (5.1.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ შრომის უსაფრთხოების თანამიმდევრული პრევენციულ ღონისძიებების პოლიტიკა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან;
- ღონისძიებების პოლიტიკა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან;
- შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან და სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შპს „რეალექსპერტის— დასკვნები შენობების მდგრადობასთან დაკავშირებით
- შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შეფასებები შენობების სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან;
- გატარებული ინსტრუქტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის მექანიზმები;
- დაცვის სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;
- დაცვის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;**

აკადემიის ყველა ფილიალი სრულად აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (პსდ) მოთხოვნებს IT ინფრასტრუქტურის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს როგორც საგანმანათლებლო, ისე ადმინისტრაციული პროცესების გამართულ და ეფექტიან მართვას. აკადემია აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიური აპარატურით, რომელიც სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. აკადემიაში ფუნქციონირებს ორი თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია, რომლებიც სტუდენტებსა და პედაგოგებს უზრუნველყოფს სწავლებისთვის საჭირო ტექნოლოგიური რესურსებით და ხელს უწყობს პროცესების ოპტიმიზაციას. სასწავლო პროცესისთვის უზრუნველყოფილია კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა, რომლებიც ტექნიკური პარამეტრებით სრულად აკმაყოფილებენ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ მოთხოვნებს.

- სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა(ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- აკადემიაში ხელმისაწვდომია როგორც კაბელიანი, ასევე უკაბელო (Wi-Fi) ინტერნეტი.
- აუდიტორიები აღჭურვილია პროექტორებით, ეკრანებითა და თანამედროვე მულტიმედიური ტექნიკით.
- აკადემია მუდმივად ახორციელებს IT ინფრასტრუქტურის მონიტორინგსა და განახლებას.

დამტკიცებულია „მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის წესი. დაწესებულებამ წარმოადგინა ინტერნეტ პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; წარმოებისას, ექსპერტთა მიერ გამოიკითხა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები და პროფესიული მასწავლებლები, საგანმანათლებლო გარემოს, აკადემიის ინფრასტრუქტურის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკურ, საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებით. დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტები და პერსონალი სავსებით კმაყოფილები არიან ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდაჭერით.

ინდიკატორის (5.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

აკადემიი ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის წესის შესაბამისად, აკადემია რეგულარულად ახორციელებს IT ინფრასტრუქტურისა და ოპერაციული პროცესების ეფექტიანობის შეფასებას. რეგულარულად ტარდება მონაცემთა დაცვის, სისტემების ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის დაკარგვის ან არასწორი გამოყენების და სხვა პოტენციური საფრთხეების ანალიზი. თანამშრომლებსა და დაინტერესებულ მხარეებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია IT რისკების მართვის სტატუსზე, უსაფრთხოების ზომებსა და მონაცემთა დაცვის საუკეთესო პრაქტიკებზე. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გამოკითხვის საფუძველზე დასტურდება, რომ ორგანიზაციას გააზრებული აქვს IT რისკები და ადეკვატურად რეაგირებს აღნიშნული რისკების თავიდან აცილებაზე.

ინდიკატორის (5.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

დაწესებულებაში შემუშავებულია პერსონალური მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (ბრძანება N 2/63 (01.06.2024) მონაცემთა დამუშავება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული კანონით. ყველა პროცესი ემყარება კანონიერებას, გამჭვირვალობისა და მიზნობრიობის პრინციპებს. მონაცემების დამუშავების ეტაპები - მიღება, შენახვა, გამოყენება და განადგურება - რეგულირდება მკაცრი შიდა დოკუმენტაციითა და ტექნიკური სტანდარტებით. დაწესებულებას აყვანილი ყავს სერთიფიცირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებების თანმხლები დანართებით დადასტურებულია, რომ დაწესებულება იღებს შესაბამის თანხმობას აღნიშნული პირებისგან პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. ხელშეკრულების პირობებში მკაფიოდ არის გაწერილი მონაცემთა დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რაც უზრუნველყოფს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

ინდიკატორის (5.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;**

დაწესებულება სისტემურად აფასებს IT ინფრასტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული პროცესების ეფექტიანობას, რათა უზრუნველყოს მათი ოპტიმალური ფუნქციონირება და შესაბამისობა თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებთან. შეფასების პროცესი მოიცავს IT სისტემის ყველა ძირითადი კომპონენტის ანალიზს, კერძოდ: კომპიუტერული ტექნიკისა და ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის ეფექტიანობას; მონაცემთა დაცვის, მართვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების ხარისხს; სისტემის ხელმისაწვდომობას, ინტერფეისის კომფორტულობასა და მომხმარებლისთვის (სტუდენტები, პედაგოგები, ადმინისტრაცია) ტექნოლოგიურ პირობებთან ადაპტაციის დონეს.

ინდიკატორის (5.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;**

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომ IT ინფრასტრუქტურასა და მომსახურებას, რაც გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების უწყვეტი მუშაობის, ტექნიკური მხარდაჭერის და რესურსების მიწოდებას. ეს მომსახურება მოიცავს როგორც კომპიუტერულ აღჭურვილობას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია განათლებისა და სამუშაო პროცესის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

აკადემიას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ინტერნეტის უწყვეტ, შეუზღუდავ და ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფაზე. კომპიუტერები უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით და ვირუსისგან დამცავი სისტემით. აკადემიაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი „Open Biblio; შესაბამისად პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენება სასწავლო პროცესში დადასტურდა დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებით.

ინდიკატორის (5.2.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.**

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის მეშვეობით. ესენია ელ. ფოსტა, ვებ გვერდი, სოციალური ქსელი, მესიჯების სისტემა; აღნიშნული ელექტრონული კომუნიკაციის სისტემა მიზნად ისახავს ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად გავრცელებას შესაბამის პირებთან. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად აკადემია ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების ან პროფესიული სტუდენტის რეგისტრაციის მომენტში ახორციელებს ინფორმირების ერთიანი საკომუნიკაციო ბაზების შევსებას, საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურეობას.

აკადემია ასევე იყენებს ელექტრონულ და დახურული ონლაინ ჯგუფების სისტემას, რომლებიც უზრუნველყოფენ კონფიდენციალურ და დაცულ კომუნიკაციას სტუდენტებსა და პერსონალს შორის. ამ ჯგუფებში მხოლოდ რეგისტრირებული წევრები შედიან და ისინი გამოიყენება სხვადასხვა კომუნიკაციური მიზნებისთვის:

- სწავლის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობისა და გაზიარებისთვის;
- აკადემიის ადმინისტრაციასა და სტუდენტებს/თანამშრომლებს შორის კომუნიკაციის გამარტივებისთვის;
- კონკრეტული ჯგუფის საჭიროებების შესაბამისი კონტენტის გამოქვეყნებისათვის (მაგ. საკონფერენციო შეტყობინებები, განრიგი, დამატებითი მასალები).

სტუდენტებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა აღნიშნული საკომუნიკაციო სისტემების გამოყენება სასწავლო პროცესში. აღნიშნული სისტემები ეფექტურია მარტივი და სწრაფი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად და გარდა ამისა, აუმჯობესებს თანამშრომლობის როგორც ინდივიდუალურ, ასე ჯგუფურ დონეს.

ინდიკატორის (5.2.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები— „პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი—
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთების (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი/სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) - დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- ჩატარებული კმაყოფილების კვლევის ანგარიში, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა საგანმანათლებლო გარემოს, აკადემიის ინფრასტრუქტურის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკურ, საგანმანათლებლო რესურსებთან დაკავშირებით;
- ინტერნეტ პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შრომის უსაფრთხოების მენეჯერის პირადი საქმე;
- ინტერვიუს შედეგები;

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

აკადემიაში უზრუნველყოფილია რეესტრის წარმოების ერთიანი და ცენტრალიზებული მართვა. აკადემიას დასაქმებული ჰყავს რეესტრის წარმოების მენეჯერი, რომლის სამუშაო ადგილად განსაზღვრულია აკადემიის ადმინისტრაციული კორპუსი (ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეესტრის წარმოების მენეჯერის ფუნქციებში შედის აკადემიის ოთხივე ფილიალის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის სისტემაში სრულყოფილი, ზუსტი და დროული ასახვის უზრუნველყოფა. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება საქმისწარმოების, მონაცემთა მართვისა და ადმინისტრაციული პროცესების გამჭვირვალობის მოთხოვნებს.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ რეესტრის წარმოების პროცესები ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილია ინფორმაციის ერთიანი სტანდარტით აღრიცხვა, კონტროლი და ხელმისაწვდომობა, რაც დადებითად აისახება აკადემიის ადმინისტრაციული მართვის ეფექტიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

საქმისწარმოების ერთიანი სისტემის უწყვეტი და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ქალაქ საჩხერის განყოფილებაში რექტორის მოადგილის ფუნქციებში განსაზღვრულია პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს აღნიშნულ მისამართზე შემოსული კორესპონდენციის მიღება და მისი დანიშნულებისამებრ დაუყოვნებლივ გადაცემა/გაგზავნა ელექტრონული ფორმით(eflow სისტემით) აკადემიის ადმინისტრაციულ კორპუსში, აგრეთვე საქმისწარმოების მენეჯერის მიერ მიწოდებული ინფორმაციის/დოკუმენტების(ცნობები, ბრძანებები/წერილები და სხვა) დაინტერესებული პირებისთვის დროული მიწოდება.

აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებზე მუშაობის წესს. წესის დაცვა სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისათვის. საქმისწარმოების წესი არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემას, დოკუმენტების მოძრაობას მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე ან საქმეში მოთავსებამდე, დოკუმენტების შენახვის და განადგურების პროცედურებს. აკადემიის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები შესაბამისობაშია საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან.

ინდიკატორის (5.2.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საქმისწარმოების წესები დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით, რომლის ბოლო ცვლილება განხორციელებულია რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს №2/130 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული წესი არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან პრინციპებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემებს, დოკუმენტების მოძრაობის ეტაპებს მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე ან საქმეში მოთავსებამდე, ასევე დოკუმენტების შენახვის, დაცვისა და განადგურების წესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმისწარმოების დადგენილი წესის შესაბამისად, ელექტრონული ფორმით, საქმისწარმოების eFlow სისტემაში, აღირიცხება შემოსული და გასული კორესპონდენცია, ასევე შიდა დოკუმენტბრუნვა, მათ შორის განცხადებები, სამსახურებრივი და მოხსენებითი ბარათები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია. დადგინდა, რომ საქმისწარმოების მენეჯერი მატერიალური სახით შემოსულ დოკუმენტაციას, მათ შორის შიდა დოკუმენტებს, ელექტრონული საქმისწარმოების eFlow სისტემაში ტვირთავს (არეგისტრირებს) არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების ვადები არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და შიდა დოკუმენტბრუნვით განსაზღვრულ ვადებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული კორესპონდენციის შინაარსი ობიექტურად მოითხოვს განსხვავებულ ვადებს. აღსანიშნავია, რომ აკადემიას შეძენილი აქვს ელექტრონული საქმისწარმოების eFlow სისტემის 6 მომხმარებლის ლიცენზია, მათ შორის ერთი განკუთვნილია საჩხერის ფილიალის ხელმძღვანელისთვის. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს ცენტრალურ აპარატსა და ფილიალს შორის ერთიანი საქმისწარმოების სისტემის დაცვას, აუმჯობესებს დოკუმენტბრუნვის პროცესების კოორდინაციას და ხელს უწყობს დოკუმენტების დროულ, გამჭვირვალე და ორგანიზებულ მიმოცვლას.

პარალელურად, განსაზღვრული კატეგორიის დოკუმენტები ინახება და აღირიცხება მატერიალური სახით, კერძოდ: რექტორის ბრძანებები (საკადრო და საერთო ხასიათის), სხვადასხვა კოლეგიური ორგანოს სხდომის ოქმები (დამფუძნებელთა, კომისიისა და სხვა), ხელშეკრულებები (შრომითი, წინარე, სასწავლო, პრაქტიკის და სხვა), მემორანდუმები, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების უწყისები, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები (დიპლომები), აგრეთვე მომზადებისა და გადამზადების პროგრამების სერტიფიკატები.

აკადემიაში ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალური დოკუმენტების აღრიცხვის პრაქტიკის გადამოწმება, მათ შორის აღრიცხვის ჟურნალების წარმოების სისტემა. ექსპერტები გაეცნენ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წარმოებულ მატერიალური დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალებს, რომლებიც გაფორმებულია, აკინძულია, დანომრილია და წარმოებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

ინდიკატორის (5.2.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას, რაც გულისხმობს, რომ ყველა საჭირო ინფორმაცია პროფესიული დაწესებულების, პროფესიული სტუდენტებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის შესახებ იქნა აღრიცხული და უახლესი მონაცემებით განახლებული. აკადემიაში განსაზღვრულია რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორის (5.2.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ანგარიშის, დოკუმენტის და ინფორმაციის დროულ და სრულფასოვან მიწოდებას შესაბამისი სახელმწიფო ან კერძო კონტროლის უწყებებისთვის .ვიზიტისას ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების მიერ მიღებული და გაგზავნილ კორესპონდენცია, დასტურდება კომუნიკაციის არსებობა დაწესებულებასა და იმ დაინტერესებულ მხარეებს შორის, რომლებიც მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელია (მაგ: განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი).

ინდიკატორის (5.2.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „საქმისწარმოების წესი;
- eflow-სისტემა;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
- ინტერვიუს შედეგი;
- კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;**

აკადემიაში საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას ასრულებს აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი https://www.bta.edu.ge. და სოციალური ქსელის ფეისბუქ გვერდი https://www.facebook.com/bta.edu.ge.

ვებგვერდზე განთავსებულია აკადემიის ისტორია, მისია, ხედვა და ღირებულებები, ორგანიზაციული სტრუქტურა, ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ასევე მონაცემები პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ. მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომია აკადემიის მიერ განხორციელებული ყველა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია, ჩარიცხვის პროცედურები, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტები, სიახლეები, პროექტების შესახებ ინფორმაცია, ვაკანსიები და საკონტაქტო მონაცემები.

სოციალური ქსელის ფეისბუქ გვერდის მეშვეობით ასევე რეგულარულად ქვეყნდება დაწესებულებაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები და სიახლეები. უზრუნველყოფილია ინფორმაციის განახლება გონივრულ ვადებში, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის მუდმივ ხელმისაწვდომობას და მომხმარებლების ინტერესებზე მორგებული, ეფექტური საკომუნიკაციო გარემოს შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვებგვერდის სტრუქტურა წარმოდგენილია მარტივი და ლოგიკური რუბრიკების სახით, რაც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას სწრაფად და მარტივად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია. როგორც ვებგვერდი, ისე აკადემიის ფეისბუქ გვერდი ასრულებს როგორც საინფორმაციო, ისე საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებგვერდის „სიახლეების“ განყოფილებაში და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია განახლებულია გონივრულ ვადებში.

ინდიკატორის (5.2.3.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**

დაწესებულების მისიაა მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მომხმარებლებისათვის ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება. აკადემიის მისწრაფებაა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება, რაც განსაზღვრავს მის როლს ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეში. აკადემიას გააჩნია ინგლისურენოვანი ვებგვერდი: https://www.bta.edu.ge/bta_new/en/

ინდიკატორის (5.2.3.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

დაწესებულების „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“ სხვა საკითხებთან ერთად არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის შესახებ არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება.

ინდიკატორის (5.2.3.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;**

აკადემიის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები (https://www.bta.edu.ge/ge/documents/archive-of-catalogs), სადაც წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია, მათ შორის: აკადემიის საკონტაქტო მონაცემები, ისტორია, მისია, მიზნები, ხედვა და ღირებულებები. ასევე მოცემულია ინფორმაცია აკადემიის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის, სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი სერვისებისა და მხარდაჭერის მექანიზმების, აგრეთვე პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შესახებ.
აღნიშნული ინფორმაცია უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისთვის დაწესებულების საქმიანობისა და ფუნქციონირების შესახებ სრულყოფილი და ობიექტური წარმოდგენის ჩამოყალიბებას.
ინდიკატორის (5.2.3.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;**

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ახლდება ყოველწლიურად, რაც დასტურდება აკადემიის ვებგვერდზე წლების მიხედვით განთავსებული განახლებული ვერსიებით (2022, 2023, 2024 და 2025 წლები). კატალოგი ასახავს აკადემიის აქტიური საგანმანათლებლო შეთავაზებების სრულ სურათს და მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს, სტრუქტურას, მიღების პირობებს, სასწავლო პროცესის განხორციელების ფორმატს, აგრეთვე ყველა იმ დამატებით სერვისს, რომელსაც აკადემია სთავაზობს პროფესიულ სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.
ყოველი ახალი კატალოგი ქვეყნდება ანკეტებისა და კითხვარების შევსების დაწყებამდე დაახლოებით ორი თვით ადრე, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის განახლებული ინფორმაციის დროულ ხელმისაწვდომობას.
ინდიკატორის (5.2.3.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

აკადემიის მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესების რეგულირდება დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის“ საფუძველზე, რაც მიუთითებს დაწესებულების ინსტიტუციურ მიდგომაზე ოფიციალური კომუნიკაციის დაგეგმვისა და მართვის მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტით განსაზღვრულია როგორც გარე, ისე შიდა კომუნიკაციის ძირითადი პრინციპები, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის გამჭვირვალობას და ინფორმაციის სისტემურ გავრცელებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ფუნქციები მოიცავს ოფიციალური განცხადებების დროულ გავრცელებას, პროფესიული განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციას, ასევე სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან კომუნიკაციის ორგანიზებას. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს აკადემიის საქმიანობის უკეთ წარმოჩენას და პროფესიული განათლების მიმართ ინტერესის გაზრდას.

დაწესებულება აქტიურად იყენებს ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ პლატფორმებს როგორც საინფორმაციო და საკომუნიკაციო არხებს. აღნიშნულ არხებზე ინფორმაციის რეგულარული განახლება უზრუნველყოფს მიმდინარე სიახლეებისა და ღონისძიებების დროულ მიწოდებას დაინტერესებული მხარეებისთვის, რაც დადებითად აისახება ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მომხმარებელთა ჩართულობაზე.

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირის გამოყენება საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წარმოადგენს პოზიტიურ პრაქტიკას. უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე აკადემია ახორციელებს პროცესების ოპტიმიზაციას, სწავლების მეთოდების დახვეწასა და საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებას, რაც მიუთითებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების რეალურ ფუნქციონირებაზე. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის განმტკიცებასა და აკადემიის რეპუტაციის ზრდას.

ინდიკატორის (5.2.3.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი: https://www.bta.edu.ge/;
- სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი
- ttps://www.facebook.com/bta.edu.ge
- დომეინისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგების არქივი
- https://www.bta.edu.ge/ge/documents/archive-ofcatalogs
- კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;**

აკადემია უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ეფექტიან განხორციელებას, რაც ქმნის მყარ საფუძველს საგანმანათლებლო და განვითარების პოლიტიკის თანმიმდევრული რეალიზაციისთვის. სტრატეგიული მართვის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფინანსურ მენეჯმენტს, რომელიც აკადემიის მდგრადობისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.
დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „მატერიალური და ფინანსური რესურსების განკარგვის წესი“ (დამტკიცებულია 25.08.2025 წლის №2/130 ბრძანებით), რაც უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების დაგეგმვასა და გამოყენებას დადგენილი პროცედურების შესაბამისად. აკადემია ყოველწლიურად, წლის დასაწყისში, ამზადებს ბიუჯეტს, რომელიც შინაარსობრივად ასახავს როგორც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს, ისე დაწესებულების უწყვეტი ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ხარჯებს.
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება ძირითადად ფინანსდება პროფესიული სტუდენტების ვაუჩერული დაფინანსების გზით. აღნიშნული ფინანსური რესურსი მიზნობრივად გამოიყენება სასწავლო პროცესის უწყვეტობისა და ხარისხის უზრუნველყოფისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის, დამატებითი საგანმანათლებლო და კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობების განხორციელებისთვის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის, ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვისა და სხვა აუცილებელი ხარჯების გასაწევად, რომლებიც ემსახურება საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან ფუნქციონირებას.

აღსანიშნავია, რომ აკადემია რეალისტურად აფასებს საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებს, რის შედეგადაც სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული მიზნები არის მიღწევადი და რეალურ რესურსებზე დაფუძნებული. სწავლის საფასურისა და ვაუჩერული დაფინანსების სტაბილურობა უზრუნველყოფს ფინანსური დაგეგმვის სანდოობას. ამასთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა დამატებით აფართოებს აკადემიის ფინანსურ შესაძლებლობებს, რაც დადებითად აისახება დაწესებულების მდგრადობაზე და ქმნის ახალი განვითარების შესაძლებლობებს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის.

ინდიკატორის (5.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;**

დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია საკმარისი და სტაბილური ფინანსური რესურსებით. აკადემია ახორციელებს გრძელვადიან და მოკლევადიან ბიუჯეტირებას. ბიუჯეტის დაგეგმვა და ანგარიშგების სისტემა შექმნილია ზუსტი ფინანსური კონტროლისა და პროცესების მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. აკადემია ეფექტურად და გეგმის ფარგლებში მართავს საკუთარ ფინანსურ რესურსებს. გარდა ვაუჩერული დაფინანსებისა, ცდილობს გარე ფინანსური წყაროების მოძიებას და ფონდების მოზიდვას; არსებულ ეკონომიკურ რესურსებს იყენებს მიზნობრივად და სტაბილურად ფარავს საოპერაციო ხარჯებს ხარისხიანი და მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული გარემოს შესანარჩუნებლად. დაწესებულება რეალურად აფასებს საკუთარ ფინანსურ მდგრადობას და დარწმუნებულია, რომ ყველა საოპერაციო ხარჯი სრულად არის უზრუნველყოფილი. ეს ქმნის სტაბილურ საფუძველს როგორც სასწავლო პროცესის უწყვეტობისთვის, ასევე სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმების განხორციელებისთვის. დაწესებულების ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები საოპერაციო ხარჯებისთვის.

ინდიკატორის (5.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, რაც დასტურდება ფინანსური მართვის რეგულირებული და დოკუმენტირებული პრაქტიკით. აკადემიას შემუშავებული აქვს „მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის წესი“, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების პროცესები.

დაწესებულებამ წარმოადგინა ფინანსური ანგარიშგებები 2024-2025 წლების ჩათვლით, აგრეთვე თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტები, რაც შესაძლებელს ხდის როგორც მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის, ისე დაგეგმილი და რეალური მაჩვენებლების შედარებით ანალიზს. ფინანსური დაგეგმვა ხორციელდება როგორც წლიურ, ისე შუალედურ ჭრილში და მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურირებულ განაწილებას, რესურსების ოპტიმიზაციასა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებს.

ადგილზე შესწავლის ფარგლებში დადასტურდა, რომ ფინანსური დაგეგმვისა და მონიტორინგის პროცესი რეგულირდება შესაბამისი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით და ხორციელდება სისტემურად - წლიურად და შუალედურად. პროგრამების დამატების, კვოტის გაზრდის ან სხვა ფინანსურ ცვლილებებთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებისას, დაწესებულება უზრუნველყოფს შუალედური გადაანგარიშებისა და ფინანსური დაგეგმვის პროცესის ინიცირებას, რაც მიუთითებს ფინანსური მართვის მოქნილ და პასუხისმგებლიან მიდგომაზე.

აკადემიის ფინანსური დაგეგმვის პროცესი ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, დაწესებულების შიდა რეგულაციებს, თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის სტანდარტებსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებს. განსაზღვრულია შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა, აგრეთვე ფინანსური რისკების მართვის მექანიზმები.

ფინანსური ანგარიშგებები რეგულარულად იტვირთება ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ პორტალზე, რაც უზრუნველყოფს პროცესების საჯაროობასა და გამჭვირვალობას. ამასთან, აკადემია სისტემატურად ახორციელებს დაფინანსების დინამიკის ანალიზს, რაც საშუალებას აძლევს განახორციელოს მომდევნო წლების ფინანსური პროგნოზირება, დროულად მოახდინოს ფინანსური გეგმების კორექტირება და შეიმუშაოს ეფექტიანი სამოქმედო გეგმები.

ზემოაღნიშნული ფაქტორების ერთობლიობა მიუთითებს, რომ დაწესებულებაში ფინანსური მდგრადობის შეფასება ხორციელდება ობიექტურად, სისტემურად და სტრატეგიულ მიზნებთან თანხვედრაში.

ინდიკატორის (5.3.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, რაც დასტურდება მიღებული გადაწყვეტილებების დაგეგმვასა და მათი განხორციელების პროცესებში შეფასების შედეგების ინტეგრირებით. აკადემია საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე რეგულარულად აქვეყნებს როგორც სამოქმედო გეგმებს, ისე მათი შესრულების ანგარიშებს და შესაბამისად უზრუნველყოფს საქმიანობის პროცესების გამჭვირვალობასა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას.

წარმოდგენილი პრაქტიკა მიუთითებს, რომ შეფასების შედეგები არ რჩება ფორმალურ დონეზე, არამედ გამოიყენება მართვითი გადაწყვეტილებების მიღებისას. აკადემიის ყოველწლიური ანგარიშების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება არსებული ფინანსური შესაძლებლობების ობიექტური შეფასება, რის შედეგადაც ყალიბდება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს გეგმებისა და რესურსების რეალისტურ თანხვედრას.

შეფასების შედეგებზე დაფუძნებული დაგეგმვა ხელს უწყობს აკადემიის საქმიანობის მდგრადობას, აქტივობების ეფექტიან განხორციელებას და რესურსების მიზნობრივ გამოყენებას. შედეგად, დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია უწყვეტი გაუმჯობესების პრაქტიკა, რაც პოზიტიურად აისახება როგორც მართვის ხარისხზე, ისე საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებაზე.

ინდიკატორის (5.3.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის ანგარიშები https://www.bta.edu.ge/ge/documents/developmentplans
- შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია;
- „მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის წესი;
- ბიუჯეტის ზრდის დინამიკა, წლების მიხედვით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ადმინისტრაციული სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის 2025 წლის 7 მაისის N55 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ც. დადიანის N28; წეროწისის ქ. N 208
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით (ცვლილება: რექტორის 07.11.2022 წლის N2/185 ბრძანება; ცვლილება: 29.06.2024 წლის N2/86 ბრძანება) დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ ადგენს ძირითად პროცედურებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის.

დოკუმენტის მე–2 მუხლის მიხედვით პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც უნდა მოიცავდეს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. დაინტერესებულმა პირმა (დაინტერესებული პირი შესაძლოა იყოს აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი პირი, პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა) შესაძლებელია წარმოადგინოს აკადემიის რექტორის სახელზე არგუმენტირებული სამსახურებრივი ბარათი პროგრამ(ებ)ის შემუშავების საჭიროების შესახებ. ბარათში უნდა ჩანდეს რის საფუძველზე, ან რა გარემოებებით არის განპირობებული პროგრამის შემუშავების/დანერგვის სურვილი/საჭიროება. რექტორი განიხილავს აღნიშნულს სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღეში და თანხმობის შემთხვევაში გამოცემს შესაბამის ბრძანებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დაწყების შესახებ, სადაც განისაზღვრება: სამუშაო ჯგუფის ფორმირება, ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები. შესაძლოა აკადემიის რექტორი თვითონ იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის/საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დაგეგმვის/შემუშავების ინიციატორი. ამ შემთხვევაში იწყება პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მოძიება/ანალიზი. შესაძლოა კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ადაპტირების მიზნით რექტორის ბრძანებით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფი შეისწავლის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს/ჩარჩო დოკუმენტს და შესაბამისი დონის პროგრამისათვის ქმნის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, პროგრამის მოცულობას (კრედიტებით), პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, სასწავლო გეგმას პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის), შეფასების მიმართულების, სწავლების მეთოდების, პროგრამის რესურსების შესახებ ინფორმაციის მოგროვებას. სამუშაო ჯგუფი ასევე განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ, ადამიანურ და საგანმანათლებლო რესურსს და შეისწავლის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (პრაქტიკული პროექტი, საწარმოო პრაქტიკა და სხვა) განხორციელების მიდგომებს. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი სამუშაო ჯგუფის მიერ დასამტკიცებლად, წარედგინება აკადემიის დირექტორს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია არგუმენტირებული ანალიზი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. დოკუმენტში მითითებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ განხორციელების ადგილი: ქ. თბილისში ც. დადიანის N28 და წერონისის ქ. N 208.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ შემუშავების მიზნით აკადემიის რექტორის 2024 წლის 30 აპრილის #2/43 ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს დაევალა პროგრამის შემუშავება/ადაპტირება აკადემიის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით ადმინისტრაციულ პერსონალთან და დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ პროგრამა, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის რექტორის 2025 წლის 7 მაისის #2/55 ბრძანებით შეესაბამება აკადემიის მისიას და სტრატეგიულ გეგმას.

ექსპერტების შეფასებით, აკადემიის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ სრულად დასაბუთებულია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის მონაცემებზე. ანალიზი ადასტურებს, რომ ადმინისტრაციული და საოფისე უნარებით აღჭურვილი კადრები დეფიციტურია, ხოლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების აღჭურვას საჭირო კომპეტენციებით: კომუნიკაცია, საოფისე პროგრამებთან მუშაობა და ორგანიზაციული პროცესების მართვა.

აკადემია სისტემატურად აკვირდება ბაზრის დინამიკას, თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და ანალიზს უკეთებს დასაქმების პლატფორმებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის რეალურ საჭიროებებსა და კვალიფიციური კადრების მომზადებას. რესურსები საკმარისია, ხოლო განმახორციელებლები არიან გამოცდილი პროფესიონალები, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფას.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აკადემიის გადაწყვეტილება გამართლებულია, მიზანშეწონილი და შესაბამისი მოთხოვნებზე დაყრდნობილი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიაღწიონ დასაქმებისთვის საჭირო პრაქტიკულ უნარებს და კომპეტენციებს.

ინდიკატორის (2.1.1.1) მოთხოვნები დაკმყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის #2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ადგენს პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას, მათ შორის პროგრამაზე მიღების გამოცხადებას, აპლიკანტებთან გასაუბრება და პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება.

ექსპერტული შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და დაწესებულების შიდა რეგულაციებთან. პროგრამაზე „ადმინისტრაციული სერვისები“ დაშვების პირობები დიფერენცირებულია პროგრამის ტიპის მიხედვით და განსაზღვრავს, რომ ინტეგრირებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება, ხოლო არაინტეგრირებულ პროგრამაზე - სრული ზოგადი განათლება.

ექსპერტული ანალიზით დადგინდა, რომ აღნიშნული დაშვების წინაპირობები ადეკვატურია პროგრამის შინაარსისა და სირთულის გათვალისწინებით და მიზნად ისახავს იმ კანდიდატთა შერჩევას, რომელთაც გააჩნიათ პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელი წინარე ცოდნა, უნარები და აკადემიური მზაობა. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას და ხელს უწყობს სწავლის შედეგების დროულად, ხარისხიანად და პროგრამით განსაზღვრულ ვადებში მიღწევას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ჩარიცხვის პროცედურების ამსახველი დოკუმენტაცია. ექსპერტების მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითიც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორის (2.1.1.2) მოთხოვნები დაკმყოფილებულია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მუხლი 5-ის პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით. მეთოდოლოგიით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განისაზღვრება ყველა ის კრიტერიუმი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და უწყვეტად განხორციელებას აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკისა და საჭირო რესურსების გათვალისწინებით.
ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ანალიზის, აკადემიის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ადმინისტრაციული სერვისები“ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად და დაეფუძნა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ, ადამიანურ, ფინანსურ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი მიერ მოხდა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გასაუბრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გამტარუნარიანობის დადასტურების მიზნით.
2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პროფესიული პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩაირიცხა 21 სტუდენტი, ხოლო არაინტეგრირებულ პროგრამაზე - 62 სტუდენტი.
ინდიკატორის (2.1.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
ექსპერტთა შეფასებით პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსებით, რაც დანართის სახით თან ახლავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის რელევანტურობა დასტურდება ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დოკუმენტების შესწავლით და შეფასებით, განმახორციელებელთა და სტუდენტთა ინტერვიუების შედეგებით. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით,**
ინდიკატორის (2.1.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის (2.1.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები" დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2025 წლის 7 მაისის N55 ბრძანებით. აკადემიის რექტორი, როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, უფლებამოსილია დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამები და მათში განხორციელებული ცვლილებები, რაც აღნიშნულია აკადემიის წესდებაში, მუხლი 10 ,,ხელმძღვანელი ორგანო" პუნქტი 3.

ინდიკატორის (2.1.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამა შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 19 აგვისტოს #170/ნ ბრძანების საფუძველზე. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ადმინისტრაციული სერვისების" სახელწოდებას, პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამის მიხედვით კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგებია: დაგეგმოს შეხვედრები და მივლინებები; მართოს ორგანიზაციის დოკუმენტბრუნვა; მართოს ორგანიზაციის შესყიდვები და მომარაგება; გააფორმოს დოკუმენტების რეკვიზიტები და ბლანკები; მოამზადოს დოკუმენტები არქივისთვის; მოამზადოს დოკუმენტების პროექტები; აწარმოოს მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე; დაგეგმოს პერსონალის/ადამიანური რესურსების მართვის საკითხები.

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს.

ინდიკატორის (2.1.1.7) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

აკადემიას შემუშავებული აქვს რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია". აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად მოხდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ადმინისტრაციული სერვისების“ ადაპტირება, რომელიც შემუშავდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 19 აგვისტოს #170/ნ ბრძანების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ადმინისტრაციული სერვისები” დამტკიცდა აკადემიის რექტორის 2025 წლის 7 მაისის N55 ბრძანებით.

აკადემიის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის, პროგრამის ხელმძღვანელის, განმახორციელებლებისა და ადმინისტრაციის შესაბამისი წარმომადგენლების კოორდინირებული თანამშრომლობის საფუძველზე და სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

დამტკიცებული პროგრამით მკაფიოდ არის განსაზღვრული პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, აგრეთვე სსსმ და შშმ სტუდენტების სწავლების საკითხები. წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია ყველა სავალდებულო დოკუმენტი, მათ შორის მოდულები, სასწავლო გეგმა და ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროგრამა და მისი მოდულები შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, აქვს ლოგიკური და თანმიმდევრული სტრუქტურა, დაცულია მოდულებს შორის წინაპირობები და განსაზღვრულია სწავლის შედეგების აღდგენა-ჩაბარების ვადები. სტუდენტთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ მაქსიმუმს.

ქართული ენის A2 და B1 მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინკლუზიურობასა და სამართლიანობას. პროგრამის მოცულობა დიფერენცირებულია ინტეგრირებული და არაინტეგრირებული ფორმატების, ასევე ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტების მიხედვით და სრულად შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტების შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და წარმოადგენს სტრუქტურულად გამართულ, აკადემიურად დასაბუთებულ და რეალიზებად პროგრამას.

ინდიკატორის (2.1.1.8) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2024 წლის 30 აპრილის #2/43 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ შემუშავების მიზნით;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2025 წლის 7 მაისის N55 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები”, (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის #2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- აკადემიის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ექსპერტთა მიერ შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, ასევე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა თითოეული მოდულის მიხედვით შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს. დაწესებულებას პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი აქვს A და B სასწავლო გარემო (მის: ქ. თბილისი, წერონიძის ქ. N208. AC გარემო ინტეგრირებული (მეცნიერება და ტექნოლოგიები) მოდულებისთვის, A გარემო ინტეგრირებული მოდულების(გარდა ინტეგრირებული მოდულის მეცნიერება და ტექნოლოგიებისა) განხორციელებისათვის, სპორტის მოდულის გარემო (მის: ქ. თბილისი, ც. დადიანის N28). აუდიტორიები სათანადოდ აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, ინფრასტრუქტურით და რესურსებით. აუდიტორიებში განთავსებულია მაგიდები და სკამები, დაფები, თემატური თვალსაჩინოებები, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლებისთვის, ტელევიზორები დემონსტრირების ციფრული საშუალება და სხვ.

აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული პროგრამების კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯში ელექტრონული პლატფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, უწყვეტად და ეფექტიანად წარმართვას და მის ადმინისტრირებას. პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების დისტანციურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეჟიმში სწავლების შესაძლებლობისთვის აკადემიას შესყიდული აქვს ულიმიტო ZOOM პლატფორმის მომსახურება, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესის უწყვეტი რეჟიმით დაგეგმვა-განხორციელებისთვის.

გაცნობითი პრაქტიკის და საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად აკადემიას მემორანდუმები აქვთ გაფორმებული შემდეგ დაწესებულებებთან: შპს ორიენტირი, საჯარო სკოლა #190, საჯარო სკოლა #10, საჯარო სკოლა #32, საჯარო სკოლა #43, საჯარო სკოლა # 129, საჯარო სკოლა # 149. პარტნიორ ორგანიზაციებში გათვალისწინებულია 2 პროფესიული მოდულის სწავლის შედეგების გატანა. 1. გაცნობითი პრაქტიკა და 2. საწარმოო პრაქტიკა. ხელშეკრულების თანახმად თითოეული პარტნიორი ორგანიზაცია მომსახურებას გაუწევს აკადემიის 90 პროფესიულ სტუდენტს.

ხელშეკრულება გულისხმობს მხარეებს შორის ურთერთთანამშრომლობას და მიზნად ისახავს პრაქტიკული კომპონენტის გავლის, დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობის მოძიებაში პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობას, პრაქტიკის განხორციელებისთვის საკადრო რეზერვის შექმნას და მისი სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, იმისთვის, რომ აკადემიის პროფესიულ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პრაქტიკაში გამოსცადონ მიღებული თეორიული ცოდნა და უნარები და პრაქტიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მოემზადონ მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის. პრაქტიკის განმახორციელებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პრაქტიკის ობიექტები მზად არიან პრაქტიკული კომპონენტის შესწავლის მიზნით მომსახურება გაუწიოს აკადემიის პროფესიულ სტუდენტებს. პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკურად სათანადოდ და დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტი თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორის (2.2.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროგრამას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია. თითოეულ განმახორციელებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც უკვე არიან დასაქმებულები საათობრივი დატვირთვით პროგრამის განხორციელების მიმდინარე ეტაპზე, ხოლო განმახორციელებელთა ნაწილთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები.

აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. აკადემიის რექტორის 2025 წლის 7 მაისის #2/55 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული პროგრამის დანართ 3-ში - პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ განხორციელდა ცვლილებები აკადემიის რექტორის 2025 წლის 17 ნოემბრის #2/173 ბრძანებით. წარმოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 56 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან: 13 - პროფესიული მოდულების, 19 - ინტეგრირებული მოდულების - და 24 - ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირია. პროგრამის მდგრადობისთვის თითოეულ მოდულის სწავლებისთვის განსაზღვრულია 2-3 განმახორციელებელი პირი თითოეული მოდულისთვის. ექსპერტთა მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვები. დადგინდა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორის (2.2.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისების“ პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და პრაქტიკული გამოცდილება დარგში. ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ყველა მათგანს აქვს შესაბამის დარგში გამოცდილება და არის კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი. ისინი მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, იცნობენ პროგრამას და აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში. მოდულების განმახორციელებელთა ნაწილს გავლილი აქვს აკადემიის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცენტრის, უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგები. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი შესაბამისობაშია შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებთან და ხელშეკრულებაში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებენ მასწავლებლები. **აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ინდიკატორის (2.2.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური პირი, რაც დადასტურდა პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე. მას აქვს დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში. იგი ჩართულია, როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფარგლებში, პერიოდულად ესწრება მეცადინეობებს, კომპეტენციის ფარგლებსა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, ჩართული იქნება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის/ან/და ვერიფიკაციის პროცესებში. პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მისი პროფესიონალიზმი, დარგში პრაქტიკული გამოცდილების ქონა და სასწავლო პროცესებში პროგრამის განხორციელებისას მისი აქტიური ჩართულობა. შესაბამისად, **ინდიკატორის (2.2.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში „ადმინისტრაციული სერვისები“ მითითებული სასწავლო რესურსები (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. აკადემიის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებისთვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს: სამკითხველო სივრცეს, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის; კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტ ქსელში; პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას. კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს გაეცნონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტაციას და სასწავლო პროცესში გამოიყენონ www.matsne.gov.ge განთავსებული დოკუმენტები. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს Open Biblio-ს. შესაბამისად, აკადემიის სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები. **აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ინდიკატორის (2.2.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

კოლეჯში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. აღნიშნულ სტუდენტებს აქვთ წვდომა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებზე (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) , რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

აკადემიის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- სპეციალისტის ჩართულობას, რათა მოხდეს თითოეული სტუდენტის საჭიროების დეტალური შეფასება და მათი სასწავლო პროცესში ეფექტური ინტეგრაცია;
- სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს, ადაპტირებულ შრიფტსა და ფორმატს, ვიზუალური აღქმის გამარტივებულ საშუალებებს;
- აკადემიის ინფრასტრუქტურისა და სივრცის მორგებას, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება და სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში;˜
- სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერის გაწევას, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მენტორული დახმარების ორგანიზებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია გაწერილია აკადემიის რექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" მუხლში 32.
- ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც მოიცავს პროცედურების გამარტივებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;
- სხვა დამატებით ღონისძიებებს, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო რესურსების ადაპტაციით კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია ხელმისაწვდომ ფორმატში. აკადემიის ბიბლიოთეკა ვალდებულია უზრუნველყოს: საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული ვერსიების შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მიეწოდება მისთვის მოსახერხებელ ფორმატში; ბეჭდური რესურსების ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ადაპტირება, მათ შორის შრიფტის ზომის და სტილის ოპტიმიზაცია; საგანმანათლებლო რესურსების შინაარსობრივი ადაპტირება, რაც მოიცავს ტექსტების გამარტივებას, ვიზუალური აღქმის ხელშეწყობასა და სხვა შესაბამის ცვლილებებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით.
ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობის ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული პირები შესაძლოა დაიშვან მოდულებზე მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, იმ პირობით, რომ მათი სასწავლო წარმატების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული იქნება შესაბამისი დამატებითი ღონისძიებები.
აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად განავითაროს თავისი უნარები და მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება. ყოველივე ზემო**აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის (2.2.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

.პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 21 სტუდენტს. აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: შემოსავლებში ვაუჩერულ დაფინანსებას, რაც ჯგუფზე ჯამურად შეადგენს 86, 646 ლარს.

ხარჯებში კი:

- ადმინისტრირების ხარჯი;
- პროფესიული მასწავლებლის შრომის ანაზღაურება;
- მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის ხარჯი;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების ხარჯები;
- პრაქტიკის ხარჯი;
- პერსონალის განვითარების/წახალისების ხარჯები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მატერიალური რესურსების განახლების ხარჯები;
- რეკლამისა და საიმიჯო ღონისძიებების ხარჯები;
- დიპლომის/დანართების მომზადება;
- პროგრამის განვითარების ხარჯი;
- კომუნალური ხარჯები, სესხის , ქონების, საპენსიო და სხვა გადასახადი
- სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები

აკადემიის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას.
აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, ინდიკატორის (2.2.1.7) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2025 წლის 7 მაისის N55 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები", (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით)
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის #2/13 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, აკადემიის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მიზნებისათვის ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ვინაიდან სასწავლო პროცესი დაიწყო მიმდინარე წლის ნოემბერში, ამ ეტაპზე პროფესიულ სტუდენტებთან არ ჩატარებულა გამოკითხვები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ პროფესიულ სტუდენტებს მათი მოლოდინების და პროგრამით დაინტერესების მოლოდინების გაანალიზების მიზნით, მიმდინარე ეტაპზე სტუდენტები კმაყოფილები არიან სასწავლო პროცესით, მატერიალურ ტექნიკური ბაზით, მასწავლებელთა კვალიფიკაციით და გამოცდილებით. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამაზე ჩარიცხვამდე მონაწილეობა მიიღეს აკადემიის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებში, საიდანაც გაიგეს დეტალური ინფორმაცია პროგრამის მიზანზე, მიღების წინაპირობაზე, სწავლის შედეგებზე, დასაქმების შესაძლებლობებზე, ასევე სტუდენტებმა პროგრამის შესახებ ასევე მიიღეს ინფორმაცია სოციალური ქსელიდან.

ინდიკატორის (2.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად კოლეჯი მუდმივად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. მონიტორინგი ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში. მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა არგუმენტირებული დასაბუთებით და რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამომდინარე, შესაძლოა შეიცვალოს/დაზუსტდეს შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, თემატიკა, სასწავლო რესურსი. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, დადგინდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინდიკატორის (2.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გამოკითხვის შედეგების ანალიზით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებები.
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის რექტორის 2025 წლის 7 მაისის #2/55 ბრძანებით, მოიცავს მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტებისთვის წარდგენილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის სასწავლო ცხრილი, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორის (2.4.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. აკადემია გეგმავს და ახორციელებს სწავლების პროცესს სტუდენტთა ინდივიდუალური და ჯგუფური საჭიროებების მიხედვით. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ადმინისტრირების, ასევე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის წესები განსაზღვრულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმებით (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით). სასწავლო პროცესის დაწყებამდე ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც სტუდენტებს მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, ასევე მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. პროგრამაში ცვლილებებისა ან მისი გაუქმების შემთხვევაში, აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ალტერნატიულ შესაძლებლობას. აკადემია მუდმივად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე და უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ მხარდაჭერას სწავლების პროცესში. აღნიშნული ფაქტი დადასტურდა როგორც სტუდენტებთან, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. სასწავლო პროცესი ფორმირდება სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გრაფიკით. გამოიყენება ჰიბრიდული სწავლების მეთოდები, რაც ზრდის სწავლების მოქნილობას. პროფესიულ სტუდენტებთან სისტემატურად ტარდება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის შეფასებამდე დამატებითი თემატიკის განმარტებისა და განმტკიცების მიზნით. პროფილით დასაქმებული სტუდენტებისთვის ხორციელდება დარგობრივი კონსულტაციები, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო გარემოში ინტეგრაციას. სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ტარდება ღია შეხვედრები სხვადასხვა საგანმანათლებლო და პროფესიულ საკითხებზე. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ინდიკატორის (2.4.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; (დარგების ნაწილია)

აკადემია აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ თანამედროვე მეთოდებს და შესაბამისს ტექნოლოგიებს. პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და განავითარებენ თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს, მოდულებში გამოყენებულია სწავლების აქტიური მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, სემინარი, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით და სხვა. სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიები შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას. სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც გადამოწმდა აკადემიაში ვიზიტის დროს საბიბლიოთეკო რესურსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემოწმების დროს, რაც გაზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა. ასევე სტუდენტებთან შეხვედრის დროს ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობა, დადასტურდა, რომ სტუდენტები იყენებენ როგორც ელექტრონულ რესურსებს, ასევე ბიბლიოთეკაში არსებულ რესურსებს.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ ინდიკატორის (2.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

აკადემია აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ თანამედროვე სწავლების მეთოდებსა და შესაბამის ტექნოლოგიებს. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა განმარტეს, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაიხედება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმაც დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. ადგილზე ასევე განხორციელდა აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც აისახება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას. კერძოდ, აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 32-ე მუხლი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას, პირობებსა და პროცედურებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს როგორც კონკრეტული პირისთვის, ისე სტუდენტთა ჯგუფისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართული მხარეებია: სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული სტუდენტი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი). შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად მოხსენებითი ბარათით სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ გადაეცემა აკადემიის დირექტორს.

პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების შემთხვევაში, რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან: რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში (თბილისის განყოფილებების შემთხვევაში) ან/და რექტორის მოადგილე (საჩხერის განყოფილება), სასწავლო პროცესის თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის/მოდულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებელი პირები. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფში დამატებით შეიძლება ჩაერთოს სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება პროფესიული სტუდენტის, ხოლო არასრულწლოვანი ან სსსმ/შშმ პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით. სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს მოდულის ან საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტების მოდიფიკაციას ან აკომოდაციას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს, მათ შორის ინფორმაციის შეგროვებას. აღნიშნული ეტაპის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი სხვადასხვა წყაროსა და მეთოდის გამოყენებით აგროვებს ინფორმაციას ისგ/ისპ-ის მოსარგებლე პირის შესახებ, ეცნობა წარმოდგენილ დოკუმენტაციას და უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს სამედიცინო ცნობა ან სხვა შესაბამისი დოკუმენტები, ჩაატაროს კონსულტაციები კომპეტენტურ პირებთან (კანონიერი წარმომადგენელი, სპეციალისტები და სხვ.), ასევე შეაფასოს სტუდენტის პიროვნული ფაქტორები.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასა და საჭიროების შემთხვევაში მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას ამტკიცებს აკადემიის რექტორი. დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების კონტროლს ახორციელებენ სასწავლო პროცესის თანამშრომლები, ხოლო პროცესის მონიტორინგს - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გეგმის განხორციელების ეტაპზე რეგულარულად ფასდება სტუდენტის პროგრესი და საჭიროების შემთხვევაში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კორექტირება.

ინდიკატორის (2.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

დაწესებულებას გაცნობითი პრაქტიკის და საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ დაწესებულებებთან: შპს ორიენტირი, საჯარო სკოლა #190, საჯარო სკოლა #10, საჯარო სკოლა #32, საჯარო სკოლა #43, საჯარო სკოლა # 129, საჯარო სკოლა # 149. ხელშეკრულების თანახმად თითოეული პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს მომსახურება გაუწიოს აკადემიის 90 პროფესიულ სტუდენტს. პარტნიორ ორგანიზაციებში გათვალისწინებულია 2 პროფესიული მოდულის სწავლის შედეგების გატანა.1. გაცნობითი პრაქტიკა და 2. საწარმოო პრაქტიკა.

ხელშეკრულება გულისხმობს მხარეებს შორის ურთიერთ თანამშრომლობას და მიზნად ისახავს პრაქტიკული კომპონენტის გავლის, დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობის მოძიებაში პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობას, პრაქტიკის განხორციელებისთვის საკადრო რეზერვის შექმნას და მისი სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, იმისთვის, რომ აკადემიის პროფესიულ სტუდენტებს მიეცეთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობა პრაქტიკაში გამოსცადონ მიღებული თეორიული ცოდნა და უნარები და პრაქტიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მოემზადონ მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის.
ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის კომპონენტის ერთ-ერთ განმახორციელებელს და დაათვალიერეს მის დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება. გასაუბრებიდან და ვიზუალური დათვალიერებიდან დადგინდა, რომ დაწესებულება აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკურად სათანადოდ და დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. პრაქტიკის ობიექტები მზად არიან პრაქტიკული კომპონენტის შესწავლის მიზნით მომსახურება გაუწიოს აკადემიის პროფესიულ სტუდენტებს.
ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით, პროფესიული სტუდენტების ინტერვიუირებით, აკადემიის ვებგვერდზე პარტნიორი ორგანიზაციების კოლეჯში ვიზიტების, სტუდენტებთან შეხვედრების ამსახველი განთავსებული ფოტომასალით.
ინდიკატორის (2.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
აკადემიის შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ, სრულ სამუშაო/სასწავლო სივრცეში შეფასებულია რისკები და შემუშავებულია პრევენციული ღონისძიებები, ხორციელდება რისკების გეგმისა და სასწავლო/სამუშაო გარემოს სისტემატური მონიტორინგი. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ლაბორატორიებით მუშაობის წესები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უსაფრთხოდ მუშაობის წესი კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ქიმიის ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები, პირველადი დახმარების წესი ქიმიურ ლაბორატორიაში, სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების მართვის წესი. აკადემიას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შპს სანიტართან ნარჩენების გადამუშავების და უტილიზაციის მომსახურების მიღების მიზნით.
ინდიკატორის (2.4.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო გეგმა;*
- *კალენდარული გეგმები;*
- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები;*
- *სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგები;*
- *გაფორმებული პრაქტიკის მემორანდუმები;*
- *კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები;*
- *ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესები;*
- *სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების მართვა;*
- *პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში.*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ექსპერტული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. აღნიშნული მექანიზმები რეგლამენტირებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 39-ე მუხლით, რომელიც განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურებს.

დადგენილი წესის თანახმად, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება ხორციელდება ორ ეტაპად: ინსტრუმენტის შექმნა და მისი ვალიდაცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროფესიული სტუდენტების შეფასებისთვის გამოიყენება შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა შემუშავებაში ჩართული არიან პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილე პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები. შეფასების ინსტრუმენტები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მოდულების შედეგების სრულფასოვან დაფარვას.

ექსპერტული შეფასებით, შეფასების ინსტრუმენტებში დაცულია დაბალანსებულობის პრინციპი - ისინი გონივრული პროპორციით მოიცავს როგორც პროფესიულ/დარგობრივ კომპეტენციებს, ასევე ტრანსფერული უნარების შეფასების კომპონენტებს. ამასთან, ინსტრუმენტები არის განახლებადი და პასუხობს დარგის განვითარების ტენდენციებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს მათი რელევანტურობას.

შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს და მიზნად ისახავს ინსტრუმენტების ვალიდურობის, რელევანტურობისა და საკმარისობის დადასტურებას. ვალიდაცია ხორციელდება როგორც ახალი შეფასების ინსტრუმენტის შექმნისას, ასევე არსებულში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში და პერიოდულად შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესშიც. ვალიდაციის ფარგლებში მოწმდება ინსტრუმენტების როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან.

შეფასების პროცესის სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია შეფასების მკაფიო კრიტერიუმებითა და ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენებით, რაც გამორიცხავს სუბიექტურობას. გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, პროფესიული სტუდენტები წინასწარ იღებენ სრულ ინფორმაციას შეფასების სისტემის, კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ.

შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე და პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი (summative), ისე განმავითარებელი (formative) შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება საბოლოო შედეგების დასადგენად, ხოლო განმავითარებელი შეფასება - სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისა და უკუკავშირის უზრუნველსაყოფად.

გასაუბრებებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯი მიზანმიმართულად ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე. აღნიშნული გამოიხატება მასწავლებელთათვის შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ტრენინგების სისტემატურ ჩატარებაში, აგრეთვე ყველა შეფასების ინსტრუმენტის სავალდებულო ვალიდაციის პრაქტიკაში.

გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესებს და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ აღნიშნული შესაძლებლობებით. ამასთან, ექსპერტული ჯგუფის მიერ აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის ნოემბერში დაწყების გამო, მოცემულ ეტაპზე ვერ მოხერხდა პროფესიულ სტუდენტებთან შეფასების პროცესის პრაქტიკული განხორციელების სრულად გადამოწმება სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ ისინი ფლობენ სრულ ინფორმაციას შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცედურების შესახებ და პროგრამის განხორციელების ეტაპზე უზრუნველყოფენ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და მათ ვალიდაციას დადგენილი წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის (2.4.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) . ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები აისახება ანგარიშში, რომელიც დადგენილი წესით ეცნობება დაინტერესებულ პირებს/ მხარეებს. დაწესებულებამ აღნიშნული პროცესების პრაქტიკაში მოქმედების მიზნით წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ . აღნიშნული ბრძანების მიხედვით დგინდება, რომ ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყო როგორც დარგის, ასევე განათლების მოწვეული ექსპერტი. აკადემიის მიერ დამტკიცებული რისკების სისტემა შესაბამისობაშია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილ რისკებთან. დამატებით, ხარისხის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი 2025 წლისთვის, რაც მიუთითებს პროცესის სისტემურ ხასიათსა და წინასწარ დაგეგმილ მიდგომაზე.

ინდიკატორის (2.4.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

აკადემიის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში:

შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში.

შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე, საქმისმწარმოებელი კი საქმისწარმოების წესის შესაბამისად (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 21.12.2021 წლის N2/167 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ბრძანება N2/71 (22.05.2025)) პირადი საქმეების საწარმოებლად, ხოლო პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო დგება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომლის მუხლი 41 არეგულირებს შეფასების მტკიცებულების შენახვის და განკარგვის წესს.
სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს. რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც პასუხისმგებელია გასანადგურებელი მტკიცებულებების იდენტიფიცირებაზე. პროცესის დასრულების შემდეგ კომისია ამზადებს შესაბამის ოქმს, რომელიც ასახავს განხორციელებული საქმიანობის დეტალურ აღწერას და ადასტურებს მტკიცებულებების განადგურების ფაქტს. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები პორტფოლიოში ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ინდიკატორის (2.4.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
აკადემია პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ მეთოდებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი კომპეტენციების განვითარება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. პროფესიული მასწავლებლები რეგულარულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში სტუდენტებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ შემდგომი განვითარების გეგმების ჩამოყალიბებაში და სწავლების მიდგომების გაუმჯობესებაში.
შესრულებული სამუშაოების უკუკავშირი და შეფასების შედეგების ანალიზი ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ ახალი ინიციატივებისა და მეთოდების დანერგვას. პროფესიული სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საკუთარი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესახებ, ხოლო აკადემია უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების გამოყენებას სწავლების პროცესის დახვეწისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საჭიროების განსაზღვრისთვის.
დაწესებულებაში გამოყენებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია ციფრულ პლატფორმასთან და აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს. პლატფორმა უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწრაფ უკუკავშირს მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და სტუდენტს შორის, ხოლო პერსონალური მონაცემები დაცულია, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ეფექტურ განვითარებას.

ინდიკატორის (2.4.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- უწყისების აღრიცხვის ჟურნალი;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/218 დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. თბილისის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმებით (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი (თბილისი-საჩხერე) 2025 წელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00008670 07/06/2025;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00020347 24/10/2025;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/18225.10.2023 „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. საჩხერის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“ .

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

II. ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	თბილისი - 21.05.2025 წლის რექტორის N2/67 ბრძანება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი - გურამ ქუთათელაძის I, გასასვლელი N10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	საჩხერე - 14.05.2024 წლის რექტორის ბრძანება N2/54

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	საჩხერე - ივანე გომართელის ქ.N50ა, 52
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის დამატების „მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი“, რომლის ფარგლებში დეტალურად და არგუმენტირებულად არის წარმოდგენილი პირველადი და მეორადი კვლევის შედეგები სათანადო წყაროების მითითებით, მათ შორის: საერთაშორისო და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნის ანალიზი, პოტენციური დამსაქმებლებისა და პროფესიული სექტორის წარმომადგენლებისგან მიღებული უკუკავშირი, ასევე დასაქმების პლატფორმების მონაცემთა მიმოხილვა.

შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას“ შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებულია რექტორის 25.08.2025 წლის №2/130 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს აკადემიის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს, ხოლო მათი შემუშავებისა და განხორციელების გადაწყვეტილება შეიძლება ეფუძნებოდეს როგორც პირველადი, ისე მეორადი წყაროების ანალიზს. აღნიშნული დოკუმენტი ასევე აწესრიგებს პროგრამის დამატების ინიცირების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს, განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, მათ ფუნქციებს, აგრეთვე პროგრამაში ცვლილებების შეტანის, გაუქმებისა და განვითარების მექანიზმებს.

ფარმაციის სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადებისა და დასაქმების მნიშვნელობა საერთაშორისოდ აღიარებულია. არაერთი საერთაშორისო კვლევა მიუთითებს, რომ კვალიფიციური ფარმაცევტების მომზადება პირდაპირ კავშირშია ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობასთან, პაციენტთა უსაფრთხოებასთან და მედიკამენტების მართვის ხარისხთან. აღნიშნული ტენდენციების შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნები აქტიურად ახორციელებენ ფარმაცევტთა განათლებისა და კვალიფიკაციის განვითარების პოლიტიკას, რაც მიზნად ისახავს ჯანდაცვის სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფას. დაწესებულებამ დამატებით ჩაატარა მიზნობრივი კვლევა გლდანი-ნაძალადევის რაიონში არსებული 38 საოფთიაქო ქსელის ფარგლებში და საჩხერის რეგიონში, რომლის შედეგებმაც დაადასტურა ფარმაცევტის პროფესიაზე მაღალი მოთხოვნა. პროგრამის განხორციელება შეესაბამება აკადემიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისიას, პროფილსა და სტრატეგიულ მიზნებს. აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ სტრატეგიულ მიზანში (ინსტიტუციური განვითარება) ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრულია საგანმანათლებლო მომსახურების გაფართოება შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის ეტაპობრივ განვითარებას.

მისიიდან და სტრატეგიიდან გამომდინარე, დაწესებულება პოზიციონირებულია, როგორც მრავალპროფილური კოლეჯი, რომელიც ორიენტირებულია შრომის ბაზარზე დეფიციტური მიმართულებების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ სრულად პასუხობს აღნიშნულ მიდგომას და მიზნად ისახავს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ეფექტიან რეაგირებას, ფარმაცევტული მომსახურების სფეროში კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსის განვითარებას, ასევე უსაფრთხო და პაციენტზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფას.

პროგრამის დანერგვა შეესაბამება როგორც რეგიონულ და ეროვნულ შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ისე სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ დარგობრივ პრიორიტეტებს, რაც ასახულია ჯანდაცვისა და ფარმაცევტული სექტორის განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებში. მისი განხორციელება გამართლებულია ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელობითა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი პოტენციალით.

დაწესებულების ხედვაა დამსაქმებელზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის მეშვეობით. ფარმაციის პროგრამა უშუალოდ ემსახურება ამ ხედვას, რადგან ფარმაცევტის პროფესია მოითხოვს მაღალ პრაქტიკულ კომპეტენციებს, მედიკამენტური მომსახურების ხარისხიან უზრუნველყოფასა და პაციენტის უსაფრთხოების დაცვის პრინციპებზე დაფუძნებულ საქმიანობას.

ამასთან, კოლეჯს აქვს მჭიდრო თანამშრომლობა ფარმაცევტულ კომპანიებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული როგორც სასწავლო პრაქტიკების ორგანიზებაში, ისე კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცესში, რაც პროგრამის განხორციელებისთვის ქმნის მდგრად და პრაქტიკაზე ორიენტირებულ საფუძველს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავებულია ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავების დოკუმენტაციით.

ინდიკატორის (2.1.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის #2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ადგენს პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას, მათ შორის პროგრამაზე მიღების გამოცხადებას, აპლიკანტებთან გასაუბრებას და პროგრამაზე ჩარიცხვას, ასევე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებას.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას განსაზღვრულია გასაგები და დასაბუთებული დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევადობას განსაზღვრულ ვადებში. პროგრამაზე მიღების ძირითადი კრიტერიუმია სრული ზოგადი განათლების ქონა, რაც შეესაბამება მოქმედ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს. აღნიშნული წინაპირობა ხელს უწყობს იმ კანდიდატთა შერჩევას, რომელთაც გააჩნიათ საწყისი საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც პროგრამის ეფექტურად ათვისების წინაპირობაა. ჩარიცხვის პროცედურები დეტალურად გაწერილია აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში“ და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროცესი განხორციელდება აპლიკანტების მიერ საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და თანასწორობას. შეფასებისას მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის დაწესებულება ითვალისწინებს მათ შესაძლებლობებზე მორგებულ მიდგომას. რეგიონის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დაწესებულება ჩარიცხვის მნიშვნელოვან წინაპირობად აყენებს ქართული ენის ცოდნას. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები რაციონალურად განსაზღვრულია და სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და სასწავლო შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატორის (2.1.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მუხლი 5-ით, რომელიც ადგენს პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესს. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს ყველა იმ კრიტერიუმს, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად და უწყვეტ განხორციელებას, პროგრამის სპეციფიკისა და საჭირო რესურსების გათვალისწინებით.
ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის ანალიზისა და აკადემიის ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ დოკუმენტი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (საფთიაქო) – კონტიგენტის განსაზღვრა“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოიცავს პროგრამის კონტიგენტისთვის აუცილებელ რესურსებს და სრულად შეესაბამება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.
პროგრამის განხორციელებისთვის აკადემიას გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან და ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მასწავლებლები.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აკადემიის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის სრულად დასაბუთებული, რეალისტური და შესაბამისობაშია დაწესებულების შესაძლებლობებთან.
ინდიკატორის (2.1.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ერთვის დანართი №3-ის სახით წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალს. აღნიშნული რესურსების რელევანტურობა დადასტურებულია ექსპერტთა შეფასებით, რომელიც ეფუძნება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზს, ასევე პროგრამის განმახორციელებელ პირთა და პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიუების შედეგებს. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა სათანადოდ არის უზრუნველყოფილი მის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსებით.
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არის უზრუნველყოფილი, როგორც თბილისში ასევე საჩხერეში, დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსებით, მათ შორის სასწავლო საწარმოსა და პრაქტიკის ობიექტის რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
საგანმანათლებლო პროგრამითა და მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკაში (თბილისსა და საჩხერეში), დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.
ინდიკატორის (2.1.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის (2.1.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ფარმაცია (სააფთიაქო)** - რომლის განხორციელებაც იგეგმება თბილისში **დამტკიცებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის 21.05.2025 წლის რექტორის N2/67 ბრძანებით.** ბოლო ცვლილება განხორციელებულია აკადემიის რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N2/131 ბრძანებით ხოლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება საჩხერეში დამტკიცებულია **ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 21.06.2024 წლის N2/82 ბრძანებით.** ასევე წარმოდგენილი წესდებით იკითხება, რომ აკადემიის რექტორი, როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, უფლებამოსილია დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამები და მათში შესატანი ცვლილებები.

.ინდიკატორის (2.1.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **ფარმაცია (სააფთიაქო),** საგანმანათლებლო სტანდარტის ჩარჩო დოკუმენტის პროფესიული სპეციალიზაციის სახელწოდების იდენტურია და სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა არის ფარმაცია (სააფთიაქო), Pharmacy. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორის (2.1.1.7) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ფარმაცია (სააფთიაქო)“ იდენტურია საგანმანათლებლო სტანდარტის ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრული პროფესიული სპეციალიზაციის სახელწოდებისა და სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის საფუძველზეც შემუშავდა პროგრამა, არის „ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy“.

საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტის მინიჭების წესი, კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, ასევე ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმები (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი), მოდულები, ასევე ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროგრამის დოკუმენტაციის ანალიზისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესების სრული დაცვით.

აკადემიის ადმინისტრაციასთან გამართული გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამა შეიქმნა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც აერთიანებდა პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ პირებსა და ადმინისტრაციის შესაბამის წარმომადგენლებს. პროგრამის შემუშავების პროცესი ეფუძნებოდა თანამშრომლობასა და კონსულტაციებს, რაც უზრუნველყოფდა მისი შინაარსის შესაბამისობას პროფესიული განათლების სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი - „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს №2/130 ბრძანებით), რომელიც მოიცავს შემდეგ მუხლებს:

- მუხლი 2 - პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენა და შემუშავების პროცედურა;
- მუხლი 3 - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურა;
- მუხლი 4 - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, შეცვლა და გაუქმება.

აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროგრამაში ყოველწლიურად ხორციელდება მიზნობრივი ცვლილებები მისი უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად.

პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით სისტემატურად ტარდება პროგრამის განმახორციელებელ პირთა სამუშაო შეხვედრები, რომელთა ფარგლებში განიხილება დარგში არსებული სიახლეები და ცვლილებები. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსისა და სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსების მუდმივ შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებსა და ტენდენციებთან. განხორციელებული ცვლილებები ძირითადად ეხება საგანმანათლებლო რესურსების განახლებასა და სწავლების თემატიკის მოდიფიცირებას.

პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - „ფარმაცია (საფთიაქო) / Pharmacy“ (სარეგისტრაციო №09110-პ) საფუძველზე. დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი კომპონენტები:

- პროგრამის სახელწოდება და მიზნები;
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- მისაღწევი სწავლის შედეგები;
- შეფასების მიმართულებები;
- პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა;
- სწავლების მეთოდოლოგია;
- პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები.

მოდულთა სტრუქტურაში გათვალისწინებულია ქართული ენის სწავლების მოდულები (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების მომზადება ქართულ ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვნად დასაძლევად. ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებისთვის სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით, რის შედეგადაც პროგრამის საერთო მოცულობა შეადგენს 150 კრედიტს, მათ შორის:

- „ქართული ენა A2“ - 15 კრედიტი;
- „ქართული ენა B1“ - 15 კრედიტი.

ინდიკატორის (2.1.1.8) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის #2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- *პროგრამა „ფარმაცია(საფთიაქო”-* (დამტკიცდა 21.05.2025 წლის რექტორის N2/67 ბრძანებით. ხოლო ბოლო ცვლილება განხორციელდა რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N2/131 ბრძანების საფუძველზე);
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია((დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.
- აკადემიის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორისს მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ თეორიულ კომპონენტს ახორციელებს ქალაქ თბილისში, გ. ქუთათელაძის ქ. №1, გასასვლელი №10-ში მდებარე შენობაში. აღნიშნულ მისამართზე კოლეჯს განთავსებული აქვს სწავლებისათვის სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო სივრცეები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის ეფექტიან განხორციელებას.

სასწავლო გარემო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

თბილისი

პროგრამის განხორციელების მიზნით კოლეჯს თბილისში გააჩნია შემდეგი ტიპის სასწავლო გარემო:

A ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის მაგიდები (30 პროფესიულ სტუდენტზე), პროფესიული სტუდენტის სკამები (30 ც.), პროფესიული მასწავლებლის მაგიდა (1 ც.) და სკამი (1 ც.), პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერის კომპლექტი (1 ც.), დემონსტრირების საშუალება (1 ც.) და დაფა (1 ც.).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

B ტიპის სასწავლო გარემო (ზოგადი მოდულებისთვის) აღჭურვილია: პროფესიული მასწავლებლის მაგიდა (1 ც.) და სკამი (1 ც.), პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერის კომპლექტი (1 ც.), პროფესიული სტუდენტების სამუშაო ადგილები კომპიუტერის კომპლექტებით (30 ც.), დემონსტრირების საშუალება (1 ც.), დაფა (1 ც.), პრინტერი (კომბაინი) (1 ც.) და ფლეშმეხსიერება (1 ც.). აღნიშნული სივრცე გამტარუნარიანია მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება“ განხორციელებისათვის, რაც დადასტურებულია ექსპერტთა შეფასებით.

A/C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც მოიცავს ორ სივრცეს - ლაბორატორიასა და იმიტირებულ აფთიაქს:

- **A/C 1 – ქიმიურ-ბიოლოგიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია**, აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის მაგიდები (36 პროფესიულ სტუდენტზე), პროფესიული სტუდენტის სკამები (36 ც.), პროფესიული მასწავლებლის მაგიდა (1 ც.) და სკამი (1 ც.), პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერის კომპლექტი (1 ც.), დემონსტრირების საშუალება (1 ც.), დაფა (1 ც.) და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალური რესურსები და აღჭურვილობა.
- **A/C 2 – ფარმაცევტული ლაბორატორია (სიმულაციური აფთიაქი)**, აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის მაგიდები (36 პროფესიულ სტუდენტზე), პროფესიული სტუდენტის სკამები (36 ც.), პროფესიული მასწავლებლის მაგიდა (1 ც.) და სკამი (1 ც.), პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერის კომპლექტი (1 ც.), დემონსტრირების საშუალება (1 ც.), დაფა (1 ც.) და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალური რესურსები და აღჭურვილობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, აკადემიას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი შპს „პსპ“-თან (2025 წლის 15 მაისი, №5/75), რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2031 წლის 1 იანვრამდე. მემორანდუმი ითვალისწინებს ერთდროულად 150 პროფესიული სტუდენტის მიღებას საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (ორი წლის განმავლობაში), კვირაში 5–6 დღის დატვირთვით. პროფესიული/დარგობრივი მოდულების (8 მოდული) დასახელება და მოცულობა მოცემულია მემორანდუმის დანართ №1-ში.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯს ქ. თბილისში გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ორგანიზაციული რესურსი და პარტნიორული ქსელი, რაც საშუალებას აძლევს ეფექტიანად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“.

ქ. საჩხერე

2023 წელს ქ. საჩხერეში ივანე გომართელის N50ა/52 -ში ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ ააშენა საგანმათლებლო ჰაბი, რომლის ფართობი შეადგენს 2900 მ²-ს. შენობა აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ტექნიკითა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსით. გარდა სასწავლო კორპუსისა აშენდა პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელიც, რომელიც გაზრდის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის ფართის ცვლილების საფუძველს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოადგენს სწორედ პროფესიულ სტუდენტებისა და პერსონალისთვის ახალი და თანამედროვე სასწავლო და სამუშაო პირობების შეთავაზება. ფარმაცევტულ პროფესიებზე, ქვეყანაში სტაბილურად მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება – როგორც კერძო აფთიაქებში, ისე წამყვან ფარმაცევტულ ქსელებში.

ფარმაცია(სააფთიაქო) პროგრამას კოლეჯი 2024 წლიდან ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში საშემოდგომო მიღებაზე დარეგისტრირდა 60 ადგილზე

არსებითად მეტი მსურველი (85) რაც აღემატება მოქმედ კვოტას. შპს ,,ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემია " საგანმანათლებლო საქმიანობას „ფარმაცია(სააფთიაქო)"ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქ საჩხერეში ივანე გომართელის N50ა/52 -ში მდებარე შენობა - ნაგებობაში, სადაც შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ „ფარმაცია(სააფთიაქო)"ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აკადემიას საკუთრებაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას. A, B და C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამებით/მოდულებით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა. აკადემიას აქვს:

1.სასწავლო გარემო A/C 1 - ქიმიური/ბიოლოგიური/ტექნოლოგიური ლაბორატორია (პროფესიული სტუდენტის მაგიდა 31 პროფესიულ სტუდენტზე, პროფესიული სტუდენტის სკამი - 31 ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;დემონსტრირების საშუალება - 1 ც; დაფა - 1ც) პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები, აღჭურვილობა- გარემოში დამონტაჟებული სპეციალური გამწოვი მოწყობილობა სპეციალური სამუშაო მაგიდით, რომელიც ცდის ჩატარების პროცესში (კერძოდ, აირადი ნივთიერებების, ორთქლის, შეწონილი ნაერთების, მავნე, მომწამლავ და მბოლავ, ადვილად აალებად ნივთიერებებთან მუშაობისას) უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტის და პროფესიული მასწავლებლის უსაფრთხო გარემოს შექმნას. ასევე კონდენციონერი და მაშრობი კარადა. ლაბორატორიულ სამუშაოებზე შესაძლებელია იმუშაოს 30-მა პროფესიულმა სტუდენტმა. შესაბამისად, ერთდროულად შესაძლებელია 60 სტუდენტის სწავლება სწორად შედგენილი სასწავლო გეგმის, აუდიტორიების რაოდენობის და ფართის გათვალისწინებით.

2.დარგობრივი AC - სასწავლო გარემო - C 2 ფარმაცევტული ლაბორატორია(სიმულაციური აფთიაქი); (პროფესიული სტუდენტის მაგიდა 31 პროფესიულ სტუდენტზე, პროფესიული სტუდენტის სკამი - 31 ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; დაფა - 1ც) პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები, აღჭურვილობა, სასწავლო პლაკატებით.

3.სასწავლო გარემო - (პროფესიული სტუდენტის მაგიდა 30 პროფესიულ სტუდენტზე, პროფესიული სტუდენტის სკამი - 30 ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; დაფა -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1ც;პრინტერი(კომბაინი) 1ც; ფლეშ მეხსიერება 1ც); B სასწავლო გარემოში ხორციელდება მოდული ინფორმაციული წიგნიერება, თითოეულ პროგრამაზე მოდულის მოცულობის მიხედვით გარემოს დატვირთვა შეადგენს 5%.

პროგრამა დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის21.06.2024 წლის N2/82 ბრძანებით.

ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერეს, „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროგრამისათვის გათვალისწინებული სასწავლო ფართები და მის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი. დარგის ექსპერტის მიერ კი გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების ფლობა და მდგომარეობა.

„ფარმაცია სააფთიაქოს“ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის ნაწილის A/C გარემოში განსახორციელებლად საჭიროა ლაბორატორია აღჭურვილია **ინვენტარით:** გრადუირებული გამზომი ცილინდრები - სხ|სხ ტევადობის, ხელის და ტექნიკური სასწორები - საწონებით, შტანგლასები, კოლბები, როდინები სასრესით, ფსიქრომეტრი, ბარომეტრი, ანემომეტრი და სხვა ქიმიური ჭურჭელი.

თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოკრული უსაფრთხოების მანიშნებელი და უბედურ შემთხვევის დროს პირველადი დახმარების წესები,

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში განკუთვნილია პროფესიული სტუდენტისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პრაქტიკის ბაზების დათვალიერება არ მოხერხდა, რადგან პროგრამის ხელმძღვანელები წარმოადგენდნენ დამსაქმებლებს, ასევე არიან პრაქტიკის ობიექტზე მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირები . გასაუბრებისას დადასტურდა პრაქტიკული ობიექტების მზაობა სტუდენტის მიღებაზე. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კონტიგენტი განისაზღვრება 120 პროფესიული სტუდენტით, რაც შესაბამისობაშია აკადემიის მატერიალურ რესურსებთან.

საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია სააფთიაქო) ითვალისწინებს რვა პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია:

1. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ (2 კრედიტი)
2. „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“ (4 კრედიტი)
3. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“ (2 კრედიტი)
4. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“ (3 კრედიტი)
5. „მომხმარებლისათვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“ (3 კრედიტი)
6. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“ (2 კრედიტი)
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა“ (2 კრედიტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ მეხუთე სწავლის შედეგი (1 კრედიტი).

იმერეთის რეგიონში ამ ეტაპისთვის მოქმედი აფთიაქებია:

1. ჯიპისი (GPC) - 8 აფთიაქი ;
2. პსპ (PSP) 42 აფთიაქი;
3. შპს "ავერსი-ფარმა" (Aversi)-ს 53 აფთიაქი ;
4. ფარმადეპო (pharmadepot) - 27 აფთიაქი;
5. იმპექსის - 23 აფთიაქი;
6. არაბრენდული 78 აფთიაქი.

ქ. ჭიათურაში პსპ -ს 2; ავერსის 4; იმპექსის 2 და არაბრენდული 8 აფთიაქია, ხოლო ქ. საჩხერეში პსპ -ს 2ა; ავერსის 3; იმპექსის 1 და არაბრენდული 8 აფთიაქია. კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა მაღალია ყველა ქალაქში.

განვითარებული ინფრასტრუქტურა:

- საგანგებოდ მოწყობილი და სრულად აღჭურვილი სასწავლო სივრცეები;
- სასწავლო ლაბორატორიები, იმიტირებული აფთიაქის მოდელი, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე დარგობრივ სტანდარტებს;
- საკუთარი საერთო საცხოვრებელი, რაც შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა რეგიონიდან/სოფლებიდან ჩამოსულ მსურველებს იურიდიულად და ფიზიკურად დაცულ გარემოში მიიღონ განათლება.

პროგრამის განხორციელებისათვის აკადემიას გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი: **შპს.,პსპ ,ფარმა“სთან -** მემორანდუმი (2024 წ./01 10.05.24წ.-01.01.2030წ.),ხოლო 2025წლის 12.03-ს გაფორმდა წინამდებარე შეთანხმება შემდეგზე, რომლის თანახმად, მზად არის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საჩხერისა და ჭიათურაში სააფთიაქო ქსელში (2+2 აფთიაქი) ყოველ მიღებაზე ერთდროულად მიიღოს 120 სტუდენტი.

ექსპერტებმა შეისწავლეს აღნიშნული თანამშრომლობის მემორანდუმი და განახორციელეს გასაუბრება პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არის სრულად უზრუნველყოფილი პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტი თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ინდიკატორის (2.2.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელების მიზნით კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი განმახორციელებელი პირი. სასწავლო გეგმისა და გაფორმებული წინარე ხელშეკრულებების ანალიზის საფუძველზე, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.
თბილისში მასწავლებელთა საერთო რაოდენობიდან 12 ახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 16 - პროფესიულ მოდულებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ისეთ განაწილებას, რომელიც იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას და არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს.
საჩხერეში -ზოგადი მოდულების განმახორციელებლები - 9 პროფესიული მასწავლებელი, ქართული ენის მოდულზე - 3 პროფესიული მასწავლებელი პროფესიული მოდულების განმახორციელებლები - 19 პროფესიული მასწავლებელი წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართული გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ დარგობრივ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი.
ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაცია, შრომითი დატვირთვა და ჩართულობა აკადემიის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებელს გააჩნია შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლება და სამუშაო გამოცდილება, ფლობს პროგრამის მიზნების მისაღწევად აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს, ხოლო მათი კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი დიპლომებით, სერტიფიკატებითა და პრაქტიკული გამოცდილებით.
ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს მასწავლებელთა დატვირთვის ბადე არა მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ფარგლებში, არამედ პარალელურად მიმდინარე სხვა პროგრამებზეც (მაგალითად, „საექთნო განათლება“). დადასტურდა, რომ ერთსა და იმავე პროფესიულ განათლების მასწავლებლებს შესაძლებელია ჰქონდეთ დატვირთვა რამდენიმე პროგრამაზე ისე, რომ ეს არ არღვევს მოქმედ კანონმდებლობას და არ ზღუდავს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას. შედეგად დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსი სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობითა და შესაბამისი სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მასწავლებელთა რაოდენობა, მათი დატვირთვა და კვალიფიკაცია უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობასა და პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევას, გაზრდილი კვოტის ფარგლებში - 150 პროფესიული სტუდენტისთვის.
ინდიკატორის (2.2.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი თავისი საქმის პროფესიონალია, კარგად იცნობს მოდულს, ზოგი მათგანი ჩართული იყო აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში და შეფასების ინსტრუმენტების ბანკის შექმნის სამუშაოებშიც, რაც დასტურდება მათი დოკუმენტაციით და გამოკითხვის შედეგებით. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.
ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ყველა მათგანი არის კვალიფიციური და გამოცდილი, პროფესიული განათლების მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობას იღებენ მოდულების ადაპტირებაში. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია, სწავლების და ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება, მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. გავლილი აქვთ როგორც აკადემიის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და ა(ა)იპ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის კუთხით.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კოლეჯი მუდმივად მართავს შეხვედრებს სწავლის შედეგებისა და შეფასების კომპეტენციის გაძლიერების მიზნით. ასევე კოლეჯი უზრუნველყოფს მასწავლებლების ჩართულობას სხვა დაწესებულებების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში. წარმოდგენილი პირადი საქმეებითა და ინტერვიუირების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას, რაც დასტურდება პირადი საქმეების გადამოწმებით, ჩატარებული სწავლებებით, სერთიფიკატებით, დიპლომებით და გასაუბრებებით.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ინდიკატორის (2.2.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ორივე ლოკაციაზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ხელმძღვანელად შერჩეულნი არიან პირები, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი დარგობრივი და აკადემიური კომპეტენცია და რომლებიც წარმოადგენენ დარგის მოქმედ სპეციალისტებს. პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში.

კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები, რომლებშიც განსაზღვრულია მათი ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელებთან გამართული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ხელმძღვანელები ფლობენ შესაბამის დარგობრივ განათლებას, წარმოადგენენ დარგის ექსპერტებს და აქვთ დარგობრივი საქმიანობისა და სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება მათი შესაბამისობა მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებისადმი, ასევე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან.

საჩხერეში - პროგრამის ხელმძღვანელი ჩართული იყო როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ასევე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში; პერიოდულად ესწრება სასწავლო პროცესს, კომპეტენციის ფარგლებში და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით; მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე.

ინდიკატორის (2.2.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია აკადემიის ორივე ლოკაციის ბიბლიოთეკაში და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში, ასევე დარგობრივი კაბინეტების კომპიუტერებში.

დაწესებულების ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio“, რაც ხელს უწყობს სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდას. დამატებით, ვებ-გვერდზე განთავსებულია ელექტრონული რესურსები, რაც ასევე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიღწევადობას როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად.

საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა პროფესიულ სტუდენტს დამოუკიდებლად იმუშაოს, მოიძიოს საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის მომსახურეობა. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები, რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში, მათი უმრავლესობა ასევე გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე.

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები - ხელმისაწვდომია პროგრამის ხელმძღვანელისთვის და პერსონალისთვის პირადი ავტორიზებული მომხმარებლების სახით სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“(www.matsne.gov.ge) საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემაში. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს განმახორციელებელ პირების ინფორმირებას განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ინდიკატორის (2.2.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სსსმ და შშმ პირების ჩართვის პროცედურები, როგორც განსაზღვრულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლი 32), უზრუნველყოფს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებსა და საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას. დაწესებულება უზრუნველყოფს როგორც დამხმარე ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას, ისე სასწავლო რესურსების ადაპტირებას შინაარსობრივ ან ვიზუალურ დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარდაჭერის ღონისძიებები (დაცვის სპეციალისტის დახმარება, ადმინისტრაციის კონსულტაცია, ბიბლიოთეკარის მომსახურება) უზრუნველყოფს სსსმ და შშმ პირების შეუფერხებელ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მოქმედებები სრულად აკმაყოფილებს შესაბამის საკანონმდებლო და სტანდარტულ მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებას ყველა სტუდენტისთვის, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის (2.2.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

.პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 21 სტუდენტს. აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: შემოსავლებში ვაუჩერულ დაფინანსებას, რაც ჯგუფზე ჯამურად შეადგენს 86, 646 ლარს.

ხარჯებში კი:

- ადმინისტრირების ხარჯი;
- პროფესიული მასწავლებლის შრომის ანაზღაურება;
- მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის ხარჯი;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების ხარჯები;
- პრაქტიკის ხარჯი;
- პერსონალის განვითარების/წახალისების ხარჯები;
- მატერიალური რესურსების განახლების ხარჯები;
- რეკლამისა და საიმიჯო ღონისძიებების ხარჯები;
- დიპლომის/დანართების მომზადება;
- პროგრამის განვითარების ხარჯი;
- კომუნალური ხარჯები, სესხის , ქონების, საპენსიო და სხვა გადასახადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები

აკადემიის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას.
აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, ინდიკატორის (2.2.1.7) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები;
- მემორანდუმი გაფორმებული პსპ -თან 15 მაისი 2025წ; 5/75 ;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულება, შეთანხმება #3/206-1, 19.05.2025;
- დანართი 2. ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ (გარდა მასალებისა და ნედლეულისა);
- მატერიალური რესურსის ფორმა -დანართი 3 ;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- წიგნების ელექტრონული კატალოგი ;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ- დანართი2;
- სასწავლო გეგმა;
- ვიზუალური დათვალიერება.
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის #2/13 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დაწესებულების პარტნიორებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, აღნიშნულის გარდა, აკადემიაში ხარისხის მართვის სისტემის პროცესების მართვა ხორციელდება ***ISO 90012015 -ის მოთხოვნებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად*** და მისი შენარჩუნება ხდება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის ჩატარებითა და ხელმძღვანელობის მხრიდან არსებული მდგომარეობის გაანალიზებით ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ შესაბამისი პროცესების შეფასების შედეგებით.

საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, აკადემიის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მიზნებისათვის ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ვინაიდან სასწავლო პროცესი დაიწყო მიმდინარე წლის ნოემბერში, ამ ეტაპზე პროფესიულ სტუდენტებთან არ ჩატარებულა გამოკითხვები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ პროფესიულ სტუდენტებს მათი მოლოდინების და პროგრამით დაინტერესების მოლოდინების გაანალიზების მიზნით, მიმდინარე ეტაპზე სტუდენტები კმაყოფილები არიან სასწავლო პროცესით, მატერიალურ ტექნიკური ბაზით, მასწავლებელთა კვალიფიკაციით და გამოცდილებით. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პროგრამაზე ჩარიცხვამდე მონაწილეობა მიიღეს აკადემიის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებში, საიდანაც გაიგეს დეტალური ინფორმაცია პროგრამის მიზანზე, მიღების წინაპირობაზე, სწავლის შედეგებზე, დასაქმების შესაძლებლობებზე, ასევე სტუდენტებმა პროგრამის შესახებ ასევე მიიღეს ინფორმაცია სოციალური ქსელიდან.

ინდიკატორის (2.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად კოლეჯი მუდმივად აანალიზებს პროგრამის განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. მონიტორინგი ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში. მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა არგუმენტირებული დასაბუთებით და რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიცვალოს/დაზუსტდეს შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, თემატიკა, სასწავლო რესურსი. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, დადგინდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინდიკატორის (2.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გამოკითხვის შედეგების ანალიზით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებები.
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

აკადემიაში (ორივე ლოკაციაზე) ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სტრუქტურირებული და კანონმდებლობით განსაზღვრული მიდგომით. პროცესი იწყება აკადემიის რექტორის მიერ პროგრამის სასწავლო გეგმის ოფიციალური დამტკიცებით, რაც წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელ ნაწილს და ეფუძნება ეროვნული განათლების კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებამ შეიმუშავა ორი სასწავლო გეგმა – ერთი ქართულენოვანი, მეორე კი არაქართულენოვანი კონტიგენტისთვის. ორივე გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე და უზრუნველყოფს პროგრამის თანამიმდევრულ განხორციელებას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მოდულების ფარგლებში. სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც საშუალოდ შეადგენს 24 საათს კვირაში. სტუდენტების ყოველკვირეული დატვირთვა ითვალისწინებს დამოუკიდებელ სწავლას, საკონტაქტო სწავლასა და შეფასებას. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია განმეორებითი დადასტურების გონივრული ვადები.

ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა, რომ კოლეჯში მოქმედი სასწავლო ცხრილები სრულად შეესაბამება სასწავლო გეგმას. აღნიშნული სისტემის ფუნქციონირება ადასტურებს, რომ ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამა აკადემიაში სრულ შესაბამისობაშია დამტკიცებული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმის მოთხოვნებთან. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს განათლების მაღალი ხარისხის დაცვას, პროფესიული სტანდარტების შესრულებას და ქმნის მყარ საფუძველს სტუდენტების პროფესიული კომპეტენციების განვითარებისა და პრაქტიკული უნარების განმტკიცებისთვის.

ინდიკატორის (2.4.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. აკადემია გეგმავს და ახორციელებს სწავლების პროცესს სტუდენტთა ინდივიდუალური და ჯგუფური საჭიროებების მიხედვით. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ადმინისტრირების, ასევე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის წესები განსაზღვრულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმებით (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით). სასწავლო პროცესის დაწყებამდე ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც სტუდენტებს მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, ასევე მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. პროგრამაში ცვლილებებისა ან მისი გაუქმების შემთხვევაში, აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების ალტერნატიულ შესაძლებლობას. აკადემია მუდმივად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე და უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ მხარდაჭერას სწავლების პროცესში. აღნიშნული ფაქტი დადასტურდა როგორც სტუდენტებთან, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. სასწავლო პროცესი ფორმირდება სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გრაფიკით. გამოიყენება ჰიბრიდული სწავლების მეთოდები, რაც ზრდის სწავლების მოქნილობას. პროფესიულ სტუდენტებთან სისტემატურად ტარდება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის შეფასებამდე დამატებითი თემატიკის განმარტებისა და განმტკიცების მიზნით. პროფილით დასაქმებული სტუდენტებისთვის ხორციელდება დარგობრივი კონსულტაციები, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო გარემოში ინტეგრაციას. სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ტარდება ღია შეხვედრები სხვადასხვა საგანმანათლებლო და პროფესიულ საკითხებზე. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ინდიკატორის (2.4.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

აკადემია აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ თანამედროვე მეთოდებს და შესაბამისს ტექნოლოგიებს. პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და განავითარებენ თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება ხორციელდება დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრული სწავლის მეთოდების შესაბამისად. სწავლების სრულფასოვნად ორგანიზებისათვის AC გარემოები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით.

პროგრამაში ჩართული პროფესიული მოდულების პედაგოგების ნაწილი დარგის მოქმედი სპეციალისტებია, რომლებიც კარგად იცნობენ დარგის შესაბამის უახლეს ტექნოლოგიებს და მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელი დასაქმებულია პსპ-ში და კარგად იცნობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურადაა ჩართული სიახლეების, დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ ინდიკატორის (2.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

აკადემია აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ თანამედროვე სწავლების მეთოდებსა და შესაბამის ტექნოლოგიებს. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა განმარტეს, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაიხედება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმაც დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. ადგილზე ასევე განხორციელდა აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც აისახება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას. კერძოდ, აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 32-ე მუხლი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას, პირობებსა და პროცედურებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს როგორც კონკრეტული პირისთვის, ისე სტუდენტთა ჯგუფისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართული მხარეებია: სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული სტუდენტი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი). შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად მოხსენებითი ბარათით სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ გადაეცემა აკადემიის დირექტორს.

პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების შემთხვევაში, რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან: რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში (თბილისის განყოფილებების შემთხვევაში) ან/და რექტორის მოადგილე (საჩხერის განყოფილება), სასწავლო პროცესის თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის/მოდულების განმახორციელებელი პირები. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფში დამატებით შეიძლება ჩაერთოს სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება პროფესიული სტუდენტის, ხოლო არასრულწლოვანი ან სსსმ/შშმ პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით. სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს მოდულის ან საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტების მოდიფიკაციას ან აკომოდაციას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს, მათ შორის ინფორმაციის შეგროვებას. აღნიშნული ეტაპის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი სხვადასხვა წყაროსა და მეთოდის გამოყენებით აგროვებს ინფორმაციას ისგ/ისპ-ის მოსარგებლე პირის შესახებ, ეცნობა წარმოდგენილ დოკუმენტაციას და უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს სამედიცინო ცნობა ან სხვა შესაბამისი დოკუმენტები, ჩაატაროს კონსულტაციები კომპეტენტურ პირებთან (კანონიერი წარმომადგენელი, სპეციალისტები და სხვ.), ასევე შეაფასოს სტუდენტის პიროვნული ფაქტორები. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასა და საჭიროების შემთხვევაში მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას ამტკიცებს აკადემიის რექტორი. დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების კონტროლს ახორციელებენ სასწავლო პროცესის თანამშრომლები, ხოლო პროცესის მონიტორინგს - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გეგმის განხორციელების ეტაპზე რეგულარულად ფასდება სტუდენტის პროგრესი და საჭიროების შემთხვევაში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კორექტირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების საჭიროებების სისტემატურ აღრიცხვას და მათი შესაბამის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ინტეგრირებას, რაც უზრუნველყოფს სწავლების მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.
ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს მობილობისა და სტატუსის აღდგენის მეთოდოლოგია, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ კოლეჯი ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის რეგულაციას.
ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს, ხოლო ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სრულად შეესაბამება სტუდენტთა ინტერესებსა და საჭიროებებს
ინდიკატორის (2.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ (სააფთიაქო) პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მიზნით, აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შპს „პსპ“-თან (15 მაისი, 2025წ., #5/75), ვადით 2031 წლის 1 იანვრამდე. მემორანდუმით დარეგულირებულია:

- ხელშეკრულების საგანი და მომსახურების პირობები;
- მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები;
- პრაქტიკული მოდულების (8 პროფესიული მოდული) დასახელება და საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე;
- თანამშრომლობის ვადა და ორგანიზების საკითხები;
- კომპანიის გამტარუნარიანობა (150 პროფესიული სტუდენტის მიღება);
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები;
- ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, ფორს-მაჟორი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და გაუქმება;
- შეთანხმება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №416-ს შესაბამისად. მას ახლავს დანართი, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას და საჭირო რესურსების ჩამონათვალს.
პროგრამის განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია „შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესები“, რაც განსაზღვრავს პრაქტიკის ობიექტის შერჩევის კრიტერიუმებს, მათი მონიტორინგის მექანიზმებს და გაფორმებული ხელშეკრულების აუცილებელ რეკვიზიტებს. აღნიშნული წესები სრულად დაცულია პარტნიორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.
ექსპერტთა შეფასებით: აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ პრაქტიკული კომპონენტის ხარისხიან განხორციელებას.
ინდიკატორის (2.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
აკადემიის შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ, სრულ სამუშაო/სასწავლო სივრცეში შეფასებულია რისკები და შემუშავებულია პრევენციული ღონისძიებები, ხორციელდება რისკების გეგმისა და სასწავლო/სამუშაო გარემოს სისტემატური მონიტორინგი. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ლაბორატორიებით მუშაობის წესები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უსაფრთხოდ მუშაობის წესი კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ქიმიის ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები, პირველადი დახმარების წესი ქიმიურ ლაბორატორიაში, სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების მართვის წესი. აკადემიას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შპს სანიტართან ნარჩენების გადამუშავების და უტილიზაციის მომსახურების მიღების მიზნით.
სასწავლო პროცესი ფარმაციის (საფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებას და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოებას.
დაწესებულებას აქვს დამტკიცებული რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს წესებს:

1. **ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესი** – დანართი #1;
2. **პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში** – დანართი #2;
3. **სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების მართვა** – დანართი #3; (რექტორის ბრძანება №2/51, 30.04.2024).

სწავლის პროცესში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აკადემიაში თვალსაჩინო ადგილას გაკრულია უსაფრთხოების წესები შემდეგი მიმართულებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხო მუშაობის წესები;
- ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესები;
- სასწავლო პროცესში წარმოშობილი ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების მართვა;
- პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში.

მოდულების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისას, რომლებიც პარტნიორ ორგანიზაციაში მიმდინარეობს, უზრუნველყოფილია მემორანდუმებით განსაზღვრული ვალდებულება პარტნიორის მხრიდან შექმნას უსაფრთხო გარემო პროგრამის მიზნობრივი შედეგების მიღწევისათვის.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უსაფრთხო გარემოში განხორციელების უზრუნველსაყოფად, აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „სანიტარ“-თან, რომელიც უზრუნველყოფს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების გატანას.

დაწესებულებას აქვს **შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესის გაცნობის/ინსტრუქტაჟის ჟურნალი**, რომელიც ფარავს „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებისა და სპეციალური სამსახურების ჩართულობით.

ინდიკატორის (2.4.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო გეგმა;*
- *კალენდარული გეგმები;*
- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები;
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები;*
- *სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგები;*
- პროგრამა „ ფარმაცია” სასწავლო გეგმა; დანართი #1
- მემორანდუმი - პსპ ფარმა 2025/04 15 მაისი 2025წ
- ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესი -დანართი#1;
- პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში-დანართი 2;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების მართვა - დანართი#3; რექტორის ბრძანება N2/51 30.04.2024 ;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით;
- ხელშეკრულება ნარჩენების გადამუშავება-უტილიზაცია - შპს,, სანიტარი“; BTA150324; 15 მარტი 2024;
- გასაუბრებები.
- *კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები;*
- *პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში.*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ექსპერტული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. აღნიშნული მექანიზმები რეგლამენტირებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 39-ე მუხლით, რომელიც განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურებს. შეფასების ინსტრუმენტები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, უზრუნველყოფს მოდულების შედეგების სრულფასოვან დაფარვას და არის დაბალანსებული - მოიცავს როგორც პროფესიულ/დარგობრივ კომპეტენციებს, ისე ტრანსფერული უნარების შეფასების კომპონენტებს. ინსტრუმენტები განახლებადია და პასუხობს დარგის განვითარების ტენდენციებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს მათ რელევანტურობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდაცია წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს და ხორციელდება ახალი ინსტრუმენტის შექმნის, არსებული ინსტრუმენტის ცვლილებების შეტანისა და პერიოდული ვერიფიკაციის პროცესის დროს. ვალიდაციის ფარგლებში განიხილება ინსტრუმენტების ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან.

შეფასების პროცესის სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია მკაფიო კრიტერიუმებითა და ერთგვაროვანი მიდგომებით, ხოლო გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, პროფესიული სტუდენტები წინასწარ იღებენ სრულ ინფორმაციას შეფასების სისტემის, კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ. პროგრამაში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგს და საბოლოო შედეგების დადასტურებას.

ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა შეფასების ინსტრუმენტები და დადასტურდა მათი სრულფასოვანი შესაბამისობა შეფასების პირობებსა და მოთხოვნებთან. პროფესიული სტუდენტების უკუკავშირით დასტურდა, რომ შეფასება ხორციელდება სამართლიანად და თანაბარ პირობებში. მასწავლებლებთან ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ ისინი ფლობენ შესაბამის ცოდნას და აქტიურად არიან ჩართულნი ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცესში.

გასაუბრებებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯი მიზანმიმართულად ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე, სისტემატურად ახორციელებს მასწავლებელთა ტრენინგებს და უზრუნველყოფს ყველა ინსტრუმენტის ვალიდაციას. პროფესიული სტუდენტები სრულად იცნობენ შეფასების მექანიზმებს, გადაბარებისა და აპელაციის წესებს.

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი ფლობენ სრულ ინფორმაციას შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცედურების შესახებ და უზრუნველყოფენ ინსტრუმენტების შემუშავებასა და ვალიდაციას დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის (2.4.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტ. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) . ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რექტორის ბრძანებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები აისახება ანგარიშში, რომელიც დადგენილი წესით ეცნობება დაინტერესებულ პირებს/ მხარეებს. დაწესებულებამ აღნიშნული პროცესების პრაქტიკაში მოქმედების მიზნით წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ . აღნიშნული ბრძანების მიხედვით დგინდება, რომ ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყო როგორც დარგის, ასევე განათლების მოწვეული ექსპერტი. აკადემიის მიერ დამტკიცებული რისკების სისტემა შესაბამისობაშია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილ რისკებთან. დამატებით, ხარისხის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი 2025 წლისთვის, რაც მიუთითებს პროცესის სისტემურ ხასიათსა და წინასწარ დაგეგმილ მიდგომაზე.
ვერიფიკაციის პროცესში შემოწმდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოდულები რომლებიც რისკის სქემის მიხედვით პრიორიტეტული იყო. ვერიფიკაცია დაწესებულებას ჩატარებული აქვს როგორც თბილისის ასევე საჩხერის ფილიალში. ვერიფიკაციის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში რიგი მოდულების შემთხვევაში შეფასებისთვის განკუთვნილი დრო გადასახედია, გადასალახი ზღვარი მაღალია და რეკომენდირებულია ზღვარის შემცირება და სასურველია დაემატოს კითხვები ღია დაბოლოებით.
ინდიკატორის (2.4.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
აკადემიის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში: შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.
სასწავლო პროცესის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე, საქმისმწარმოებელი კი საქმისწარმოების წესის შესაბამისად (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 21.12.2021 წლის N2/167 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ბრძანება N2/71 (22.05.2025)) პირადი საქმეების საწარმოებლად, ხოლო პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო დგება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომლის მუხლი 41 არეგულირებს შეფასების მტკიცებულების შენახვის და განკარგვის წესს. ისინი ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად (ასეთის არსებობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში), რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს. რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც პასუხისმგებელია გასანადგურებელი მტკიცებულებების იდენტიფიცირებაზე. პროცესის დასრულების შემდეგ კომისია ამზადებს შესაბამის ოქმს, რომელიც ასახავს განხორციელებული საქმიანობის დეტალურ აღწერას და ადასტურებს მტკიცებულებების განადგურების ფაქტს. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები პორტფოლიოში ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ინდიკატორის (2.4.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემია პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ მეთოდებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი კომპეტენციების განვითარება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. პროფესიული მასწავლებლები რეგულარულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში სტუდენტებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ შემდგომი განვითარების გეგმების ჩამოყალიბებაში და სწავლების მიდგომების გაუმჯობესებაში.

შესრულებული სამუშაოების უკუკავშირი და შეფასების შედეგების ანალიზი ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ ახალი ინიციატივებისა და მეთოდების დანერგვას. პროფესიული სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საკუთარი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესახებ, ხოლო აკადემია უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების გამოყენებას სწავლების პროცესის დახვეწისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საჭიროების განსაზღვრისთვის.

დაწესებულებაში გამოყენებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია ციფრულ პლატფორმასთან და აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს. პლატფორმა უზრუნველყოფს სწრაფ უკუკავშირს მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და სტუდენტს შორის, ხოლო პერსონალური მონაცემები დაცულია, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ეფექტურ განვითარებას.

ინდიკატორის (2.4.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- უწყისების აღრიცხვის ჟურნალი;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/218 დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. თბილისის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები(დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი (თბილისი-საჩხერე) 2025 წელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00008670 07/06/2025;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00020347 24/10/2025;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/18225.10.2023 „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. საჩხერის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“ .
- კურსდამთავრებულთა კვლევა -2025 ;
- პერსონალის გამოკითხვის ანალიზი -2025;
- სასწავლო პროცესზე დასწრების ანალიზი -2025 ;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ
III. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	თბილისი - რექტორის 2019 წლის 31 ივლისის N2/109 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, წერონისის ქ. N208, გ.ქუთათელაძის 1 გასასლელი 10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	140
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	–
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

V. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	საჩხერე - აკადემიის რექტორის 2019 წლის 31ივლისის N2/109 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 25 აგვისტოს N2/131 ბრძანება);
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. საჩხერე - ივანე გომართელის ქ.N50ა, 52
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	–
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

VI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐არშეესაბამება	☐არშეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორისსმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25 წლის აგვისტოს N2/130 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ აღნიშნული დოკუმენტის თანახმად პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც უნდა მოიცავდეს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურპარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. პროფესიული პროგრამის შემუშავება ხდება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დაწესებულების რექტორი. სამუშაო ჯგუფს შესაძლოა ხელმძღვანელობდეს: რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ან/და რექტორის მოადგილე ან/და პროგრამის ხელმძღვანელი. ჯგუფს ევალება განახორციელოს შემდეგ აქტივობები: შეისწავლოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი, გააანალიზოს პროგრამის სახელწოდება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, განსაზღვროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის არჩევით მოდულ(ებ)ი (იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი იძლევა არჩევითი მოდულების ინტეგრირების შესაძლებლობას), სამუშაო ჯგუფი ასევე ვალდებულია დააზუსტოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (პრაქტიკული პროექტი, საწარმოო პრაქტიკა და სხვა) განხორციელების საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს აკადემიას პრაქტიკის ობიექტების მოძიებაში, შეადგინოს სასწავლო გეგმა, რომელიც უნდა იძლეოდეს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელებისშესაძლებლობას და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიის რექტორი. დაწესებულებამ პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების პროცესში იხელმძღვანელა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების ანალიზით. აღნიშნულ კვლევებში გაანალიზებულია დასაქმებისა და უმუშევრობის დინამიკა საქართველოს მასშტაბით, მათ შორის სექტორული, ასაკობრივი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გენდერული და რეგიონულ (იმერეთი) ჭრილში. კვლევები ასევე განიხილავს შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტებს და განსაზღვრავს ძირითად ეკონომიკურ სექტორებს, სადაც მომდევნო წლებში მოსალოდნელია ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების ზრდა. აღნიშნული წყაროები ადასტურებენ, რომ ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში არსებობს როგორც მიმდინარე, ასევე პროგნოზირებადი მოთხოვნა იმ უნარებსა და კომპეტენციებზე, რომელთა განვითარებასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“. ეს მიგნებები ხაზგასმით უსვამს პროგრამის მნიშვნელობას შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობაში და კვალიფიციური კადრების მომზადების პროცესში.
ინდიკატორის (2.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ტესტირება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები (სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა) დეტალურად არის გაწერილი აკადემიის რექტორის მიერ 2025 წლის 25 აგვისტოს N2/130 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში. აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თანაბარ შესაძლებლობებს, გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღებას და სამართლიან ადმინისტრაციულ პროცესს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტების კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის” თანახმად, აკადემია ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს შემდეგ ასპექტებს: სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობას, სასწავლო გარემოს ფართს, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ინვენტარსა და აღჭურვილობას, პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორ საწარმო(ები)ს შესაძლებლობებს, საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობას, საგანმანათლებლო რესურს და სხვა. **გამომდინარე აქედან დასტურდება, ინდიკატორის (2.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

დასტურდება, რომ ინდიკატორის (2.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

„აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიცავს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორის (2.1.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ დამტკიცებულია აკადემიის რექტორის 2019 წლის 31 ივლისის ბრძანება N2/109 (ბოლო ცვლილება 2025 წლის 25 აგვისტოს N2/131 ბრძანება). პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესდებითა და აკადემიის რექტორის 25 წლის აგვისტოს N2/130 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“ **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სახელწოდება თანხვედრაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან და კვალიფიკაციასთან. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა „აღმზრდელი“ პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი“ საფუძველზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია.

დასტურდება, რომ პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, ინდიკატორის (2.1.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის მისია, ხედვა, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- აკადემიის რექტორის 25 წლის აგვისტოს N2/130 ბრძანებით დამტკიცებული - საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი;
- „პროფესიული სტუდენტების კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია”
- პროგრამის დამტკიცების აქტი;
- აკადემიის წესდება;
- გასაუბრება.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის სმოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით აკადემიის ორივე მისამართზე. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი " განსახორციელებლად, **წეროწისის ქ. #208 ში მდებარე შენობაში გამოყოფილი აქვს:**

ერთი A სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია პროექტორი/ეკრანი 1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1 ცალი; სტუდენტის მაგიდა- სკამი 45 პირზე; დაფა -1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით- 1 კომპლექტი;

B სასწავლო გარემო - შერჩეულია აუდიტორია, სადაც განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1ც; პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდა/სკამი და კომპიუტერი - 30 ც; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; ქსელური პრინტერი - 1 ც; ფლეშ მეხსიერება -1 ც; დაფა - 1ც;

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი **" განსახორციელებლად, გ. ქუთათელაძის 1, გასასვლელი N10 -ში მდებარე შენობაში გამოყოფილი აქვს:**

ერთი A სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდა 37 ც; პროფესიული სტუდენტის სკამი - 37 ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთი B -სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია: პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1ც; პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდა/სკამი და კომპიუტერი - 30 ც; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; ქსელური პრინტერი - 1 ც; ფლეშ მეხსიერება -1 ც; დაფა - 1ც.

საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღ ზრდა და განათლება“. **პრაქტიკული კომპონენტის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, აკადემიას თბილისის ორივე ლოკაციისთვის გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები ქ. თბილისის N9, N49, N46, N43, N31 და N96 საბავშვო ბაგა-ბაღებთან. თითოეული პარტნიორი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს აკადემიის მაქსიმუმ 25 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული სწავლების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის რეალიზებას განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.**

ქ. საჩხერეში (ივანე გომართელის ქ.N50ა, 52) - დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი “ განსახორციელებლად, გამოყოფილი აქვს:

ერთი A სასწავლო გარემო (#13 აუდიტორია), სადაც განთავსებულია პროექტორი/ეკრანი 1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის კომპიუტერი/ლეპტოპი 1 ცალი; სტუდენტის მაგიდა- სკამი 30 პირზე; დაფა -1 ცალი; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მაგიდა სკამით- 1 კომპლექტი და კარადა რესურსებისათვის, ასევე ღია თაროებიანი კარადა სადაც განთავსებულია სტუდენტების ნამუშევრები.

B სასწავლო გარემო - შერჩეულია აუდიტორია, სადაც განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1ც; პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდა/სკამი და კომპიუტერი - 30 ც; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; ქსელური პრინტერი - 1 ც; ფლეშ მეხსიერება -1 ც; დაფა - 1ც;

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, აკადემიას საჩხერის ლოკაციისთვის გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საჩხერის ააიპ „გაერთიანებული ბაგა–ბაღებთან“ (11.07.2019წ #7/476), დოკუმენტის თანახმად პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მოხდება აღნიშნულ ორგანიზაციის გაერთიანებულ ბაღებში, რომლის ჩამონათვალი ბაგა–ბაღების ნომრებითა და მისამართებით დანართის სახით თან ახლავს მემორანდუმს, გაერთიანებაში შედის სულ 21 ბაგა–ბაღი, პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ერთდროულად მიიღოს აკადემიის 30 პროფესიული სტუდენტი;

პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ერთ–

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთი პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მის დაწესებულებას გამოცდილება აქვს მომსახურება გაუწიოს პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკული უნარების გამტკიცების მიზნით. აღნიშნულ საბავშვო ბაგა–ბაღში ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფია, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ მონაცვლეობით გადანაწილდნენ ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, დააკვირდნენ სააღმზრდელო პროცესს, მონაწილეობა მიიღონ დღის განრიგის, კვირის გეგმებისა და ბავშვთა დაკვირვება შეფასების ფორმების შევსებაში, მათ საშუალება ექნებათ ასევე დამოუკიდებლად დაგეგმონ აქტივობები და დაწესებულების პერსონალის დახმარებით, წარმოადგინონ პრეზენტაცია გავლილი თემის ირგვლივ. **ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**
ინდიკატორის (2.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, **თბილისის ორივე ლოკაციისთვის** დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს სულ 51 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 33 პროფესიული მოდულის და 18 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. **ქ. საჩხერის ლოკაციაზე** - დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს სულ 18 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 13 პროფესიული მოდულის და 5 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირი. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განხორციელების კომპეტენციაც აქვს კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს, გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორც აკადემიის ასევე პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მიდგომების შესწავლის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

ინდიკატორის (2.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელებად, როგორც ქ. თბილისში, ასევე საჩხერეში შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომელთა კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მათი პირადი საქმეების შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირებს აქვთ დარგში მუშაობის გამოცდილება.

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები განსაზღვრულია მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები, აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი კომპეტენციები და უნარები დეტალურად არის აღწერილი ხელშეკრულების შესაბამის დანართში.

ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გააჩნიათ სათანადო მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანი ხელმძღვანელობისთვის. პროგრამის ხელმძღვანელებს გათავისებული აქვთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და აქტიურად არიან ჩართულნი საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, პროგრამის განხორციელების მონიტორინგში (მათ შორის, მეცადინეობებზე პერიოდული დასწრების გზით), ასევე შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციისა და მათი განვითარების პროცესებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება რომ ინდიკატორის ინდიკატორის (2.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება აკადემიის სამივე მისამართზე. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკებში, როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. აკადემიის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა, სამივე ლოკაციაზე, აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკებში განთავსებულია კომპიუტერი და ასლ გადამღები ტექნიკა, ასევე მოწყობილია სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.

ინდიკატორის (2.2.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ვიზიტის ფარგლებში შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სამივე ლოკაციის ვიზუალური დათვალიერება, სამივე მისამართზე, დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მოწყობილია პანდუსები და სველი წერტილები. შესაბამისად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

აკადემიის "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" მოიცავს მექანიზმებს სასწავლო პროცესში შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტის N34 მუხლის თანახმად განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სსსმ პირების წვდომის უზრუნველყოფა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯს ყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და საჭიროების მიხედვით მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას ამტკიცებს აკადემიის რექტორი. შეზღუდული შესაძლებლობების (გადაადგილების, მოტორული, მეტყველებისა და სხვადარღვევათა) მქონე პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რომელიც ითვალისწინებს: დაწესებულების შენობაში შეღწევის შესაძლებლობას პანდუსის მეშვეობით, დამატებით ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკარის მიერ პირისთვის სასურველი ლიტერატურის სასწავლო აუდიტორიაში მიტანას. დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორის (2.2.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „აღმზრდელი“ შედგენილია სავარაუდო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია **13 პროფესიულ სტუდენტზე. შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორის (2.2.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ აღმზრდელი”
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები/ შრომითი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პროფესიულ განათლების მასწავლებელთა ტრენინგებზე დასწრების მტკიცებულებები;
- “სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”
- პროგრამის ბიუჯეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაუმჯობესე“ მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, აკადემიის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მიზნებისათვის ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ვინაიდან სასწავლო პროცესი დაიწყო მიმდინარე წლის ნოემბერში, ამ ეტაპზე პროფესიულ სტუდენტებთან არ ჩატარებულა გამოკითხვები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ პროფესიულ სტუდენტებს მათი მოლოდინების და პროგრამით დაინტერესების მოლოდინების გაანალიზების მიზნით, მიმდინარე ეტაპზე სტუდენტები კმაყოფილები არიან სასწავლო პროცესით, მატერიალურ ტექნიკური ბაზით, მასწავლებელთა კვალიფიკაციით და გამოცდილებით.

ინდიკატორის (2.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად კოლეჯი მუდმივად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. მონიტორინგი ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში. მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა არგუმენტირებული დასაბუთებით და რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამომდინარე, შესაძლოა შეიცვალოს/დაზუსტდეს შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, თემატიკა, სასწავლო რესურსი. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, დადგინდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინდიკატორისს (2.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გამოკითხვის შედეგების ანალიზით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებები.
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის რექტორის 2025 წლის 7 მაისის #2/55 ბრძანებით, მოიცავს მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტებისთვის წარდგენილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის სასწავლო ცხრილი, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორის (2.4.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. აკადემია გეგმავს და ახორციელებს სწავლების პროცესს სტუდენტთა ინდივიდუალური და ჯგუფური საჭიროებების მიხედვით. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ადმინისტრირების, ასევე პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის წესები განსაზღვრულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმებით (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით). სასწავლო პროცესის დაწყებამდე ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც სტუდენტებს მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, ასევე მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. პროგრამაში ცვლილებებისა ან მისი გაუქმების შემთხვევაში, აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ალტერნატიულ შესაძლებლობას. აკადემია მუდმივად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე და უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ მხარდაჭერას სწავლების პროცესში. აღნიშნული ფაქტი დადასტურდა როგორც სტუდენტებთან, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით. სასწავლო პროცესი ფორმირდება სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გრაფიკით. გამოიყენება ჰიბრიდული სწავლების მეთოდები, რაც ზრდის სწავლების მოქნილობას. პროფესიულ სტუდენტებთან სისტემატურად ტარდება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები, მათ შორის შეფასებამდე დამატებითი თემატიკის განმარტებისა და განმტკიცების მიზნით. პროფილით დასაქმებული სტუდენტებისთვის ხორციელდება დარგობრივი კონსულტაციები, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო გარემოში ინტეგრაციას. სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ტარდება ღია შეხვედრები სხვადასხვა საგანმანათლებლო და პროფესიულ საკითხებზე. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ინდიკატორის (2.4.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

აკადემია აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ თანამედროვე მეთოდებს და შესაბამისს ტექნოლოგიებს. პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და განავითარებენ თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს, მოდულებში გამოყენებულია სწავლების აქტიური მეთოდები: ინტერაქციული ლექცია, სემინარი, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით და სხვა. სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიები შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას. სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც გადამოწმდა აკადემიაში ვიზიტის დროს საბიბლიოთეკო რესურსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემოწმების დროს, რაც გაზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა. ასევე სტუდენტებთან შეხვედრის დროს ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობა, დადასტურდა, რომ სტუდენტები იყენებენ როგორც ელექტრონულ რესურსებს, ასევე ბიბლიოთეკაში არსებულ რესურსებს.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ ინდიკატორის (2.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

აკადემია აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელთან, მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ თანამედროვე სწავლების მეთოდებსა და შესაბამის ტექნოლოგიებს. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა განმარტეს, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაიხედება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმაც დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს. ადგილზე ასევე განხორციელდა აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც აისახება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას. კერძოდ, აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 32-ე მუხლი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას, პირობებსა და პროცედურებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს როგორც კონკრეტული პირისთვის, ისე სტუდენტთა ჯგუფისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართული მხარეებია: სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული სტუდენტი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი). შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად მოხსენებითი ბარათით სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ გადაეცემა აკადემიის დირექტორს.

პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების შემთხვევაში, რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან: რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში (თბილისის განყოფილებების შემთხვევაში) ან/და რექტორის მოადგილე (საჩხერის განყოფილება), სასწავლო პროცესის თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი მოდულის/მოდულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმახორციელებელი პირები. საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ჯგუფში დამატებით შეიძლება ჩაერთოს სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება პროფესიული სტუდენტის, ხოლო არასრულწლოვანი ან სსსმ/შშმ პირის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით. სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს მოდულის ან საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტების მოდიფიკაციას ან აკომოდაციას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/პროგრამის შემუშავების პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს, მათ შორის ინფორმაციის შეგროვებას. აღნიშნული ეტაპის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი სხვადასხვა წყაროსა და მეთოდის გამოყენებით აგროვებს ინფორმაციას ისგ/ისპ-ის მოსარგებლე პირის შესახებ, ეცნობა წარმოდგენილ დოკუმენტაციას და უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს სამედიცინო ცნობა ან სხვა შესაბამისი დოკუმენტები, ჩაატაროს კონსულტაციები კომპეტენტურ პირებთან (კანონიერი წარმომადგენელი, სპეციალისტები და სხვ.), ასევე შეაფასოს სტუდენტის პიროვნული ფაქტორები.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასა და საჭიროების შემთხვევაში მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას ამტკიცებს აკადემიის რექტორი. დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების კონტროლს ახორციელებენ სასწავლო პროცესის თანამშრომლები, ხოლო პროცესის მონიტორინგს - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გეგმის განხორციელების ეტაპზე რეგულარულად ფასდება სტუდენტის პროგრესი და საჭიროების შემთხვევაში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კორექტირება.

ინდიკატორის (2.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, აკადემიას თბილისის ორივე ლოკაციისთვის გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები ქ. თბილისის N9, N49, N46, N43, N31 და N96 საბავშვო ბაგა-ბაღებთან. თითოეული პარტნიორი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს აკადემიის მაქსიმუმ 25 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული სწავლების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის რეალიზებას განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

საჩხერის ლოკაციისთვის მემორანდუმები გაფორმებულია საჩხერის ააიპ „გაერთიანებული ბაგა–ბაღებთან“ (11.07.2019წ #7/476) დოკუმენტის თანახმად პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მოხდება აღნიშნულ ორგანიზაციის გაერთიანებულ ბაღებში, რომლის ჩამონათვალი ბაგა–ბაღების ნომრებითა და მისამართებით დანართის სახით თან ახლავს მემორანდუმს, გაერთიანებაში შედის სულ 21 ბაგა–ბაღი, პარტნიორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ერთდროულად მიიღოს აკადემიის 30 პროფესიული სტუდენტი;

პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ერთ–ერთი პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მის დაწესებულებას გამოცდილება აქვს მომსახურება გაუწიოს პროფესიულ სტუდენტებს პრაქტიკული უნარების გამტკიცების მიზნით. აღნიშნულ საბავშვო ბაგა–ბაღში ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფია, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ მონაცვლეობით გადანაწილდნენ ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, დააკვირდნენ სააღმზრდელო პროცესს, მონაწილეობა მიიღონ დღის განრიგის, კვირის გეგმებისა და ბავშვთა დაკვირვება შეფასების ფორმების შევსებაში, მათ საშუალება ექნებათ ასევე დამოუკიდებლად დაგეგმონ აქტივობები და დაწესებულების პერსონალის დახმარებით, წარმოადგინონ პრეზენტაცია გავლილი თემის ირგვლივ.

ხელშეკრულება გულისხმობს მხარეებს შორის ურთიერთ თანამშრომლობას და მიზნად ისახავს პრაქტიკული კომპონენტის გავლის, დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობის მოძიებაში პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობას, პრაქტიკის განხორციელებისთვის საკადრო რეზერვის შექმნას და მისი სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, იმისთვის, რომ აკადემიის პროფესიულ სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა პრაქტიკაში გამოსცადონ მიღებული თეორიული ცოდნა და უნარები და პრაქტ იკული უნარების განვითარების გზით უკეთ მოემზადონ მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით, პროფესიული სტუდენტების ინტერვიუირებით, აკადემიის ვებგვერდზე პარტნიორი ორგანიზაციების კოლეჯში ვიზიტების, სტუდენტებთან შეხვედრების ამსახველი განთავსებული ფოტომასალით.

ინდიკატორის (2.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

აკადემიის შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ, სრულ სამუშაო/სასწავლო სივრცეში შეფასებულია რისკები და შემუშავებულია პრევენციული ღონისძიებები, ხორციელდება რისკების გეგმისა და სასწავლო/სამუშაო გარემოს სისტემატური მონიტორინგი. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ლაბორატორიებით მუშაობის წესები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უსაფრთხოდ მუშაობის წესი კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ქიმიის ლაბორატორიაში მუშაობის უსაფრთხოების წესები, პირველადი დახმარების წესი ქიმიურ ლაბორატორიაში, სასწავლო პროცესის ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოშობილი ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების მართვის წესი. აკადემიას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შპს სანიტართან ნარჩენების გადამუშავების და უტილიზაციის მომსახურების მიღების მიზნით.

ინდიკატორის (2.4.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *სასწავლო გეგმა;*
- *კალენდარული გეგმები;*
- *სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;*
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები;
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები;*
- *სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგები;*
- *გაფორმებული პრაქტიკის მემორანდუმები;*
- *კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები;*
- *ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის წესები;*
- *სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ქიმიური ლაბორატორიული ნარჩენების მართვა;*
- *პირველადი დახმარება ქიმიურ ლაბორატორიაში.*

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ექსპერტული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. აღნიშნული მექანიზმები რეგლამენტირებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 39-ე მუხლით, რომელიც განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურებს.

დადგენილი წესის თანახმად, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება ხორციელდება ორ ეტაპად: ინსტრუმენტის შექმნა და მისი ვალიდაცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროფესიული სტუდენტების შეფასებისთვის გამოიყენება შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა შემუშავებაში ჩართული არიან პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილე პროფესიული განათლების მასწავლებლები. შეფასების ინსტრუმენტები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მოდულების შედეგების სრულფასოვან დაფარვას.

ექსპერტული შეფასებით, შეფასების ინსტრუმენტებში დაცულია დაბალანსებულობის პრინციპი - ისინი გონივრული პროპორციით მოიცავს როგორც პროფესიულ/დარგობრივ კომპეტენციებს, ასევე ტრანსფერული უნარების შეფასების კომპონენტებს. ამასთან, ინსტრუმენტები არის განახლებადი და პასუხობს დარგის განვითარების ტენდენციებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს მათი რელევანტურობას.

შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს და მიზნად ისახავს ინსტრუმენტების ვალიდურობის, რელევანტურობისა და საკმარისობის დადასტურებას. ვალიდაცია ხორციელდება როგორც ახალი შეფასების ინსტრუმენტის შექმნისას, ასევე არსებულში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში და პერიოდულად შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესშიც. ვალიდაციის ფარგლებში მოწმდება ინსტრუმენტების როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან.

შეფასების პროცესის სამართლიანობა და ობიექტურობა უზრუნველყოფილია შეფასების მკაფიო კრიტერიუმებითა და ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენებით, რაც გამორიცხავს სუბიექტურობას. გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, პროფესიული სტუდენტები წინასწარ იღებენ სრულ ინფორმაციას შეფასების სისტემის, კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ.

შეფასება ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე და პროფესიულ პროგრამებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება საბოლოო შედეგების დასადგენად, ხოლო განმავითარებელი შეფასება - სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისა და უკუკავშირის უზრუნველსაყოფად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯი მიზანმიმართულად ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე. აღნიშნული გამოიხატება მასწავლებელთათვის შეფასების სისტემის ერთგვაროვნებისა და სიზუსტის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული ტრენინგების სისტემატურ ჩატარებაში, აგრეთვე ყველა შეფასების ინსტრუმენტის სავალდებულო ვალიდაციის პრაქტიკაში.
გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესებს და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ აღნიშნული შესაძლებლობებით. ამასთან, ექსპერტული ჯგუფის მიერ აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის ნოემბერში დაწყების გამო, მოცემულ ეტაპზე ვერ მოხერხდა პროფესიულ სტუდენტებთან შეფასების პროცესის პრაქტიკული განხორციელების სრულად გადამოწმება სამართლიანობის პრინციპების დაცვით.
პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ ისინი ფლობენ სრულ ინფორმაციას შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცედურების შესახებ და პროგრამის განხორციელების ეტაპზე უზრუნველყოფენ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და მათ ვალიდაციას დადგენილი წესის შესაბამისად.
ინდიკატორის (2.4.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) . ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები აისახება ანგარიშში, რომელიც დადგენილი წესით ეცნობება დაინტერესებულ პირებს/ მხარეებს. დაწესებულებამ აღნიშნული პროცესების პრაქტიკაში მოქმედების მიზნით წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ . აღნიშნული ბრძანების მიხედვით დგინდება, რომ ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყო როგორც დარგის, ასევე განათლების მოწვეული ექსპერტი. აკადემიის მიერ დამტკიცებული რისკების სისტემა შესაბამისობაშია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაწერილ რისკებთან. დამატებით, ხარისხის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი 2025 წლისთვის, რაც მიუთითებს პროცესის სისტემურ ხასიათსა და წინასწარ დაგეგმილ მიდგომაზე.
ინდიკატორის (2.4.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
აკადემიის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში: შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.
სასწავლო პროცესის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე, საქმისმწარმოებელი კი საქმისწარმოების წესის შესაბამისად (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 21.12.2021 წლის N2/167 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ბრძანება N2/71 (22.05.2025)) პირადი საქმეების საწარმოებლად, ხოლო პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო დგება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომლის მუხლი 41 არეგულირებს შეფასების მტკიცებულების შენახვის და განკარგვის წესს.
ისინი ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს. რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც პასუხისმგებელია გასანადგურებელი მტკიცებულებების იდენტიფიცირებაზე. პროცესის დასრულების შემდეგ კომისია ამზადებს შესაბამის ოქმს, რომელიც ასახავს განხორციელებული საქმიანობის დეტალურ აღწერას და ადასტურებს მტკიცებულებების განადგურების ფაქტს. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები პორტფოლიოში ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**
ინდიკატორის (2.4.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემია პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ მეთოდებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი კომპეტენციების განვითარება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. პროფესიული მასწავლებლები რეგულარულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში სტუდენტებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ შემდგომი განვითარების გეგმების ჩამოყალიბებაში და სწავლების მიდგომების გაუმჯობესებაში.

შესრულებული სამუშაოების უკუკავშირი და შეფასების შედეგების ანალიზი ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ ახალი ინიციატივებისა და მეთოდების დანერგვას. პროფესიული სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საკუთარი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესახებ, ხოლო აკადემია უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების გამოყენებას სწავლების პროცესის დახვეწისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საჭიროების განსაზღვრისთვის.

დაწესებულებაში გამოყენებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია ციფრულ პლატფორმასთან და აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს. პლატფორმა უზრუნველყოფს სწრაფ უკუკავშირს მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და სტუდენტს შორის, ხოლო პერსონალური მონაცემები დაცულია, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ეფექტურ განვითარებას.

ინდიკატორის (2.4.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- უწყისების აღრიცხვის ჟურნალი;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/218 დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. თბილისის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმებით (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი (თბილისი-საჩხერე) 2025 წელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00008670 07/06/2025;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00020347 24/10/2025;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/18225.10.2023 „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. საჩხერის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“ .

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ
ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საბაჟო საქმე
პროფესიული განათლების დონე	V

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის 2019 წლის 31 ივლისის N2/109 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის N28
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	96 კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐არშეესაბამება	☐არშეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, შრომის ბაზრის კვლევების შედეგებისა და აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ ეფუძნება წინასწარ ჩატარებულ მრავალწყაროიან და შინაარსობრივად ურთიერთშევსებად კვლევებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შრომის ბაზარზე რელევანტობასა და სტრატეგიულ დასაბუთებულობას.

აკადემიამ პროგრამის შემუშავების პროცესში განახორციელა **ადგილობრივი და ეროვნული შრომის ბაზრის კვლევა**, რომელიც მოიცავდა დასაქმების პლატფორმებზე (ვაკანსიების ანალიზი), ლოგისტიკური და საბაჟო სფეროს კომპანიების მოთხოვნებისა და პოზიციების სისტემურ შესწავლას. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საბაჟო საქმის სპეციალისტებზე არსებული მოთხოვნა, დასაქმების დინამიკა და მოთხოვნადი ფუნქციური კომპეტენციები, რის საფუძველზეც გამოიკვეთა პროფესიული პროფილის რეალური საჭიროება.

პარალელურად, აკადემიამ ჩაატარა **დამსაქმებელთა კონსულტაციები და უკუკავშირის კვლევა**, მათ შორის ლოჯისტიკური კომპანიების, საბაჟო წარმომადგენლებისა და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა დამსაქმებელთა მოლოდინების იდენტიფიცირებას კადრების პროფესიულ, სამართლებრივ და პრაქტიკულ მზაობასთან დაკავშირებით. მიღებული შედეგები გამოყენებულია პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო მოდულების შინაარსის განსაზღვრის პროცესში.

აკადემიამ ასევე განახორციელა **სექტორული და ინსტიტუციური გარემოს ანალიზი**, რომელიც მოიცავდა საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების ტენდენციების, საბაჟო ადმინისტრირების რეფორმებისა და საერთაშორისო ვაჭრობის რეგულაციების შესწავლას. კვლევის აღნიშნული კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პროგრამაში საბაჟო კონტროლის, დეკლარირების, ტარიფებისა და ციფრული საბაჟო სისტემების ინტეგრირებისთვის.

დამატებით, აკადემიამ გამოიყენა **მეორეული კვლევითი წყაროები** -ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები და შრომის ბაზრის ანალიტიკური მიმოხილვები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტული შეფასებით, კვლევები არ ატარებს ფორმალურ ხასიათს და წარმოადგენს პროგრამის კონცეფციის საფუძველს. კვლევების შედეგები თანმიმდევრულად აისახა პროგრამის მიზნებში, სწავლის შედეგებში, პროფესიულ კომპეტენციებში და კურსდამთავრებულის დასაქმების პროფილში. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამა არის შრომის ბაზარზე მოთხოვნებზე დაფუძნებული და ემყარება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დაგეგმვას.

დასკვნა: აკადემიის მიერ ჩატარებული კვლევები არის მრავალმხრივი, რელევანტური და ფუნქციურად გამოყენებული პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმის" შრომის ბაზრის შესაბამისობასა და განხორციელების მიზანშეწონილობას. **ინდიკატორის (2.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბაჟო საქმე" განსაზღვრული დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით „საბაჟო საქმე" დადგენილ მოთხოვნებთან. დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ აპლიკანტთა დაშვებას, რომელთაც გააჩნიათ სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი საბაზისო აკადემიური მომზადება.

პროგრამაზე მიღების პროცესი რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით და აკადემიაში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" (ბოლო ცვლილება - რექტორის ბრძანება N2/14, 27.02.2025). დოკუმენტში დეტალურად არის განსაზღვრული ჩარიცხვის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციისა და შერჩევის პროცედურები, შიდა შერჩევის ფორმები (მოტივაციური გასაუბრება და/ან ტესტირება), შეფასებისა და აპელაციის მექანიზმები, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესები.

ექსპერტული შეფასებით, მიღებისა და დაშვების პროცედურები არის სამართლებრივად გამართული, დეტალურად რეგლამენტირებული და პრაქტიკაში გამოსაყენებელი. შერჩევის მექანიზმები უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას, გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღებასა და სამართლიან ადმინისტრაციულ პროცესს. აღნიშნული მიდგომა ქმნის წინაპირობას, რომ პროგრამაზე ჩაირიცხონ ისეთი პირები, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში რეალურად შეძლებენ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორის (2.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის" (ცვლილებები: N2/185 – 07.11.2022; N2/86 – 29.06.2024) მე-5 მუხლით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების კონტინგენტის დადგენის მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება პროგრამის სპეციფიკას და არსებულ რესურსებს. მეთოდოლოგია ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოცულობასა და გამოყენების ინტენსივობას, ადამიანური რესურსების რაოდენობასა და დატვირთვას, ფინანსურ შესაძლებლობებსა და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობას პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველსაყოფად.

დოკუმენტის მიხედვით, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება სასწავლო გარემოების (თეორიული, კომპიუტერული და პრაქტიკული სივრცეები) ფუნქციური ანალიზის საფუძველზე, თითოეულ სტუდენტზე სამუშაო ადგილის, შესაბამისი ინვენტარისა და აღჭურვილობის არსებობის, ასევე მოდულების სწავლის შედეგების მიღწევადობის გათვალისწინებით. გათვალისწინებულია სწავლების ორგანიზება ორ ცვლაში და შეჭრილი ცხრილის პრინციპით, რაც ზრდის რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმეზე" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისა და მისი განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ არსებული კვოტის ფარგლებში აკადემიას გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, ადეკვატური მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფის შესაძლებლობა პარტნიორ ორგანიზაციებში.

პროგრამისთვის განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობა 96 სტუდენტის ოდენობით, ხოლო ერთ მიღებაზე - 48 სტუდენტი. პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის საფუძველზე

დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტ, ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას. **გამომდინარე აქედან დასტურდება, ინდიკატორის (2.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე" მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

ინდიკატორის (2.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

დამტკიცებული პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები.

ინდიკატორის (2.1.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული წესის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიის რექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საბაჟო საქმე" დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის მიერ 2019 წლის 11 ოქტომბრის N2/169 ბრძანებით (ცვლილება შესულია რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს #2/13 ბრძანებით).

ინდიკატორის (2.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე" შემუშავებულია პროფესიული სტანდარტის „საბაჟო საქმე" საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორის (2.1.1.7) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საბაჟო საქმე“ შემუშავებულია პროფესიული სტანდარტის „საბაჟო საქმე“ (სარეგისტრაციო ნომერი 04116-პ) საფუძველზე. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 11 კრედიტის მოცულობით, 16 სპეციალიზაციის მოდულს 82 კრედიტის მოცულობით.

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით (ცვლილება: რექტორის 07.11.2022 წლის N2/185 ბრძანებით, ცვლილება: 29.06.2024 წლის N2/86 ბრძანებით) დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ არეგულირებს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს. პროგრამის დაგეგმვის პროცესს წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, ახალი პროგრამის ინიცირებასა და მისი დამატების მიზანშეწონილობის დადგენას. ახალი პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი პირი, პარტნიორი ორგანიზაცია და სხვ., რომელმაც აკადემიის რექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს არგუმენტირებული სამსახურებრივი ბარათი პროგრამ(ებ)ის შემუშავების საჭიროების შესახებ. ახალი პროგრამის დამატების/ცვლილების/გაუქმების შესახებ მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, აკადემიის რექტორის ბრძანებით იქნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს ახალი პროგრამის დამატების, არსებული პროგრამის ცვლილების/გაუქმების ინიცირების შესახებ განაცხადს. კომისია განაცხადის განხილვისას ითვალისწინებს მის შესაბამისობას აკადემიის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, აკადემიის ადამიანურ და მატერიალურ რესურსთან და სხვა.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საბაჟო საქმე“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული სტანდარტი „საბაჟო საქმე“. პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2019 წლის 11 ოქტომბრის N2/169 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“, ასევე წარმოდგენილ იქნა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ რექტორის 2019 წლის 31 ივლისის #2/109 ბრძანება შესაბამისი ოქმით, სადაც ნათლად ჩანს პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ აღნიშნული პირები. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვალიფიკაცია, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სტრუქტურა და მოდულები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა. სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს - პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (ზოგადი, ინტეგრირებული და პროფესიული), სასწავლო გეგმა ქართული ენის A2 და B1 გათვალისწინებით და მის გარეშე. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორის (2.1.1.8) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბოლო ცვლილება რექტორის ბრძანება №2/14 27.02.2025);
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2019 წლის 10 ოქტომბრის N2/169 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საბაჟო საქმე (ცვლილება შესულია რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს #2/13 ბრძანებით);
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2019 წლის 31 ივლისის #2/109 ბრძანება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „საბაჟო საქმე” განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რომლებიც რაოდენობრივად და ფუნქციურად შეესაბამება პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ აკადემია პროგრამის განსახორციელებლად იყენებს თეორიული (A/C) და კომპიუტერული (B) სასწავლო გარემოებს, რომლებიც აღჭურვილია პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების სამუშაო ადგილებით, შესაბამისი ტექნიკური საშუალებებითა და დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული რესურსებით. კერძოდ:
ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N 28, სასწავლო გარემო A/C, აუდიტორია N5:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც;
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც;
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 28 ც ;
- მონიტორი - 1ც;
- დაფა - 1 ც.
- პროგრამის განხორციელებისთვის დარგობრივი მოდულებით განსაზღვრული საჭირო რესურსები;

A/C სასწავლო გარემო - ერთ ცვლაში სწავლების პირობებში საშუალო დატვირთვა შეადგენს დაახლოებით 35-40%-ს, რაც უზრუნველყოფს აუდიტორიების მოქნილ გამოყენებას ცვლიანობის პრინციპით.

ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. N 28, სასწავლო გარემო B, აუდიტორია N8:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც;
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც;
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 24 ც;
- პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 24 ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1ც;
- პრინტერი/კომბაინი - 1ც;
- ფლეშ მეხსიერება - 1 ც;
- დაფა - 1 ც

B სასწავლო გარემო - ერთ ცვლაში სწავლების პირობებში საშუალო დატვირთვა შეადგენს დაახლოებით 35-40%-ს, რაც უზრუნველყოფს აუდიტორიების მოქნილ გამოყენებას ცვლიანობის პრინციპით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გარემოების საშუალო დატვირთვა ერთ ცვლაში შეადგენს დაახლოებით 35-40%-ს, რაც უზრუნველყოფს აუდიტორიების ეფექტიან და მოქნილ გამოყენებას ცვლიანობის პრინციპით.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება უზრუნველყოფილია პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე. წარმოდგენილი ხელშეკრულებების მიხედვით, შპს „გაკო ტერმინალს" და სსიპ შემოსავლების სამსახურს ერთდროულად შეუძლიათ პრაქტიკაზე თითოეულში 24 პროფესიული სტუდენტის მიღება, რაც სრულ შესაბამისობაშია პროგრამის პრაქტიკული სწავლების საჭიროებებთან და სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობასთან.

პროგრამა ითვალისწინებს რიგი მოდულების დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობას. აკადემიას გააჩნია ულიმიტო ZOOM პლატფორმის ლიცენზია, რაც ქმნის სასწავლო პროცესის უწყვეტად და მოქნილად ორგანიზების დამატებით შესაძლებლობას.

სასწავლო გარემოს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვისა და პროგრამის ხანგრძლივობის (ორი სასწავლო წელი) გათვალისწინებით, შესაძლებელია წლიურად ორი ჯგუფის (24+24) მიღება, ხოლო პროგრამის სრული ციკლის ფარგლებში - 96 პროფესიული სტუდენტის სწავლება. ამ ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 41 პროფესიული სტუდენტი, რაც არ აღემატება დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ზღვრულ შესაძლებლობებს.

ინდიკატორის (2.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია", რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებლად ჰყავს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსის დანართით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე", განხორციელებაში ჩართული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

სულ პროგრამას განახორციელებს 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 6 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებლად არის განსაზღვრული, ხოლო ზოგადი მოდულებისთვის - 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.

ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის N2/163 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც რექტორი მენეჯერთან ერთად გეგმავს პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის პროცესს. შერჩევისას ითვალისწინებენ პირის კვალიფიკაციას, შრომითი გამოცდილებისა და კომპეტენციების შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან. აკადემიის პერსონალის შერჩევის გეგმარების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს მენეჯერი და ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯში მოქმედი რეგულაციებით. მენეჯერი შესაბამის/ჩართულ სტრუქტურულ ერთეულთან კონსულტირების შედეგად განსაზღვრავს არსებული ვაკანსიის შევსების ფორმას: ა)ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებული ადამიანური რესურსის სარეზერვო ბაზიდან; ბ)პერსონალის მოთხოვნის სპეციფიკიდან გამომდინარე გარე რესურსის მოზიდვა კონკურსის წესით ან კონკურსის გარეშე. პირის შერჩევის შემდგომ, პირთან იდება შრომითი/მომსახურების ხელშეკრულება, შესრულებული სამუშაოების შინაარსის გათვალისწინებით.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ინდიკატორის (2.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უძღვება პროგრამის შემუშავებასა და მისი განვითარების პროცესებს.
პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით/პრაქტიკული გამოცდილებით.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით, ხოლო ფუნქცია-მოვალეობები - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.
ინტერვიურების პროცესში ნათლად წარმოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევაში, მატერიალური რესურსების მობილიზებასა და პროგრამაში ცვლილებების განხორციელებაში, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.
ინდიკატორის (2.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. აკადემიის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებისთვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს: სამკითხველო სივრცეს, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის; კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტ ქსელში; პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას. კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს გაეცნონ შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტაციას და სასწავლო პროცესში გამოიყენონ www.matsne.gov.ge განთავსებული დოკუმენტები. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს Open Biblio-ს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, აკადემიის სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები. **აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ინდიკატორის (2.2.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულებას აქვს მზადყოფნა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (სსსმ) ინდივიდუალურად მორგებული საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 10 ივნისი, N2/82) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომლის ფარგლებშიც სსსმ პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფენ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით, მათ საჭიროებებზე მორგებული მოდულების მოდიფიკაციით ან აკომოდაციით. საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო რესურსის ადაპტირება სსსმ პირის საჭიროებების შესაბამისად. კოლეჯში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსის უზრუნველყოფას;
- აკადემიის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობას;
- ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებულ ინდივიდუალურ მხარდაჭერას;
- დამატებით ადმინისტრაციულ დახმარებას;
- სასწავლო რესურსის ელექტრონულ ვერსიაში გაწვდას;
- სასწავლო მასალის დასაბეჭდად განთავსებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად (შრიფტის ზომა და სხვა მახასიათებლები).

არსებული რეგულაციები უზრუნველყოფს სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას და სასწავლო რესურსებთან სრულად ხელმისაწვდომობას, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორის (2.2.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის **„საბაჟო საქმის“** მდგრად და უწყვეტ განხორციელებას, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს, პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით (რენტაბელობის ზღვარად მიჩნეულია **მინიმუმ 18 პროფესიული სტუდენტი),** რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება;
- პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის და მასალა-ნედლეულის ხარჯი;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების ხარჯი;
- პერსონალის განვითარების/წახალისების ხარჯი;
- სსსმ და შშმ პირებზე გაწეული ხარჯი;
- დიპლომის ხარჯი და სხვ.

პროგრამის განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ რეალური კალკულაციის, საბაზრო ფასების ცვლილების ან სხვა ობიექტური გარემოების საფუძველზე, შესაძლოა შეიცვალოს პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარი და ცვლილებებით ჩამოყალიბდეს ბიუჯეტი.
ინდიკატორის (2.2.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბოლო ცვლილება რექტორის ბრძანება №2/14 27.02.2025)
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2019 წლის 10 ოქტომბრის N2/169 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საბაჟო საქმე
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2024 წლის 30 აპრილის #2/42 ბრძანება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის N2/163 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან და ინსტრუქტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, აკადემიის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მიზნებისათვის ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ვინაიდან სასწავლო პროცესი დაიწყო მიმდინარე წლის ნოემბერში, ამ ეტაპზე პროფესიულ სტუდენტებთან არ ჩატარებულა გამოკითხვები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ პროფესიულ სტუდენტებს მათი მოლოდინების და პროგრამით დაინტერესების მოლოდინების გაანალიზების მიზნით, მიმდინარე ეტაპზე სტუდენტები კმაყოფილები არიან სასწავლო პროცესით, მატერიალურ ტექნიკური ბაზით, მასწავლებელთა კვალიფიკაციით და გამოცდილებით.

ინდიკატორის (2.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად კოლეჯი მუდმივად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. მონიტორინგი ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში. მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა არგუმენტირებული დასაბუთებით და რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიცვალოს/დაზუსტდეს შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, თემატიკა, სასწავლო რესურსი. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, დადგინდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინდიკატორის (2.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გამოკითხვის შედეგების ანალიზით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებები.
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია”;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საბაჟო საქმე“ შედგენილია სასწავლო გეგმა, ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა არის თანმიმდევრული. განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ყველა კომპონენტი: მოდული, სწავლების ფორმა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება დატვირთვის მიხედვით და სხვ. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესახებ და დაცული არის მოდულების განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობა. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. გასაუბრების და მასალების გაცნობით დადგინდა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის (2.4.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში, ,,სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის წესები", გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში მოხდება ცვლილება ან მისი გაუქმება, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესში.

დაწესებულება მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს პროფესიულ სტუდენტებს ისეთი საკითხების გადაჭრაში, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დამატებითი მეცადინეობის ან/და კონსულტაციის ჩატარება, განმეორებითი შეფასება და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების პრაქტიკა დადასტურდა დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

ინდიკატორის (2.4.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. B გარემოში ინსტალირებულია დარგთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფები. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები და განათლების დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირები გადამზადებულნი არიან პროფესიული სწავლების სპეციფიკაში და მეთოდოლოგიაში.
გასაუბრების და მასალების გაცნობით დადგინდა, რომ სასწავლო პროსესში გამოყენებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები.
ინდიკატორის (2.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები
დაწესებულების რეგულაციები განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ორგანიზების წესებს, რომელიც მიმართულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების დაცვასა და საჭიროებების სწრაფად რეაგირებაზე. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“32-ე მუხლის საფუძველზე კოლეჯში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეთოდოლოგია. ინდივიდუალური გეგმის შემუშავება ხდება შემდეგი შემთხვევების შემთხვევაში:

- პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება;
- ხანგრძლივი ავადმყოფობა ან სხვა ობიექტური მიზეზი ართულებს სწავლის პროცესში ჩართულობას;
- დროებითი საჭიროება სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმის (ისგ) გამოყენებისა;
- პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით ან აღიარების/დადასტურების პროცესშია;
- სხვა შემთხვევები, სადაც ინდივიდუალური გეგმის შემუშავება საჭიროა პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის მიზნით.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტი პერიოდულად აკვირდება სტუდენტთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ავსებს შესაბამის დაკვირვების ფორმებს. საჭიროების შემთხვევაში, რექტორის ბრძანებით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობენ რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლების განმახორციელებელი პირები და საჭიროების შემთხვევაში სპეციალური განათლების სპეციალისტი. სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით ჯგუფი ახორციელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, რაც მოიცავს მოდულის ან საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების მოდიფიკაციასა და აკომოდაციას. **ინდიკატორის (2.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიებთან პროგრამის განხორციელების მიზნით. მემორანდუმის საგანია საწარმოო პრაქტიკის მოდულის ერთობლივი განხორციელება პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე, რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების მისაღწევად.

მემორანდუმები გაფორმებულია შემდეგ ორგანიზაციებთან:

- შპს გაკო ტერმინალი - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 24 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- სსიპ შემოსავლების სამსახური - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 24 პროფესიული სტუდენტის მიღება;

პრაქტიკის მემორანდუმებში განსაზღვრულია თანამშრომლობის მიზნები, მხარეთა ვალდებულებები, პრაქტიკის განხორციელების დეტალები, მისაღები სტუდენტების რაოდენობები. მემორანდუმები გაფორმებულია მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს. პრაქტიკის ობიექტზე სწავლება მიმდინარეობს მოდულის შესაბამისად. დაცულია უსაფრთხოების მოთხოვნები.

ინდიკატორის (2.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო.

პროგრამა არ საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ქიმიურ ლაბორატორიაში და კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ინდიკატორის (2.4.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ სასწავლო გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბოლო ცვლილება რექტორის ბრძანება №2/14 27.02.2025)
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2019 წლის 10 ოქტომბრის N2/169 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საბაჟო საქმე
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2024 წლის 30 აპრილის #2/42 ბრძანება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის N2/163 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ნაწილი მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელ ნორმებს, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების პროცედურები. დოკუმენტში განსაზღვრულია:

- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურები და მათი შემუშავების მეთოდიკა;
- პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ;
- აპელაციის წესები და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურები;
- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების შედეგების დადასტურების მექანიზმები;
- მტკიცებულებების მოპოვების, დაცვა - შენახვის და რეგისტრაციის წესები.

დაწესებულებას ცალკე აქვს დამტკიცებული „შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი” (რექტორის ბრძანება N2/192, 07.11.2022, ცვლილება N2/82, 10.06.2025), რომელიც სრულად შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

ინდიკატორის (2.4.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) . ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები აისახება ანგარიშში, რომელიც დადგენილი წესით ეცნობება დაინტერესებულ პირებს/ მხარეებს. დაწესებულებამ აღნიშნული პროცესების პრაქტიკაში მოქმედების მიზნით წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ . აღნიშნული ბრძანების მიხედვით დგინდება, რომ ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყო როგორც დარგის, ასევე განათლების მოწვეული ექსპერტი. აკადემიის მიერ დამტკიცებული რისკების სისტემა შესაბამისობაშია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილ რისკებთან. ვერიფიკაციის პროცესში შემოწმდა ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოდულები რომლებიც რისკის სქემის მიხედვით პრიორიტეტული იყო. მათ შორის იყო **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“**. ვერიფიკაციის შედეგად დადგინდა, რომ გასასწორებელია მართლწერის საკითხები და კითხვარებში სასურველია დაცული იყოს ერთნაირი მიდგომა 1 სწორი 3 არასწორი დისტრაქტორი.
რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების შემოწმებას, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებობს შეფასების მტკიცებულება. მტკიცებულებები აღრიცხულია, ხელმოწერილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ აკადემიაში სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
ინდიკატორის (2.4.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
აკადემიის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში: შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.
სასწავლო პროცესის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე, საქმისმწარმოებელი კი საქმისწარმოების წესის შესაბამისად (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 21.12.2021 წლის N2/167 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ბრძანება N2/71 (22.05.2025)) პირადი საქმეების საწარმოებლად, ხოლო პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო დგება სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომლის მუხლი 41 არეგულირებს შეფასების მტკიცებულების შენახვის და განკარგვის წესს. ისინი ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს. რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც პასუხისმგებელია გასანადგურებელი მტკიცებულებების იდენტიფიცირებაზე. პროცესის დასრულების შემდეგ კომისია ამზადებს შესაბამის ოქმს, რომელიც ასახავს განხორციელებული საქმიანობის დეტალურ აღწერას და ადასტურებს მტკიცებულებების განადგურების ფაქტს. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები პორტფოლიოში ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ინდიკატორის (2.4.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემია პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ მეთოდებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი კომპეტენციების განვითარება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. პროფესიული მასწავლებლები რეგულარულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში სტუდენტებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ შემდგომი განვითარების გეგმების ჩამოყალიბებაში და სწავლების მიდგომების გაუმჯობესებაში.

შესრულებული სამუშაოების უკუკავშირი და შეფასების შედეგების ანალიზი ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ ახალი ინიციატივებისა და მეთოდების დანერგვას. პროფესიული სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საკუთარი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესახებ, ხოლო აკადემია უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების გამოყენებას სწავლების პროცესის დახვეწისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საჭიროების განსაზღვრისთვის.

დაწესებულებაში გამოყენებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია ციფრულ პლატფორმასთან და აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს. პლატფორმა უზრუნველყოფს სწრაფ უკუკავშირს მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და სტუდენტს შორის, ხოლო პერსონალური მონაცემები დაცულია, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ეფექტურ განვითარებას.

ინდიკატორის (2.4.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტ. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- უწყისების აღრიცხვის ჟურნალი;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/218 დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. თბილისის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმებით (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი (თბილისი-საჩხერე) 2025 წელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00008670 07/06/2025;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00020347 24/10/2025;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ტვირთების ექსპედირება
პროფესიული განათლების დონე	IV
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის 2025 წლის 7 მაისის N2/56 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის N28; წეროწისის ქ. N208
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	112
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	112
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐არშეესაბამება	☐არშეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტვირთების ექსპედირება" განახორციელოს არის საფუძვლიანად დადასტურებული და სრულად შეესაბამება აკადემიის მისიისა და სტრატეგიული განვითარების მიზნებს. პროგრამის შემუშავება ეფუძნება შემოწმებულ მონაცემებს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისა და საერთაშორისო ტენდენციების შესახებ.

ადგილობრივი მონაცემები ადასტურებს, რომ ტვირთების ექსპედირების სპეციალისტებზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება. 2023 წლის პირველ კვარტალში სატრანსპორტო დარგებში გადაზიდული ტვირთების მოცულობამ 3,1 მლნ ტონა შეადგინა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 3%-იანი ზრდით. 2022 წლის მონაცემებით, გადაზიდული ტვირთების საერთო მოცულობა 47,3 მლნ ტონა იყო. საზღვაო ნავსადგურებში გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობამ 54%-იანი ზრდა განიცადა. საქართველო, როგორც ტრანზიტული ქვეყანა (Middle Corridor) და „ერთი სარტყელი, ერთი გზა" პროექტის ნაწილი, წარმოადგენს სტრატეგიულ დერეფანს ევროპასა და აზიას შორის, რაც ზრდის პროფესიონალების მოთხოვნას.

დაგეგმვისას აკადემიამ დააანალიზა საერთაშორისო ანგარიშები (World Bank, OECD, IFC), საქსტატის მონაცემები, ბიზნეს ასოციაციის შრომის ბაზრის ანგარიშები და ეროვნული ლოგისტიკური სტრატეგიები. ანალიზი ადასტურებს, რომ ლოგისტიკისა და სატვირთო გადაზიდვების სფეროში კვალიფიციური კადრების დეფიციტი მკვეთრად იგრძნობა, რაც ხელისშემშლელია არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური ეფექტიანობისთვის, არამედ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურების უზრუნველყოფისთვის. რეგულაციების მუდმივი ცვლილება და ევროკავშირის ბაზრებთან ინტეგრაცია კიდევ უფრო ამძიმებს არსებული სპეციალისტების დეფიციტის პრობლემას.

აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ პროგრამის განხორციელება ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას: პროგრამის მიზანშეწონილობის დოკუმენტი, სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. პროგრამის განხორციელება სრულად შეესაბამება აკადემიის სტრატეგიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას, ახალი პროგრამების დანერგვას, არსებული პროგრამების მოდერნიზებასა და პროგრამათა სპექტრის გაფართოებას.
მატერიალური, ტექნიკური და პროფესიული რესურსები პროგრამის განხორციელების სრულყოფისთვის საკმარისია. აკადემიას აქვს შესაბამისი სივრცეები, აღჭურვილობა, კომპიუტერული კლასტერი, აუდიტორიები და პრაქტიკის ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევას განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები აითვისებენ თანამედროვე პროფესიულ კომპეტენციებს, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ბაზრის მოთხოვნებს, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ექსპერტის შეფასებით, პროგრამის განხორციელება არამარტო უზრუნველყოფს აკადემიის მისიის შესრულებას – პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი კადრების მომზადებას – არამედ უზრუნველყოფს საქართველოს ლოჯისტიკური სექტორის ეფექტიანობას, ტრანზიტული ფუნქციის გაძლიერებას და პროფესიული კადრების დეფიციტის შემცირებას.
დასკვნა: აკადემიის მიერ ჩატარებული კვლევები არის მრავალმხრივი, რელევანტური და ფუნქციურად გამოყენებული პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმის" შრომის ბაზრის შესაბამისობასა და განხორციელების მიზანშეწონილობას. **ინდიკატორის (2.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას
,,ტვირთების ექსპედირების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის ,,ტვირთების ექსპედირება" განსაზღვრულ წინაპირობასთან. კერძოდ, დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია:

- არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სრული ზოგადი განათლება;
- ინტეგრირებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროფესულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კი საბაზო ზოგადი განათლება.

პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებისა და აკადემიაში დადგენილი წესების შესაბამისად. დაშვებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები (სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა) დეტალურად არის გაწერილი აკადემიის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" (ბოლო ცვლილება რექტორის ბრძანება N2/14 27.02.2025) და ეყრდნობა 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს". სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია შემდეგი საკითხები: პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები; დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება, აპლიკანტთა რეგისტრაცია; აპლიკნტთა შერჩევა; შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის ინფორმირება; შიდა შერჩვა - მოტივაციური გასაუბრება და მისი მარეგულირებელი საკითხები (გასაუბრებაში მონაწილეობის უფლება, შესარჩევი კომისიის ფორმირება და გასაუბრება და სხვ.), შიდა შერჩევის ფორმა - ტესტირება (ტესტირებაში მონაწილეობის უფლება, ტესტირების შინაარსი, შეფასების ფორმები და სხვ.), განმეორებით შეფასებაზე გაშვებისა და აპელაციის საკითხები, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და სხვა. აკადემიის მიერ აპლიკანტთა შერჩევა განხორციელდება მოტივაციური გასაუბრებით.

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თანაბარ შესაძლებლობებს, გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღებასა და სამართლიან ადმინისტრაციულ პროცესს. შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები უზრუნველყოფს ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც პროგრამის განხორციელების ვადაში შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორის (2.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით (ცვლილება: რექტორის 07.11.2022 წლის N2/185 ბრძანებით, ცვლილება: 29.06.2024 წლის N2/86 ბრძანებით) დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-5 მუხლში ასახულია ,,პროფესიული სტუდენტების კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის (სასწავლო გარემო, ტექნიკური საშუალებები, ინფრასტრუქტურა) რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას, ადამიანურ რესურსებს (სასწავლო პროცესში ჩართული კვალიფიციური განმახორციელებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა), ფინანსურ რესურსებს (დაწესებულების ფინანსური მდგრადობა და პროგრამის დაფინანსების შესაძლებლობები) და პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებს (საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო საწარმოო ბაზები/პრაქტიკის ობიექტები და მემორანდუმები). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

A გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების რაოდენობა აუდიტორიაში იანგარიშება შემდეგი პრინციპით:

- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

B გარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამისათვის და გაანგარიშდება სტუდენტთა რაოდენობაზე:

- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე ერთი კომპიუტერი სრული კომპლექტაციით;

C გარემო/პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე სტუდენტების რაოდენობა პრაქტიკის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:

- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი (არსებობის შემთხვევაში);
- კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით/საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;
- მოდულის სწავლის შედეგების განხორციელების შესაძლებლობა დისტანციურად;

მოდულში შესაძლებელია იყოს ორი ან სამი გარემო ერთად, ამ შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი აღნიშვნა (A და C; ან B და C; ან A და B; ან A, B და C). იმ შემთხვევაში, თუ ოთახი გამოიყენება ორი ან მეტი პროგრამისა და ჯგუფისათვის, ფართი და აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება შეუფერხებლად. აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა სამიზნე ნიშნულებთან. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას უნდა გათვალისწინებულ იქნას სწავლება ორ ცვლაში სწავლის შესაძლებლობა, ასევე ცხრილის შედგენის შესაძლებლობა შეჭრილი ცხრილის პრინციპით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ტვირთების ექსპედირება“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის დაწესებულებას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას პარტნიორ კომპანიებში.

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 112 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. დაწესებულებას შეუძლია ერთ მიღებაზე 112 პროფესიული სტუდენტის მიღება. ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 50 პროფესიული სტუდენტი (11 ინტეგრირებული, 39 არაინტეგრირებული).

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის (2.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება" მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

ინდიკატორის (2.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

დამტკიცებული პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები.

ინდიკატორის (2.1.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული წესის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიის რექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ტვირთების ექსპედირება" დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის მიერ 2025 წლის 7 მაისის N2/56 ბრძანებით (ცვლილება შევიდა რექტორის 2025 წლის 28 ნოემბრის #2/184 ბრძანებით).

ინდიკატორის (2.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტვირთების ექსპედირება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „ტვირთების ექსპედირება“ საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია როგორც შინაარსთან, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორის (2.1.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტვირთების ექსპედირება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „ტვირთების ექსპედირება“ (სარეგისტრაციო ნომერი 04.2.1) საფუძველზე. პროგრამა მოიცავს სასწავლო გეგმას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს 9 კრედიტის მოცულობით, 7 სპეციალიზაციის მოდულს 81 კრედიტის მოცულობით. პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 2 სასწავლო წელი, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 2,3 წელი.

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით (ცვლილება: რექტორის 07.11.2022 წლის N2/185 ბრძანებით, ცვლილება: 29.06.2024 წლის N2/86 ბრძანებით) დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ არეგულირებს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურებს. პროგრამის დაგეგმვის პროცესს წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, ახალი პროგრამის ინიცირებასა და მისი დამატების მიზანშეწონილობის დადგენას. ახალი პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი პირი, პარტნიორი ორგანიზაცია და სხვ., რომელმაც აკადემიის რექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს არგუმენტირებული სამსახურებრივი ბარათი პროგრამ(ებ)ის შემუშავების საჭიროების შესახებ. ახალი პროგრამის დამატების/ცვლილების/გაუქმების შესახებ მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, აკადემიის რექტორის ბრძანებით იქნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს ახალი პროგრამის დამატების, არსებული პროგრამის ცვლილების/გაუქმების ინიცირების შესახებ განაცხადს. კომისია განაცხადის განხილვისას ითვალისწინებს მის შესაბამისობას აკადემიის მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, აკადემიის ადამიანურ და მატერიალურ რესურსთან და სხვა.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო სტანდარტი „ტვირთების ექსპედირება“. პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2025 წლის 7 მაისის N2/56 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ტვირთების ექსპედირება, ასევე წარმოდგენილ იქნა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ რექტორის 2024 წლის 30 აპრილის #2/42 ბრძანება შესაბამისი ოქმით, სადაც ნათლად ჩანს პროგრამის რეგულაციებთან შესაბამისობით შემუშავება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ აღნიშნული პირები. წარმოდგენილი პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სტრუქტურა და მოდულები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა.

ინდიკატორის (2.1.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბოლო ცვლილება რექტორის ბრძანება №2/14 27.02.2025);
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2025 წლის 7 მაისის N2/56 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ტვირთების ექსპედირება (ცვლილება შევიდა რექტორის 2025 წლის 28 ნოემბრის #2/184 ბრძანებით);
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2024 წლის 30 აპრილის #2/42 ბრძანება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის კოლეჯს გააჩნია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, წერონისის ქ. N 208, სასწავლო გარემო B, აუდიტორია N7:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც;
- პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი (ტვირთების გადაზიდვების მართვის კომპიუტერული პროგრამით) - 28 ც;
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი (ტვირთების გადაზიდვების მართვის კომპიუტერული პროგრამით) - 1ც;
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 28 ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1ც;
- დაფა - 1 ც.

ქ. თბილისი, წერონისის ქ. N 208, სასწავლო გარემო A, აუდიტორია N9:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც;
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც;
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 28 ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1ც;
- დაფა - 1 ც;
- პროგრამით განსაზღვრული სხვა მატერიალური რესურსი

ქ. თბილისი, ც. დადიანის N28, AC გარემო ინტეგრირებული (მეცნიერება და ტექნოლოგიები), აუდიტორია N12:

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა და სკამი - 30 ც;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1 ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც

აღნიშნულ გარემოში განთავსებულია ზოგადი ინტეგრირებული მოდულის - მეცნიერება და ტექნოლოგიები შესაბამისი მატერიალური რესურსები. აღნიშნულ გარემო ერთი ჯგუფისთვის დატვირთულია საშუალოდ 4 საათით, რაც საშუალებას იძლევა მოქნილად იქნეს გამოყენებული სხვადასხვა პროგრამის/ჯგუფების მართვისთვის.

ქ. თბილისი, ც. დადიანის N28, A გარემო აუდიტორია N11 - ინტეგრირებული მოდულების (გარდა ინტეგრირებული მოდულის მეცნიერება და ტექნოლოგიებისა) განხორციელებისათვის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა და სკამი - 30 ც;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1 ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც

სპორტის მოდულის გარემო: თემა - ლაშქრობა/სპორტული ორიენტირება შესაბამისი აღჭურვილობით და თემა - აერობიკა/პილატესი შესაბამისი აღჭურვილობით.

პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები:

- შპს გაკო ტერმინალი - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 30 პროფესიული სტუდენტის მიღება, სულ 60;
- შპს მინიმარტი - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღება, სულ 30;
- შპს მინტრანსი - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 2 პროფესიული სტუდენტის მიღება, სულ 10;
- საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვათა ასოციაცია - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 15 პროფესიული სტუდენტის მიღება, სულ 30;

ასევე პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლობლობა, აკადემიას შესყიდული აქვს ულიმიტო ZOOM პლატფორმის მომსახურება, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია სასწავლო პროცესის მოქნილად და უწყვეტი რეჟიმით დაგეგმვა-განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით შესაძლებელია პროგრამის ფარგლებში სულ ოთხი ჯგუფის მიღება, თითოეულში 28 პროფესიული სტუდენტი, სულ 112 პროფესიული სტუდენტის სწავლება, მათ შორის 112 ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში.

ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 50 პროფესიული სტუდენტი (11 ინტეგრირებული, 39 არაინტეგრირებული). სასწავლო პროცესი გრძელდება 2 სასწავლო წელი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, 2,3 წელი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე დათვალიერების შედეგებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორის (2.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებლად ჰყავს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსის დანართით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“, განხორციელებაში ჩართული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას განახორციელებს 56 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 10 პირი პროფესიული მოდულის განმახორციელებლად არის განსაზღვრული, ზოგადი მოდულებისთვის - 18, ხოლო ინტეგრირებული მოდულებისთვის - 29 პირი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს. პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.

გასაუბრებითა და მასალების დაცნობით დადგინდა, რომ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის N2/163 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც რექტორი მენეჯერთან ერთად გეგმავს პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის პროცესს. შერჩევისას ითვალისწინებენ პირის კვალიფიკაციას, შრომითი გამოცდილებისა და კომპეტენციების შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან. აკადემიის პერსონალის შერჩევის გეგმარების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს მენეჯერი და ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯში მოქმედი რეგულაციებით. მენეჯერი შესაბამის/ჩართულ სტრუქტურულ ერთეულთან კონსულტირების შედეგად განსაზღვრავს არსებული ვაკანსიის შევსების ფორმას: ა) ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებული ადამიანური რესურსის სარეზერვო ბაზიდან; ბ) პერსონალის მოთხოვნის სპეციფიკიდან გამომდინარე გარე რესურსის მოზიდვა კონკურსის წესით ან კონკურსის გარეშე. პირის შერჩევის შემდგომ, პირთან იდება შრომითი/მომსახურების ხელშეკრულება, შესრულებული სამუშაოების შინაარსის გათვალისწინებით.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ინდიკატორის (2.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უძღვება პროგრამის შემუშავებასა და მისი განვითარების პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით/პრაქტიკული გამოცდილებით.

პროგრამას ყავს ორი ხელმძღვანელი. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმეები და მოხდა მათთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელთა ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით, ხოლო ფუნქცია-მოვალეობები სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.
ინტერვიურების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები იცნობენ საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობენ პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვთ მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევასა და მატერიალური რესურსების მობილიზებაში, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.
ინდიკატორის (2.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. აკადემიის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებისთვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს: სამკითხველო სივრცეს, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის; კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტ ქსელში; პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას. კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს გაეცნონ შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტაციას და სასწავლო პროცესში გამოიყენონ www.matsne.gov.ge განთავსებული დოკუმენტები. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს Open Biblio-ს. შესაბამისად, აკადემიის სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები. **აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ინდიკატორის (2.2.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას აქვს მზადყოფნა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (სსსმ) ინდივიდუალურად მორგებული საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 10 ივნისი, N2/82) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომლის ფარგლებშიც სსსმ პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფენ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით, მათ საჭიროებებზე მორგებული მოდულების მოდიფიკაციით ან აკომოდაციით. საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო რესურსის ადაპტირება სსსმ პირის საჭიროებების შესაბამისად. კოლეჯში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსის უზრუნველყოფას;
- აკადემიის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობას;
- ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებულ ინდივიდუალურ მხარდაჭერას;
- დამატებით ადმინისტრაციულ დახმარებას;
- სასწავლო რესურსის ელექტრონულ ვერსიაში მიწოდებას;
- სასწავლო მასალის დასაბეჭდად განთავსებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად (შრიფტის ზომა და სხვა მახასიათებლები).

არსებული რეგულაციები უზრუნველყოფს სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას და სასწავლო რესურსებთან სრულად ხელმისაწვდომობას, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორის (2.2.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

აკადემიის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირების“ მდგრად და უწყვეტ განხორციელებას, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს, პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით (რენტაბელობის ზღვარად მიჩნეულია მინიმუმ 11 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული პროგრამისთვის და მინიმუმ 18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტი არაინტეგრირებული პროგრამისთვის), რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება;
- პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის და მასალა-ნედლეულის ხარჯი;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების ხარჯი;
- პერსონალის განვითარების/წახალისების ხარჯი;
- სსსმ და შშმ პირებზე გაწეული ხარჯი;
- დიპლომის ხარჯი და სხვ.

პროგრამის განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ რეალური კალკულაციის, საბაზრო ფასების ცვლილების ან სხვა ობიექტური გარემოების საფუძველზე, შესაძლოა შეიცვალოს პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარი და ცვლილებებით ჩამოყალიბდეს ბიუჯეტი.

ინდიკატორის (2.2.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბოლო ცვლილება რექტორის ბრძანება №2/14 27.02.2025)
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2025 წლის 7 მაისის N2/56 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ტვირთების ექსპედირება
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2024 წლის 30 აპრილის #2/42 ბრძანება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის N2/163 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან და ინსტრუქტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, აკადემიის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მიზნებისათვის ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ვინაიდან სასწავლო პროცესი დაიწყო მიმდინარე წლის ნოემბერში, ამ ეტაპზე პროფესიულ სტუდენტებთან არ ჩატარებულა გამოკითხვები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ პროფესიულ სტუდენტებს მათი მოლოდინების და პროგრამით დაინტერესების მოლოდინების გაანალიზების მიზნით, მიმდინარე ეტაპზე სტუდენტები კმაყოფილები არიან სასწავლო პროცესით, მატერიალურ ტექნიკური ბაზით, მასწავლებელთა კვალიფიკაციით და გამოცდილებით.

ინდიკატორის (2.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად კოლეჯი მუდმივად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. მონიტორინგი ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში. მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა არგუმენტირებული დასაბუთებით და რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიცვალოს/დაზუსტდეს შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, თემატიკა, სასწავლო რესურსი. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, დადგინდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინდიკატორის (2.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გამოკითხვის შედეგების ანალიზით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებები.
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია”;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ტვირთების ექსპედირება“ შედგენილია სასწავლო გეგმები, ინტეგრირებული და არაინტეგრირებული, ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა არის თანმიმდევრული. განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ყველა კომპონენტი: მოდული, სწავლების ფორმა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება დატვირთვის მიხედვით და სხვ. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესახებ და დაცული არის მოდულების განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობა. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. გასაუბრების და მასალების გაცნობით დადგინდა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ინდიკატორის (2.4.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში, ,,სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის წესები", გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში მოხდება ცვლილება ან მისი გაუქმება, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესში.

დაწესებულება მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს პროფესიულ სტუდენტებს ისეთი საკითხების გადაჭრაში, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დამატებითი მეცადინეობის ან/და კონსულტაციის ჩატარება, განმეორებითი შეფასება და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების პრაქტიკა დადასტურდა დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

ინდიკატორის (2.4.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. B გარემოში ინსტალირებულია დარგთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფები. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე: დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები და განათლების დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირები გადამზადებულნი არიან პროფესიული სწავლების სპეციფიკაში და მეთოდოლოგიაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრების და მასალების გაცნობით დადგინდა, რომ სასწავლო პროსესში გამოყენებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები.
ინდიკატორის (2.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები
დაწესებულების რეგულაციები განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ორგანიზების წესებს, რომელიც მიმართულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების დაცვასა და საჭიროებების სწრაფად რეაგირებაზე. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“32-ე მუხლის საფუძველზე კოლეჯში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეთოდოლოგია. ინდივიდუალური გეგმის შემუშავება ხდება შემდეგი შემთხვევების შემთხვევაში:

- პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება;
- ხანგრძლივი ავადმყოფობა ან სხვა ობიექტური მიზეზი ართულებს სწავლის პროცესში ჩართულობას;
- დროებითი საჭიროება სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმის (ისგ) გამოყენებისა;
- პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით ან აღიარების/დადასტურების პროცესშია;
- სხვა შემთხვევები, სადაც ინდივიდუალური გეგმის შემუშავება საჭიროა პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის მიზნით.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტი პერიოდულად აკვირდება სტუდენტთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ავსებს შესაბამის დაკვირვების ფორმებს. საჭიროების შემთხვევაში, რექტორის ბრძანებით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობენ რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლების განმახორციელებელი პირები და საჭიროების შემთხვევაში სპეციალური განათლების სპეციალისტი. სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით ჯგუფი ახორციელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, რაც მოიცავს მოდულის ან საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების მოდიფიკაციასა და აკომოდაციას. **ინდიკატორის (2.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ტვირთების ექსპედირება“** ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიასთან პროგრამის განხორციელების მიზნით. მემორანდუმის საგანია „ტვირთების ექსპედირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კოოპერაციული სწავლების მიზნით, მოდულის „სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა“ , სწავლის შედეგი 4: სატრანსპორტო საშუალების დატვირთვის ორგანიზება, მოდულის „სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება“ - სწავლის შედეგი 2: ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სწავლის შედეგი 3: გადაზიდვების პროცესის ორგანიზება ერთობლივი განხორციელება პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე, რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების მისაღწევად.

მემორანდუმები გაფორმებულია შემდეგ ორგანიზაციებთან:

- შპს გაკო ტერმინალი - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 30 პროფესიული სტუდენტის მიღება, სულ 60;
- შპს მინიმარტი - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღება, სულ 30;
- შპს მინტრანსი - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 2 პროფესიული სტუდენტის მიღება, სულ 10;
- საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვათა ასოციაცია - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 15 პროფესიული სტუდენტის მიღება, სულ 30;

პრაქტიკის მემორანდუმებში განსაზღვრულია თანამშრომლობის მიზნები, მხარეთა ვალდებულებები, პრაქტიკის განხორციელების დეტალები, მისაღები სტუდენტების რაოდენობები. მემორანდუმები გაფორმებულია მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს, რომელთაც გამოხატეს მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესრულების მზაობა.

ინდიკატორის (2.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო.

პროგრამა არ საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ქიმიურ ლაბორატორიაში და კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ინდიკატორის (2.4.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ სასწავლო გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბოლო ცვლილება რექტორის ბრძანება №2/14 27.02.2025)
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2025 წლის 7 მაისის N2/56 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ტვირთების ექსპედირება ((ცვლილება შევიდა რექტორის 2025 წლის 28 ნოემბრის #2/184 ბრძანებით);
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2024 წლის 30 აპრილის #2/42 ბრძანება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის N2/163 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა.
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის N2/163 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ნაწილი მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელ ნორმებს, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების პროცედურები. დოკუმენტში განსაზღვრულია:

- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურები და მათი შემუშავების მეთოდიკა;
- პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ;
- აპელაციის წესები და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურები;
- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების შედეგების დადასტურების მექანიზმები;
- მტკიცებულებების მოპოვების, დაცვა - შენახვის და რეგისტრაციის წესები.

დაწესებულებას ცალკე აქვს დამტკიცებული „შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი” (რექტორის ბრძანება N2/192, 07.11.2022, ცვლილება N2/82, 10.06.2025), რომელიც სრულად შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

ინდიკატორის (2.4.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) . ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები აისახება ანგარიშში, რომელიც დადგენილი წესით ეცნობება დაინტერესებულ პირებს/ მხარეებს. დაწესებულებამ აღნიშნული პროცესების პრაქტიკაში მოქმედების მიზნით წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ . აღნიშნული ბრძანების მიხედვით დგინდება, რომ ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყო როგორც დარგის, ასევე განათლების მოწვეული ექსპერტი. აკადემიის მიერ დამტკიცებული რისკების სისტემა შესაბამისობაშია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილ რისკებთან. ვერიფიკაციის პროცესში შემოწმდა ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოდულები რომლებიც რისკის სქემის მიხედვით პრიორიტეტული იყო.

რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების შემოწმებას, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებობს შეფასების მტკიცებულება. მტკიცებულებები აღრიცხულია, ხელმოწერილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ აკადემიაში სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ინდიკატორის (4.2.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში: შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.
სასწავლო პროცესის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე, საქმისწარმოებელი კი საქმისწარმოების წესის შესაბამისად (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 21.12.2021 წლის N2/167 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ბრძანება N2/71 (22.05.2025)) პირადი საქმეების საწარმოებლად, ხოლო პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო დგება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომლის მუხლი 41 არეგულირებს შეფასების მტკიცებულების შენახვის და განკარგვის წესს. ისინი ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს. რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც პასუხისმგებელია გასანადგურებელი მტკიცებულებების იდენტიფიცირებაზე. პროცესის დასრულების შემდეგ კომისია ამზადებს შესაბამის ოქმს, რომელიც ასახავს განხორციელებული საქმიანობის დეტალურ აღწერას და ადასტურებს მტკიცებულებების განადგურების ფაქტს. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები პორტფოლიოში ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ინდიკატორის (2.4.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
აკადემია პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ მეთოდებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი კომპეტენციების განვითარება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. პროფესიული მასწავლებლები რეგულარულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში სტუდენტებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ შემდგომი განვითარების გეგმების ჩამოყალიბებაში და სწავლების მიდგომების გაუმჯობესებაში.
შესრულებული სამუშაოების უკუკავშირი და შეფასების შედეგების ანალიზი ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ ახალი ინიციატივებისა და მეთოდების დანერგვას. პროფესიული სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საკუთარი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნარების ხარისხის შესახებ, ხოლო აკადემია უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების გამოყენებას სწავლების პროცესის დახვეწისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საჭიროების განსაზღვრისთვის.
დაწესებულებაში გამოყენებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია ციფრულ პლატფორმასთან და აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს. პლატფორმა უზრუნველყოფს სწრაფ უკუკავშირს მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და სტუდენტს შორის, ხოლო პერსონალური მონაცემები დაცულია, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ეფექტურ განვითარებას.

ინდიკატორის (2.4.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტ. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- უწყისების აღრიცხვის ჟურნალი;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/218 დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. თბილისის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმებით (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი (თბილისი-საჩხერე) 2025 წელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00008670 07/06/2025;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00020347 24/10/2025;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	III
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის 31.07.2019 წ N2/112 ბრძანება;
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი წერონისის ქ N208
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60 კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება ☐არშეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება	■შეესაბამება ☐მეტწილადშეესაბამება ☐ნაწილობრივშეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐არშეესაბამება	☐არშეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ სრულად შეესაბამება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისია-ხედვასა და სტრატეგიულ პრიორიტეტებს. აკადემია ფოკუსირებულია პრაქტიკულ უნარებზე დაფუძნებულ განათლებაზე, რომელიც პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. ელექტროენერგეტიკის სფერო საქართველოს ეკონომიკისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომლის განვითარება დაკავშირებულია ინფრასტრუქტურასთან, მშენებლობასთან, წარმოებასთან და მომსახურების სფეროებთან, რაც პროგრამის მიზნობრიობას კიდევ უფრო მოწმობს.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სამოქმედო არეალში იკვეთება მზარდი მოთხოვნა ელექტროობის კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. ეს მოთხოვნა გამოწვეულია როგორც საჯარო ინფრასტრუქტურული პროექტებით - გზები, ხიდები, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები, ენერგოეფექტური შენობები, - ასევე ეკოლოგიური და ენერგეტიკული მიმართულებით დაგეგმილი ინვესტიციებით, მათ შორის განახლებადი ენერგიის სისტემებით, მცირე ჰესებით, მზის სადგურებით და სასაწყობე-წარმოებითი ობიექტების მოდერნიზაციით.

პროგრამის განხორციელება აღიარებულია დამსაქმებელთა მხრიდან. პარტნიორი ორგანიზაციები, მათ შორის ენერგო პრო ჯორჯია, აქტიურად ჩართულია სტუდენტთა პრაქტიკაში, რაც უზრუნველყოფს უნარების რეალურ სამუშაო გარემოში განვითარებას და სამუშაოზე სწრაფ დასაქმებას. დასაქმების პერსპექტივა აქტუალური არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო ბაზარზეა, რაც ადასტურებს ILO-ის კლასიფიკატორი ISCO-08 კოდის 7411 (Building and Related Electricians) მაღალი მოთხოვნადობას, ასევე ევროკავშირის CEDEFOP-ის კვლევები.

ეროვნული შრომის ბაზრის მონაცემები ცხადყოფს, რომ საქართველოში ელექტროობის კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი არსებობს. ვაკანსიების რაოდენობა წამყვან დასაქმების პლატფორმებზე, როგორიცაა Jobs.ge, CV.ge, HR.ge, Myjobs.ge, სტაბილურად მაღალია. პროგრამის კურსდამთავრებულთა კვლევა აჩვენებს, რომ 90% მათგან პროფილის შესაბამისად დასაქმებულია, 96% კმაყოფილია სწავლების ხარისხით, ხოლო 98% ურჩევს პროგრამას სხვებს, რაც ხაზს უსვამს პროგრამის პრაქტიკულ ეფექტიანობასა და სტუდენტთა მიერ მიღებულ ცოდნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შემუშავება ეფუძნება დამსაქმებლების მხრიდან გამოხატულ მოთხოვნას და პრაქტიკული თანამშრომლობის გამოცდილებას. კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გამოირჩევა ისეთი წამყვანი კომპანია, როგორიცაა ენერგო პრო ჯორჯია, დამსაქმებლისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზმა ცხადყო, რომ კვალიფიციური/დიპლომირებული ელექტრიკოსების დეფიციტი და ამ მიმართულებით კვალიფიციური კადრების სიმცირე წარმოადგენს რეალურ გამოწვევას, განსაკუთრებით ენერგეტიკისა და ინდუსტრიული წარმოების სექტორებში.

პროგრამა გამოირჩევა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მსგავს პროგრამებთან შედარებით. აქ გაძლიერებულია პრაქტიკული კომპონენტი, ინერგება ინტენსიური პრაქტიკა რეალურ ობიექტებზე, სისტემურ მონიტორინგსა და შეფასების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების უწყვეტ გაუმჯობესებას და ინდივიდუალურ მხარდაჭერას. აკადემიის მაღალი რეპუტაცია, ძლიერი პარტნიორული ქსელი და კურსდამთავრებულთა მაღალი დასაქმების მაჩვენებელი (>90%) კიდევ უფრო ამყარებს პროგრამის უნიკალურობას და ეფექტიანობას.

პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის საკმარისი ადამიანური რესურსი არის: 26 პროფესიონალი სპეციალისტი ახორციელებს სასწავლო პროცესს, რომლებმაც გააჩნიათ როგორც ღრმა თეორიული ცოდნა, ასევე მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება. ისინი იყენებენ თანამედროვე სასწავლო მეთოდებს და აკადემიურ სტანდარტებს.

დასკვნა:

ექსპერტული ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ სრულად შეესაბამება აკადემიის მისია-ხედვასა და სტრატეგიულ მიზნებს, პასუხობს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს პრაქტიკულად მომზადებულ კადრებს და ხელს უწყობს საქართველოს ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული სექტორების განვითარებას.

ინდიკატორის (2.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

ექსპერტული შეფასების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ელექტროობა“, დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით და აკადემიის შიდა რეგულაციებთან. პროგრამაზე „ელექტროობა“ დაშვების ძირითადი წინაპირობა წარმოადგენს საბაზო ზოგადი განათლების დასრულებას, რაც შეესაბამება პროფესიული განათლების სახელმწიფო სტანდარტებს და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის საწყის სასწავლო კომპეტენციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაშვების პროცესთან დაკავშირებული სხვა პროცედურები - სტუდენტის სტატუსის მიღება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა - დეტალურად გაწერილია აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში. აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს:

- თანაბარ შესაძლებლობებს ყველა კანდიდატისთვის,
- გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღების პროცესს,
- სამართლიან ადმინისტრაციულ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კანდიდატების უფლებების დაცვას და აკადემიის სტანდარტების შესაბამისად მოქმედებას.

ექსპერტის შეფასებით, ამ რეგულაციებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, პროგრამის განხორციელების პროცესში დაშვების პროცედურები არამარტო კანონმდებლობას ემორჩილება, არამედ ხელს უწყობს აკადემიის საგანმანათლებლო პოლიტიკის, ეთიკისა და სტუდენტთა უფლებების დაცვას, რაც განაპირობებს სწორი, სამართლიანი და პროფესიული გარემოს შექმნას.

ინდიკატორის (2.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით (ცვლილება: რექტორის 07.11.2022 წლის N2/185 ბრძანებით, ცვლილება: 29.06.2024 წლის N2/86 ბრძანებით) დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-5 მუხლში ასახულია ,,პროფესიული სტუდენტების კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის (სასწავლო გარემო, ტექნიკური საშუალებები, ინფრასტრუქტურა) რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას, ადამიანურ რესურსებს (სასწავლო პროცესში ჩართული კვალიფიციური განმახორციელებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა), ფინანსურ რესურსებს (დაწესებულების ფინანსური მდგრადობა და პროგრამის დაფინანსების შესაძლებლობები) და პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებს (საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო საწარმოო ბაზები/პრაქტიკის ობიექტები და მემორანდუმები). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

A გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების რაოდენობა აუდიტორიაში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:

- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

B გარემო/კომპიუტერული კლასი გამოიყენება ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამისათვის და გაანგარიშდება სტუდენტთა რაოდენობაზე:

- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე ერთი კომპიუტერი სრული კომპლექტაციით;

C გარემო/პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე სტუდენტების რაოდენობა პრაქტიკის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:

- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი (არსებობის შემთხვევაში);
- კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით/საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;
- მოდულის სწავლის შედეგების განხორციელების შესაძლებლობა დისტანციურად;

მოდულში შესაძლებელია იყოს ორი ან სამი გარემო ერთად, ამ შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი აღნიშვნა (A და C; ან B და C; ან A და B; ან A, B და C). იმ შემთხვევაში, თუ ოთახი გამოიყენება ორი ან მეტი პროგრამისა და ჯგუფისათვის, ფართი და აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება შეუფერხებლად. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა სამიზნე ნიშნულებთან. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას უნდა გათვალისწინებულ იქნას სწავლება ორ ცვლაში სწავლის შესაძლებლობა, ასევე ცხრილის შედგენის შესაძლებლობა შეჭრილი ცხრილის პრინციპით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ტვირთების ექსპედირება“ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობისა და განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არსებული კვოტისათვის დაწესებულებას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას პარტნიორ კომპანიებში.

აღნიშნული პროფესიული პროგრამისთვის დადგენილია საერთო კვოტა 30 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. დაწესებულებას შეუძლია ერთ მიღებაზე 30 პროფესიული სტუდენტის მიღება. ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 33 პროფესიული სტუდენტი.

პასუხისმგებელ პირთა ინტერვიუირებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ასევე, პროგრამის ანალიზითა და პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დასტურდება, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორის (2.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებული და ადგილზე შემოწმებული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი შესაბამისობაშია მოდულების სწავლის შედეგებთან.

ინდიკატორის (2.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

დამტკიცებული პროგრამას არ აქვს არჩევითი მოდულები.

ინდიკატორის (2.1.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია. აღნიშნული წესის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის რექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ დამტკიცებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N2/112; 31.07.2019წ, ბოლო ცვლილება განხორციელებულია აკადემიის რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N2/131 ბრძანებით. აკადემიის რექტორი, როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, უფლებამოსილია დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამები და მათში ცვლილებები, რასაც ცხადყოფს ასევე აკადემიის წესდება.

ინდიკატორის (2.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობა“** ორიენტირებულია საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მოპოვებაზე ელექტროობაში. პროგრამის სახელწოდება მკაფიოდ და ზუსტად ასახავს მის შინაარსსა და მიზნობრივ მიმართულებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის გამჭვირვალობას და არ იწვევს მცდარ მოლოდინებს დაინტერესებული პირებისთვის.

პროგრამის დოკუმენტაციის მიხედვით, დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც აუცილებელია ელექტროობის სფეროში საბაზო პროფესიული საქმიანობის განხორციელებისთვის. კერძოდ, კურსდამთავრებული შეძლებს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე გარემოსდაცვითი გეგმის შედგენას და პრაქტიკაში გამოყენებას, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვასა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფას.

ამასთან, პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის კომპეტენციებს ელექტრული წრედების ელემენტებისა და საზომი ხელსაწყოების აღწერის მიმართულებით, ელექტროობის სისტემების ნახაზების შესრულებაში **CAD-ის გამოყენებით**, ელექტრული მანქანებისა და ელექტრული ტექნოლოგიების არსის გააზრებაში. კურსდამთავრებული ასევე ფლობს მუდმივი და ცვლადი დენის ანგარიშის უნარებს, მათ შორის წრედებში ენერგეტიკული დანაკარგების განსაზღვრის მიმართულებით, და შეუძლია მათემატიკური ცოდნის პრაქტიკული გამოყენება ელექტროობაში.

პროგრამის ფარგლებში მიღებული სწავლების შედეგები მოიცავს ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულების უნარსა და პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის საბაზო კომპეტენციებს, რაც მნიშვნელოვანია როგორც პროფესიული საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელებისთვის, ისე სამუშაო გარემოში რისკების შემცირების კუთხით.

შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ნათლად ასახავს პროგრამის მიზნებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორის (2.1.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ელექტროობა“** შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „ელექტროობა“ საფუძველზე. პროგრამაში სრულყოფილად არის განსაზღვრული პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების ფორმები და კრედიტის მინიჭების წესი, ასევე კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან, პროგრამა მოიცავს ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ, რაც ადასტურებს ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებას. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტისგან, შესაბამისი მოდულებისგან და სასწავლო გეგმებისგან, მათ შორის ქართული ენის A2 კომპონენტის გათვალისწინებით და მის გარეშე შემუშავებული ვერსიებისგან. პროგრამის პაკეტს თან ერთვის დეტალური ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ინდიკატორის (2.1.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბოლო ცვლილება რექტორის ბრძანება №2/14 27.02.2025);
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2025 წლის 31 ივლისის N2/112 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ (ცვლილება შევიდა აკადემიის რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N2/131 ბრძანებით);

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია ერთი **B ტიპის** და ერთი **AC ტიპის** სასწავლო გარემო, რომლებიც აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალური რესურსებით. აღნიშნული სასწავლო გარემოები, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივითა და სტუდენტების აქტიური ჩართულობით განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობა აღემატება პროგრამით მინიმალურად განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, სტუდენტური აქტივობების ფარგლებში **AC ტიპის სასწავლო გარემოში** დამატებით მოწყობილია სამი აქტიური სტენდი და ერთი ელექტრო გენერაციის მაკეტი, რომლებიც მნიშვნელოვნად აძლიერებს პრაქტიკული სწავლების კომპონენტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირველი სტენდი წარმოადგენს შიდა სამონტაჟო ელექტრომოწყობილობების ერთობლიობას, სადაც სტუდენტები სწავლობენ საყოფაცხოვრებო ელექტრომონტაჟის შესრულებას. მეორე სტენდი მოიცავს სამფაზა ელექტრომოწყობილობებს და განკუთვნილია საწარმოო პროცესებში გამოყენებული ელექტროსისტემების შესასწავლად. მესამე სტენდი წარმოადგენს **„ჭკვიანი სახლის“** მოდულს, რომელზეც ინტეგრირებულია საცხოვრებელ სივრცეში გამოყენებული ელექტრომოწყობილობების კონტროლის სისტემები სხვადასხვა ციფრული აპლიკაციის მეშვეობით. მეოთხე სტენდზე წარმოდგენილია **განახლებადი ელექტროენერგიის გენერაციის** მაკეტი, სადაც თვალსაჩინოდ არის ასახული ელექტროენერგიის გენერაციის, გადაცემისა და განაწილების სრული ციკლი.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული სტუდენტების მიერ განხორციელებული საქმიანობა არა მხოლოდ შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს, არამედ მნიშვნელოვნად სცდება მათ და ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების გაღრმავებასა და პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას.

რაც შეეხება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი შპს **„ენერგო-პრო ჯორჯიასთან“**, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების მიღებას და პრაქტიკის მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობას.

ასევე პროგრამით გათვალისწინებულია რიგი მოდულების დისტანციურ რეჟიმში სწავლების შესაძლობლობა, აკადემიას შესყიდული აქვს ულიმიტო ZOOM პლატფორმის მომსახურება, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია სასწავლო პროცესის მოქნილად და უწყვეტი რეჟიმით დაგეგმვა-განხორციელება.

ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 33 პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე დათვალიერების შედეგებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორის (2.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვითაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია, რომ დაწესებულებას ერთი მოდულის განსახორციელებლად ჰყავს მინიმუმ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღნიშნული დასტურდება დაწესებულების მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსის დანართით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“, განხორციელებაში ჩართული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სულ პროგრამას განახორციელებს პროგრამისთვის განსაზღვრულია 24 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად, ხოლო 16 პროფესიულ მოდულს. მათი დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ კვირეულ დატვირთვას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალებითა და გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, განმახორციელებელ პირებს, შესწავლეს პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.

გასაუბრებითა და მასალების დაცნობით დადგინდა, რომ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის N2/163 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც რექტორი მენეჯერთან ერთად გეგმავს პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის პროცესს. შერჩევისას ითვალისწინებენ პირის კვალიფიკაციას, შრომითი გამოცდილებისა და კომპეტენციების შესაბამისობას დასაკავებელ თანამდებობასთან. კოლეჯის პერსონალის შერჩევის გეგმარების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს მენეჯერი და ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯში მოქმედი რეგულაციებით. მენეჯერი შესაბამის/ჩართულ სტრუქტურულ ერთეულთან კონსულტირების შედეგად განსაზღვრავს არსებული ვაკანსიის შევსების ფორმას: ა) ვაკანსიის მოთხოვნის დაკმაყოფილება არსებული ადამიანური რესურსის სარეზერვო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბაზიდან; ბ) პერსონალის მოთხოვნის სპეციფიკიდან გამომდინარე გარე რესურსის მოზიდვა კონკურსის წესით ან კონკურსის გარეშე. პირის შერჩევის შემდგომ, პირთან იდება შრომითი/მომსახურების ხელშეკრულება, შესრულებული სამუშაოების შინაარსის გათვალისწინებით.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. გამოიკვეთა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს ხშირად უტარდებათ სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თუ ტრენინგები როგორც დარგობრივ კომპეტენციაში, ასევე, სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ინდიკატორის (2.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უძღვება პროგრამის შემუშავებასა და მისი განვითარების პროცესებს. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის ხელმძღვანელობა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტით, ხოლო ფუნქცია-მოვალეობები სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

ინტერვიურების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობენ პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევასა და მატერიალური რესურსების მობილიზებაში, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით, ასევე სტუდენტების აქტიური ჩართულობით **AC ტიპის სასწავლო გარემოში** დამატებით მოწყობილია სამი აქტიური სტენდი და ერთი ელექტრო გენერაციის მაკეტი, რომლებიც მნიშვნელოვნად აძლიერებს პრაქტიკული სწავლების კომპონენტს. პირველი სტენდი წარმოადგენს შიდა სამონტაჟო ელექტრომოწყობილობების ერთობლიობას, სადაც სტუდენტები სწავლობენ საყოფაცხოვრებო ელექტრომონტაჟის შესრულებას. მეორე სტენდი მოიცავს სამფაზა ელექტრომოწყობილობებს და განკუთვნილია საწარმოო პროცესებში გამოყენებული ელექტროსისტემების შესასწავლად. მესამე სტენდი წარმოადგენს **„ჭკვიანი სახლის“** მოდულს, რომელზეც ინტეგრირებულია საცხოვრებელ სივრცეში გამოყენებული ელექტრომოწყობილობების კონტროლის სისტემები სხვადასხვა ციფრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აპლიკაციის მეშვეობით. მეოთხე სტენდზე წარმოდგენილია **განახლებადი ელექტროენერგიის გენერაციის** მაკეტი, სადაც თვალსაჩინოდ არის ასახული ელექტროენერგიის გენერაციის, გადაცემისა და განაწილების სრული ციკლი.
ინდიკატორის (2.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებისთვის. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს: სამკითხველო სივრცეს, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის; კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტქსელში; პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას. კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს გაეცნონ შესაბამის საკანონმდებლო დოკუმენტაციას და სასწავლო პროცესში გამოიყენონ www.matsne.gov.ge განთავსებული დოკუმენტები. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს OpenBiblio-ს. შესაბამისად, კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები. **აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ინდიკატორის (2.2.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად
დაწესებულებას აქვს მზადყოფნა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (სსსმ) ინდივიდუალურად მორგებული საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 2025 წლის 10 ივნისი, N2/82) დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიას, რომლის ფარგლებშიც სსსმ პროფესიულ სტუდენტებს უზრუნველყოფენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით, მათ საჭიროებებზე მორგებული მოდულების მოდიფიკაციით ან აკომოდაციით. საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო რესურსის ადაპტირება სსსმ პირის საჭიროებების შესაბამისად. კოლეჯში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსის უზრუნველყოფას;
- კოლეჯის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობას;
- ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებულ ინდივიდუალურ მხარდაჭერას;
- დამატებით ადმინისტრაციულ დახმარებას;
- სასწავლო რესურსის ელექტრონულ ვერსიაში მიწოდებას;
- სასწავლო მასალის დასაბეჭდად განთავსებას პროფესიული სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად (შრიფტის ზომა და სხვა მახასიათებლები).

არსებული რეგულაციები უზრუნველყოფს სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას და სასწავლო რესურსებთან სრულად ხელმისაწვდომობას, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორის (2.2.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ მდგრად და უწყვეტ განხორციელებას, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას. საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლებიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს, პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით (რენტაბელობის ზღვარად მიჩნეულია მინიმუმ 18 პროფესიული სტუდენტი), რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის და მასალა-ნედლეულის ხარჯი;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების ხარჯი;
- პერსონალის განვითარების/წახალისების ხარჯი;
- სსსმ და შშმ პირებზე გაწეული ხარჯი;
- დიპლომის ხარჯი და სხვ.

პროგრამის განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ რეალური კალკულაციის, საბაზრო ფასების ცვლილების ან სხვა ობიექტური გარემოების საფუძველზე, შესაძლოა შეიცვალოს პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარი და ცვლილებებით ჩამოყალიბდეს ბიუჯეტი.
ინდიკატორის (2.2.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბოლო ცვლილება რექტორის ბრძანება №2/14 27.02.2025)
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2025 წლის, 25 აგვისტოს N2/131 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა :ელექტროობა“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის N2/163 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან და ინსტრუქტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სასწავლო პროცესთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, კოლეჯის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მიზნებისათვის ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ვინაიდან სასწავლო პროცესი დაიწყო მიმდინარე წლის ნოემბერში, ამ ეტაპზე პროფესიულ სტუდენტებთან არ ჩატარებულა გამოკითხვები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ პროფესიულ სტუდენტებს მათი მოლოდინების და პროგრამით დაინტერესების მოლოდინების გაანალიზების მიზნით, მიმდინარე ეტაპზე სტუდენტები კმაყოფილები არიან სასწავლო პროცესით, მატერიალურ ტექნიკური ბაზით, მასწავლებელთა კვალიფიკაციით და გამოცდილებით.

ინდიკატორის (2.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად კოლეჯი მუდმივად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. მონიტორინგი ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში. მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა არგუმენტირებული დასაბუთებით და რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიცვალოს/დაზუსტდეს შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, თემატიკა, სასწავლო რესურსი. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, დადგინდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის (2.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გამოკითხვის შედეგების ანალიზით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებები.
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია";
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ელექტროობა“ შედგენილია სასწავლო გეგმები, ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა არის თანმიმდევრული. განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ყველა კომპონენტი: მოდული, სწავლების ფორმა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება დატვირთვის მიხედვით და სხვ. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესახებ და დაცული არის მოდულების განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობა. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. გასაუბრების და მასალების გაცნობით დადგინდა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ინდიკატორის (2.4.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში, ,,სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის წესები”, გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში მოხდება ცვლილება ან მისი გაუქმება, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესში.

დაწესებულება მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს პროფესიულ სტუდენტებს ისეთი საკითხების გადაჭრაში, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დამატებითი მეცადინეობის ან/და კონსულტაციის ჩატარება, განმეორებითი შეფასება და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების პრაქტიკა დადასტურდა დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

ინდიკატორის (2.4.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. B გარემოში ინსტალირებულია დარგთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფები. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე: დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები და განათლების დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირები გადამზადებულნი არიან პროფესიული სწავლების სპეციფიკაში და მეთოდოლოგიაში.

გასაუბრების და მასალების გაცნობით დადგინდა, რომ სასწავლო პროსესში გამოყენებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები.

ინდიკატორის (2.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4 პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების რეგულაციები განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ორგანიზების წესებს, რომელიც მიმართულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების დაცვასა და საჭიროებების სწრაფად რეაგირებაზე. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“32-ე მუხლის საფუძველზე კოლეჯში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეთოდოლოგია. ინდივიდუალური გეგმის შემუშავება ხდება შემდეგი შემთხვევების შემთხვევაში:

- პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხანგრძლივი ავადმყოფობა ან სხვა ობიექტური მიზეზი ართულებს სწავლის პროცესში ჩართულობას;
- დროებითი საჭიროება სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმის (ისგ) გამოყენებისა;
- პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით ან აღიარების/დადასტურების პროცესშია;
- სხვა შემთხვევები, სადაც ინდივიდუალური გეგმის შემუშავება საჭიროა პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის მიზნით.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტი პერიოდულად აკვირდება სტუდენტთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ავსებს შესაბამის დაკვირვების ფორმებს. საჭიროების შემთხვევაში, რექტორის ბრძანებით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობენ რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლების განმახორციელებელი პირები და საჭიროების შემთხვევაში სპეციალური განათლების სპეციალისტი. სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით ჯგუფი ახორციელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, რაც მოიცავს მოდულის ან საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების მოდიფიკაციასა და აკომოდაციას. **ინდიკატორის (2.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში. დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი შპს **„ენერგო-პრო ჯორჯიასთან“** „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კოოპერაციული სწავლების მიზნით. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში მოდული **„ელექტრული ტექნოლოგია“**, სწავლის შედეგი 5 -*სფეროში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა* - ერთობლივად ხორციელდება პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე, რეალურ სამუშაო გარემოში, შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

პრაქტიკის მემორანდუმში განსაზღვრულია თანამშრომლობის მიზნები, მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, პრაქტიკის განხორციელების დეტალური პირობები, აგრეთვე ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა. მემორანდუმი გაფორმებულია არანაკლებ პროგრამის განხორციელების ვადით და სრულად მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სავალდებულო ინფორმაციას, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზაციულ და სამართლებრივ სანდოობას.

ინდიკატორის (2.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მოდულების განხორციელება დაკავშირებულია უსაფრთხოების განსაკუთრებული მოთხოვნების დაცვასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, აკადემიაში შემუშავებულია და დამტკიცებულია პროგრამის სპეციფიკაზე მორგებული უსაფრთხოების წესები, რომლებიც განთავსებულია სასწავლო სივრცეებში თვალსაჩინო ადგილებზე.

პროფესიულ სტუდენტებს რეგულარულად უტარდებათ დარგობრივი უსაფრთხოების ინსტრუქტაჟები, რაც უზრუნველყოფს მათი ინფორმირებულობისა და პასუხისმგებლობის ზრდას პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. შედეგად, სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო და კონტროლირებად სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის შინაარსისა და სპეციფიკის სრულ გათვალისწინებით.

ინდიკატორის (2.4.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ სასწავლო გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბოლო ცვლილება რექტორის ბრძანება №2/14 27.02.2025)
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2025 წლის, 25 აგვისტოს N2/131 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა :ელექტროობა“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის N2/163 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა.
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის N2/163 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ☒ **შეესაბამება**
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ნაწილი მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელ ნორმებს, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების პროცედურები. დოკუმენტში განსაზღვრულია:

- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურები და მათი შემუშავების მეთოდიკა;
- პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ;
- აპელაციის წესები და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურები;
- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების შედეგების დადასტურების მექანიზმები;
- მტკიცებულებების მოპოვების, დაცვა - შენახვის და რეგისტრაციის წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ცალკე აქვს დამტკიცებული „შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი" (რექტორის ბრძანება N2/192, 07.11.2022, ცვლილება N2/82, 10.06.2025), რომელიც სრულად შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

ინდიკატორის (2.4.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) . ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები აისახება ანგარიშში, რომელიც დადგენილი წესით ეცნობება დაინტერესებულ პირებს/ მხარეებს. დაწესებულებამ აღნიშნული პროცესების პრაქტიკაში მოქმედების მიზნით წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" . აღნიშნული ბრძანების მიხედვით დგინდება, რომ ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყო როგორც დარგის, ასევე განათლების მოწვეული ექსპერტი. აკადემიის მიერ დამტკიცებული რისკების სისტემა შესაბამისობაშია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილ რისკებთან. ვერიფიკაციის პროცესში შემოწმდა ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოდულები რომლებიც რისკის სქემის მიხედვით პრიორიტეტული იყო.

რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების შემოწმებას, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებობს შეფასების მტკიცებულება. მტკიცებულებები აღრიცხულია, ხელმოწერილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ აკადემიაში სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის (2.4.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

კოლეჯის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში: შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.
სასწავლო პროცესის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე, საქმისმწარმოებელი კი საქმისწარმოების წესის შესაბამისად (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 21.12.2021 წლის N2/167 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ბრძანება N2/71 (22.05.2025)) პირადი საქმეების საწარმოებლად, ხოლო პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო დგება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომლის მუხლი 41 არეგულირებს შეფასების მტკიცებულების შენახვის და განკარგვის წესს. ისინი ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს. რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც პასუხისმგებელია გასანადგურებელი მტკიცებულებების იდენტიფიცირებაზე. პროცესის დასრულების შემდეგ კომისია ამზადებს შესაბამის ოქმს, რომელიც ასახავს განხორციელებული საქმიანობის დეტალურ აღწერას და ადასტურებს მტკიცებულებების განადგურების ფაქტს. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები პორტფოლიოში ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

ინდიკატორის (2.4.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

აკადემია პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ მეთოდებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი კომპეტენციების განვითარება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. პროფესიული მასწავლებლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეგულარულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში სტუდენტებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ შემდგომი განვითარების გეგმების ჩამოყალიბებაში და სწავლების მიდგომების გაუმჯობესებაში.
შესრულებული სამუშაოების უკუკავშირი და შეფასების შედეგების ანალიზი ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ ახალი ინიციატივებისა და მეთოდების დანერგვას. პროფესიული სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საკუთარი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესახებ, ხოლო აკადემია უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების გამოყენებას სწავლების პროცესის დახვეწისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საჭიროების განსაზღვრისთვის.
დაწესებულებაში გამოყენებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია ციფრულ პლატფორმასთან და აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს. პლატფორმა უზრუნველყოფს სწრაფ უკუკავშირს მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და სტუდენტს შორის, ხოლო პერსონალური მონაცემები დაცულია, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ეფექტურ განვითარებას.

ინდიკატორის (2.4.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- უწყისების აღრიცხვის ჟურნალი;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/218 დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. თბილისის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი (თბილისი-საჩხერე) 2025 წელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00008670 07/06/2025;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00020347 24/10/2025;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	V
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის 2018 წლის 18 ივლისის N2/61 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, წეროწისის ქ. N208, გ.ქუთათელაძის 1 გასასლელი 10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	450, კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	14.05.2024 წლის რექტორის N2/55 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.საჩხერე, ივანე გომართელის ქ.N50ა, N 52
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	120 , კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1. პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრის სისტემურ და მონაცემებზე დაფუძნებულ ანალიზს, რომელიც მოიცავს როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ (თბილისი და იმერეთის რეგიონი, მათ შორის საჩხერის მუნიციპალიტეტი) კონტექსტს. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პროგრამის შინაარსი პასუხობს შრომის ბაზარზე არსებულ რეალურ და პროგნოზირებად მოთხოვნებს და მიზნად ისახავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებას.

შრომის უსაფრთხოების მიმართულება იდენტიფიცირებულია როგორც პრიორიტეტული სფერო სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში (მათ შორის „შრომის უსაფრთხოების სტრატეგია 2023–2026“) და კერძო სექტორის პრაქტიკაში. საჯარო ინფრასტრუქტურული პროექტების, გარემოს დაცვისა და აგროტექნოლოგიური ინიციატივების ზრდა, ასევე რეგულაციების გამკაცრება და ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციის პროცესი განაპირობებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებზე მზარდ მოთხოვნას, რაც დასტურდება როგორც დამსაქმებელთა უკუკავშირით, ისე დასაქმების პლატფორმებზე არსებული ვაკანსიების ანალიზით.

დასაქმების ეროვნული პლატფორმების (Jobs.ge, HR.ge, CV.ge, Myjobs.ge) მონაცემები აჩვენებს, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პოზიცია ერთ-ერთ მოთხოვნად პროფესიად რჩება, განსაკუთრებით სამშენებლო, საწარმოო და ლოგისტიკის სექტორებში. კოლეჯში მიღების პროცესის ანალიზი დამატებით ადასტურებს პროგრამის აქტუალობას, ვინაიდან თითოეულ სასწავლო ადგილზე ფიქსირდება რეგისტრაციის მაღალი მაჩვენებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელება სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამატება და არსებული პროგრამების განვითარება. აღნიშნული მიდგომა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდასა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მიუთითებს პროგრამის ეფექტიანობაზე: კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია პროფილით მოკლე ვადაში, რაც ადასტურებს მიღებული კომპეტენციების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასება აჩვენებს, რომ დაწესებულებას გააჩნია საკმარისი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი პროგრამის მდგრადად და ხარისხიანად განსახორციელებლად. პრაქტიკული სწავლების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები შესაბამის ორგანიზაციებთან, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შედეგიანობას.

ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება შეფასების ინდიკატორის მოთხოვნებს და ეფუძნება დასაბუთებულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზს.

ინდიკატორის (2.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან. დაშვების პოლიტიკა ეფუძნება სამართლიანობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და უზრუნველყოფს აპლიკანტებისთვის თანაბარ პირობებს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ დაშვების აუცილებელი წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება და პროფესიული ტესტირების ჩაბარება, რაც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და პროგრამის მიზნებს. პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ყველა პროცედურა, მათ შორის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა, დეტალურად არის გაწერილი აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში. აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების მკაფიო, გამჭვირვალე და სამართლიან ადმინისტრაციულ პროცესს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას.

ინდიკატორის (2.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების კონტინგენტის განსაზღვრის მკაფიო და დასაბუთებული მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება დაწესებულებაში არსებული რესურსების სრულფასოვან და სისტემურ ანალიზს. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების რეალისტურ დაგეგმვასა და მათი ხარისხიანი განხორციელების წინაპირობებს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით:

მატერიალური რესურსები – სასწავლო სივრცეები, ტექნიკური აღჭურვილობა, ინფრასტრუქტურა და უსაფრთხო სასწავლო გარემო;

ადამიანური რესურსები – სასწავლო პროცესში ჩართული კვალიფიციური პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა, პროფესიული კომპეტენციები და სამუშაო დატვირთვა;

ფინანსური რესურსები – დაწესებულების ფინანსური მდგრადობა და პროგრამის ეფექტიანი დაფინანსების შესაძლებლობები;

პარტნიორი ორგანიზაციების რესურსები – პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო საწარმოო ბაზები, პრაქტიკის ობიექტები და გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების კონტინგენტის ოპტიმალურ განსაზღვრას ისე, რომ თითოეულ სტუდენტს მიეწოდოს ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, სრულად იყოს მიღწეული პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები.

ინდიკატორის (2.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ თან ერთვის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების დეტალური და სტრუქტურირებული ჩამონათვალი. თითოეული მოდულის ფარგლებში იდენტიფიცირებულია შესაბამისი სასწავლო რესურსები, მათ შორის: სასწავლო ლიტერატურა, ნორმატიული აქტები, რომლებიც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი რესურსები სრულ შესაბამისობაშია მოდულების შინაარსთან და ქმნის პირობებს პროფესიული სტუდენტებისთვის, რათა მათ ხარისხიანად და სრულფასოვნად დაეუფლონ პროგრამით განსაზღვრულ პროფესიულ კომპეტენციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემია სისტემატურად ახორციელებს მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსებზე მონიტორინგს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მათ განახლებასა და გაუმჯობესებას.
აკადემია სრულად ითვალისწინებს დარგის მნიშვნელობას და პროფესიული განათლების სფეროში არსებული სასწავლო რესურსების სიმწირეს. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, აკადემიამ მიიღო პროაქტიური გადაწყვეტილება და დააფინანსა სამი სახელმძღვანელოს შემუშავება, რომლებიც ამ ეტაპზე წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ და სავალდებულო კომპონენტს.
დაფინანსებული სახელმძღვანელოები პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და მოდულების შინაარსს, უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის სისტემურ მიწოდებას და ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას. აღნიშნული რესურსები მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სასწავლო პროცესის ხარისხს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

- „შრომის უსაფრთხოებაში არსებული ტერმინთა განმარტება და სამართლებრივი მიმოხილვა“
- „შრომისა და საექსპლუატაციო გარემოს უსაფრთხოება: საფრთხეები, გამომწვევი ფაქტორები, რისკების აღმოფხვრა და შემცირების გზები“.
- სიმაღლეზე მუშაობის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები(გამოიცა 2025 წელს)

აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს აკადემიის პასუხისმგებლიან მიდგომას საგანმანათლებლო რესურსების განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას, რესურსების შესაბამისობას თანამედროვე მოთხოვნებთან და საგანმანათლებლო პროცესის მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.

ინდიკატორის (2.1.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროგრამას არ გააჩნია არჩევითი მოდულები.

ინდიკატორის (2.1.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ქალაქ თბილისის ლოკაციაზე დამტკიცებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2018 წლის 18 ივლისის N2/61 ბრძანებით. ხოლო საჩხერის განყოფილებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

14.05.2024 წლის რექტორის N2/55 ბრძანება, ბოლო ცვლილება განხორციელებულია აკადემიის რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N2/131 ბრძანებით. აკადემიის რექტორი, როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, უფლებამოსილია დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამები და მათში ცვლილებები, რასაც ცხადყოფს აკადემიის წესდება.

ინდიკატორის (2.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროგრამა "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს ენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში / Higher Vocational Qualification in Occupational Safety and Environmental Technology . პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ინდიკატორის (2.1.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები/ Occupational Safety and Environmental Technology საფუძველზე. პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, ხანგრძლივობა, მოცულობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. პროგრამასთან ერთად დამტკიცებულია სასწავლო გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულების, სასწავლო გეგმებისგან (ქართული ენის A2, B1 გათვალისწინებით და მის გარეშეც), პროგრამის პაკეტს თან ერთვის ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორის (2.1.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის მისია;
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი გეგმები;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (დამტკიცებულია შპს -
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2018 წლის 18 ივლისის N2/61 ბრძანებით. 2024 წლის 14 მაისის N 2/55 ბრძანებით);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- წესდება;
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროგრამის განხორციელებისათვის აკადემიას გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მასწავლებლები და გაფორმებული აქვს პრაქტიკის ხელშეკრულებები სტუდენტთა რაოდენობის მითითებით შესაბამის ორგანიზაციებთან. პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში ორ მისამართზე : წეროწისის ქ.208, ქ. თბილისი; გ. ქუთათელაძის 1, გასასვლელი N10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი წერონისის ქ.208

სასწავლო გარემო A (N1)

- პროფესიული სტუდენტის სკამი და მაგიდა 56 პროფესიულ სტუდენტზე;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც

სასწავლო გარემო AC(N3)

- პროფესიული სტუდენტის სკამი და მაგიდა 56 პროფესიულ სტუდენტზე;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც
- პროგრამის სპეციფიკით გათვალიწინებული სპეციალური მატერიალური-რესურსები შემდეგ მოდულებზე: საფრთხეებისა და რისკის კონტროლი სამუშაო (დასაქმების) ადგილებზე, ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება, ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი, სამუშაო აღჭურვილობის საფრთხეების და რისკის კონტროლი

სასწავლო გეგმა ისეა აწყობილი, რომ A და AC გარემოს კვირეული დატვირთვა არის არაუმეტეს 24 საკონტაქტო საათი, რაც საშუალებას იძლევა შაბათი დღის გამოყენებით თითოეულ აუდიტორიაში 3 ჯგუფის სწავლება არის შესაძლებელი.

სასწავლო გარემო B(N16)

- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- სამუშაო ადგილი, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტისათვის - 31 ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაფა - 1ც;
- პრინტერი(კომბაინი) 1ც;
- ფლეშ მეხსიერება 1ც.

B სასწავლო გარემოში ხორციელდება მოდული ინფორმაციული წიგნიერება, თითოეულ პროგრამაზე მოდულის მოცულობის მიხედვით გარემოს დატვირთვა შეადგენს 5%;

ქ. თბილისი, გ. ქუთათელაძის 1, გასასვლელი N10

სასწავლო გარემო AC(N2)

- პროფესიული სტუდენტის სკამ/ მაგიდა 50 ც;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც
- პროგრამის სპეციფიკით გათვალიწინებული სპეციალური მატერიალური-რესურსები შემდეგ მოდულებზე: საფრთხეებისა და რისკის კონტროლი სამუშაო (დასაქმების) ადგილებზე, ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება, ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი, სამუშაო აღჭურვილობის საფრთხეების და რისკის კონტროლი

სასწავლო გეგმა ისეა აწყობილი, რომ A და AC გარემოს კვირეული დატვირთვა არის არაუმეტეს 24 საკონტაქტო საათი, რაც საშუალებას იძლევა შაბათი დღის გამოყენებით თითოეულ აუდიტორიაში 3 ჯგუფის სწავლება არის შესაძლებელი.

სასწავლო გარემო B

- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამუშაო ადგილი, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტისათვის - 30 ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც;
- პრინტერი(კომბაინი) 1ც;
- ფლეშ მეხსიერება 1ც.

B სასწავლო გარემოში ხორციელდება მოდული ინფორმაციული წიგნიერება , თითოეულ პროგრამაზე მოდულის მოცულობის მიხედვით გარემოს დატვირთვა შეადგენს 5%;

პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალი და შესაძლებლობები:

- შპს კერა ქონსტრაქშენი - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 20+20=40 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს შრომის უსაფრთხოების ცენტრი - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 100 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს სანიტარი - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს მეგა ჰოლდინგი - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს ექსპერტ სოლოუშენს -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- ჯეო ქონსტრაქშენი -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- ააიპ ბიზნეს საქართველოს -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს ორბი ჯგუფი თბილისი -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შ.პ.ს. „ბილდერ ბიიის გრუპ“ -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს სეიფთი მენეჯმენტ გრუპ -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს ეიჩესი ჯგუფი -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად გაცნობითი პრაქტიკის მოპდულზე 20, ხოლო საწარმოო პრაქტიკის მოდულზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს დიზაინ ჰოტელ - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 10 პროფესიული სტუდენტის მიღება;

ქ. საჩხერე, ივ. გომართელის ქ 50ა,52

სასწავლო გარემო AC აუდიტორია 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა 50 ც;
- პროფესიული სტუდენტის სკამი - 50 ც;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც

პროგრამის სპეციფიკით გათვალიწინებული სპეციალური მატერიალური-რესურსები შემდეგ მოდულებზე:

- საფრთხეებისა და რისკის კონტროლი სამუშაო (დასაქმების) ადგილებზე
- ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება
- ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლი
- ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი
- სამუშაო აღჭურვილობის საფრთხეების და რისკის კონტროლი

აღნიშნული გარემო პროგრამის ფარგლებში ერთი ჯგუფის შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 45-50%, შესაძლებელია აღნიშნული გარემოს გამოყენება 2 ცვლიანი რეჟიმით.

2) სასწავლო გარემო A აუდიტორია 2

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა 35 ც;
- პროფესიული სტუდენტის სკამი - 35 ც;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც

3) სასწავლო გარემო B

- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- სამუშაო ადგილი, კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტისათვის - 30 ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც;
- პრინტერი(კომბაინი) 1ც;
- ფლეშ მეხსიერება 1ც.

B სასწავლო გარემოში ხორციელდება მოდული ინფორმაციული წიგნიერება , თითოეულ პროგრამაზე მოდულის მოცულობის მიხედვით გარემოს დატვირთვა შეადგენს 5%;

პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები

- შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს პროფიუნიტი - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- ჯორჯიან მანგანეცი - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქ. საჩხერის N 1 საჯარო სკოლა - 20 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლა -20 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლა -20 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთის საჯარო სკოლა -20 პროფესიული სტუდენტი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს რიგი მოდულების დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს სწავლების მოქნილობას და ხელმისაწვდომობას სხვადასხვა საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო პრაქტიკას და ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებს. დისტანციური სწავლების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, აკადემიას შეძენილი აქვს ZOOM პლატფორმის ულიმიტო მომსახურება, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია სასწავლო პროცესის უწყვეტი, ორგანიზებული და ტექნოლოგიურად გამართული დაგეგმვა და განხორციელება.

პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტები კმაყოფილები არიან აკადემიის მატერიალური რესურსებით, ტექნიკური აღჭურვილობით და ინფრასტრუქტურით, გარდა ამისა, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ გაცნობითი პრაქტიკის მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში ისინი მონაწილეობდნენ მიზნობრივ სასწავლო ექსკურსიებში პრაქტიკის ობიექტებზე. აღნიშნული პრაქტიკული აქტივობები უზრუნველყოფს რეალურ სამუშაო გარემოსთან გაცნობას, პროფესიული უნარების განვითარებას და სწავლების შედეგების მიღწევას;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოების დატვირთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მისამართებზე შესაძლებელია 450 პროფესიული სტუდენტის სწავლება, ხოლო ქალაქ საჩხერის განყოფილებაში შესაძლებელია 120 პროფესიული სტუდენტის სწავლება.
ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ინდიკატორის (2.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

ქალაქ თბილისის ლოკაციებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა სულ 65 (ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 15, პროფესიული დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი 50) და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, სასწავლო გეგმებში პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.
ქალაქ საჩხერის განყოფილებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა სულ 34 (ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 22, პროფესიული დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი 12) და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, სასწავლო გეგმებში პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.
ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, და დადგინდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ სასწავლო გეგმის შედგენაში, მოდულების ადაპტირებაში, ცვლილებების განხორციელებაში, გავლილი აქვთ ტრენინგები, როგორც ადგილობრივი ისე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი, აქტიურად მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ინდიკატორის (2.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებად შერჩეულნი არიან პირები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია და მრავალწლიან გამოცდილება დარგში. პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობენ როგორც პროგრამის ადაპტირების, მოდულების და სასწავლო გეგმის დაგეგმვის პროცესებში, ისე მიმდინარე სტანდარტის ოპტიმიზაციის პროცესებში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობას.

ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა სარგებელს ამლევს პროგრამის ხარისხსა და ეფექტურობას: ის უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისობას დარგობრივ მოთხოვნებთან, პროფესიული კომპეტენციების მიზანმიმართულ განვითარებას სტუდენტებში და სასწავლო პროცესის სისტემატურ კონტროლს. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ აკადემია წარმატებით უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას.

ინდიკატორის (2.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტორნული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები და საბეჭდი და ასლ-გადამღები ტექნიკა.
კოლეჯს შეძენილი აქვს ლიცენზირებული საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება. კოლეჯი ასევე იყენებს ofen biblio-ს.
პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსები მათთვის სრულად ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული ფორმით, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. მათი შეფასებით, აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.შესაბამისად დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების დროულ ხელმისაწვდომობასა და პრაქტიკულ გამოყენებას.

ინდიკატორის (2.2.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სსსმ პირების წვდომის უზრუნველყოფა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კოლეჯს ყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. კოლეჯის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები საჭიროების შემთხვევაში ასევე გულისხმობს: საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფას; კოლეჯის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობას; სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერას/ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეთავაზებას; დამატებით ადმინისტრაციული მხარდაჭერას; საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული ვერსიის დამზადებას; საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსის ამობეჭდვას პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისი ზომის შრიფტით და სხვა მახასიათებლებით; და სხვა აღნიშნულ პროგრამაზე სსსმ სტატუსით სტუდენტი არ ყოლია დაწესებულებას.

ინდიკატორის (2.2.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

აკადემიის ფინანსური

რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის შემოსავლები დაანგარიშებულია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით. ხარჯის ჯამური ოდენობა არ აღემატება აკადემიის მიერ განსაზღვრული რენტაბელობის ზღვარის მიხედვით დაგეგმილ შემოსავლებს. ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას (რენტაბელობის ზღვარი 18 სტუდენტი). აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება.

ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება;
- პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის და მასალა-ნედლეულის ხარჯი;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების ხარჯი;
- პერსონალის განვითარების/წახალისების ხარჯი;
- მატერიალური რესურსების განვიტარების ხარჯი;
- სხვა ხარჯები

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს აკადემიის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორის (2.2.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის წინარე ხელშეკრულებები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროფესიული მასწავლებლების დატვირთვის სქემა;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ,,შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან, განმახორციელებელ პირებთან და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, კოლეჯის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მიზნებისათვის ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ვინაიდან სასწავლო პროცესი დაიწყო მიმდინარე წლის ნოემბერში, ამ ეტაპზე პროფესიულ სტუდენტებთან არ ჩატარებულა გამოკითხვები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ პროფესიულ სტუდენტებს მათი მოლოდინების და პროგრამით დაინტერესების მოლოდინების გაანალიზების მიზნით, მიმდინარე ეტაპზე სტუდენტები კმაყოფილები არიან სასწავლო პროცესით, მატერიალურ ტექნიკური ბაზით, მასწავლებელთა კვალიფიკაციით და გამოცდილებით.

ინდიკატორის (2.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად კოლეჯი მუდმივად აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. მონიტორინგი ასევე ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში. მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა არგუმენტირებული დასაბუთებით და რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიცვალოს/დაზუსტდეს შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, თემატიკა, სასწავლო რესურსი. ავტორიზაციის პერიოდში პროგრამაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც ეხებოდა ჩარჩო დოკუმენტში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანას, სასწავლო გეგმის განახლებას/დახვეწას, ადამიანური რესურსების დამატებას, სასწავლო რესურსების განახლებას და სხვა. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, დადგინდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინდიკატორის (2.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გამოკითხვის შედეგების ანალიზით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებები.
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია”;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შედგენილია სასწავლო გეგმები, ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები არის თანმიმდევრული. განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ყველა კომპონენტი: მოდული, სწავლების ფორმა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება დატვირთვის მიხედვით და სხვ. სასწავლო გეგმები იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესახებ და დაცული არის მოდულების განხორციელების ლოგიკური თანმიმდევრობა. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესაძლო გონივრული ვადა. გასაუბრების და მასალების გაცნობით დადგინდა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ინდიკატორის (2.4.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში, ,,სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის წესები", გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში მოხდება ცვლილება ან მისი გაუქმება, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესში.

დაწესებულება მაქსიმალურ მხარდაჭერას უცხადებს პროფესიულ სტუდენტებს ისეთი საკითხების გადაჭრაში, როგორიცაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დამატებითი მეცადინეობის ან/და კონსულტაციის ჩატარება, განმეორებითი შეფასება და სხვა. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებისა და მათ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების პრაქტიკა დადასტურდა დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

ინდიკატორის (2.4.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. B გარემოში ინსტალირებულია დარგთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფები. სასწავლო პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, კოლეჯში სწავლება მიმართულია პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. სწავლება ხდება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, სადაც პროფესიული მასწავლებელი ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილებითა და გავლილი ტრენინგებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფილია როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე: დარგის გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები და განათლების დარგში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირები გადამზადებულნი არიან პროფესიული სწავლების სპეციფიკაში და მეთოდოლოგიაში.
გასაუბრების და მასალების გაცნობით დადგინდა, რომ სასწავლო პროსესში გამოყენებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები.
ინდიკატორის (2.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები
დაწესებულების რეგულაციები განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ორგანიზების წესებს, რომელიც მიმართულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების დაცვასა და საჭიროებების სწრაფად რეაგირებაზე. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“32-ე მუხლის საფუძველზე კოლეჯში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეთოდოლოგია. ინდივიდუალური გეგმის შემუშავება ხდება შემდეგი შემთხვევების შემთხვევაში:

- პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება;
- ხანგრძლივი ავადმყოფობა ან სხვა ობიექტური მიზეზი ართულებს სწავლის პროცესში ჩართულობას;
- დროებითი საჭიროება სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმის (ისგ) გამოყენებისა;
- პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით ან აღიარების/დადასტურების პროცესშია;
- სხვა შემთხვევები, სადაც ინდივიდუალური გეგმის შემუშავება საჭიროა პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის მიზნით.

ინკლუზიური განათლების სპეციალისტი პერიოდულად აკვირდება სტუდენტთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ავსებს შესაბამის დაკვირვების ფორმებს. საჭიროების შემთხვევაში, რექტორის ბრძანებით შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობენ რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლების განმახორციელებელი პირები და საჭიროების შემთხვევაში სპეციალური განათლების სპეციალისტი. სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით ჯგუფი ახორციელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, რაც მოიცავს მოდულის ან საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების მოდიფიკაციასა და აკომოდაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის (2.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში. მოდულების: გაცნობითი პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში, მემორანდუმები გაფორმებულია შემდეგ ორგანიზაციებთან:

თბილისში

- შპს კერა ქონსტრაქშენი - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 20+20=40 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს შრომის უსაფრთხოების ცენტრი - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 100 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს სანიტარი - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს მეგა ჰოლდინგი - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს ექსპერტ სოლოუშენს -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- ჯეო ქონსტრაქშენი -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- ააიპ ბიზნეს საქართველოს -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს ორბი ჯგუფი თბილისი -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შ.პ.ს. „ბილდერ ბიიის გრუპ“ -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს სეიფთი მენეჯმენტ გრუპ -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 20 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს ეიჩესი ჯგუფი -- პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად გაცნობითი პრაქტიკის მოდულზე 20, ხოლო საწარმოო პრაქტიკის მოდულზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს დიზაინ ჰოტელ - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 10 პროფესიული სტუდენტის მიღება;

ქ. საჩხერეში

- შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს პროფიუნიტი - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- ჯორჯიან მანგანეცი - პრაქტიკის ობიექტს შეუძლია ერთდროულად 25 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქ. საჩხერის N 1 საჯარო სკოლა - 20 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლა -20 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის N3 საჯარო სკოლა -20 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთის საჯარო სკოლა -20 პროფესიული სტუდენტი;

პრაქტიკის მემორანდუმებში განსაზღვრულია თანამშრომლობის მიზნები, მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, პრაქტიკის განხორციელების დეტალური პირობები, აგრეთვე ერთდროულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა. მემორანდუმი გაფორმებულია არანაკლებ პროგრამის განხორციელების ვადით და სრულად მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სავალდებულო ინფორმაციას, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის ორგანიზაციულ და სამართლებრივ სანდოობას.

ინდიკატორის (2.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მოდულების განხორციელება დაკავშირებულია უსაფრთხოების განსაკუთრებული მოთხოვნების დაცვასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, აკადემიაში შემუშავებულია და დამტკიცებულია პროგრამის სპეციფიკაზე მორგებული უსაფრთხოების წესები, რომლებიც განთავსებულია სასწავლო სივრცეებში თვალსაჩინო ადგილებზე.

პროფესიულ სტუდენტებს რეგულარულად უტარდებათ დარგობრივი უსაფრთხოების ინსტრუქტაჟები, რაც უზრუნველყოფს მათი ინფორმირებულობისა და პასუხისმგებლობის ზრდას პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. შედეგად, სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო და კონტროლირებად სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის შინაარსისა და სპეციფიკის სრულ გათვალისწინებით.

ინდიკატორის (2.4.1.6) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ სასწავლო გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბოლო ცვლილება რექტორის ბრძანება №2/14 27.02.2025)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2025 წლის, 25 აგვისტოს N2/131 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა :ელექტროობა“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის N2/163 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა.
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის N2/163 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ნაწილი მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელ ნორმებს, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების პროცედურები. დოკუმენტში განსაზღვრულია:

- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურები და მათი შემუშავების მეთოდიკა;
- პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ;
- აპელაციის წესები და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურები;
- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების შედეგების დადასტურების მექანიზმები;
- მტკიცებულებების მოპოვების, დაცვა - შენახვის და რეგისტრაციის წესები.

დაწესებულებას ცალკე აქვს დამტკიცებული „შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი” (რექტორის ბრძანება N2/192, 07.11.2022, ცვლილება N2/82, 10.06.2025), რომელიც სრულად შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.

ინდიკატორის (2.4.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) . ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები აისახება ანგარიშში, რომელიც დადგენილი წესით ეცნობება დაინტერესებულ პირებს/ მხარეებს. დადგინდა, რომ აკადემია პრაქტიკულად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების განახლებას ვერიფიკაციის ანგარიშების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათი ეფექტიანობისა და სანდოობის გაუმჯობესებას. დაწესებულებამ აღნიშნული პროცესების პრაქტიკაში მოქმედების მიზნით წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ . აღნიშნული ბრძანების მიხედვით დგინდება, რომ ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყო როგორც დარგის, ასევე განათლების მოწვეული ექსპერტი. აკადემიის მიერ დამტკიცებული რისკების სისტემა შესაბამისობაშია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილ რისკებთან. ვერიფიკაციის პროცესში შემოწმდა ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოდულები რომლებიც რისკის სქემის მიხედვით პრიორიტეტული იყო. როგორც ანგარიშში ვეცნობით **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ შეფასებისა და ვერიფიკაციის პროცესში** დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები ზოგადად შეესაბამება განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, თუმცა საჭიროებს გარკვეულ დახვეწასა და გაუმჯობესებას ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. კერძოდ, შეფასების ინსტრუმენტებში გაწერილი ინსტრუქციები არ არის საკმარისად დეტალიზებული და ერთმნიშვნელოვანი, რის გამოც სტუდენტისთვის შესაძლოა სრულად არ იყოს უზრუნველყოფილი შეფასების ყველა მოთხოვნის სწორად აღქმა და მათით ხელმძღვანელობა. აღნიშნული გარემოება აფერხებს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას.

ამასთანავე, შეფასების მასალებში გამოვლინდა მართლწერისა და ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რაც უარყოფითად აისახება ინსტრუმენტების აკადემიურ სანდოობაზე. დამატებით, კითხვარების ანალიზმა აჩვენა, რომ ტესტური დავალებების შედგენისას ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომა სრულად დაცული არ არის, კერძოდ, ყველა კითხვაში არ არის უზრუნველყოფილი ერთი სწორი პასუხისა და სამი არასწორი დისტრაქტორის პრინციპის თანმიმდევრული გამოყენება. აღნიშნული შეუსაბამობა ამცირებს შეფასების ობიექტურობასა და შედეგების შედარებადობას. **შედეგად**, კოლეჯმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეფასების ინსტრუმენტების გადამუშავება და სტანდარტიზაცია, ინსტრუქციების მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად ფორმულირება, ტექსტობრივი ხარვეზების აღმოფხვრა და ტესტური დავალებების ერთიანი სტრუქტურული პრინციპით ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხის, სანდოობისა და სამართლიანობის გაუმჯობესებას. **აღნიშნულის შესაბამისად**, კოლეჯმა ექსპერტთა ჯგუფს დამატებით წარუდგინა გადამუშავებული და კორექტირებული შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც ასახავს გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებას და ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების შემოწმებას, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებობს შეფასების მტკიცებულება. მტკიცებულებები აღრიცხულია, ხელმოწერილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ აკადემიაში სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ინდიკატორის (4.2.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში: შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.

სასწავლო პროცესის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე, საქმისმწარმოებელი კი საქმისწარმოების წესის შესაბამისად (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 21.12.2021 წლის N2/167 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ბრძანება N2/71 (22.05.2025)) პირადი საქმეების საწარმოებლად, ხოლო პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო დგება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომლის მუხლი 41 არეგულირებს შეფასების მტკიცებულების შენახვის და განკარგვის წესს. ისინი ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს. რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც პასუხისმგებელია გასანადგურებელი მტკიცებულებების იდენტიფიცირებაზე. პროცესის დასრულების შემდეგ კომისია ამზადებს შესაბამის ოქმს, რომელიც ასახავს განხორციელებული საქმიანობის დეტალურ აღწერას და ადასტურებს მტკიცებულებების განადგურების ფაქტს. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები პორტფოლიოში ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ინდიკატორის (2.4.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემია პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ მეთოდებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი კომპეტენციების განვითარება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. პროფესიული მასწავლებლები რეგულარულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში სტუდენტებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ შემდგომი განვითარების გეგმების ჩამოყალიბებაში და სწავლების მიდგომების გაუმჯობესებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესრულებული სამუშაოების უკუკავშირი და შეფასების შედეგების ანალიზი ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ ახალი ინიციატივებისა და მეთოდების დანერგვას. პროფესიული სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საკუთარი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესახებ, ხოლო აკადემია უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების გამოყენებას სწავლების პროცესის დახვეწისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საჭიროების განსაზღვრისთვის.
დაწესებულებაში გამოყენებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია ციფრულ პლატფორმასთან და აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს. პლატფორმა უზრუნველყოფს სწრაფ უკუკავშირს მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და სტუდენტს შორის, ხოლო პერსონალური მონაცემები დაცულია, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ეფექტურ განვითარებას.

ინდიკატორის (2.4.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- უწყისების აღრიცხვის ჟურნალი;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/218 დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. თბილისის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი (თბილისი-საჩხერე) 2025 წელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00008670 07/06/2025;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00020347 24/10/2025;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია რექტორის 2019 წლის13 მაისის ბრძანებაN2/54
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, წეროწისის ქN208
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	168
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

VII. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია რექტორის 2019 წლის13 მაისის ბრძანებაN2/54
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. საჩხერე, ივანე გომართლის ქN50 ა,52
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	126
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

VIII. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„საქთნო განათლება“** მყარად არის ინტეგრირებული შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის“ მისიაში, ხედვასა და სტრატეგიულ მიზნებში. პროგრამა პასუხობს დაწესებულების დეკლარირებულ ამოცანას - სახელმწიფოსა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გზით უზრუნველყოს მრავალპროფილური, ხარისხიანი და ინკლუზიური პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრამის შესაბამისობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის პრინციპებთან, რაც ადასტურებს აკადემიის ღირებულებით თანმიმდევრულობას.

სტრატეგიული განვითარების კონტექსტში, პროგრამა აშკარად ორიენტირებულია **შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ადაპტირებულ პრაქტიკულ კომპეტენციებზე**, რაც სრულ თანხვედრაშია აკადემიის ხედვასთან, იყოს დამსაქმებელზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება. წარმოდგენილი ეროვნული და საერთაშორისო კვლევები (WHO, BLS, ICN და სხვ.) ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს როგორც არსებულ, ისე პროგნოზირებად ექთნების დეფიციტზე, რაც ამყარებს პროგრამის განხორციელების აუცილებლობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ პროგრამა არ ეფუძნება მხოლოდ შიდა საჭიროებებს, არამედ რეაგირებს ფართო სისტემურ გამოწვევებზე ჯანდაცვის სექტორში.

დამსაქმებელთა უკუკავშირის, პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების ჩართულობისა და დასაქმების პლატფორმების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ პროგრამა მიზანმიმართულად უზრუნველყოფს იმ უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც რეალურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნადია შრომის ბაზარზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკული სწავლების მასშტაბი და პარტნიორ კლინიკებში განხორციელებული კლინიკური პრაქტიკა, რაც ამცირებს კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის რისკებს და ზრდის მათ დასაქმების უნარიანობას.
კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები (დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, პროფილით დასაქმება, დამსაქმებელთა მხრიდან დამატებითი მოთხოვნების არარსებობა და 100%-იანი რეკომენდაცია) წარმოადგენს ძლიერ ემპირიულ მტკიცებულებას პროგრამის ეფექტიანობისა და ხარისხის შესახებ. ეს მონაცემები ადასტურებს, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები რეალურად მიიღწევა და პრაქტიკაში წარმატებით გამოიყენება.
რეგიონული ჭრილში (იმერეთი, განსაკუთრებით საჩხერე და მიმდებარე მუნიციპალიტეტები) იდენტიფიცირებული კადრების დეფიციტი კიდევ უფრო ზრდის პროგრამის მნიშვნელობას. კოლეჯის ოპერირების არეალში არსებული მოთხოვნა, პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების მუდმივი განაცხადები პრაქტიკისა და დასაქმების მიმართულებით, და პროგრამის შინაარსობრივი ფოკუსი პრაქტიკულ უნარებზე ქმნის მკაფიო კავშირს განათლებასა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას შორის.
მიუხედავად იმისა, რომ „საექთნო განათლება“ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერაც ხორციელდება, წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ აკადემიის პროგრამა გამოირჩევა:

- გაძლიერებული პრაქტიკული კომპონენტით;
- მდგრადი და მრავალწლიანი პარტნიორული ქსელით;
- ხარისხის უზრუნველყოფის მოქმედი და სისტემური მექანიზმებით;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით.

დამატებით, პროგრამის განხორციელებისთვის უზრუნველყოფილია **საკმარისი და კვალიფიციური ადამიანური რესურსი** -პროგრამაში ჩართული 29 სპეციალისტი ფლობს შესაბამის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც ქმნის პროგრამის მდგრადი და ხარისხიანი განხორციელების მყარ საფუძველს.

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„საექთნო განათლება“** არის სტრატეგიულად დასაბუთებული, შრომის ბაზარზე რეალურად მოთხოვნადი და ხარისხობრივად გამართული. პროგრამა პასუხობს როგორც ეროვნულ და რეგიონულ საჭიროებებს, ისე საერთაშორისო ტენდენციებს და წარმოადგენს აკადემიის მისიისა და სტრატეგიული განვითარების მიზნების პრაქტიკულ განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.1.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით - „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“, რომელიც სრულად არეგულირებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა ეტაპსა და პროცედურას. დოკუმენტი დეტალურად აღწერს როგორც პროგრამაზე მიღების გამოცხადების, ისე კანდიდატთა შერჩევის, შეფასებისა და საბოლოოდ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების წესსა და მეთოდოლოგიას, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას.

აღნიშნული წესი შემუშავებულია და ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ (ცვლილება: 26.09.2019 №203/ნ) მოთხოვნათა შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ჩარიცხვის პროცესის სამართლებრივ შესაბამისობას მოქმედ ნორმატიულ ბაზასთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლების ქონა, რაც სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ლოგიკას და სირთულის დონეს. ჩარიცხვის პროცედურა ეფუძნება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებას, რომლის მიზანია იმ პირთა შერჩევა, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები და/ან გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები წარმოადგენს სწავლების პროცესის ეფექტიანობის მნიშვნელოვან გარანტიას და ქმნის საფუძველს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიანად განხორციელებისა და დაგეგმილ ვადებში სასწავლო შედეგების მიღწევისათვის.

ინდიკატორის (2.1.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიული სტუდენტების **ზღვრული რაოდენობა** განისაზღვრება შესაბამისი **მეთოდოლოგიით**, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის სისტემურ და ობიექტურ მიდგომას და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისთვის არსებულ რეალურ შესაძლებლობებს.

დამტკიცებული მეთოდოლოგია ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ეფუძნება რამდენიმე არსებით ფაქტორს, მათ შორის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო გარემოს ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს;
- ადამიანური რესურსის საკმარისობასა და კვალიფიკაციას;
- პროგრამის განხორციელების სპეციფიკასა და გამოყენებულ სასწავლო მიდგომებს;
- საპროგნოზო ბიუჯეტის გათვალისწინებით დადგენილ რენტაბელობის ზღვარს;
- სწავლების სხვადასხვა მოდელის გამოყენების შესაძლებლობას;
- პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- პროგრამის მოთხოვნადობასა და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„საექთნო განათლება“** ხორციელდება შესაბამის სასწავლო გარემოში. კერძოდ, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული ინვენტარით და უზრუნველყოფს ერთდროულად **45–45 პროფესიული სტუდენტის** მომსახურებას პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შინაარსის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, ასევე აკადემიის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გამართული გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა პროგრამაზე **„საექთნო განათლება“** განსაზღვრულია დადგენილი მეთოდოლოგიის სრული დაცვით და ეფუძნება პროგრამის ინფრასტრუქტურულ, ადამიანურ და საგანმანათლებლო რესურსებს.
დაწესებულებას შესაძლებლობა აქვს პროგრამის ფარგლებში ერთდროულად მიიღოს **168 პროფესიული სტუდენტი თბილისის ბაზაზე**, ხოლო **126 პროფესიული სტუდენტი საჩხერის ბაზაზე**. ამასთანავე, პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან ითვალისწინებს აღნიშნულ კვოტას და პრაქტიკული სწავლების ნაწილში დამატებითი შეზღუდვები არ იკვეთება.
შედეგად, **ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას**, როგორც რეალისტურს, დასაბუთებულს და პროგრამის ხარისხიანი განხორციელებისთვის საკმარისს.
ინდიკატორის (2.1.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და მატერიალური რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას **„საექთნო განათლება“** დანართის სახით თან ერთვის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივი და პრაქტიკული კომპონენტების სრულფასოვან განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ შპს **„ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“** აღნიშნულ პროგრამას მრავალი წელია ახორციელებს, რის შედეგადაც დაწესებულებას დაგროვილი აქვს პრაქტიკული გამოცდილება პროგრამისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრის, დაგეგმვისა და ეფექტიანი გამოყენების მიმართულებით.

დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო რესურსების შესაბამისობის რეგულარულ კვლევას, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები. მათი მონაწილეობა მნიშვნელოვანია არსებული რესურსების შეფასებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების პროცესში. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მისი სრულფასოვანი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

პროგრამის განმახორციელებელთა და ადმინისტრაციის შეფასებით, არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსები სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს, ხოლო დაწესებულება უზრუნველყოფს საჭირო რესურსების შეუფერხებელ მიწოდებას სასწავლო პროცესის განმავლობაში. კერძოდ, თითოეული მოდულის დაწყებისას განმახორციელებელ პირს გადაეცემა მოდულით განსაზღვრული რესურსები.

საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებლებისთვის. რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმატით, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტიან და მრავალმხრივ გამოყენებას.

მოდულებში მითითებული ელექტრონული ლიტერატურა განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე თავისუფალი წვდომის რეჟიმში. ამასთანავე, მოდულებში საგანმანათლებლო რესურსების სახით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების გამოყენების მიზნით, პროფესიულ მასწავლებლებს მუდმივად აქვთ წვდომა განახლებულ სამართლებრივ აქტებზე.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები არის **რელევანტური, ადეკვატური და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან**, რაც ქმნის მყარ საფუძველს პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისთვის.

ინდიკატორის (2.1.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საექთნო განათლება" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორის (2.1.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის ბრძანებით (ბრძანება №2/54, 2019 წლის 13 მაისი). პროგრამაში ბოლო ცვლილება განხორციელდა აკადემიის რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს №2/131 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანებებით დადგენილია პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების განხორციელების შესაბამისი უფლებამოსილება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მოქმედ კანონმდებლობასთან და დაწესებულების შიდა რეგულაციებთან შესაბამისობას.

ინდიკატორის (2.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროგრამა „საექთნო განათლება" დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში (Higher Vocational Qualification in Nursing). პროგრამის სახელწოდება მკაფიოდ ასახავს მის შინაარსსა და მიზნებს. პროგრამის მიზანია კვალიფიციური საექთნო სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრირებას. კურსდამთავრებული ფლობს ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს პაციენტის ჯანმრთელობის შეფასებაში, თერაპიული, ქირურგიული, გადაუდებელი, კრიტიკული, პერიოპერაციული, სამეანო, გინეკოლოგიური, პედიატრიული და გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვაში, ასევე შინმოვლის მომსახურების ორგანიზებაში. პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკის დაგეგმვას, განხორციელებას და შესრულების ხარისხის შეფასებას. პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება შინაარსსა და სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორის (2.1.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საქართნო განათლება“ შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც მოიცავდა პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელებს, განმახორციელებლებს, სხვა პროფესიულ პირებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, შეფასება, ცვლილება და გაუქმება ხორციელდება აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

პროგრამა სისტემატურად განახლებულა, ცვლილებები ძირითადად ეხება საგანმანათლებლო რესურსებს და თემატიკას, რათა უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს. პროგრამის შემუშავება ეფუძნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 21.05.2018 N407/ი ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტს, ცვლილება 2021 წლის 11 თებერვლის N93013.

პროგრამაში განსაზღვრულია:

- სახელწოდება და მიზნები;
- კვალიფიკაცია, რომელიც ენიჭება კურსდამთავრებულს;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- მისაღწევი სწავლის შედეგები;
- შეფასების მიმართულებები;
- პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა;
- სწავლების მეთოდოლოგია და პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები.

მოდულების ბლოკში ინტეგრირებულია ქართული ენის სწავლების მოდულებიც (A2 და B1) არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. აღნიშნული სტუდენტებისთვის პროგრამის დაწყება იწყება ქართული ენის მოდულებით, ხოლო მათთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 210 კრედიტს (15 კრედიტი „ქართული ენა A2“ და 15 კრედიტი „ქართული ენა B1“).

ინდიკატორის (2.1.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამით (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ბრძანებებით-აკადემიის რექტორის2019 წლის13 მაისის ბრძანება № 2/54,ბოლო ცვლილება აკადემიის რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N2/131 ბრძანებით. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით”
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით
- მატერიალური რესურსების მართვის წესით
- სტრატეგიული განვითარების გეგმით
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, როგორც თბილისის ასევე საჩხერის ბაზაზე.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საქართნო განათლება“ ხორციელდება თბილისში (წერონიძე ქ. N208) და საჩხერეში (გომართლის ქ. N50ა, 52). პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი.
სასწავლო გარემო:

- თბილისში:
  - 1 AC გარემო – აღჭურვილია 45 სტუდენტზე;
  - 1 B გარემო – აღჭურვილია 31 სტუდენტზე;
  - 1 A გარემო – აღჭურვილია 45 სტუდენტზე.
- საჩხერეში:
  - 1 AC გარემო – აღჭურვილია 45 სტუდენტზე;
  - 1 B გარემო – აღჭურვილია 31 სტუდენტზე.

ყველა გარემოში უზრუნველყოფილია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი, სტუდენტების საკლასო სამუშაო ადგილები, დაფა, პრინტერი, მონიტორი და სხვა სავალდებულო რესურსები, რაც სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
პრაქტიკული კომპონენტი:

- კლინიკური მოდულები ხორციელდება აკადემიის პარტნიორ კლინიკებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- აკადემიას აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს 168 სტუდენტის პრაქტიკას თბილისში და 126 სტუდენტის პრაქტიკას საჩხერეში.
- პარტნიორი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ საჭირო რესურსებს საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
- პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ პრაქტიკული კომპონენტის პროცესში რესურსების გამოყენება შეფერხების გარეშე ხორციელდება.
- პრაქტიკული კომპონენტი სრულად პასუხობს საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს კოოპერატიული სწავლების სუბიექტებისთვის.

ინდიკატორის (2.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები დამტკიცებულია აკადემიის რექტორის ბრძანებით. მათ მიხედვით განსაზღვრულია მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გათვლილია ისე, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებას, არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

პროფესიული პროგრამის განხორციელების მონაცემები:

- **თბილისი:** 41 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 35 პროფესიული მოდულის მასწავლებელი, 6 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი, ინსტრუქტორები – 25.
- **საჩხერი:** 32 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 24 პროფესიული მოდულის მასწავლებელი, 8 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი, ინსტრუქტორები – 25.

სასწავლო პროცესის მენეჯერი განაწილებს მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვას დაწყებამდე, უყურადღებოთ მათი შესაძლებლობებისა და სხვა საქმიანობის ჩათვლით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები თბილისში და საჩხერეში. დასტურდება, რომ ისინი შესაბამისობაში არიან დაკავებულ თანამდებობასთან და აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათ პროფესიულ სტუდენტებზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი აქვთ პროფესიული კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით. უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

გასაუბრებისას დადგინდა, რომ მასწავლებლებმა გაიარეს აკადემიის მიერ ორგანიზებული ტრენინგები სასწავლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. ასევე მონაწილეობდნენ უნარების სააგენტოსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგებში, რაც მათ პროფესიულ უნარებს ზრდის თანამედროვე სწავლის მეთოდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებაში.

პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართულნი არიან მოდულური პროგრამის ადაპტირებისა და შემუშავების პროცესში. მათ აქვთ გამოცდილება სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. თითოეულთან გაფორმებულია შრომის კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს განხორციელებულ მოდულებს.

ინდიკატორის (2.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი**

დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. როგორც თბილისში, ასევე საჩხერეში, პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „საექთნო განათლება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური. ის მონაწილეობდა პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში და ფლობს დარგში პრაქტიკულ გამოცდილებას.

მისი ძირითადი მოვალეობებია: პროგრამის განხორციელების ხელმძღვანელობა, საჭირო მატერიალური რესურსის უზრუნველყოფა, ცვლილებების ინიცირება, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში ჩართვა. პროგრამის ხელმძღვანელი ორივე აკადემიის ბაზაზე აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში და პროგრამის მართვაში.

ინდიკატორის (2.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლება" ფარგლებში სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონულად, ისე ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით როგორც თბილისში, ისე საჩხერეში. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, კომპიუტერს ინტერნეტ ქსელით, პრინტერსა და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალებზე შეუფერხებელ წვდომას.

ელექტრონული რესურსები განთავსებულია აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და კატალოგის სისტემისთვის გამოიყენება OFEN Biblio. პროფესიული სტუდენტები და განმახორციელებლები აქტიურად იყენებენ რესურსებს, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევასა და პროფესიულ განვითარებას. ორივე აკადემიის მისამართი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე საგანმანათლებლო საჭიროებებს.

ინდიკატორის (2.2.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

აკადემიის ორივე ლოკაციაზე (თბილისი და საჩხერე) უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესში ჩართვისა და მხარდაჭერის სრული ხელმისაწვდომობა. აკადემია უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით განსაზღვრულ, ისე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რესურსებზე, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებების შესაბამისად.

პარტნიორული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს: სპეციალისტის ჩართულობას საჭიროების შეფასებისთვის, ადაპტირებულ სასწავლო რესურსებს (ელექტრონული და ბეჭდური მასალები, ადაპტირებული შრიფტი, ვიზუალური მხარდაჭერა), ინფრასტრუქტურის მორგებას თავისუფალი გადაადგილებისა და ჩართულობისთვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, მენტორულ დახმარებას და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს რესურსების ადაპტირებას საჭიროების მიხედვით: ელექტრონული ვერსიების მიწოდება მოსახერხებელ ფორმატში, ბეჭდური რესურსების შრიფტისა და სტილის ოპტიმიზაცია, ტექსტების გამარტივება და ვიზუალური მხარდაჭერა. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული სტუდენტები შეიძლება ჩართულ იქნეს მოდულებზე წინაპირობების გარეშე, დამატებითი მხარდაჭერის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ გზით, აკადემია ქმნის ინკლუზიურ, ხელმისაწვდომ და ეფექტურ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა სტუდენტს პროფესიულად განვითარდეს.

ინდიკატორის (2.2.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეულ პროგრამაზე არსებობს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას (არანაკლებ 18 სტუდენტი) და ითვალისწინებს ყველა საჭირო ხარჯს: სასწავლო პროცესის მართვა, სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილება, სასწავლო რესურსების განახლება, ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა და პერსონალის ანაზღაურება. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების ეფექტურ ფუნქციონირებას და აკადემიის ფინანსურ მდგრადობას.

ინდიკატორის (2.2.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- "საქთნო განათლების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით- აკადემიის რექტორის ბრძანება N2/54 2019 წლის 13 მაისი. პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეებით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებით;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესით
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით
- ბიბლიოთეკის დებულებით ;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით.
- ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის ბიუჯეტით;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, კოლეჯის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მიზნებისათვის ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ვინაიდან სასწავლო პროცესი დაიწყო მიმდინარე წლის ნოემბერში, ამ ეტაპზე პროფესიულ სტუდენტებთან არ ჩატარებულა გამოკითხვები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ პროფესიულ სტუდენტებს მათი მოლოდინების და პროგრამით დაინტერესების მოლოდინების გაანალიზების მიზნით, მიმდინარე ეტაპზე სტუდენტები კმაყოფილები არიან სასწავლო პროცესით, მატერიალურ ტექნიკური ბაზით, მასწავლებელთა კვალიფიკაციით და გამოცდილებით.

ინდიკატორის (2.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.ჰსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულება მუდმივად აანალიზებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს მოქმედი რეგულაციების („ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია“) შესაბამისად. ხარისხის შეფასების შედეგებს აკადემია იყენებს საჭირო ცვლილებების შესასრულებლად. ყოველწლიურად პროგრამების განხორციელების მონიტორინგს ატარებს ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც სისტემატურად მართავს შეხვედრებს განმახორციელებელ პირებთან.

შეფასებისა და გამოცდილებიდან გამომდინარე, ცვლილებები განხორციელდა შეფასებისთვის გამოყოფილ საათებში, თემატიკაში და სასწავლო რესურსებში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულება ეფექტურად იყენებს შეფასების შედეგებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რისთვისაც დაცულია აკადემიის მიერ განსაზღვრული წესები და პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის (2.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით
- სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;
- გასაუბრებით;
- კვლევების მეთოდოლოგიით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

აკადემიის რექტორის 2019 წლის 13 მაისის N2/54 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„საექთნო განათლება“** მოიცავს ძირითად დოკუმენტაციას, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს როგორც ქართულ, ისე არაქართულენოვან პროფესიულ სტუდენტთათვის. სასწავლო გეგმა შეადგინეს პროგრამის კომპონენტებისა და წინაპირობების შესაბამისად; პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს და გათვალისწინებულია დრო განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტებმა შეამოწმეს, რომ პროგრამის განხორციელება სრულად შესაბამისობაშია დამტკიცებულ სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორის (2.4.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

აკადემია სასწავლო პროცესის ორგანიზების დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე, რაც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. სასწავლო გეგმები შეადგინეს კრედიტების გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება სტუდენტთა ინტერესების მიხედვით. გასაუბრებებმა ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან აჩვენა, რომ სტუდენტთა ინტერესები და საჭიროებები სრულად გათვალისწინებულია, განსაკუთრებით სასწავლო განრიგის მოქნილობა და დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები. გარდა ამისა, პრაქტიკული კომპონენტები ხორციელდება პარტნიორ კლინიკებში, სადაც სტუდენტებს პროფესიონალი ტრენერები უზრუნველყოფენ პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. როგორც თბილისში, ასევე საჩხერეში ჩართულმა ინსტრუქტორებმა და სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება, სტუდენტებს აქვთ მაღალი კმაყოფილება ცოდნის მიღებითა და პრაქტიკული უნარების განვითარების პროცესით. აკადემია უზრუნველყოფს ინკლუზიურ, მოქნილ და სტუდენტებზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს.

ინდიკატორის (2.4.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

აკადემია ორივე მისამართზე აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. შეფასების პროცესში დადასტურდა, რომ სწავლება მოიცავს მრავალფეროვან მეთოდებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობასა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

მათ შორის, აკადემიას აქვს პირველადი დახმარების სიმულაციური აპარატები, კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები, დარგისთვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და ელექტრონულად ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსები.

გასაუბრებები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ადასტურებს, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად განახლდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. სტუდენტებს აქვთ თავისუფალი წვდომა სასწავლო რესურსებზე, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელ მუშაობასა და ცოდნის განმტკიცებას.

ექსპერტთა შეფასებით:

- სასწავლო მეთოდები ინოვაციურ მიდგომებს იყენებს და ხელს უწყობს პრაქტიკული უნარების განვითარებას;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს;
- კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ინტეგრაცია აძლევს სტუდენტებს
- პრაქტიკული უნარების განვითარებისა და ცოდნის გამყარების შესაძლებლობას;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უკუკავშირი ადასტურებს სწავლების ხარისხსა და თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას.

ინდიკატორის (2.4.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმში. ინდივიდუალური გეგმის შექმნა საჭირო ხდება შემდეგ შემთხვევებში: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, დროებითი ან ხანგრძლივი ჯანმრთელობის პრობლემები, მობილობა, ფორმალური განათლების აღიარება ან სხვა ობიექტური მიზეზები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმის შემუშავებაში მონაწილეობენ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი და სტუდენტი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი). დამტკიცება ხდება რექტორის მიერ მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. გეგმის განხორციელების პროცესში რეგულარულად შეფასდება სტუდენტის პროგრესი და საჭიროების შემთხვევაში ხდება კორექტირება.
შეფასების დროს გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ აკადემია ჯერ არ დაუგეგმავს ინდივიდუალურ გეგმას კონკრეტული სტუდენტისთვის, თუმცა სტუდენტებმა იციან რეგულაციის შესახებ. ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, გეგმა შეესაბამება ინტერესებსა და საჭიროებებს, პროცესი ეფექტურად და რეგულაციის შესაბამისად იმართება.
სტუდენტთა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის უკუკავშირი ადასტურებს პროცედურის ეფექტურობას.
ინდიკატორის (2.4.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ განხორციელების ფარგლებში აკადემიას გაფორმებული აქვს პრაქტიკული ობიექტებთან შეთანხმებული ხელშეკრულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას. ხელშეკრულებები მოიცავს პროგრამის სახელწოდებას, საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, პროფესიული სტუდენტების რაოდენობას, რესურსების გამოყენების წესებს, მომსახურების ღირებულებას და ანაზღაურების წესს, ასევე ფორს-მაჟორს, ცვლილებებსა და დამატებებს.

თბილისის ბაზაზე პრაქტიკული ობიექტებია:

1. **ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარეტასი“** – პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 56; პრაქტიკული მოდულები მოიცავს ავადმყოფის მოვლას, შინმოვლას.
2. **შპს „აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“** – პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 42; კლინიკური პრაქტიკა მოიცავს ქირურგიულ, თერაპიულ და გადაუდებელ პაციენტთა საექთნო მართვას, ასევე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“** – პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 42; კლინიკური პრაქტიკა მოიცავს პედიატრიასა და მოზარდებთან მუშაობას.
4. **შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“** – პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 28; კლინიკური პრაქტიკა მოიცავს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიატრიის კომპონენტებს.
5. **შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“** – პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 28; კლინიკური პრაქტიკა მოიცავს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიატრიის კომპონენტებს.
6. **შპს „აკადემიკოს ო. უშდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“** – პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 56; პრაქტიკული მოდულები მოიცავს ქირურგიას, თერაპიას, გადაუდებელ დახმარებას, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს, პედიატრიას და სამეანო-გინეკოლოგიას.
7. **შპს „ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ“** – პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 42; კლინიკური პრაქტიკა მოიცავს ქირურგიულ, თერაპიულ, გადაუდებელ პაციენტებთან მუშაობას, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს და პედიატრიას.
8. **შპს „ჯეო ჰოსპიტალი“** – პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 42; პრაქტიკული მოდულები მოიცავს ქირურგიას, თერაპიას, გადაუდებელ დახმარებას, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს და პედიატრიას.

საჩხერის ბაზაზე პრაქტიკული ობიექტებია:

1. **შპს „ჯეო ჰოსპიტალი“ ჭიათურა, მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი** – პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 56; პრაქტიკული მოდულები მოიცავს ქირურგიულ, თერაპიულ, გადაუდებელ პაციენტთა საექთნო მართვას, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს, პედიატრიას, სამეანო-გინეკოლოგიას და ავადმყოფის მოვლას.
2. **შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის ცენტრი“ ქუთაისის ფსიქიატრიული კლინიკა** – პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 28; პრაქტიკული მოდული მოიცავს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიატრიის კომპონენტებს.
3. **სს „საჩხერის რაი-საავადმყოფო პოლიკლინიკური გაერთიანება“** – პროფესიული სტუდენტების რაოდენობა 84; პრაქტიკული მოდულები მოიცავს ქირურგიულ, თერაპიულ, გადაუდებელ პაციენტთა საექთნო მართვას, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს, პედიატრიას, სამეანო-გინეკოლოგიას, შინმოვლას, ავადმყოფის მოვლას და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოქმედი პრაქტიკული ობიექტები უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, ობიექტები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, ინსტრუქტორებითა და კოორდინატორებით. **პროფესიული სტუდენტების რაოდენობა თითოეულ ობიექტზე შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ზღვრულ რაოდენობას 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით** და უზრუნველყოფს პრაქტიკული სწავლების ეფექტურ განხორციელებას.
ინდიკატორის (2.4.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
დაწესებულებაში მოქმედებს უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და დაცვას. აკადემიაში სრულად დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწავლას დაცულ გარემოში. ჩართული მხარეების უკუკავშირი პოზიტიურია და ადასტურებს, რომ დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს. გარდა ამისა, პარტნიორ ორგანიზაციებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის ნორმებს.
ინდიკატორის (2.4.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საქთნო განათლება" დამტკიცებული აკადემიის რექტორის 13/05/2019, N2/54 ბრძანებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური**

დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ნაწილი მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელ ნორმებს, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების პროცედურები. დოკუმენტში განსაზღვრულია:

- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურები და მათი შემუშავების მეთოდიკა;
- პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ;
- აპელაციის წესები და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურები;
- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების შედეგების დადასტურების მექანიზმები;
- მტკიცებულებების მოპოვების, დაცვა - შენახვის და რეგისტრაციის წესები.

დაწესებულებას ცალკე აქვს დამტკიცებული „შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი” (რექტორის ბრძანება N2/192, 07.11.2022, ცვლილება N2/82, 10.06.2025), რომელიც სრულად შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. გასაუბრებებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება აქტიურად ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე. აკადემია სისტემატურად ატარებს ტრენინგებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას შეფასების ერთგვაროვნება და სიზუსტე. ყველა შეფასების ინსტრუმენტი ვალიდირებულია, რაც უზრუნველყოფს მის ადეკვატურობას და შედეგზე ორიენტირებულობას. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის მნიშვნელოვან მექანიზმს და მოიცავს ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.

ვალიდაცია ხორციელდება შემდეგ შემთხვევაში:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ახალი შეფასების ინსტრუმენტის შექმნისას;
- არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანისას.

გარდა ამისა, პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესს და სარგებლობენ აღნიშნული შესაძლებლობით. აღნიშნული პრაქტიკა მოქმედებს თბილისის და საჩხერის ბაზებზე, რაც უზრუნველყოფს ერთგვაროვან ხარისხს ორივე ლოკაციაზე.

ინდიკატორის (2.4.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) . ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები აისახება ანგარიშში, რომელიც დადგენილი წესით ეცნობება დაინტერესებულ პირებს/ მხარეებს. დადგინდა, რომ აკადემია პრაქტიკულად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების განახლებას ვერიფიკაციის ანგარიშების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათი ეფექტიანობისა და სანდოობის გაუმჯობესებას. დაწესებულებამ აღნიშნული პროცესების პრაქტიკაში მოქმედების მიზნით წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ . აღნიშნული ბრძანების მიხედვით დგინდება, რომ ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყო როგორც დარგის, ასევე განათლების მოწვეული ექსპერტი. აკადემიის მიერ დამტკიცებული რისკების სისტემა შესაბამისობაშია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილ რისკებთან. ვერიფიკაციის პროცესში შემოწმდა ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოდულები რომლებიც რისკის სქემის მიხედვით პრიორიტეტული იყო. როგორც ანგარიშში ვეცნობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„საექთნო განათლება“** ვერიფიკაციის პროცესის შედეგად დადგინდა, რომ კითხვარებში სასურველია დაცული იყოს ერთგვაროვანი მიდგომა – თითო სწორი პასუხისთვის იყოს სამი არასწორი დისტრაქტორი. ასევე განხორციელდა **მართლწერის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეცდომების გასწორება, რაც ზრდის შეფასების ინსტრუმენტის სიზუსტეს და შესაბამისობას პროფესიული სტუდენტებისთვის გათვალისწინებულ სასწავლო შედეგებთან. **შედეგად**, კოლეჯმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეფასების ინსტრუმენტების გადამუშავება და სტანდარტიზაცია, ინსტრუქციების მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად ფორმულირება, ტექსტობრივი ხარვეზების აღმოფხვრა და ტესტური დავალებების ერთიანი სტრუქტურული პრინციპით ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხის, სანდოობისა და სამართლიანობის გაუმჯობესებას. **აღნიშნულის შესაბამისად**, კოლეჯმა ექსპერტთა ჯგუფს დამატებით წარუდგინა გადამუშავებული და კორექტირებული შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც ასახავს გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებას და ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების შემოწმებას, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებობს შეფასების მტკიცებულება. მტკიცებულებები აღრიცხულია, ხელმოწერილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ აკადემიაში სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ინდიკატორის (4.2.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში: შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.

სასწავლო პროცესის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე, საქმისმწარმოებელი კი საქმისწარმოების წესის შესაბამისად (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 21.12.2021 წლის N2/167 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ბრძანება N2/71 (22.05.2025)) პირადი საქმეების საწარმოებლად, ხოლო პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო დგება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომლის მუხლი 41 არეგულირებს შეფასების მტკიცებულების შენახვის და განკარგვის წესს. ისინი ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს. რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც პასუხისმგებელია გასანადგურებელი მტკიცებულებების იდენტიფიცირებაზე. პროცესის დასრულების შემდეგ კომისია ამზადებს შესაბამის ოქმს, რომელიც ასახავს განხორციელებული საქმიანობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დეტალურ აღწერას და ადასტურებს მტკიცებულებების განადგურების ფაქტს. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები პორტფოლიოში ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ინდიკატორის (2.4.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემია პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ მეთოდებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი კომპეტენციების განვითარება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. პროფესიული მასწავლებლები რეგულარულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში სტუდენტებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ შემდგომი განვითარების გეგმების ჩამოყალიბებაში და სწავლების მიდგომების გაუმჯობესებაში.

შესრულებული სამუშაოების უკუკავშირი და შეფასების შედეგების ანალიზი ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ ახალი ინიციატივებისა და მეთოდების დანერგვას. პროფესიული სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საკუთარი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესახებ, ხოლო აკადემია უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების გამოყენებას სწავლების პროცესის დახვეწისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საჭიროების განსაზღვრისთვის.

დაწესებულებაში გამოყენებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია ციფრულ პლატფორმასთან და აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს. პლატფორმა უზრუნველყოფს სწრაფ უკუკავშირს მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და სტუდენტს შორის, ხოლო პერსონალური მონაცემები დაცულია, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ეფექტურ განვითარებას.

ინდიკატორის (2.4.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- უწყისების აღრიცხვის ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/218 დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. თბილისის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი (თბილისი-საჩხერე) 2025 წელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00008670 07/06/2025;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00020347 24/10/2025;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის 18.07.2018 წ ბრძანება N2/61
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, წერონისის ქ N208
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70 კრედიტი

IX. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის 18.07.2018 წ ბრძანება N2/61
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.საჩხერე, ივანე გომართელის N50ა, 52
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60 იმიტირებულ სამუშაო გარემოში
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70 კრედიტი

X. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ინფორმაციის ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გამოირჩევა სამომავლო პროფესიული ბაზრის მოთხოვნების მიხედვით დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით. პროგრამა აერთიანებს სრულყოფილ თეორიულ ჩარჩოს ოპერაციულ სისტემებში, ქსელურ ინფრასტრუქტურაში, მონაცემთა ბაზების მართვაში, პროგრამირების ძირითად ენებში, კიბერუსაფრთხოებაში, ვებ-ტექნოლოგიებში და პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების პრინციპებში. ექსპერტული შეფასებით, პროგრამის სტრუქტურა მკაფიოდ გამოხატავს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ინტეგრაციას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების რეალურ სამუშაო გარემოში სწრაფ ადაპტაციას.

აკადემიის მიერ მიღებული სასწავლო მიდგომები, რომლებიც ეფუძნება ინოვაციურ სასწავლო მეთოდებს და მრავალპროფილურ საგანმანათლებლო საქმიანობას, სრულად პასუხობს თანამედროვე IT სექტორის მოთხოვნებს. პრაქტიკულად ორიენტირებული სწავლება, ლაბორატორიული დავალებები, თანამედროვე პროგრამული ინსტრუმენტების გამოყენება და რეალურ სამუშაო პროცესებთან მიერთება უზრუნველყოფს პროფესიული უნარების განვითარებას, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობაში.

შრომის ბაზრის კვლევების ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამა პასუხობს არსებულ მოთხოვნებს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. მაღალი მოთხოვნაა პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერებზე, ვებ და მობილური აპლიკაციების შემქმნელებზე, მონაცემთა ანალიტიკოსებსა და ქსელურ ადმინისტრატორებზე. ამ კუთხით, პროგრამა ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას და უზრუნველყოფს პროფესიულ ინტეგრაციას.

კურსდამთავრებულთა მონაცემები ადასტურებს პროგრამის ეფექტურობას: 75% მათგანი დასაქმებულია პროფილის შესაბამის სფეროში, უმეტესწილად კერძო სექტორში. პროგრამის ხარისხით კმაყოფილია 99% კურსდამთავრებული, ხოლო 98% მიიჩნევს, რომ მიღებული ცოდნა სრულად პასუხობს IT სფეროში მუშაობის მოთხოვნებს. კურსდამთავრებულთა 99% ურჩევს პროგრამის გავლას სხვებს, რაც მიუთითებს პროგრამის მიმართ მაღალი ნდობისა და კმაყოფილების არსებობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის გამორჩეულობა დაკავშირებულია აკადემიურ რეპუტაციასთან, მაღალი ხარისხის მართვასთან და პარტნიორული ქსელის აქტიურ გამოყენებასთან შრომის ბაზარზე. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი განსაკუთრებით ძლიერი ჩანს იმიტირებულ სამუშაო გარემოში ინტენსიური სწავლების, რეალურ ობიექტებზე ვიზიტების და პრაქტიკული დავალებების განხორციელების პროცესში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების ალბათობას.

ადმინისტრაციული და პროფესიული მხარდაჭერა უზრუნველყოფს საკმარის ადამიანურ რესურსს პროგრამის სტაბილურად, მაღალ ხარისხში განხორციელებისთვის. 26 პროფესიონალი სპეციალისტი, მათ შორის პროფესიული და ზოგადი მოდულების განმახორციელებელთა დაკომპლექტება, ინდივიდუალურ დატვირთვასთან შესაბამისი და მოდულების მდგრადობის უზრუნველყოფით, წარმოადგენს პროგრამის ძლიერი მხარე. დარგის ხელმძღვანელებს აქვთ მრავალწლიანი გამოცდილება, რაც კიდევ უფრო ზრდის სწავლების ხარისხს.

საერთო შეფასებით, პროგრამა სრულად პასუხობს პროფესიული განათლების სტანდარტებს, ემყარება საერთაშორისო და ეროვნულ შრომის ბაზრის საჭიროებებს, აძლევს სტუდენტებს პრაქტიკულად მიმართული უნარების განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს პროფესიული ინტეგრაციის მაღალ დონეს და აკადემიის რეპუტაციის განმტკიცებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.1.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით - **„პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“**, რომელიც სრულად არეგულირებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა ეტაპსა და პროცედურას. დოკუმენტი დეტალურად აღწერს როგორც პროგრამაზე მიღების გამოცხადების, ისე კანდიდატთა შერჩევის, შეფასებისა და საბოლოოდ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების წესსა და მეთოდოლოგიას, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას.

აღნიშნული წესი შემუშავებულია და ხორციელდება **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“** (ცვლილება: 26.09.2019 №203/ნ) მოთხოვნათა შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ჩარიცხვის პროცესის სამართლებრივ შესაბამისობას მოქმედ ნორმატიულ ბაზასთან. ‘’ინფორმაციის ტექნოლოგია“ დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება

ინდიკატორის (2.1.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიული სტუდენტების **ზღვრული რაოდენობა** განისაზღვრება შესაბამისი **მეთოდოლოგიით**, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის სისტემურ და ობიექტურ მიდგომას და ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისთვის არსებულ რეალურ შესაძლებლობებს. დამტკიცებული მეთოდოლოგია ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ეფუძნება რამდენიმე არსებით ფაქტორს, მათ შორის:

- სასწავლო გარემოს ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს;
- ადამიანური რესურსის საკმარისობასა და კვალიფიკაციას;
- პროგრამის განხორციელების სპეციფიკასა და გამოყენებულ სასწავლო მიდგომებს;
- საპროგნოზო ბიუჯეტის გათვალისწინებით დადგენილ რენტაბელობის ზღვარს;
- სწავლების სხვადასხვა მოდელის გამოყენების შესაძლებლობას;
- პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- პროგრამის მოთხოვნადობასა და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, როგორც რეალისტურს, დასაბუთებულს და პროგრამის ხარისხიანი განხორციელებისთვის საკმარისს.
ინდიკატორის (2.1.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული **სასწავლო და მატერიალური რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას **„ინფორმაციის ტექნოლოგია“** დანართის სახით თან ერთვის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივი და პრაქტიკული კომპონენტების სრულფასოვან განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები არის **რელევანტური, ადეკვატური და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან**, რაც ქმნის მყარ საფუძველს პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევისთვის.
ინდიკატორის (2.1.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.
ინდიკატორის (2.1.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ოფიციალურად დამტკიცებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2018 წლის 18 ივლისის N2/61 ბრძანებით. პროგრამაში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2025 წლის 25 აგვისტოს რექტორის N2/131 ბრძანებით.
ექსპერტული შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება აკადემიის შიდა რეგულაციებს და სამართლებრივ ჩარჩოს. როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რექტორს აქვს იურიდიული უფლებამოსილება საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სამართლებრივად რეგლამენტირებულ არსებობას და შესაძლებლობას, განხორციელდეს შესაბამისი კონტენტის განახლება აკადემიური და პროფესიული მოთხოვნებიდან გამომდინარე.
პროცედურის მკაცრი დაცვა უზრუნველყოფს პროგრამის ოფიციალურ სტატუსს, უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და განმტკიცებას აკადემიის შიდა მართვის გამჭვირვალობას. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი პრინციპია როგორც ხარისხის უზრუნველყოფის, ისე აკადემიური რეპუტაციის შენარჩუნების თვალსაზრისით.
ინდიკატორის (2.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ მკაფიოდ განსაზღვრავს საგანმანათლებლო მიზნებსა და შინაარსს. პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული იღებს საბაზო პროფესიულ კვალიფიკაციას ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში (Basic Vocational Qualification in Information Technology Support), რაც ადასტურებს მიღებული უნარებისა და ცოდნის შესაბამისობას საერთაშორისო პრაქტიკასა და პროფესიულ სტანდარტებთან.
პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს მის შინაარსსა და მიზნებს, არ არის შეცდომაში შემყვანი და სიზუსტით გამოხატავს სასწავლო პროცესის შედეგებს. პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, კურსდამთავრებული შეძლებს:

- კომპიუტერის აპარატურული (Hardware) და პროგრამული (Software) მხარდაჭერა;
- მუშაობა მობილურ, Linux და Windows Server ოპერაციულ სისტემებთან;
- პერიფერიული მოწყობილობების მართვა;
- მცირე ზომის კომპიუტერული ქსელების დამონტაჟება და მართვა;
- ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების ინსტალაცია და გამართვა;
- კომპიუტერული სისტემებში გაუმართაობების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა;
- კომპიუტერული სისტემების მხარდაჭერა სამუშაო ადგილზე და დისტანციურ რეჟიმში.

ექსპერტული შეფასებით, პროგრამის დასახელება, მიზნები და სასწავლო შედეგები სრულად თავსებადია პროფესიული სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, ხელს უწყობს მათ კონკურენტუნარიანობას და ეფექტურ ინტეგრაციას IT სფეროში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.
ინდიკატორის (2.1.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** საფუძველზე. სტანდარტი განსაზღვრავს პროგრამის ყველა კრიტერიუმს: სახელწოდებას, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მიზანს, დაშვების წინაპირობას, კურსდამთავრებულთა კარიერულ შესაძლებლობებს, სტრუქტურას, მოდულებს, სწავლის შედეგებს, სწავლებისა და სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდებს, სწავლების დასრულების დადასტურებას, კრედიტის მინიჭებას, კვალიფიკაციის მინიჭებას, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) სტუდენტების მხარდაჭერას.
საგანმანათლებლო პაკეტი მოიცავს:

- პროგრამის ძირითადი დოკუმენტი;
- მოდულები და სასწავლო გეგმები (A2 დონის ქართული ენის გათვალისწინებით);
- ინფორმაცია ადამიანური რესურსების (პროგრამის განმახორციელებელი პირები) შესახებ;
- ინფორმაცია მატერიალური რესურსების შესახებ.

ექსპერტული შეფასება

- პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს.
- ყველა კომპონენტი, მათ შორის მოდულები, სასწავლო გეგმები, ადამიანური და მატერიალური რესურსები, უზრუნველყოფს პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას.
- პროგრამა განსაზღვრავს სტუდენტების განათლების ხარისხსა და სწავლების პროცესის გამჭვირვალობას, რაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა მომზადებას IT სფეროში.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდაჭერის გათვალისწინება ცხადყოფს ინკლუზიურ მიდგომას და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვას.

პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ სრულად პასუხობს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს, მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს სწავლების ეფექტურობისა და ხარისხის უზრუნველყოფისთვის, აძლევს სტუდენტებს კონკურენტუნარიან ცოდნას და უნარებს IT სფეროში, ასევე უზრუნველყოფს ინკლუზიურ სასწავლო გარემოს.
ინდიკატორის (2.1.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამით (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ბრძანებებით-ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 18.07.2018 წ ბრძანება N2/61 ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 25 აგვისტოს N2/131 ბრძანებით.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია"
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- მატერიალური რესურსების მართვის წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლები;
- სამსახურებრივი ბარათები;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებები - განთავსებული ვებგვერდზე.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, როგორც თბილისის ასევე საჩხერის ბაზაზე.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ხორციელდება როგორც თბილისში (წეროწისის ქ. N208), ასევე საჩხერეში (გომართელის ქ. N50ა, 52). პროგრამას თან ერთვის იმ მატერიალური და ტექნიკური რესურსების დეტალური აღწერა, რომლებიც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის და სრულად პასუხობს პროგრამის შინაარსსა და პრაქტიკულ მოთხოვნებს.

თბილისის ბაზაზე აკადემია უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო გარემოთი, რომელიც აერთიანებს თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურას (სასწავლო გარემო B/C პროფესიული სტუდენტებისთვის აღჭურვილია 25 პერსონალური კომპიუტერით, 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისა (1) და პროფესიულ სტუდენტთა 25 სამუშაო მაგიდით, პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო მატერიალური რესურსებითა და დაშლილი კომპიუტერებით.

საჩხერის ბაზაზე სასწავლო გარემო B/C პროფესიული სტუდენტებისთვის აღჭურვილია 31 პერსონალური კომპიუტერით, 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისა(1) და პროფესიულ სტუდენტთა 25 სამუშაო მაგიდით, პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო მატერიალური რესურსები და დაშლილი კომპიუტერები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია სწავლების მოქნილი ფორმატები. რიგი მოდულების სწავლება შესაძლებელია დისტანციურ რეჟიმშიც, რისთვისაც აკადემიას შეძენილი აქვს ულიმიტო ZOOM პლატფორმის მომსახურება. ეს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას, ადაპტირებას სხვადასხვა გარემოებების მიმართ და სტუდენტთა ხელმისაწვდომობის ზრდას.

ქალაქ თბილისის მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის გათვალისწინებით ერთ ცვლაში შესაძლებელია 25 პროფესიულ სტუდენტის სწავლება, ხოლო ორ ცვლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია 50 პროფესიული სტუდენტის სწავლება;

ქალაქ საჩხერის მისამართზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის გათვალისწინებით ერთ ცვლაში შესაძლებელია 30 პროფესიულ სტუდენტის სწავლება, ხოლო ორ ცვლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია 60 პროფესიული სტუდენტის სწავლება;

შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ სრულად არის უზრუნველყოფილი საჭირო მატერიალური, ტექნიკური და ადამიანური რესურსებით როგორც თბილისის, ისე საჩხერის ბაზებზე. თანამედროვე ინფრასტრუქტურა, პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სწავლების მოქნილი ფორმატები და რესურსების ეფექტიანი მართვა ქმნის რეალურ პირობებს პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის, პროფესიული სტუდენტების კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და მათი წარმატებული ინტეგრაციისათვის შრომის ბაზარზე.

ინდიკატორის (2.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ:

პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები დამტკიცებულია აკადემიის რექტორის ბრძანებით. მათ მიხედვით განსაზღვრულია მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გათვლილია ისე, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებას, არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

პროფესიული პროგრამის განხორციელების მონაცემები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქალაქ საჩხერეში შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დარგობრივი მოდულებისათვის 6 პირი, 11 მასწავლებელი ზოგადი მოდულებისათვის, მათ შორის 3 დარგობრივი ინგლისურისათვის.

ქალაქ თბილისში შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 16 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დარგობრივი მოდულებისათვის 6 პირი, 10 მასწავლებელი ზოგადი მოდულებისათვის, მათ შორის 3 დარგობრივი ინგლისურისათვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან და უწყვეტ განხორციელებას. დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინეს პროგრამის განმახორციელებელი პირების რეალური დატვირთვის მონაცემები და სასწავლო ცხრილები, რომელთა საფუძველზეც დადასტურდა, რომ მასწავლებელთა რაოდენობა საკმარისია პროგრამის ეფექტიანად განსახორციელებლად.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფმა გასაუბრება გამართა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. გასაუბრების შედეგებმა და პირადი საქმეების შესწავლამ ცხადყო, რომ აღნიშნულ პირებს გააჩნიათ პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი ცოდნა, უნარები და შესაბამისი პროფესიული კომპეტენციები. ამასთან, დადასტურდა მათ მიერ ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების ცოდნა და პრაქტიკაში შესრულება.

შესაბამისად, პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა შეფასებულია როგორც მდგრადი და სრულფასოვანი, რის გამოც პროგრამის უწყვეტობასა და ხარისხიან განხორციელებას საფრთხე არ ემუქრება.

ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები თბილისში და საჩხერეში. დასტურდება, რომ ისინი შესაბამისობაში არიან დაკავებულ თანამდებობასთან და აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მათ პროფესიულ სტუდენტებზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი აქვთ პროფესიული კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით.

გასაუბრებისას დადგინდა, რომ მასწავლებლებმა გაიარეს აკადემიის მიერ ორგანიზებული ტრენინგები სასწავლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. ასევე მონაწილეობდნენ უნარების სააგენტოსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგებში, რაც მათ პროფესიულ უნარებს ზრდის თანამედროვე სწავლის მეთოდებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართულნი არიან მოდულური პროგრამის ადაპტირებისა და შემუშავების პროცესში. მათ აქვთ გამოცდილება სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. თითოეულთან გაფორმებულია შრომის კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს განხორციელებულ მოდულებს.

ინდიკატორის (2.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი**

დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. როგორც თბილისში, ასევე საჩხერეში, პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური. ის მონაწილეობდა პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში და ფლობს დარგში პრაქტიკულ გამოცდილებას.

მისი ძირითადი მოვალეობებია: პროგრამის განხორციელების ხელმძღვანელობა, საჭირო მატერიალური რესურსის უზრუნველყოფა, ცვლილებების ინიცირება, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში ჩართვა. პროგრამის ხელმძღვანელი ორივე აკადემიის ბაზაზე აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში და პროგრამის მართვაში.

ინდიკატორის (2.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ფარგლებში სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონულად, ისე ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით როგორც თბილისში, ისე საჩხერეში. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, კომპიუტერს ინტერნეტ ქსელით, პრინტერსა და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალებზე შეუფერხებელ წვდომას.

ელექტრონული რესურსები განთავსებულია აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და კატალოგის სისტემისთვის გამოიყენება OFEN Biblio. პროფესიული სტუდენტები და განმახორციელებლები აქტიურად იყენებენ რესურსებს, რაც ხელს უწყობს სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების მიღწევასა და პროფესიულ განვითარებას. ორივე აკადემიის მისამართი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე საგანმანათლებლო საჭიროებებს.

ინდიკატორის (2.2.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

აკადემიის ორივე ლოკაციაზე (თბილისი და საჩხერე) უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესში ჩართვისა და მხარდაჭერის სრული ხელმისაწვდომობა. აკადემია უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით განსაზღვრულ, ისე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რესურსებზე, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებების შესაბამისად.

პარტნიორული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს: სპეციალისტის ჩართულობას საჭიროების შეფასებისთვის, ადაპტირებულ სასწავლო რესურსებს (ელექტრონული და ბეჭდური მასალები, ადაპტირებული შრიფტი, ვიზუალური მხარდაჭერა), ინფრასტრუქტურის მორგებას თავისუფალი გადაადგილებისა და ჩართულობისთვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, მენტორულ დახმარებას და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს რესურსების ადაპტირებას საჭიროების მიხედვით: ელექტრონული ვერსიების მიწოდება მოსახერხებელ ფორმატში, ბეჭდური რესურსების შრიფტისა და სტილის ოპტიმიზაცია, ტექსტების გამარტივება და ვიზუალური მხარდაჭერა. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული სტუდენტები შეიძლება ჩართულ იქნეს მოდულებზე წინაპირობების გარეშე, დამატებითი მხარდაჭერის გათვალისწინებით.

ამ გზით, აკადემია ქმნის ინკლუზიურ, ხელმისაწვდომ და ეფექტურ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა სტუდენტს პროფესიულად განვითარდეს.

ინდიკატორის (2.2.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეულ პროგრამაზე არსებობს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას და ითვალისწინებს ყველა საჭირო ხარჯს: სასწავლო პროცესის მართვა, სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილება, სასწავლო რესურსების განახლება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა და პერსონალის ანაზღაურება. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების ეფექტურ ფუნქციონირებას და აკადემიის ფინანსურ მდგრადობას.

ინდიკატორის (2.2.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაცია;
- პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ბრძანებებით-ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 18.07.2018 წ ბრძანება N2/61 ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 25 აგვისტოს N2/131 ბრძანებით.
- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, კოლეჯის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მიზნებისათვის ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. ვინაიდან სასწავლო პროცესი დაიწყო მიმდინარე წლის ნოემბერში, ამ ეტაპზე პროფესიულ სტუდენტებთან არ ჩატარებულა გამოკითხვები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ პროფესიულ სტუდენტებს მათი მოლოდინების და პროგრამით დაინტერესების მოლოდინების გაანალიზების მიზნით, მიმდინარე ეტაპზე სტუდენტები კმაყოფილები არიან სასწავლო პროცესით, მატერიალურ ტექნიკური ბაზით, მასწავლებელთა კვალიფიკაციით და გამოცდილებით.

ინდიკატორის (2.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულება მუდმივად აანალიზებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს მოქმედი რეგულაციების („ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია“) შესაბამისად. ხარისხის შეფასების შედეგებს აკადემია იყენებს საჭირო ცვლილებების შესასრულებლად. ყოველწლიურად პროგრამების განხორციელების მონიტორინგს ატარებს ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც სისტემატურად მართავს შეხვედრებს განმახორციელებელ პირებთან.

შეფასებისა და გამოცდილებიდან გამომდინარე, ცვლილებები განხორციელდა შეფასებისთვის გამოყოფილ საათებში, თემატიკაში და სასწავლო რესურსებში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულება ეფექტურად იყენებს შეფასების შედეგებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რისთვისაც დაცულია აკადემიის მიერ განსაზღვრული წესები და პროცედურები.

ინდიკატორის (2.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით
- სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;
- გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კვლევების მეთოდოლოგიით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ მოიცავს ძირითად დოკუმენტაციას, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს როგორც ქართულ, ისე არაქართულენოვან პროფესიულ სტუდენტთათვის. სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეადგინეს პროგრამის კომპონენტებისა და წინაპირობების შესაბამისად; პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს და გათვალისწინებულია დრო განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტებმა შეამოწმეს, რომ პროგრამის განხორციელება სრულად შესაბამისობაშია დამტკიცებულ სასწავლო გეგმასთან.
ინდიკატორის (2.4.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.
აკადემია სასწავლო პროცესის ორგანიზების დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე, რაც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. სასწავლო გეგმები შეადგინეს კრედიტების გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება სტუდენტთა ინტერესების მიხედვით. გასაუბრებებმა ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან აჩვენა, რომ სტუდენტთა ინტერესები და საჭიროებები სრულად გათვალისწინებულია, განსაკუთრებით სასწავლო განრიგის მოქნილობა და დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები.
ინდიკატორის (2.4.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.
საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აკადემიის ორივე მისამართზე სასწავლო პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებულ გამოყენებას. სწავლების მეთოდებთან დაკავშირებული ინფორმაცია დეტალურად არის ასახული შესაბამის მოდულებში, ხოლო დარგობრივი ტექნოლოგიების პრაქტიკულ გამოყენებას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებიც აქტიურად ეცნობიან სფეროში არსებულ სიახლეებს, აწვდიან მათ სტუდენტებს და ეფექტიანად იყენებენ სწავლების პროცესში. სასწავლო პროცესის სრულფასოვნად და ხარისხიანად განხორციელების მიზნით, სასწავლო გარემოები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას და სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.
ინდიკატორის (2.4.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისა და განხორციელების მექანიზმში. ინდივიდუალური გეგმის შექმნა საჭირო ხდება შემდეგ შემთხვევებში: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, დროებითი ან ხანგრძლივი ჯანმრთელობის პრობლემები, მობილობა, ფორმალური განათლების აღიარება ან სხვა ობიექტური მიზეზები.
გეგმის შემუშავებაში მონაწილეობენ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი და სტუდენტი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი). დამტკიცება ხდება რექტორის მიერ მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. გეგმის განხორციელების პროცესში რეგულარულად შეფასდება სტუდენტის პროგრესი და საჭიროების შემთხვევაში ხდება კორექტირება.
ინდიკატორის (2.4.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ორივე ლოკაციაზე, ხორციელდება იმიტირებულ სასწავლო გარემოში
ინდიკატორის (2.4.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
დაწესებულებაში მოქმედებს **უსაფრთხოების პოლიტიკა** და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და დაცვას. აკადემიაში სრულად დაცულია **შრომის უსაფრთხოების ნორმები,** რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწავლას დაცულ გარემოში. პროგრამის დარგობრივი მოდულების განხორციელება დაკავშირებულია სპეციფიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან, რის უზრუნველსაყოფად აკადემიას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შესაბამისი უსაფრთხოების წესები. აღნიშნული წესები განთავსებულია აუდიტორიებში თვალსაჩინო ადგილებზე, ხოლო პროფესიულ სტუდენტებს სისტემატურად უტარდებათ დარგობრივი უსაფრთხოების ინსტრუქტაჟები. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის სრულად გათვალისწინებით.
ინდიკატორის (2.4.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ნაწილი მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელ ნორმებს, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების პროცედურები. დოკუმენტში განსაზღვრულია:

- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურები და მათი შემუშავების მეთოდიკა;
- პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ;
- აპელაციის წესები და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურები;
- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების შედეგების დადასტურების მექანიზმები;
- მტკიცებულებების მოპოვების, დაცვა - შენახვის და რეგისტრაციის წესები.

დაწესებულებას ცალკე აქვს დამტკიცებული „შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი” (რექტორის ბრძანება N2/192, 07.11.2022, ცვლილება N2/82, 10.06.2025), რომელიც სრულად შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამართლიანობასა და ობიექტურობას. გასაუბრებებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ **დაწესებულება აქტიურად ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე.** აკადემია სისტემატურად ატარებს **ტრენინგებს,** რათა უზრუნველყოფილ იქნას შეფასების ერთგვაროვნება და სიზუსტე. ყველა **შეფასების ინსტრუმენტი ვალიდირებულია,** რაც უზრუნველყოფს მის ადეკვატურობას და შედეგზე ორიენტირებულობას. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის მნიშვნელოვან მექანიზმს და მოიცავს ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.

ვალიდაცია ხორციელდება შემდეგ შემთხვევაში:

- ახალი შეფასების ინსტრუმენტის შექმნისას;
- არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანისას.

გარდა ამისა, პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის **ვერიფიკაცია.** პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ **გადაბარებისა და აპელაციის წესს** და სარგებლობენ აღნიშნული შესაძლებლობით. აღნიშნული პრაქტიკა მოქმედებს **თბილისის და საჩხერის ბაზებზე,** რაც უზრუნველყოფს ერთგვაროვან ხარისხს ორივე ლოკაციაზე.

ინდიკატორის (2.4.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტ. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) . ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები აისახება ანგარიშში, რომელიც დადგენილი წესით ეცნობება დაინტერესებულ პირებს/ მხარეებს. დადგინდა, რომ აკადემია პრაქტიკულად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების განახლებას ვერიფიკაციის ანგარიშების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათი ეფექტიანობისა და სანდოობის გაუმჯობესებას. დაწესებულებამ აღნიშნული პროცესების პრაქტიკაში მოქმედების მიზნით წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ . აღნიშნული ბრძანების მიხედვით დგინდება, რომ ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყო როგორც დარგის, ასევე განათლების მოწვეული ექსპერტი. აკადემიის მიერ დამტკიცებული რისკების სისტემა შესაბამისობაშია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილ რისკებთან. ვერიფიკაციის პროცესში შემოწმდა ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მოდულები რომლებიც რისკის სქემის მიხედვით პრიორიტეტული იყო. როგორც ანგარიშში ვეცნობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „ინფორმაციული ტექნოლოგია“ ვერიფიკაციის შედეგად გამოვლინდა, რომ შეფასების ინსტრუმენტები საჭიროებს მართლწერის ხარვეზების გამოსწორებას. ასევე რეკომენდებულია, შეფასების კითხვარებში დაცული იყოს ერთიანი მიდგომა -თითოეულ კითხვაზე წარმოდგენილი იყოს 1 სწორი პასუხი და 3 არასწორი დისტრაქტორი.

რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების შემოწმებას, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებობს შეფასების მტკიცებულება. მტკიცებულებები აღრიცხულია, ხელმოწერილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ აკადემიაში სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ინდიკატორის (4.2.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში: შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.

სასწავლო პროცესის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე, საქმისმწარმოებელი კი საქმისწარმოების წესის შესაბამისად (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 21.12.2021 წლის N2/167 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ბრძანება N2/71 (22.05.2025)) პირადი საქმეების საწარმოებლად, ხოლო პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო დგება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომლის მუხლი 41 არეგულირებს შეფასების მტკიცებულების შენახვის და განკარგვის წესს. ისინი ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს. რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც პასუხისმგებელია გასანადგურებელი მტკიცებულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იდენტიფიცირებაზე. პროცესის დასრულების შემდეგ კომისია ამზადებს შესაბამის ოქმს, რომელიც ასახავს განხორციელებული საქმიანობის დეტალურ აღწერას და ადასტურებს მტკიცებულებების განადგურების ფაქტს. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები პორტფოლიოში ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ინდიკატორის (2.4.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

აკადემია პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ მეთოდებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი კომპეტენციების განვითარება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. პროფესიული მასწავლებლები რეგულარულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში სტუდენტებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ შემდგომი განვითარების გეგმების ჩამოყალიბებაში და სწავლების მიდგომების გაუმჯობესებაში.

შესრულებული სამუშაოების უკუკავშირი და შეფასების შედეგების ანალიზი ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ ახალი ინიციატივებისა და მეთოდების დანერგვას. პროფესიული სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საკუთარი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესახებ, ხოლო აკადემია უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების გამოყენებას სწავლების პროცესის დახვეწისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საჭიროების განსაზღვრისთვის.

დაწესებულებაში გამოყენებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია ციფრულ პლატფორმასთან და აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს. პლატფორმა უზრუნველყოფს სწრაფ უკუკავშირს მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და სტუდენტს შორის, ხოლო პერსონალური მონაცემები დაცულია, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ეფექტურ განვითარებას.

ინდიკატორის (2.4.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უწყისების აღრიცხვის ჟურნალი;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/218 დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. თბილისის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურების მიზნით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი (თბილისი-საჩხერე) 2025 წელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00008670 07/06/2025;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00020347 24/10/2025;

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის 2025 წლის 7 მაისის N 2/54 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ც. დადიანის N28
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	165
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	165
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90 კრედიტი

XI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

V. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ექსპერტული შეფასების შედეგად დადგინდა, რომ Front-end დეველოპმენტის საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაშია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისიასთან, ხედვასა და სტრატეგიულ მიზნებთან. პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსობრივი სტრუქტურა ასახავს აკადემიის ორიენტაციას ინოვაციური, პრაქტიკაზე დაფუძნებული და შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაზე.

აკადემიის მიერ ჩატარებულმა შრომის ბაზრის კვლევებმა დაადასტურა, რომ როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეზე, მაღალი და მზარდი მოთხოვნა არსებობს Front-end დეველოპმენტის მიმართულებით შესაბამის უნარებსა და კომპეტენციებზე. კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ციფრული ტექნოლოგიების სფეროში, განსაკუთრებით ვებ დეველოპმენტის მიმართულებით, შეინიშნება კვალიფიციური კადრების დეფიციტი, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს კერძო და საჯარო სექტორების საჭიროებების დაკმაყოფილებას.

აკადემიის კვლევებით ასევე დასაბუთდა, რომ დამსაქმებლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პრაქტიკულად მომზადებულ სპეციალისტებს, რომელთაც გააჩნიათ თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა და რეალურ პროექტებზე მუშაობის გამოცდილება. აღნიშნული მოთხოვნები ადეკვატურად აისახება პროგრამის სასწავლო გეგმაში, მოდულების შინაარსსა და სწავლების მეთოდოლოგიაში, რაც მიუთითებს პროგრამის პრაქტიკულ ორიენტაციასა და დასაქმებაზე მიმართულ ხასიათზე.

ექსპერტული ანალიზის ფარგლებში შეფასდა საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებიც. აკადემიის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ Front-end დეველოპმენტის მიმართულებით მოთხოვნა სტაბილურად მაღალია საერთაშორისო ბაზარზეც, განსაკუთრებით დისტანციური დასაქმების ზრდის პირობებში. პროგრამა უზრუნველყოფს ისეთ უნივერსალურ ტექნოლოგიურ კომპეტენციებს, რომლებიც საერთაშორისოდ მოთხოვნადია და კურსდამთავრებულებს აძლევს გლობალურ შრომის ბაზარზე ინტეგრაციის რეალურ შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაქმების პლატფორმებისა და ვაკანსიების ანალიზმა, რომელიც აკადემიამ საკუთარი კვლევების ფარგლებში განახორციელა, ცხადყო, რომ Front-end დეველოპერებზე მოთხოვნა ხასიათდება სტაბილურობითა და დინამიკური ზრდით. მოთხოვნილი სამუშაო უნარები სრულ თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც ადასტურებს პროგრამის შინაარსობრივი შესაბამისობის მაღალ ხარისხს.

კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების შეფასებით დადგინდა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები გამოირჩევიან მაღალი დასაქმების უნარიანობით. აკადემიის მონაცემებით, კურსდამთავრებულთა ნაწილი დასაქმებულია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კომპანიებში, ნაწილი კი წარმატებით ახორციელებს ფრილანს და თვითდასაქმების საქმიანობას. აღნიშნული შედეგები დამატებით ადასტურებს პროგრამის ეფექტიანობასა და პრაქტიკულ ღირებულებას.

ექსპერტული შეფასებით, აკადემიის მიერ შექმნილი ვებ ტექნოლოგიების სასწავლო საწარმო წარმოადგენს პროგრამის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს. აკადემიის კვლევებით დასაბუთებულია, რომ აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს სტუდენტების რეალურ სამუშაო პროცესში ჩართულობას, პროფესიული პორტფოლიოს ფორმირებას და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მაქსიმალურ დაახლოებას, რაც პროგრამას განასხვავებს სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული ანალოგიური პროგრამებისგან.

საერთო ჯამში, ექსპერტული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ აკადემიის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა სრულყოფილად დაასაბუთა Front-end დეველოპმენტის საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროება, მიზანშეწონილობა და შესაბამისობა როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ისე დაწესებულების სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. პროგრამა შეფასებულია როგორც დასაბუთებული, შესაბამისი და მდგრადი პროფესიული საგანმანათლებლო ინიციატივა.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.1.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით - **„პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“**, რომელიც სრულად არეგულირებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა ეტაპსა და პროცედურას. დოკუმენტი დეტალურად აღწერს როგორც პროგრამაზე მიღების გამოცხადების, ისე კანდიდატთა შერჩევის, შეფასებისა და საბოლოოდ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების წესსა და მეთოდოლოგიას, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული წესი შემუშავებულია და ხორციელდება **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“** (ცვლილება: 26.09.2019 №203/ნ) მოთხოვნათა შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ჩარიცხვის პროცესის სამართლებრივ შესაბამისობას მოქმედ ნორმატიულ ბაზასთან.

ექსპერტული შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და დაწესებულების შიდა რეგულაციებთან. პროგრამაზე „Front-end დეველოპმენტი“ დაშვების პირობები დიფერენცირებულია პროგრამის ტიპის მიხედვით და განსაზღვრავს, რომ ინტეგრირებულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლების ქონა, ხოლო არაინტეგრირებულ პროგრამაზე - სრული ზოგადი განათლება.

ექსპერტული ანალიზით დადგინდა, რომ აღნიშნული დაშვების წინაპირობები ადეკვატურია პროგრამის შინაარსისა და სირთულის გათვალისწინებით და მიზნად ისახავს იმ კანდიდატთა შერჩევას, რომელთაც გააჩნიათ პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელი წინარე ცოდნა, უნარები და აკადემიური მზაობა. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას და ხელს უწყობს სწავლის შედეგების დროულად, ხარისხიანად და პროგრამით განსაზღვრულ ვადებში მიღწევას.

ინდიკატორის (2.1.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.ჰსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ექსპერტული შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტების კონტინგენტის განსაზღვრის მკაფიო და დასაბუთებული მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება რესურსების სრულფასოვან და სისტემურ ანალიზს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება მრავალ კომპონენტიანი მიდგომით და ეყრდნობა დაწესებულების მატერიალური რესურსების (სასწავლო გარემო, ტექნიკური საშუალებები, ინფრასტრუქტურა), ადამიანური რესურსების (სასწავლო პროცესში ჩართული კვალიფიციური პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა), ფინანსური რესურსების (დაწესებულების ფინანსური მდგრადობა და პროგრამის დაფინანსების შესაძლებლობები) და პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობების შეფასებას (პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო საწარმოო ბაზები, პრაქტიკის ობიექტები და გაფორმებული მემორანდუმები).

ექსპერტული ანალიზით დადასტურდა, რომ აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტუდენტთა კონტინგენტის ოპტიმალურ განსაზღვრას და გამორიცხავს რესურსების გადატვირთვის რისკებს. შედეგად, თითოეულ სტუდენტს ეძლევა ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურების მიღების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობა, სრულად არის უზრუნველყოფილი პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა და შენარჩუნებულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მაღალი ხარისხის სტანდარტი.

შედეგად, **ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას**, როგორც რეალისტურს, დასაბუთებულს და პროგრამის ხარისხიანი განხორციელებისთვის საკმარისს.

ინდიკატორის (2.1.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტული ანალიზის ფარგლებში დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ დოკუმენტაციას ერთვის იმ მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების დეტალური აღწერა, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევისთვის. რესურსების ჩამონათვალი წარმოდგენილია სისტემურად და მოიცავს როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო კომპონენტებს.

ასევე გამოვლინდა, რომ პროგრამის თითოეული მოდული უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო მასალებით, დამხმარე ლიტერატურით, ციფრული რესურსებითა და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას თეორიული ცოდნა დაუკავშირონ პრაქტიკულ საქმიანობას. არსებული მატერიალური ბაზა პასუხობს პროგრამის ტექნოლოგიურ პროფილს და ქმნის პირობებს იმ პროფესიული უნარების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც აუცილებელია Front-end დეველოპმენტის სფეროში საქმიანობისთვის.

ექსპერტული შეფასებით, აკადემიის მიერ გამოყოფილი რესურსები ფუნქციურად თავსებადია პროგრამის მიზნებთან და სწავლების შინაარსთან. რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, დამოუკიდებელი მუშაობის უნარების განვითარებას და პროფესიული კომპეტენციების ეტაპობრივ გაღრმავებას. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის შენარჩუნებას და შედეგებზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს.

დამატებით დადგინდა, რომ აკადემიაში დანერგილია რესურსების მართვის პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს არსებული მატერიალური და საგანმანათლებლო ბაზის პერიოდულ შეფასებას. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება რესურსების განახლება ან მოდიფიცირება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ტექნოლოგიური განვითარებების გათვალისწინებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები საკმარისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ ეფექტიანად განხორციელებისთვის და ქმნის მდგრად საფუძველს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ინდიკატორის (2.1.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორის (2.1.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ დამტკიცებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2025 წლის 7 მაისის N 2/54 ბრძანებით. პროგრამაში განხორციელებული ბოლო ცვლილება გაფორმებულია აკადემიის რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N 2/131 ბრძანებით. აღნიშნული ცვლილებები ასახავს პროგრამის შინაარსობრივ განახლებასა და განვითარებას დაწესებულების საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად.

ანალიზით დასტურდება, რომ აკადემიის რექტორი, როგორც უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და მათში ცვლილებების შეტანას. შესაბამისად, პროგრამის დამტკიცებისა და ცვლილებების განხორციელების პროცესი შეესაბამება დაწესებულების შიდა რეგულაციებსა და მოქმედ სამართლებრივ ჩარჩოს.

ინდიკატორის (2.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „Front-end დეველოპმენტი“ მკაფიოდ და ადეკვატურად ასახავს პროგრამის შინაარსს, მიმართულებასა და მიზნობრივ ორიენტაციას. პროგრამის დასახელება არ ქმნის მცდარ მოლოდინებს და ზუსტად ასახავს იმ პროფესიულ კომპეტენციებსა და საქმიანობის სფეროს, რომლისთვისაც სტუდენტები მზადდებიან სასწავლო პროცესის ფარგლებში.
ანალიზით დადასტურდა, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია ვებგვერდის მომხმარებლის ინტერფეისის დაგეგმვა და შექმნა, ინტერაქტიული ვებგვერდების განვითარება, ვებგვერდების ოპტიმიზაციის განხორციელება, ვებპროექტებზე ვერსიების კონტროლის ინსტრუმენტების გამოყენება, ასევე საკუთარი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა. აღნიშნული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს და თანხვედრაშია თანამედროვე Front-end დეველოპმენტის პროფესიული საქმიანობის მოთხოვნებთან.
შეფასების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის სახელწოდება, შინაარსი, მიზნები და განსაზღვრული სწავლის შედეგები ერთმანეთთან სრულ შესაბამისობაშია და ქმნის თანმიმდევრულ, გასაგებ და შედეგზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო მოდელს.
ინდიკატორის (2.1.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების „Front-end Development“ შესაბამისად და საფუძველს ემყარება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 19 აგვისტოს N 170/ნ ბრძანებას. პროგრამაში დეტალურად არის განსაზღვრული მისი სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, დაშვების წინაპირობები, კურსდამთავრებულთა კარიერული პერსპექტივები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლების მეთოდები, სწავლების შედეგად მიღწევების დადასტურების პროცედურები, კრედიტების მინიჭების მექანიზმი, კვალიფიკაციის მიღების პროცედურები, აგრეთვე ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების მხარდაჭერისა და სწავლების უზრუნველყოფის შესახებ.
პროგრამის პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, ინდივიდუალურ და ინტეგრირებულ მოდულებს, სასწავლო გეგმებს (მათ შორის ქართული ენის A2 და B1 დონეზე, საჭიროების შემთხვევაში მათ გარეშე), ასევე ინფორმაციას პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე. ექსპერტული შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის კონსტრუქცია სრულად პასუხობს ეროვნული სტანდარტებისა და აკადემიის შიდა რეგულაციების მოთხოვნებს, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას და კურსდამთავრებულების პროფესიულ მომზადებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის (2.1.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამით (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ბრძანებებით-აკადემიის რექტორის 2025 წლის 7 მაისის N 2/54 ბრძანება, პროგრამაში განხორციელებული ბოლო ცვლილება გაფორმებულია აკადემიის რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N 2/131 ბრძანებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით";
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- მატერიალური რესურსების მართვის წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლები;
- სამსახურებრივი ბარათები;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებები - განთავსებული ვებგვერდზე.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, როგორც თბილისის ასევე საჩხერის ბაზაზე.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „Front-end დეველოპმენტი“ ახორციელებს ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ.28-ში, სადაც არსებული მატერიალური და ტექნიკური რესურსები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიამ სტუდენტებისთვის შექმნა შესაბამისი სამუშაო გარემო, რაც საშუალებას იძლევა ხარისხიანად, უსაფრთხოდ და ეფექტურად დაიფაროს პროგრამის ყველა მოდული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

AC სასწავლო გარემო (N12 აუდიტორია) განკუთვნილია ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში 30 პროფესიული სტუდენტისთვის. აქ განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსები მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისთვის. აუდიტორია ერთ ჯგუფს საშუალოდ 4 საათით ემსახურება, რაც უზრუნველყოფს სივრცის მოქნილ გამოყენებას სხვადასხვა ჯგუფისა და პროგრამის ჩასატარებლად.
B/C სასწავლო გარემო (N13 აუდიტორია) აღჭურვილია 32 პერსონალური კომპიუტერით სტუდენტებისთვის, 1 კომპიუტერით მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორებით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით, 30 სამუშაო მაგიდით. სასწავლო გეგმა დაგეგმილია სამ ცვლაში, რაც უზრუნველყოფს აუდიტორიის ეფექტურ გამოყენებას.
B/C სასწავლო გარემო (N6 აუდიტორია) სტუდენტებისთვის აღჭურვილია 25 პერსონალური კომპიუტერით, 1 კომპიუტერით მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით და 25 სამუშაო მაგიდით. ამ აუდიტორიის გამოყენებაც უზრუნველყოფილია სამ ცვლაში, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების ეფექტურ სამუშაო განაწილებას.
დამატებით, პროგრამაში გათვალისწინებულია **მოდულების დისტანციური სწავლების შესაძლებლობა**, აკადემიას შესყიდული აქვს ულიმიტო ZOOM პლატფორმა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილ და უწყვეტ რეჟიმში დაგეგმვას და განხორციელებას.
ექსპერტული შეფასებით, პროგრამის ხანგრძლივობა, სასწავლო გარემოს აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა გათვალისწინებულია ისე, რომ ერთდროულად შესაძლებელია **სამი ჯგუფის**, თითოეულში 30 სტუდენტის, ანუ ჯამში 165 პროფესიული სტუდენტის სწავლების უზრუნველყოფა. ამასთან, ყველა სტუდენტი ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში იღებს სრულფასოვან სწავლების შესაძლებლობას, რაც ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების ეფექტურ მიღწევას.
ექსპერტული შეფასებით აკადემიის არსებული მატერიალური, ტექნიკური და ადამიანური რესურსები სრულად პასუხობს პროგრამის მიზნებსა და სწავლების საჭიროებებს. სწავლების პროცესის ორგანიზება შესაძლებელია როგორც კლასიკურ, ისე დისტანციურ რეჟიმში, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან, შედეგზე ორიენტირებულ და მოქნილ სასწავლო გარემოს.
ინდიკატორის (2.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებლებით და მათი დატვირთვა შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელების საჭიროებებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამისთვის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია ჯამში 43 პროფესიულ განათლების მასწავლებელთან. მათ შორის, **ინტეგრირებული ზოგადი მოდულების** განხორციელებისათვის დასაქმებულია 25 განმახორციელებელი პირი, **დარგობრივი მოდულებისთვის** -7 პირი, ხოლო **ზოგადი მოდულების** სწავლებისთვის -11 მასწავლებელი, მათ შორის 3 პირი დარგობრივი ინგლისურის მიმართულებით.

ექსპერტული ანალიზით დადგინდა, რომ პროფესიული დარგობრივი მასწავლებლების რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია საკმარისია იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური და უწყვეტი განხორციელება. აღნიშნული სტრუქტურა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გრძელვადიან მდგრადობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის გარანტიას.

ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ექსპერტული შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „Front-end დეველოპმენტი“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ შესაბამის კომპეტენციას სასწავლო პროცესში სტუდენტებისთვის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების უზრუნველყოფისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან აკადემიის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, რათა დასტაბილურდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა.

დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, ხოლო მათი კვალიფიკაცია და გამოცდილება დადასტურებულია აკადემიაში წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციით. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებლები შერჩეული არიან აკადემიის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა პროფესიული ცოდნა და კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

ასევე, ექსპერტული ანალიზით დადგინდა, რომ ინტეგრირებული მოდულის მასწავლებლებს გავლილი აქვთ სსიპ „პროფესიული უნარების სააგენტოს“ მიერ ორგანიზებული სპეციალური ტრენინგები და გაწევრიანებულები არიან დარგობრივ პროფესიულ ქსელებში, რაც კიდევ უფრო ამტკიცებს მათ პროფესიულ კვალიფიკაციას და მზადყოფნას პროგრამის ხარისხიანად განხორციელებისთვის.

შესაბამისად, აკადემიის მიერ შერჩეული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, კვალიფიკაცია და პროფესიული კომპეტენციები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და სწავლების შედეგების მიღწევას შესაბამის დონეზე.

ინდიკატორის (2.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

ექსპერტული შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „Front-end დეველოპმენტი“ ჰყავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება დასტურდება შესაბამისი დიპლომითა და სამუშაო გამოცდილებით.

პროგრამის ხელმძღვანელი სრულყოფილად იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, სტუდენტთა შეფასებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს. იგი არის დარგის აქტიური სპეციალისტი, რომელმაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი სასწავლო პროცესში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურ განხორციელებას. ხელმძღვანელი აქტიურად უწევს კონსულტაციებს მოდულების განმახორციელებელ პირებს დარგის სიახლეებთან დაკავშირებულ საკითხებში, ზრუნავს საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე და კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელების პროცესს.

ექსპერტული ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად იყო ჩართული წინამორბედი პროგრამის გადამუშავების პროცესში და მიუძღვის მნიშვნელოვანი წვლილი Front-end დეველოპმენტის პროფესიული სტანდარტის შემუშავებაში, რაც დადასტურებულია პროფესიული უნარების სააგენტოსთვის გაგზავნილი ოფიციალური კორესპონდენციით. აღნიშნული გამოცდილება და ჩართულობა უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან, შედეგზე ორიენტირებულ და სტანდარტებთან შესაბამის განხორციელებას.

ინდიკატორის (2.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ ფარგლებში სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონულად, ისე ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, კომპიუტერს ინტერნეტ ქსელით, პრინტერსა და მრავალ ფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალებზე შეუფერხებელ წვდომას. ელექტრონული რესურსები განთავსებულია აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და კატალოგის სისტემისთვის გამოიყენება OFEN Biblio. პროფესიული სტუდენტები და განმახორციელებლები აქტიურად იყენებენ რესურსებს, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევასა და პროფესიულ განვითარებას. ორივე აკადემიის მისამართი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე საგანმანათლებლო საჭიროებებს.

ინდიკატორის (2.2.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

აკადემიის ორივე ლოკაციაზე (თბილისი და საჩხერე) უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესში ჩართვისა და მხარდაჭერის სრული ხელმისაწვდომობა. აკადემია უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით განსაზღვრულ, ისე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რესურსებზე, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებების შესაბამისად.

პარტნიორული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს: სპეციალისტის ჩართულობას საჭიროების შეფასებისთვის, ადაპტირებულ სასწავლო რესურსებს (ელექტრონული და ბეჭდური მასალები, ადაპტირებული შრიფტი, ვიზუალური მხარდაჭერა), ინფრასტრუქტურის მორგებას თავისუფალი გადაადგილებისა და ჩართულობისთვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, მენტორულ დახმარებას და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს რესურსების ადაპტირებას საჭიროების მიხედვით: ელექტრონული ვერსიების მიწოდება მოსახერხებელ ფორმატში, ბეჭდური რესურსების შრიფტისა და სტილის ოპტიმიზაცია, ტექსტების გამარტივება და ვიზუალური მხარდაჭერა. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული სტუდენტები შეიძლება ჩართულ იქნეს მოდულებზე წინაპირობების გარეშე, დამატებითი მხარდაჭერის გათვალისწინებით.

ამ გზით, აკადემია ქმნის ინკლუზიურ, ხელმისაწვდომ და ეფექტურ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა სტუდენტს პროფესიულად განვითარდეს.

ინდიკატორის (2.2.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეულ პროგრამაზე არსებობს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას და ითვალისწინებს ყველა საჭირო ხარჯს: სასწავლო პროცესის მართვა, სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილება, სასწავლო რესურსების განახლება, ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა და პერსონალის ანაზღაურება. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების ეფექტურ ფუნქციონირებას და აკადემიის ფინანსურ მდგრადობას.

ინდიკატორის (2.2.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით- „Front-end დეველოპმენტი“;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, კოლეჯის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მიზნებისათვის ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი" შეფასების მექანიზმი სრულად ასახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. პროგრამის განხორციელების პროცესში რეგულარულად ხორციელდება შრომის ბაზრის კვლევა და მისი შედეგების ანალიზი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ადაპტირებას მიმდინარე პროფესიულ საჭიროებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკუკავშირის მიღების მიზნით გამოყენებულია განახლებული კითხვარები, რომლებიც მოიცავს პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებსა და დამსაქმებლებს. მიღებული მონაცემები გამოიყენება როგორც პროგრამის გამოწვევებისა და წარმატებების გამოვლენის, ისე საჭირო ცვლილებების დასახვისთვის.

შეფასების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და კურსდამთავრებულთა პროფესიული მომზადების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ექსპერტული ანალიზის მიხედვით, „Front-end დეველოპმენტი“ პროგრამის დანერგვა წარმოადგენს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ერთ-ერთ აქტიურ ინსტრუმენტს, რაც ადასტურებს დაწესებულების პრიორიტეტულ მიდგომას საგანმანათლებლო პროგრამების განახლებასა და გაუმჯობესების პროცესში, რათა სტუდენტებს მიეწოდოთ თანამედროვე და ბაზრის მოთხოვნებს შესაბამისი განათლება.

ინდიკატორის (2.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის სისტემური შეფასება ხორციელდება რეგულარულად. აკადემია ფლობს გამჭვირვალე მეთოდოლოგიას, რომელიც ეფუძნება პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესების სტანდარტულ პრაქტიკას.

შიდა შეფასების პროცესში ყურადღება გამახვილებულია სტუდენტთა სასწავლო მიზნების მიღწევაზე, სწავლების ეფექტიანობაზე, რესურსების სრულყოფილობაზე, ასევე გამოწვევებზე და გაუმჯობესების საჭირო სფეროებზე. გარე შეფასებები უზრუნველყოფენ სამართლიანი, ობიექტური ანალიზს, რომელიც აძლიერებს პროგრამის ხარისხის მართვის სისტემას.

შეფასებისას გამოყენებული მონაცემები მოიცავს სტუდენტთა და მასწავლებლების უკუკავშირს, პროგრამის ვერიფიკაციის შედეგებს და სხვა არსებული შეფასების პროცესების მონაცემებს. შედეგად, აკადემია პერიოდულად განსაზღვრავს ახალი სასწავლო მიდგომებისა და მასალების საჭიროებას, აფიქსირებს პროგრამის შესაბამისობას აკადემიის საგანმანათლებლო მიზნებთან და პროფესიული განვითარების სტანდარტებთან.

შეფასების შედეგად მიღებული დასკვნები გამოიყენება პროგრამაში ცვლილებების განხორციელებისთვის, რაც უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას, სტუდენტთა კომპეტენციების ეფექტურ განვითარებასა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას.

ინდიკატორის (2.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით
- სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;
- გასაუბრებით;
- კვლევების მეთოდოლოგიით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ განხორციელდება წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული სასწავლო გეგმების შესაბამისად, რომელთა შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა ჰქონდა პროგრამის ხელმძღვანელს. სასწავლო გეგმები მოიცავს როგორც **ინტეგრირებულ**, ისე **არაინტეგრირებულ** მოდულებს, მათ შორის **ქართული ენის მოდულებს** შესაბამისი დონეებით (A2, B1) და მის გარეშე.

სასწავლო გეგმებში თითოეული მოდული განთავსებულია ისე, რომ სტუდენტის **კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40-ს**, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის ეფექტურ და ხარისხიან პროცესს. აგრეთვე, სასწავლო გეგმაში დაცულია **მოდულების ლოგიკური დაშვების წინაპირობები**, რაც უზრუნველყოფს სწავლების ეტაპობრიობას და სწავლების მიზნების სრულად მიღწევას.

ექსპერტული ანალიზით დასტურდება, რომ აღნიშნული წყობა უზრუნველყოფს პროგრამის გეგმის შესაბამისად განხორციელებას, სწავლის შედეგების სრულყოფილ მიღწევასა და სტუდენტთა ეფექტურ პროფესიულ მომზადებას.

ინდიკატორის (2.4.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

აკადემია სასწავლო პროცესის ორგანიზების დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე, დადგინდა, რომ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია ორგანიზებას უწევს სასწავლო პროცესს პროფესიული სტუდენტების ინტერესებისა და საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ადმინისტრირება და სტუდენტთა მხარდაჭერა განხორციელდება აკადემიის **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** და პროფესიული სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების შესაბამისად.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე სტუდენტებთან ტარდება **საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები**, რომლებზეც ისინი იღებენ სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლების პირობებზე, პროფესიული განვითარების შესაძლებლობებზე, ასევე უფლებებსა და ვალდებულებებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროგრამაში ნებისმიერი ცვლილების ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტებს მიეცეთ განათლების გაგრძელების შესაძლებლობა. გარდა ამისა, კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე და უზრუნველყოფს მათ მხარდაჭერას სასწავლო პროცესის განმავლობაში, რაც განაპირობებს სწავლების ხარისხის მაღალ სტანდარტს და სტუდენტთა კმაყოფილებას.

ინდიკატორის (2.4.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

აკადემია აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. შეფასების პროცესში დადასტურდა, რომ სწავლება მოიცავს მრავალფეროვან მეთოდებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობასა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ სასწავლო პროცესი მოიცავს **თანამედროვე სწავლების მეთოდებს**, მათ შორის დისტანციურ სწავლებას, ინტერაქტიულ და პრაქტიკულ აქტივობებს. პროგრამის მოდულებში დეტალურად არის მოცემული სასწავლო მეთოდების აღწერა, ხოლო დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენება უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ, რომლებიც მუდმივად აფასებენ დარგის სიახლეებს და საჭიროების შემთხვევაში განაახლებენ სასწავლო პროცესს.

სწავლების სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, B გარემოს ყველა კომპიუტერში ინსტალირებულია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამები, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული საქმიანობის წარმართვას მაღალ სტანდარტზე.

აღსანიშნავია, რომ **აკადემიაში ფუნქციონირებს ვებტექნოლოგიების სასწავლო საწარმო**, სადაც სტუდენტები და კურსდამთავრებულები ერთობლივად მონაწილეობენ რეალურ პროექტებში. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილების შეძენის, საკუთარი პორტფოლიოების შექმნასა და ანაზღაურების მიღებას სტუდენტობის პერიოდში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების განვითარების მაღალ სტანდარტზე მიღწევას.

ინდიკატორის (2.4.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნას პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად. ინდივიდუალური გეგმის შემუშავება ხდება მაშინ, როდესაც სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო საჭიროება რეგულარული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეჟიმის შეცვლაზე, სარგებლობს მობილობით, ან იმ შემთხვევაში, თუ ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარება/დადასტურება ხდება. გარდა ამისა, ასეთი გეგმის შემუშავება გათვალისწინებულია ნებისმიერ სხვა შემთხვევებში, როდესაც სტუდენტის სასწავლო ინტერესების დაცვა და სწავლის მიზნების ეფექტური მიღწევა საჭირო ხდება.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის პროცედურა განსაზღვრულია აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რაც უზრუნველყოფს პროცესის სტანდარტიზაციას, გამჭვირვალობას და პროფესიული სტუდენტების სწავლის მაღალ ხარისხს.
ინდიკატორის (2.4.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.
პროგრამა ხორციელდება აკადემიის იმიტირებულ სამუშაო გარემოში
ინდიკატორის (2.4.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
დაწესებულებაში მოქმედებს **უსაფრთხოების პოლიტიკა** და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და დაცვას. აკადემიაში სრულად დაცულია **შრომის უსაფრთხოების ნორმები,** რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწავლას დაცულ გარემოში.
ინდიკატორის (2.4.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ნაწილი მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელ ნორმებს, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების პროცედურები. დოკუმენტში განსაზღვრულია:

- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურები და მათი შემუშავების მეთოდიკა;
- პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ;
- აპელაციის წესები და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურები;
- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების შედეგების დადასტურების მექანიზმები;
- მტკიცებულებების მოპოვების, დაცვა - შენახვის და რეგისტრაციის წესები.

დაწესებულებას ცალკე აქვს დამტკიცებული „შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი” (რექტორის ბრძანება N2/192, 07.11.2022, ცვლილება N2/82, 10.06.2025), რომელიც სრულად შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. გასაუბრებებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ **დაწესებულება აქტიურად ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე.** აკადემია სისტემატურად ატარებს **ტრენინგებს,** რათა უზრუნველყოფილ იქნას შეფასების ერთგვაროვნება და სიზუსტე. ყველა **შეფასების ინსტრუმენტი ვალიდირებულია,** რაც უზრუნველყოფს მის ადეკვატურობას და შედეგზე ორიენტირებულობას. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის მნიშვნელოვან მექანიზმს და მოიცავს ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდაცია ხორციელდება შემდეგ შემთხვევაში:

- ახალი შეფასების ინსტრუმენტის შექმნისას;
- არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანისას.

გარდა ამისა, პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის **ვერიფიკაცია.** პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ **გადაბარებისა და აპელაციის წესს** და სარგებლობენ აღნიშნული შესაძლებლობით.

ინდიკატორის (2.4.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით) ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) . ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები აისახება ანგარიშში, რომელიც დადგენილი წესით ეცნობება დაინტერესებულ პირებს/ მხარეებს. დადგინდა, რომ აკადემია პრაქტიკულად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების განახლებას ვერიფიკაციის ანგარიშების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათი ეფექტიანობისა და სანდოობის გაუმჯობესებას. დაწესებულებამ აღნიშნული პროცესების პრაქტიკაში მოქმედების მიზნით წარმოადგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ . აღნიშნული ბრძანების მიხედვით დგინდება, რომ ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყო როგორც დარგის, ასევე განათლების მოწვეული ექსპერტი. აკადემიის მიერ დამტკიცებული რისკების სისტემა შესაბამისობაშია აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის წესში გაწერილ რისკებთან.

რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა მტკიცებულებების შემოწმებას, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებობს შეფასების მტკიცებულება. მტკიცებულებები აღრიცხულია, ხელმოწერილია პროფესიული სტუდენტების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული მასწავლებლების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ აკადემიაში სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
ინდიკატორის (4.2.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
კოლეჯის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში: შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.
სასწავლო პროცესის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე, საქმისმწარმოებელი კი საქმისწარმოების წესის შესაბამისად (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 21.12.2021 წლის N2/167 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ბრძანება N2/71 (22.05.2025)) პირადი საქმეების საწარმოებლად, ხოლო პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო დგება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომლის მუხლი 41 არეგულირებს შეფასების მტკიცებულების შენახვის და განკარგვის წესს. ისინი ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს. რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც პასუხისმგებელია გასანადგურებელი მტკიცებულებების იდენტიფიცირებაზე. პროცესის დასრულების შემდეგ კომისია ამზადებს შესაბამის ოქმს, რომელიც ასახავს განხორციელებული საქმიანობის დეტალურ აღწერას და ადასტურებს მტკიცებულებების განადგურების ფაქტს. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები პორტფოლიოში ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**
ინდიკატორის (2.4.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემია პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ მეთოდებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი კომპეტენციების განვითარება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. პროფესიული მასწავლებლები რეგულარულად განიხილავენ შეფასების შედეგებს ინდივიდუალურ რეჟიმში სტუდენტებთან, რაც საშუალებას აძლევს მათ შემდგომი განვითარების გეგმების ჩამოყალიბებაში და სწავლების მიდგომების გაუმჯობესებაში.

შესრულებული სამუშაოების უკუკავშირი და შეფასების შედეგების ანალიზი ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ ახალი ინიციატივებისა და მეთოდების დანერგვას. პროფესიული სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საკუთარი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესახებ, ხოლო აკადემია უზრუნველყოფს მიღებული მონაცემების გამოყენებას სწავლების პროცესის დახვეწისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საჭიროების განსაზღვრისთვის.

დაწესებულებაში გამოყენებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია ციფრულ პლატფორმასთან და აერთიანებს სასწავლო პროგრამებს, შეფასების ინსტრუმენტებს, უკუკავშირის არხებსა და კომუნიკაციის მექანიზმებს. პლატფორმა უზრუნველყოფს სწრაფ უკუკავშირს მასწავლებელს, ადმინისტრაციასა და სტუდენტს შორის, ხოლო პერსონალური მონაცემები დაცულია, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების კვალიფიკაციის ეფექტურ განვითარებას.

ინდიკატორის (2.4.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- უწყისების აღრიცხვის ჟურნალი;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2/218 დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ქ. თბილისის განყოფილებაში პროფესიული სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურების მიზნით მუდმივ მოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი (თბილისი-საჩხერე) 2025 წელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00008670 07/06/2025;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი № 00020347 24/10/2025;

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	2025 წლის 25 აგვისტოს რექტორის N2/132 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. საჩხერე, ივანე გომართელის ქ. N50ა, 52

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

VI. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა აკადემიაში ექსპერტთა მხრიდან შეფასდა როგორც სტრატეგიულად დასაბუთებული და შრომის ბაზარის მოთხოვნაზე ორიენტირებული ინიციატივა. პროგრამა სრულ თანხვედრაშია ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისიასთან, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკის რეალური საჭიროებების შესაბამისი, პრაქტიკულ შედეგებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების უზრუნველყოფას. ბუღალტრული აღრიცხვა წარმოადგენს ისეთ უნივერსალურ კომპეტენციას, რომლის საჭიროება მუდმივად არსებობს როგორც კერძო, ისე საჯარო და არასამთავრობო სექტორებში, რაც პროგრამას მაღალი დასაქმების პოტენციალით გამორჩეულს ხდის.

აკადემიის მიერ განხორციელებული ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრის კვლევების ანალიზი ადასტურებს, რომ ფინანსურ-საბუღალტრო მიმართულება რჩება ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ და მოთხოვნად პროფესიულ სფეროდ. საქართველოში ეს მოთხოვნა კიდევ უფრო ძლიერდება საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (IFRS) დანერგვით, საგადასახადო რეგულაციების გართულებითა და ფინანსური პროცესების ციფრულ ტრანსფორმაციით. აღნიშნული გარემოებები ზრდის მოთხოვნას ისეთ სპეციალისტებზე, რომლებიც ფლობენ არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ თანამედროვე საბუღალტრო პროგრამებში მუშაობის პრაქტიკულ უნარებს, რაც წარმოდგენილი პროგრამის შინაარსშია ინტეგრირებულია.

პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთებაში წარმოდგენილია ასევე დამსაქმებელთა უკუკავშირისა და დასაქმების პლატფორმებზე არსებული ვაკანსიების ანალიზი, რომელიც ცხადყოფს კვალიფიციური ბუღალტრების დეფიციტს, განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე. საჩხერის ლოკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში მოთხოვნა უკავშირდება მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდას, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და ორგანიზაციების საქმიანობის გაფართოებას და ფინანსური გამჭვირვალობის მოთხოვნების გაძლიერებას. ამ კონტექსტში პროგრამა ქმნის ადგილობრივად დასაქმებაზე ორიენტირებულ, მდგრად საგანმანათლებლო შეთავაზებას და ამცირებს კადრების გადინების რისკს რეგიონიდან.

ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასება აჩვენებს, რომ აკადემიას გააჩნია საკმარისი ადამიანური რესურსი, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ორგანიზაციული გამოცდილება პროგრამის ხარისხიანად განსახორციელებლად. მრავალ მოდულიანი სტრუქტურა, განმახორციელებელთა სიჭარბე და პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტობასა და შედეგიანობას.

ჯამურად, ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება შეფასებულია როგორც მიზანშეწონილი, შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებზე დაფუძნებული და ინსტიტუციურად გამართული გადაწყვეტილება, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აკადემიის განვითარების სტრატეგიას, რეგიონულ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს და კურსდამთავრებულთა დასაქმების უნარიანობის ზრდას.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის (2.1.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“, დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი საბაზისო აკადემიური კომპეტენციების არსებობას.
დაწესებულების რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც დეტალურად არის განსაზღვრული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, შერჩევის პროცედურები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურები, აგრეთვე შესაბამისი კომისიების შექმნისა და ფუნქციონირების პრინციპები.

აღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ დებულებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის (2.1.1.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის“ რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ ადგენს პროფესიულ ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.
მეთოდოლოგიის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა/დატვირთვა;
- A გარემო/თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების რაოდენობა აუდიტორიაში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:
- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;
- B გარემო/კომპიუტერული კლასი - ყოველ პროფესიულ სტუდენტზე ერთი კომპიუტერი სრული კომპლექტაციით;
- C გარემო/პრაქტიკული კომპონენტისთვის განკუთვნილი სივრცე სტუდენტების რაოდენობა პრაქტიკის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:
- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისრაოდენობა;
- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი (არსებობის შემთხვევაში);
- კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით/საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულიინვენტარი და აღჭურვილობა;
- კანონმდებლობით განსაზღვრული წესით მოდულის სწავლის შედეგების განხორციელების შესაძლებლობა დისტანციურად;

კოლეჯმა წარმოადგინა ზემოაღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით გაანგარიშებული კონტინგენტის რაოდენობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“.
ექსპერტთა შეფასებით, შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას“ გააჩნია შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსები, რათა სრულფასოვნად და ხარისხიანად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ მაქსიმუმ 50 პროფესიული სტუდენტის მიღებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს ამ ეტაპზე ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული პროგრამისთვის გააჩნია 2 (ორი) A გარემო; 1 (ერთი) B, რომელსაც გამოიყენებენ ასევე C გარემოდ.

შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, როგორც რეალისტურს, დასაბუთებულს და პროგრამის ხარისხიანი განხორციელებისთვის საკმარისს.

ინდიკატორის (2.1.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტული ანალიზის ფარგლებში დადგინდა, რომ აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „ბუღალტრული აღრიცხვა“ განსაზღვრული აღჭურვილობა ემთხვევა საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ფარავს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგებს, ამრიგად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

დამატებით დადგინდა, რომ აკადემიაში დანერგილია რესურსების მართვის პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს არსებული მატერიალური და საგანმანათლებლო ბაზის პერიოდულ შეფასებას. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება რესურსების განახლება ან მოდიფიცირება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და ტექნოლოგიური განვითარებების გათვალისწინებას.

შეფასების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები საკმარისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ ეფექტიანად განხორციელებისთვის და ქმნის მდგრად საფუძველს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ინდიკატორის (2.1.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორის (2.1.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის რექტორის 2025 წლის 25 აგვიატოს N2/130 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის რექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცებულია კოლეჯის რექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N2/132 ბრძანებით.

ინდიკატორის (2.1.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

,,ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია იდენტური სახელწოდების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორის (2.1.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია კანონმდებლობით დამტკიცებული “ბუღალტრული აღრიცხვის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ასევე ახლავს დისტანციური სწავლების დროს სარეკომენდაციო დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დისტანციური სწავლების მიზანშეწონილობა კონკრეტული მოდულების/სწავლის შედეგების ფარგლებში და სხვ. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორის (2.1.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამით (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- აკადემიის მისია;
- სტრატეგიულოი განვითარების გეგმა;
- წესდება;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით";
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- მატერიალური რესურსების მართვის წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლები;
- სამსახურებრივი ბარათები;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებები - განთავსებული ვებგვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, როგორც თბილისის ასევე საჩხერის ბაზაზე.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“ ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე ქ. საჩხერეში. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებით, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულებაში პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A და B გარემოებები, მათ შორის:

- დარგობრივი აუდიტორია - B სასწავლო გარემო, ერთჯერადი განთავსებით 40 პროფესიული სტუდენტისთვის;
- ზოგადი მოდულების აუდიტორიები, 2 A სასწავლო გარემო, 15-15 პროფესიული სტუდენტისთვის;

სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 50 პროფესიული სტუდენტი.

დამატებით, პროგრამაში გათვალისწინებულია მოდულების დისტანციური სწავლების შესაძლებლობა, აკადემიას შესყიდული აქვს ულიმიტო ZOOM პლატფორმა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილ და უწყვეტ რეჟიმში დაგეგმვას და განხორციელებას.

ინდიკატორის (2.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელების უზრუნველსაყოფად, შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას“ განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ისე პროფესიული მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა რაოდენობა და აკადემიური დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და მდგრად განხორციელებას.

სულ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 6 პროფესიული მოდულების, ხოლო 6 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი. აღნიშნულიდან, 2 მასწავლებელი განახორციელებს როგორც ზოგადი, ისე პროფესიული მოდულების სწავლების პროცესს. პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო დატვირთვის განაწილება უზრუნველყოფს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ოპტიმალურ ბალანსს, რაც იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დატვირთვა სრულად აკმაყოფილებს პროგრამის განხორციელების მდგრადობის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ახლად შემუშავებულ პროგრამას, რის გამოც ექსპერტთა მიერ არსებული პრაქტიკის შეფასება ვერ განხორციელდა, თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების, წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პერსონალის რაოდენობისა და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების პირობების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის განხორციელების მდგრადობის კომპონენტი დაკმაყოფილებულია.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს და არ აღემატება კვირაში 40 საათს. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ასევე დადასტურდა, რომ ყველა პროფესიულ მოდულზე აკადემიას ჰყავს არანაკლებ ორი განმახორციელებელი პერსონალი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას.

ინდიკატორის (2.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ ფარგლებში ჩართული მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობითა და აკადემიის შიდა რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს. მათ გააჩნიათ შესაბამისი განათლება და/ან სწავლებისა და/ან პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება.

როგორც აღინიშნა, პროგრამა წარმოადგენს ახლად შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამას, შესაბამისად, მას ამ ეტაპზე არ ჰყავს პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რის გამოც აღნიშნული კომპონენტის შეფასება მათი უკუკავშირის საფუძველზე ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამისა, აკადემიამ პროგრამის განმახორციელებელ პირებს ჩაუტარა პროფესიული ტრენინგები. პროგრამის განმახორციელებელთა ნაწილი აკადემიაში უკვე მონაწილეობს სხვა პროფესიულ პროგრამებში, ხოლო ნაწილი ჩართულია მოკლევადიანი პროგრამების განხორციელებაში, რაც ადასტურებს მათ პრაქტიკულ და პედაგოგიურ გამოცდილებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს გააჩნიათ კომპეტენცია, როგორც დარგობრივი, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურ და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

ინდიკატორის (2.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - „ბუღალტრული აღრიცხვა“ ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც დარგში მუშაობის, ასევე სწავლების გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

ინდიკატორის (2.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ბუღალტრული აღრიცხვა“ ფარგლებში სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონულად, ისე ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო სივრცეს, კომპიუტერს ინტერნეტ ქსელით, პრინტერსა და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალებზე შეუფერხებელ წვდომას. ელექტრონული რესურსები განთავსებულია აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და კატალოგის სისტემისთვის გამოიყენება OFEN Biblio. პროფესიული სტუდენტები და განმახორციელებლები აქტიურად იყენებენ რესურსებს, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევასა და პროფესიულ განვითარებას. ორივე აკადემიის მისამართი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე საგანმანათლებლო საჭიროებებს.

ინდიკატორის (2.2.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

აკადემიაში (საჩხერე) უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესში ჩართვისა და მხარდაჭერის სრული ხელმისაწვდომობა. აკადემია უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით განსაზღვრულ, ისე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რესურსებზე, რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებების შესაბამისად.

პარტნიორული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს: სპეციალისტის ჩართულობას საჭიროების შეფასებისთვის, ადაპტირებულ სასწავლო რესურსებს (ელექტრონული და ბეჭდური მასალები, ადაპტირებული შრიფტი, ვიზუალური მხარდაჭერა), ინფრასტრუქტურის მორგებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავისუფალი გადაადგილებისა და ჩართულობისთვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, მენტორულ დახმარებას და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს რესურსების ადაპტირებას საჭიროების მიხედვით: ელექტრონული ვერსიების მიწოდება მოსახერხებელ ფორმატში, ბეჭდური რესურსების შრიფტისა და სტილის ოპტიმიზაცია, ტექსტების გამარტივება და ვიზუალური მხარდაჭერა. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული სტუდენტები შეიძლება ჩართულ იქნეს მოდულებზე წინაპირობების გარეშე, დამატებითი მხარდაჭერის გათვალისწინებით.

ამ გზით, აკადემია ქმნის ინკლუზიურ, ხელმისაწვდომ და ეფექტურ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა სტუდენტს პროფესიულად განვითარდეს.

ინდიკატორის (2.2.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელების მიზნით წარმოდგენილია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ასახავს როგორც მოსალოდნელ შემოსავლებს, ისე პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ბიუჯეტი შემუშავებულია რეალისტური ფინანსური გათვლების საფუძველზე.

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია პროგრამის ადმინისტრირებისა და განვითარებისათვის აუცილებელი ყველა ძირითადი ხარჯი, მათ შორის პერსონალის ანაზღაურება, საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება და სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.

საპროგნოზო ბიუჯეტის ფარგლებში განსაზღვრულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი, რომელიც შეადგენს არანაკლებ 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობასა და ეფექტიან განხორციელებას.

ინდიკატორის (2.2.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაციით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით- „ბუღალტრული აღრიცხვა“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ბიბლიოთეკის დებულებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების, პროგრამაში ცვლილების შეტანის და კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის კითხვარები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, კოლეჯის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მიზნებისათვის ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

აკადემიაში უკვე მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შესწავლილი და დანერგილი პროცედურები იძლევა საფუძვლიან შესაძლებლობას, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა" ფარგლებში ყველა ძირითადი და დამხმარე პროცესი განხორციელდეს ანალოგიური მიდგომითა და დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფს აკადემიის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და მონიტორინგს, რაც, თავის მხრივ, ქმნის მყარ საფუძველს დაწესებულების მდგრადი განვითარების, ხარისხის შენარჩუნებისა და მისი სისტემური გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის (2.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის შეფასებას და გააჩნია ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება ცვლილებები „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. ხარისხის შეფასება მოიცავს როგორც შიდა, ასევე გარე შეფასების მექანიზმებს და ეფუძნება მრავალწყაროვან მონაცემებს, მათ შორის პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების უკუკავშირს, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის შედეგებსა და პროგრამის განხორციელების სხვა მტკიცებულებებს.

აკადემიაში არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, პროგრამის შეფასების პროცესში გაანალიზებულია სტუდენტთა სასწავლო მიზნების მიღწევის დონე და იდენტიფიცირებული გამოწვევები, სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და რესურსების საკმარისობა, ძლიერი მხარეები და გაუმჯობესების საჭირო სფეროები, ახალი მიდგომებისა და სასწავლო მასალების დანერგვის აუცილებლობა, ასევე პროგრამის შესაბამისობა საგანმანათლებლო მიზნებთან და პროფესიული განვითარების მოთხოვნებთან. შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ კოლეჯის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესის შესაბამისად. ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს ახალი სასწავლო მასალებისა და სწავლების მეთოდების დანერგვას, სასწავლო პროცესის ორგანიზების გაუმჯობესებასა და რესურსების ოპტიმიზაციას. ყველა ცვლილება ხორციელდება კოლეჯის შიდა ნორმატიული დოკუმენტების დაცვით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და ხარისხის უზრუნველყოფის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობას.

კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ შემთხვევაში, პროგრამის განხორციელების საწყისი ეტაპის დასრულებისა და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების შემდეგ, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, საჭიროების შესაბამისად განხორციელდება პროგრამის შემდგომი განვითარება და გაუმჯობესება.

ინდიკატორის (2.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგიით
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით
- სხვადასხვა ტიპის კითხვარებით;
- გასაუბრებით;
- კვლევების მეთოდოლოგიით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ შედგენილია სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრულად განხორციელების შესახებ და დაცული არის მოდულებზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ინდიკატორის (2.4.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. კოლეჯი პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროცესს. სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის წესები განსაზღვრულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმებით.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიულ სტუდენტებთან ტარდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, სადაც მათ აწვდიან სრულ ინფორმაციას პროგრამის შინაარსზე, სწავლის პირობებსა და შესაძლებლობებზე, მათ უფლებებსა და ვალდებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში მოხდება ცვლილება ან მისი გაუქმება, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის განათლების გაგრძელების შესაძლებლობას. კოლეჯი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების საჭიროებებზე და მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევს სასწავლო პროცესში.

ინდიკატორის (2.4.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ბუღალტრული აღრიცხვა“ ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

ინდიკატორის (2.4.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია“ უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნას პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად. ინდივიდუალური გეგმის შემუშავება ხდება მაშინ, როდესაც სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო საჭიროება რეგულარული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეჟიმის შეცვლაზე, სარგებლობს მობილობით, ან იმ შემთხვევაში, თუ ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარება/დადასტურება ხდება. გარდა ამისა, ასეთი გეგმის შემუშავება გათვალისწინებულია ნებისმიერ სხვა შემთხვევებში, როდესაც სტუდენტის სასწავლო ინტერესების დაცვა და სწავლის მიზნების ეფექტური მიღწევა საჭირო ხდება.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის პროცედურა განსაზღვრულია აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რაც უზრუნველყოფს პროცესის სტანდარტიზაციას, გამჭვირვალობას და პროფესიული სტუდენტების სწავლის მაღალ ხარისხს.
ინდიკატორის (2.4.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.
პროგრამა ხორციელდება აკადემიის იმიტირებულ სამუშაო გარემოში
ინდიკატორის (2.4.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
დაწესებულებაში მოქმედებს **უსაფრთხოების პოლიტიკა** და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და დაცვას. აკადემიაში სრულად დაცულია **შრომის უსაფრთხოების ნორმები,** რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწავლას დაცულ გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელებისთვის არ საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. აკადემიას შემუშავებული და დამტკიცებული კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები რომლიც გამოკრულია აუდიტორიაში თვალსაჩინო ადგილას. შესაბამისად სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
ინდიკატორის (2.4.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრებები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ნაწილი მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელ ნორმებს, სადაც დეტალურად არის გაწერილი შეფასების პროცედურები. დოკუმენტში განსაზღვრულია:

- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურები და მათი შემუშავების მეთოდიკა;
- პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შეფასების კრიტერიუმებისა და პროცედურების შესახებ;
- აპელაციის წესები და განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურები;
- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლების შედეგების დადასტურების მექანიზმები;
- მტკიცებულებების მოპოვების, დაცვა - შენახვის და რეგისტრაციის წესები.

დაწესებულებას ცალკე აქვს დამტკიცებული „შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი” (რექტორის ბრძანება N2/192, 07.11.2022, ცვლილება N2/82, 10.06.2025), რომელიც სრულად შესაბამისია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. გამოყენებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. გასაუბრებებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ **დაწესებულება აქტიურად ზრუნავს შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე.** აკადემია სისტემატურად ატარებს **ტრენინგებს,** რათა უზრუნველყოფილ იქნას შეფასების ერთგვაროვნება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სიზუსტე. ყველა **შეფასების ინსტრუმენტი ვალიდირებულია,** რაც უზრუნველყოფს მის ადეკვატურობას და შედეგზე ორიენტირებულობას. ვალიდაცია წარმოადგენს შეფასების სისტემის ხარისხის მნიშვნელოვან მექანიზმს და მოიცავს ინსტრუმენტის ფორმალური და შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას.

ვალიდაცია ხორციელდება შემდეგ შემთხვევაში:

- ახალი შეფასების ინსტრუმენტის შექმნისას;
- არსებულ ინსტრუმენტში ცვლილებების შეტანისას.

გარდა ამისა, პერიოდულად ხორციელდება შეფასების სისტემის **ვერიფიკაცია.**

ინდიკატორის (2.4.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განუყოფელ ნაწილს და მისი განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროცესში კი საჭიროების შემთხვევაში ჩართული არიან სხვა პირებიც, მათ შორის განათლებისა და დარგის ექსპერტები, სოციოლოგები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები.

ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. ვერიფიკაციის პროცესში დაცულია ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი, ვერიფიკატორი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელმაც შეიმუშავა შეფასების ინსტრუმენტი ან მონაწილეობდა მის შემუშავებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკს და საჭირო დოკუმენტაციის პროექტებს, ხოლო ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და დადგენილი წესით ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს.

ვერიფიკაცია ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია ხორციელდება შერჩევითი პრინციპით, რისკებზე დაფუძნებული ანალიზის საფუძველზე. რისკების იდენტიფიცირებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი, რაც მოიცავს, მათ შორის, დამწყები მასწავლებლის ფაქტორს, შეფასების შედეგების ერთგვაროვნებას (ყველა სტუდენტის მიერ უარყოფითი ან დადებითი შედეგის მიღება), ინსტრუმენტების ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადაუმოწმებლობას ან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოდულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არჩევას. საჭიროების შემთხვევაში, ვერიფიკაცია შეიძლება მოიცავდეს ერთიდაიმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების განსაზღვრული ნაწილის (მაგალითად, 20%) შემოწმებას.

ვერიფიკაციის პროცესში ჯგუფი იყენებს სპეციალურად შემუშავებულ ვერიფიკაციის კითხვარებს, რომელთა სამუშაო ვერსიას ამზადებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კითხვარები განიხილება და საბოლოოდ შეჯერდება ჯგუფის პირველ შეხვედრაზე, რის შემდეგაც ყველა ვერიფიკატორი იყენებს ერთიან, შეთანხმებულ ვერსიას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა სხვა პროფესიული პროგრამის ფარგლებში პრაქტიკულად განხორციელებულ ვერიფიკაციის პროცესს, რის საფუძველზეც დადასტურდა, რომ დაწესებულება რეალურად ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების სისტემურ გადახედვასა და განახლებას. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების ეფექტიანობის, სანდოობისა და სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესებას და წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან კომპონენტს.

ინდიკატორის (4.2.2.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების და ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. ამ პროცესის ფარგლებში: შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.

სასწავლო პროცესის მენეჯერი პასუხისმგებელია შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე, საქმისმწარმოებელი კი საქმისწარმოების წესის შესაბამისად (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 21.12.2021 წლის N2/167 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: ბრძანება N2/71 (22.05.2025)) პირადი საქმეების საწარმოებლად, ხოლო პროფესიული სტუდენტის პორტფოლიო დგება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომლის მუხლი 41 არეგულირებს შეფასების მტკიცებულების შენახვის და განკარგვის წესს. ისინი ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს. რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც პასუხისმგებელია გასანადგურებელი მტკიცებულებების იდენტიფიცირებაზე. პროცესის დასრულების შემდეგ კომისია ამზადებს შესაბამის ოქმს, რომელიც ასახავს განხორციელებული საქმიანობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დეტალურ აღწერას და ადასტურებს მტკიცებულებების განადგურების ფაქტს. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები პორტფოლიოში ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში. **აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; ინდიკატორის (2.4.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
აკადემია პროფესიული სტუდენტების შეფასების პროცესში იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ მეთოდებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი კომპეტენციების განვითარება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის გაუმჯობესების ინიციატივები, დადგეს ინდივიდუალური გეგმის შედგენის საჭიროება, ეს კი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა განვითარებას.
ინდიკატორის (2.4.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის ბრძანება N 2-86 (16.06.2025) შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნებისთვის რისკების სქემის და ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები (დამტკიცებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით);
- პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი (თბილისი-საჩხერე) 2025 წელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ.N28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	128
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	128
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. საჩხერე, ივანე გომართელის ქ.N50ა, 52
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	18
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

პროგრამის სახელწოდება	რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ.N28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	35
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	89

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	119

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი

22.01.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: